

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი

სისხლის სამართლის საქმეებზე საქმეებზე

2008, # 5

დ ა ნ ა შ ა უ ლ ი

ა დ ა მ ი ა ნ ი ს

წ ი ნ ა ა ლ მ დ ე გ

- 1. დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ**
 - განზრახ მკვლელობა (მცდელობა)
 - განზრახ მკვლელობა (მცდელობა) დამამძიმებელ გარემოებებში
 - სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით
- 2. დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ**
 - ცემა
 - ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება
 - ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება
- 3. დანაშაული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ**
 - გაუპატიურება (მცდელობა)
 - სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედება
 - სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწეველთან

1. დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ

განზრახ მკვლელობა (მცდელობა)

განჩინება

#1128-აპ

28 მაისი, 2007 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

ო. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),
დ. სულაქველიძე,
ლ. მურუსიძე

განიხილა მსჯავრდებულ დ. გ-ძის, აგრეთვე, დაზარალებულის უფლებამონაცვლე ა. კ-ძის ინტერესების დამცველი ადვოკატების - ი. ე-შვილისა და ნ. რ-ძის საკასაციო საჩივრები ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006 წლის 21 სექტემბრის განაჩენზე დ. გ-ძის, მ. გ-ძისა და თ. გ-ძის მიმართ.

აღწერილობითი ნაწილი:

ვანის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 3 მაისის განაჩენით:

1. დ. გ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის 1-ლი ნაწილით. ამასთან, მისი ქმედება ამავე კოდექსის 108-ე მუხლიდან გადაკვალიფიცირდა 119-ე მუხლზე (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციით) და დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ მან ჩაიდინა ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა, ასევე, სხვისი ნივთის დაზიანება, რამაც გამოიწვია მნიშვნელოვანი ზიანი;

2. თ. გ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 118-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) იმაში, რომ ჩაიდინა ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება;

3. მ. გ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) იმაში, რომ ჩაიდინა სხვისი ნივთის დაზიანება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

განაჩენით დ., თ. და მ. გ-ძეების მიერ ჩადენილი დანაშაული კონკრეტულად გამოიხატა შემდეგში:

2005 წლის 19 თებერვალს, დაახლოებით 14 საათზე, დ. გ-ძე მშობლებთან ერთად ქუთაისიდან ჩავიდა ვანის რაიონის სოფ. დაახლოებით 15 საათზე ის და მისი ოჯახის წევრები გავიდნენ ნათესავის ოჯახში მისასამძიმრებლად. სამძიმრის შემდეგ დ. გ-ძე, მისი ძმა მ. გ-ძე და ნათესავი თ. გ-ძე მიიპატიჟა ამავე სოფ.ში მცხოვრებმა მ. ჩ-ძემ, რომლის ოჯახშიც მათ დალიეს რამდენიმე ჭიქა ღვინო და წავიდნენ თავიანთ სახლებში.

სახლში მისვლის შემდეგ დ. გ-ძე და მ. გ-ძე ავიდნენ მეორე სართულზე მდებარე საბილიარდო ოთახში და დაიწყეს ბილიარდის თამაში. დაახლოებით 21 საათზე მათთან მივიდა თ. გ-ძე და ისინი დაპატიჟა თავის სახლში. გზაში თ. გ-ძემ მათ უთხრა, რომ ცოტა ხნის წინ შელაპარაკება მოუხდა ვანის რაიონის სოფ. ... მცხოვრებ გ. კ-ძესთან, რა დროსაც ამ უკანასკნელმა მას სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. ამ დროს მათ ავტომანქანა „ნივით« შემოხვდათ გ. კ-ძე, რომელსაც თან ახლდნენ მ. ა-ძე, დ. თ-ძე და ა. ჭ-ძე. გ. კ-ძემ გ-ძეებთან მიახლოებისას გააჩერა მანქანა, გადმოვიდა და თ. გ-ძეს კვლავ მიმართა უცენზურო სიტყვებით. აღნიშნულის გამო მათ შორის წარმოიშვა კამათი. დ. გ-ძე ჩადგა შუაში და აშველებდა მათ, შემდეგ გ-ს ხელი გადახვია, მიმართა, რომ მშვიდობიანად დაემთავრებინათ კონფლიქტი და შერიგებულიყვნენ. მოერიდნენ რა კონფლიქტის გაგრძელებას, თ., დ. და მ. გ-ძეები ერთად მობრუნდნენ ამ უკანასკნელთა სახლის მიმართულებით. ვინაიდან გ. კ-ძემ მათ კვლავ უცენზურო სიტყვებით მიმართა, თ. გ-ძე უკან მიბრუნდა და მათ ერთმანეთს დაარტყეს, რა დროსაც გ. კ-ძეს 4 კბილი მოტყდა და მას მიადგა სხეულის ნაკლებად მძიმე დაზიანება. ისინი კვლავ თანმხლებმა პირებმა გააშველეს და გ-ძეები წავიდნენ სახლში, ავიდნენ საბილიარდო ოთახში და დაიწყეს ბილიარდის თამაში. რამდენიმე წუთში მოისმა მანქანის ძრავისა და უეცარი შეჯახების ხმა. ფანჯარასთან მდგარმა დ. გ-ძემ დაინახა, რომ გ. კ-ძემ ავტომანქანა „ნივა«, რომელსაც მართავდა, უეცრად შემოაბრუნა და შეეჯახა ეზოში შესასვლელ რკინის ჭიშკარს, შევარდა ეზოში და შეეჯახა იქ გაჩერებულ, მ. გ-ძის კუთვნილ ავტომანქანას. თან მოისმა ქალის კივილის ხმა. ხმაურზე სახლის მეორე სართულიდან ჩამოირბინეს დ. და მ. გ-ძეებმა. დ. გ-ძე მივარდა მანქანაში მჯდარ გ. კ-ძეს და გაბრაზებული და აღელვებული, შურისძიების მოტივით შეეჭიდა მას. გ. კ-ძე ურთიერთშეჭიდებისას რომ მოვიცილებინა, მისი სხეულის განზრახ დაზიანების მიზნით, დ. გ-ძემ ხელთარსებული მხვლეტავ-ბასრი ზედაპირის მქონე საგნით გულმკერდისა და ბეჭის არეში მიაყენა ჭრილობა, რის შემდეგაც იქვე არსებული რკინის ძალაყინით შეხტა ავტომანქანის „კაპოტზე« და მ. გ-ძესთან ერთად დააზიანა ავტომანქანა, რითიც დაზარალებულს მიაყენა მნიშვნელოვანი ზიანი.

აღნიშნულის შემდეგ მანქანის წინ ჩამუხლული, ცუდად მყოფი დ. გ-მე შეიყვანეს სახლში, ხოლო გ. კ-მეს აღმოუჩინეს პირველადი დაზარება, გადაიყვანეს ვ. ა-მის სახლში, იქიდან კი ოჯახის წევრებმა წაიყვანეს საავადმყოფოში. დ. გ-მის მიერ მიყენებული დაზიანებების გამო გ. კ-მე საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა.

აღნიშნული დანაშაულისათვის დ. გ-მეს სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე მიესაჯა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, სასჯელის ნაწილის - 4 წლის მკაცრი რეჟიმის სასჯელადსრულების დაწესებულებაში მოხდით, ხოლო დარჩენილი ნაწილის პირობით სასჯელად ჩათვლით, თანახმად საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილისა; თ. გ-მეს სსკ-ის 118-ე მუხლის 1-ლი ნაწილით განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 1 წლისა და 6 თვის ვადით, საერთო რეჟიმის სასჯელადსრულების დაწესებულებაში მოხდით, რაც სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე ჩათვალა პირობით, 2 წლის გამოსაცდელი ვადით; მ. გ-მეს სსკ-ის 187-ე მუხლის 1-ლი ნაწილით განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 1 წლისა და 6 თვის ვადით, საერთო რეჟიმის სასჯელადსრულების დაწესებულებაში მოხდით, რაც სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე ჩათვალა პირობით, 2 წლის გამოსაცდელი ვადით; თ. გ-მესა და მ. გ-მეს დამატებითი სასჯელის სახით დაენიშნათ ჯარიმა 500-500 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ და მათ ყოფაქცევისა და დახმარების კონტროლის განხორციელება დაევალა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ბიუროს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

დაკმაყოფილდა დაზარალებულის სარჩელი და მსჯავრდებულებს დაეკისრათ დაკრძალვის ხარჯების, მანქანისთვის მიყენებული ზიანისა და საპროცესო ხარჯების ანაზღაურება, კერძოდ, დ. გ-მეს - 2500 ლარის, დ. გ-მესა და მ. გ-მეს სოლიდარულად - 718 ლარის, დ. გ-მეს, მ. გ-მესა და თ. გ-მეს სოლიდარულად - 300 ლარის ოდენობით.

მსჯავრდებულ დ. გ-მეს სასჯელის მოხდა დაეწყო 2005 წლის 22 თებერვლიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს დაზარალებულის უფლებამონაცვლე ა. კ-მემ, მისმა ადვოკატებმა - ნ. რ-მემ და ლ. ე-შვილმა, მსჯავრდებულებმა - თ., დ. და მ. გ-მეებმა, სამტრედიის რაიონული პროკურატურის პროკურორმა მ. დ-მემ.

დაზარალებულის უფლებამონაცვლემ და მისმა ადვოკატებმა სააპელაციო საჩივრებით ითხოვეს განაჩენში ცვლილებების შეტანა, კერძოდ, მსჯავრდებულთა კვალიფიკაციისა და სასჯელების დამძიმება და სამოქალაქო სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

მსჯავრდებულებმა - დ., მ. და თ. გ-მეებმა სააპელაციო საჩივრებით ითხოვეს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმება და მათ მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

პროკურორმა მ. დ-მემ სააპელაციო საჩივრით ითხოვა ვანის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 3 მაისის განაჩენის შეცვლა დ. გ-მის მიმართ, მისი ქმედების სსკ-ის 119-ე მუხლიდან სსკ-ის 108-ე მუხლზე გადაკვალიფიცირება და შესაბამისი სასჯელის დანიშვნა, ასევე - დაზარალებულის სამოქალაქო სარჩელის სრულად დაკმაყოფილება, ხოლო დანარჩენ ნაწილში განაჩენის უცვლელად დატოვება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006 წლის 21 სექტემბრის განაჩენით რაიონული სასამართლოს განაჩენი შეიცვალა: დ. გ-მის ქმედება საქართველოს 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი სსკ-ის 119-ე მუხლიდან გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 108-ე მუხლზე და საბოლოოდ განესაზღვრა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა; განაჩენიდან ამოირიცხა მითითება სსკ-ის 50-ე მუხლზე, სასჯელის მოხდის რეჟიმსა და აღკვეთი ღონისძიების გამოყენების თაობაზე; განაჩენი დანარჩენ ნაწილში დარჩა უცვლელად.

კასატორი - მსჯავრდებული დ. გ-მე საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს განაჩენი დაუსაბუთებელი და არაობიექტურია, შეურაცხყოფს კანონს, სასამართლო ხელისუფლებასა და ადამიანების ზნეობრივ ღირებულებებს, ამიტომ იგი უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

მსჯავრდებული აღნიშნავს, რომ კონფლიქტის წარმოშობის მიზეზი იყო აწ გარდაცვლილი გ. კ-მე, რომელიც თ. გ-მესთან ჩხუბის შემდეგ მანქანით შეუვარდა სახლის ჭიშკარში, რასაც მოჰყვა დ. გ-მის დედის კვილი, რის გამოც მას ეგონა, რომ გ. კ-მე მანქანით დედამისს დაეჯახა; აწ გარდაცვლილმა დააზიანა მ. გ-მის ავტომანქანა, შემდეგ კი მას დაუწყო ცემა; მხოლოდ და მხოლოდ თავდამსხმელისაგან განთავისუფლების მიზნით, დ. გ-მემ მიწიდან აიღო რაღაც საგანი, რომელიც ხელში მოხვდა და გ. კ-მეს ჩაარტყა ხელში; მან ხელი გაუშვა დ. გ-მეს, მანქანაში ჩახტა და ძრავა აამუშავა, ხოლო დ. გ-მემ აიღო იქვე დაგდებული გაღუნული ძალაყინი და იმის შიშით, რომ გ. კ-მე მანქანით მას არ დასტაკებოდა, შეხტა ძრავას ხუფზე ყვირილით, რომ მანქანა გარეთ გაეყვანა, თან ძალაყინი დაარტყა საქარე მინას, შემდეგ ჩამოხტა მანქანიდან და მიღებული ფსიქიკური ტრავმის გამო გახდა ცუდად, ჩაიმუხლა, რის შემდეგაც იგი შეიყვანეს სახლში.

მსჯავრდებულის აზრით, სასამართლომ არ მისცა სამართლებრივი შეფასება გარდაცვლილ გ. კ-მის ქმედებას, მიუხედავად იმისა, რომ მან ჩაიდინა ათამდე ნაკლებად მძიმე, მძიმე და განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულები; მიუხედავად მის მიერ ჩადენილი ქმედებებისა, თავად დ. გ-მე თ. და მ. გ-მეებთან ერთად ცდილობდა სიტუაციის განმუხტვას და რამდენჯერმე განერიდნენ გ. კ-მეს, რომელმაც ჩაიდინა საქართველოს სსკ-ის 144³-ე, 125-ე, 151-ე, 160-ე, 187-ე, 239-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულები, მასვე ჰქონდა სსკ-ის 109-ე მუხლის „ა», „გ», „ვ», „ზ», „კ» პუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის განზრახვა, რაც დასტურდება მ. ა-მის

ჩვენებებითაც; აწ გარდაცვლილი იყო უარყოფითი პიროვნება, რაც ჩვენებით დაადასტურა მისი ძმის მეუღლემ, მანვე აღნიშნა, რომ გ. კ-მე სცემდა თავის მოხუც მშობლებსა და შვილებს, იგი ატარებდა ცეცხლსასროლ იარაღს - ავტომატს, იყო ყაჩაღი, რაც მთელმა სოფ.მა იცოდა, ამიტომ მას ყველა ერიდებოდა; ანალოგიური ქმედება მან უამრავი ოჯახის წინააღმდეგ ჩაიდინა, სააპელაციო სასამართლომ კი ყველაფერ ამას იგნორირება გაუკეთა, რითიც დაარღვია სსსკ-ის მე-6 მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული პრინციპები; სააპელაციო სასამართლომ თავის განაჩენს საფუძვლად დაუდო დ. გ-ძის აღიარებითი ჩვენება და მტკიცებულებად გამოიყენა პირის ნებაყოფლობით გამოცხადებისა და აღიარების ოქმი, სადაც წერია, რომ თითქოს მან დანა ჩაარტყა გ. კ-ძეს; სასამართლო გამოძიებამ დაადასტურა დ. გ-ძის უდანაშაულობა, ამიტომ სასამართლომ დაიწყო მასალების წინასწარ გამოძიებაში მოძიება, მაგრამ იქაც ვერ აღმოაჩინეს, ხოლო ზემოაღნიშნული ოქმი არის ფალსიფიცირებული, რადგან მის პირველ გვერდზე არ არის მისი ხელმოწერა, ვინაიდან გამომძიებელმა შ. ტ-მ ეს ფურცელი გამოცვალა; სააპელაციო სასამართლომ განაჩენში ჩაწერა, რომ დ. გ-ძის ჩვენება მოგონილია პასუხისმგებლობისაგან თავის არიდების მიზნით; თუ ეს ასეა და იგი, მართლაც, მალავდა ჩადენილ დანაშაულს, მაშინ, ლოგიკურად, დანის ჩარტყმის შესახებაც არ განაცხადებდა.

მსჯავრდებულ დ. გ-ძის აზრით, საბრალდებო დასკვნასა და განაჩენებს საფუძვლად უდევს გამომძიებელ შ. ტ-ძის მიერ გაყალბებული ჩვენებები, რადგან მისი ხელით დაწერილ ჩვენებებს არ ემთხვევა შემთხვევის შემსწრე არც ერთი მოწმისა და მსჯავრდებულთა ჩვენებები; ვანის რაიონის საგამომძიებო სამსახურის მიერ ჩატარებული გამოძიებით დადასტურდა დ. გ-ძის უდანაშაულობა, რომელიც ენდობოდა შ. ტ-ძეს და ისე აწერდა ხელს ოქმებს, რომ მათ არც კი კითხულობდა (ალბათ, ყველა მოწმე ასე იქცეოდა); სასამართლომ განაჩენში დააფიქსირა, რომ თითქოს დ. გ-მე უჩვენებდა, რომ მან მკვლელობა ჩაიდინა აუცილებელი მოგერიების პირობებში, რაც დ. გ-ძეს არსად, არასოდეს არ უთქვამს და ბუნებაშიც არ არსებობს იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ მან ჩაიდინა მკვლელობა; დ. გ-მემ მოიგერია თავდამსხმელი და მკვლელი გ. კ-მე, მაგრამ მისი მკვლელობის განზრახვა არ ჰქონია, არც ექიმი იყო, რომ პირდაპირ არტერიაში დაერთყა და განესაზღვრა, რომ ამ დარტყმით გ. კ-მე მიიმედ დაიჭრებოდა.

აბსურდულია ის გარემოებაც, რომ ავტომანქანა დ. და მ. გ-ძეებმა სოლიდარულად დააზიანეს, რადგან მანქანა, რომელმაც შემოგლიჯა რკინის დიდი ჭიშკარი, შემდეგ დაეჯახა გ-ძეების მანქანას, როგორ შეიძლება, არ დაზიანებულიყო; აწ გარდაცვლილის მანქანა უნდა დალუქულიყო, როგორც ნივთმტკიცება და მკვლელობის იარაღი, რომელიც საფრთხეს უქმნიდა ოჯახის წევრების სიცოცხლეს და რომელიც დ. გ-მემ დააზიანა; რადგან ავტომანქანა არ დალუქულა და ინახებოდა დაზარალებულის ოჯახში, იგი მის მიერ დამატებით დაზიანდა.

მსჯავრდებულის მტკიცებით, იგი მკვლელი არ არის, პირიქით, ცდილობდა კონფლიქტის თავიდან არიდებას, მკვლელი კი ასე არ იქცევა; მას რომ ჰქონოდა მოკვლის განზრახვა, უამრავ ჭრილობას მიაყენებდა, რადგან ხელს არავინ უშლიდა; დაჭრილს თავად შეეშინდა დაჭერის, რადგან გართულებული ურთიერთობა ჰქონდა ვანის რაიონის პოლიციასთან, და თანმხლები პირები გააფრთხილა, არაფერი ეთქვათ (მოწმე ვ. ა-ძის სასამართლოში მიცემული ჩვენება); გ. კ-მე წაიყვანეს არა ვანის, არამედ - ქუთაისის საავადმყოფოში, რათა არ დაეჭირათ, თანაც არავის ეგონა, თუ მოკვდებოდა; საზოგადოებამ ნდობა გამოუცხადა დ. გ-ძეს და ორი სოფლის მოსახლეობამ მიმართა სასამართლოს, რომ იგი საფრთხეს არ უქმნის საზოგადოებრივ წესრიგსა და უსაფრთხოებას; ამ მიმართვას ხელს აწერდა 400-მდე ადამიანი, მაგრამ სამმა მოსამართლემ თავისი ვარაუდით იგი დამნაშავედ ცნო.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებული დ. გ-მე ითხოვს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006 წლის 21 სექტემბრის განაჩენის გაუქმებასა და მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენას.

კასატორი - დაზარალებულის უფლებამონაცვლე ა. კ-ძის ადვოკატები - ლ. ე-შვილი და ნ. რ-ძე საკასაციო საჩივარში აღნიშნავენ, რომ სააპელაციო სასამართლომ არ დაუმძიმა სასჯელი თ. და მ. გ-ძეებს, სამოქალაქო სარჩელის დაკმაყოფილებისას არ გაითვალისწინა დაზარალებულის ოჯახის მიმიმე მატერიალური მდგომარეობა, რის გამოც ითხოვენ გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილების შეტანას, კერძოდ - დ., მ. და თ. გ-ძეებისათვის დანიშნული სასჯელების დამძიმებასა და სამოქალაქო სარჩელის სრულად დაკმაყოფილებას.

საკასაციო პალატის სხდომაზე მსჯავრდებულმა დ. გ-მემ მხარი დაუჭირა თავის საკასაციო საჩივარს და მოითხოვა მის მიმართ საქმის შეწყვეტა იმ მოტივით, რომ სააპელაციო სასამართლომ გამამტყუნებელ განაჩენს საფუძვლად დაუდო მისივე, თითქოსდა აღიარებითი ჩვენება და ნებაყოფლობით გამოცხადების ოქმი. აღნიშნული ოქმი გაყალბებულია, რადგან მის პირველ გვერდზე არ არის დ. გ-ძის ხელმოწერა. გამომძიებლის მიერ შედგენილ ჩვენებებს არ ემთხვევა შემთხვევის შემსწრე არც ერთი მოწმისა და მსჯავრდებულის ჩვენებები. დ. გ-ძეს არასოდეს უთქვამს, რომ მკვლელობა ჩაიდინა აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილებით. იგი ცდილობდა თავდამსხმელის მოგერიებას და მისი მოკვლის განზრახვა არ ჰქონია. ფაქტის შემსწრე პირებმა განაცხადეს, რომ მათ ვერ დაინახეს, რა ვითარებაში დაიჭრა აწ გარდაცვლილი. დ. გ-ძის განმარტებით, მან თავდამსხმელისაგან განთავისუფლების მიზნით, მიწიდან აიღო რაღაც საგანი და გ. კ-ძეს ჩაარტყა ხელში. ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ სასჯელის ზომის განსაზღვრისას არსებითად დაარღვია საპროცესო კანონის მოთხოვნა,

უგულვებელყო სსსკ-ის მე-6 მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული პრინციპები, ამავე კოდექსის მე-18 მუხლი, სსსკ-ის 563-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» და 562-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «ა» და «ბ» ქვეპუნქტების მოთხოვნები.

ადვოკატმა თ. ყ-შვილმა მხარი დაუჭირა თავისი დაცვის ქვეშ მყოფის მოთხოვნას და იშუამდგომლა მისი დაკმაყოფილების შესახებ.

დაზარალებულის უფლებამონაცვლე ა. კ-ძის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა გულო ბიბილაშვილმა მხარი დაუჭირა ადვოკატების - ლ. ე-შვილისა და ნ. რ-ძის საკასაციო საჩივრის იმოთხოვნას იმ მოტივით, რომ სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ არ დაუშდია სასჯელი მსჯავრდებულებს, სამოქალაქო სარჩელის საკითხის გადაწყვეტისას არ გაითვალისწინა და ობიექტურად არ შეაფასა დაზარალებულის ოჯახის წევრთა მძიმე მატერიალური მდგომარეობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ადვოკატმა მოითხოვა გასაჩივრებული განაჩენის, როგორც ლმობიერის გაუქმება და ახალი სასამართლო განხილვისათვის საქმის იმავე სასამართლოში გაგზავნა მსჯავრდებულე-ბისათვის დანიშნული სასჯელების დამძიმებისა და დაზარალებულის უფლებამონაცვლის სამოქალაქო სარჩელის სრულად დაკმაყოფილების მიზნით.

დაზარალებულის უფლებამონაცვლე ა. კ-ძემ მხარი დაუჭირა თავისი დამცველების მოთხოვნას და იშუამდგომლა მისი დაკმაყოფილების შესახებ. ა. კ-ძის განმარტებით, მისი შვილი არ ყოფილა გ-ძეების სახლის ეზოში და იგი მოკლეს ჯგუფურად, სოფლის განაპირას.

სახელმწიფო ბრალმძებელმა გ. ქ-შვილმა საკასაციო საჩივრებს მხარი არ დაუჭირა და მოითხოვა გასაჩივრებული განაჩენის უცვლელად დატოვება იმ მოტივით, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებებით უდავოდ დასტურდება დ. გ-ძის მიერ საქართველოს სსსკ-ის 108-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა. დ. გ-ძის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას არ ემუქრებოდა რეალური საფრთხე. დადგენილია, რომ მან გ. კ-ძეს დაზიანებები მიაყენა უშუალოდ ავტომანქანაში. საქმის ფაქტობრივი გარემოებებით არ დასტურდება, რომ დანაშაული ჩადენილია ჯგუფურად.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, მოისმინა მხარეთა მოსაზრება, გააანალიზა საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ ისინი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

2005 წლის 22 თებერვლის ოქმის შესაბამისად, სამტრედიის რაიონულ პროკურატურაში გამოცხადდა დ. გ-ძე და განმარტა, რომ თავისი სახლის ეზოში ავტომანქანით შეიჭრა გ. კ-ძე, რომელსაც თავდაცვის მიზნით დანა დაარტყა. ოქმს ხელს აწერს დ. გ-ძე და მისი ადვოკატი.

საქმეში არსებული მასალები უტყუარად ადასტურებს, რომ გ. კ-ძისათვის ჭრილობების მიყენების დროს დ. გ-ძესა და იქ მყოფ სხვა პირებს რაიმე საფრთხე არ ემუქრებოდათ, კერძოდ:

მოწმე რ. ჩ-ძის ჩვენებით ირკვევა, რომ ეზოში ავტომანქანა «ნივის» წინა ნაწილი იყო შესული. მასში გ. კ-ძე იჯდა და ხმას არ იღებდა. მოვიდნენ მეზობლები და გ. კ-ძე მანქანიდან გადმოიყვანეს. ეს უკანასკნელი საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა.

მოწმე მ. ა-ძემ განაცხადა, რომ გ. კ-ძე ავტომანქანიდან არ გადასულა, იგი საჭესთან იჯდა. მცირე ხანში შეამჩნია, რომ მას სისხლი სდიოდა.

მოწმე ა. ჭ-ძემ სასამართლოს განუმარტა, რომ როდესაც გ. კ-ძემ ავტომანქანით ეზოს ჭიშკარი შეამტვრია, სახლიდან ხალხი გამოცვივდა. მანქანა გაჩერებული იყო და გ. კ-ძე იქიდან არ გადასულა. შენიშნა, რომ ამ უკანასკნელს სისხლი სდიოდა და იგი საავადმყოფოში წაიყვანეს.

რ. ლ-შვილმა მიუთითა, რომ დ. გ-ძე ავტომანქანის ძრავის ხუფზე იდგა და მანქანას რეზინის მილს ურტყამდა. შენიშნა, რომ გ. კ-ძე მანქანაში იჯდა. მას სახეზე სისხლის კვალი ემჩნეოდა.

აღნიშნულ და სხვა პირთა ჩვენებების ობიექტურობაზე მეტყველებს შემთხვევის ადგილისა და ავტომანქანის დათვალიერების ოქმები. ამ მტკიცებულებებით დგინდება, რომ შემთხვევის ადგილზე სისხლის მაგვარი ლაქები არ აღმოჩნდა, მაშინ, როცა ავტომანქანა «ნივის» სალონში, მძღოლის სავარძლის ქვეშ და კარებზე ამგვარი ლაქები აღინიშნებოდა. ორივე საგამომიებო მოქმედება ფოტოგრაფირებულ იქნა.

დადგენილია, რომ ბრალად შერაცხული ქმედების ჩადენისას დ. გ-ძე ფიზიოლოგიური აფექტის მდგომარეობაში არ იმყოფებოდა. გ. კ-ძეს მარცხენა ზედა კიდურზე და გულ-მკერდის არეში აღნიშნებოდა მჩხვლეტავ-მჭრელი საგნით მიყენებული ჭრილობები, რომლებიც სახიფათოა სიცოცხლისათვის. სიკვდილი გამოიწვია მარცხენა ზედა კიდურში მიყენებულმა ჭრილობამ და ამის შედეგად განვითარებულმა ძლიერმა სისხლდენამ.

პალატა აღნიშნავს, რომ იმ ვითარებაში, როდესაც დ. გ-ძესა და შემთხვევის ადგილზე მყოფ სხვა პირებს რაიმე საფრთხე არ ემუქრებოდათ, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ორგანოებში მჩხვლეტავ-მჭრელი საგნის არაერთი დარტყმა ნათლად მეტყველებს დ. გ-ძის განზრახვაზე და ამასთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა საფუძვლიანია.

საქართველოს სსსკ-ის 567-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, პალატამ შეამოწმა საქმე სრული მოცულობით და მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განაჩენი კანონიერი და დასაბუთებულია თ. გ-ძისა და მ. გ-ძის მსჯავრდების ნაწილშიც. რაც შეეხება მსჯავრდებულებისათვის დანიშნულ სასჯელებს, ისინი შეესაბამება მათ პიროვნებას და ჩადენილი ქმედებების სიმძიმეს, ვერ ჩაითვლება მეტისმეტად მკაცრად

ან მსუბუქად და, შესაბამისად, აშკარად უსამართლოდ. ამასთან, სსკ-ის 566-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, საკასაციო ინსტანციას უფლება არა აქვს, დანიშნოს უფრო მკაცრი სასჯელი ან გაზარდოს სამოქალაქო სარჩელის თანხა. განაჩენი კანონიერი და დასაბუთებულია სამოქალაქო სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილშიც და მისი გაუქმების ან შეცვლის საფუძველი არ არსებობს.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «ა» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ დ. გ-ძის და დაზარალებულის უფლებამონაცვლე ა. კ-ძის ინტერესების დამცველი ადვოკატების - ი. ე-შვილისა და ნ. რ-ძის საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006 წლის 21 სექტემბრის განაჩენი დ. გ-ძის, მ. გ-ძისა და თ. გ-ძის მიმართ დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განზრახ მკვლელობა

განჩინება

#1659-აპ

4 იანვარი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),

ლ. მურუსიძე,

ი. ტყეშელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ კ. რ-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 9 ივლისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

საბრალდებო დასკვნით კ. რ-შვილს ბრალი ედებოდა საქართველოს სსკ-ის მე-19 მუხლითა და 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით, ამავე კოდექსის 108-ე მუხლითა და საქართველოს სსკ-ის 197-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში.

თელავის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 3 მაისის განაჩენით კ. რ-შვილი გამართლდა საქართველოს სსკ-ის მე-19 მუხლითა და 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში, სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო. იმავე განაჩენით კ. რ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 197-ე მუხლის პირველი ნაწილით - თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით, ხოლო იმავე კოდექსის 108-ე მუხლით - თავისუფლების აღკვეთა 14 წლის ვადით. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, სასჯელთა მთლიანი შეკრების წესით კ. რ-შვილს სასჯელის საბოლოო ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 15 წლის ვადით.

განაჩენით კ. რ-შვილს მსჯავრი დაედო განზრახ მკვლელობისათვის, აგრეთვე ფალსიფიკაციისათვის, ე.ი. მწარმოებლის მიერ მოტყუებით ნივთის თვისებრიობის შეცვლისათვის, ჩადენილი ანგარებით, რაც გამოიხატა შემდეგში:

ქ. თელავში მცხოვრები კ. რ-შვილი ფაქტობრივად ხელმძღვანელობდა თელავის საგადასახადო ინსპექციაში ინდივიდუალურ მეწარმედ რეგისტრირებული მისივე ზიმაშვილის - ნ. რ-შვილის ძეხვის საწარმოს. იგი ასევე პასუხს აგებდა ძეხვის წარმოება - რეალიზაციაზე. თავისი საქმიანობის განსახორციელებლად კ. რ-შვილს სახლის ეზოში ჰქონდა ძეხვის დასამზადებელი საამქრო.

2005 წლის სექტემბერში კ. რ-შვილმა განიზრახა, დაემზადებინა ფალსიფიცირებული ძეხვი, მოეხდინა მისი რეალიზაცია და ამონაგები თანხით მიეღო მოგება. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, კ. რ-შვილმა შეიძინა ძეხვის დასამზადებელი ნივთიერებები, დაამზადა ძეხვის ფარში სახამებლის დამატებით, რასაც არ ითვალისწინებდა სახელმწიფო სტანდარტის - გოსტი 16290-86-ის მოთხოვნები, შეუცვალა თვისებრიობა და მოტყუებით, შემდგომში რეალიზაციის მიზნით, დაამზადა თვისებრივად შეცვლილი მოხარშულ-შებოლილი ძეხვი «სერვილადი».

იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2005 წლის 27 დეკემბრის #10824\20-10824-ა\19 დასკვნის თანახმად, ექსპერტიზაზე გამოსაკვლევად წარმოდგენილი ძეხვის ნიმუშები არ შეესაბამება სახელმწიფო სტანდარტის - გოსტი 16290-86-ის მონაცემებს, მათში სახამებლის ოდენობა აღმოჩნდა 2,2%, რაც განაპირობებს მისი თვისებრიობის შეცვლას და რის გამოც მას სარეალიზაციო ფასი არ გააჩნია.

კ. რ-შვილს ინტიმური ურთიერთობა ჰქონდა ი. მ-შვილთან და წლების განმავლობაში ისინი ერთად ცხოვრობდნენ. 2006 წლის მარტის თვეში, უსიამოვნების ნიადაგზე, ი. მ-შვილმა მიატოვა იგი და საცხოვრებლად გადავიდა დედამისთან ქ. თელავში, ... ქ. #85-ში. მიუხედავად ამისა, კ. რ-შვილი ი. მ-შვილს მაინც აკითხავდა ბინაში და სთხოვდა ურთიერთობის აღდგენას, რაზეც იგი უარს ეუბნებოდა.

2006 წლის 2 ნოემბერს, დაახლოებით 18 საათზე, მთვრალმა კ. რ-შვილმა კვლავ მიაკითხა ი. მ-შვილს, რომელმაც კარი არ გაუღო. განაწყენებულმა კ. რ-შვილმა შეამტვრია კარი, აგინა და სცემა ი. მ-შვილს და წავიდა. დაახლოებით ნახევარ საათში იგი კვლავ დაბრუნდა და ვინიდან კარი ისევ დაკეტილი დახვდა, ძალის გამოყენებით შეამტვრია იგი, შევიდა ბინაში, სადაც დახვდა ი. მ-შვილის დედა მ. მ-შვილი, ხოლო თვით ი. მ-შვილი იმალეობდა სამზარეულოში. კ. რ-შვილი აგინებდა დედა-შვილს, რის გამოც მ. მ-შვილი შეეცადა მის დაწყნარებას, მაგრამ უშედეგოდ. იმის გამო, რომ კ. რ-შვილს მისი დედისათვის რამე არ ევნო, ი. მ-შვილი გამოვიდა სამზარეულოდან, რა დროსაც კ. რ-შვილმა უმატა გინებას. მ. მ-შვილი კვლავ შეეცადა კ. რ-შვილის დაწყნარებას, რის გამოც მათ მიმართ ისედაც მტრულად განწყობილ კ. რ-შვილს გაუჩნდა მათი მოკვლის განზრახვა. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად კ. რ-შვილმა ჯიბიდან ამოიღო დანა და მუცლის არეში დაარტყა მ. მ-შვილს, რის შედეგადაც მას მიაყენა სიცოცხლისათვის სახიფათო ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება. შემდეგ კ. რ-შვილმა ი. მ-შვილს მკერდის არეში, ჯერ წინა, შემდეგ კი უკანა მხრიდან ორჯერ მოუქნია დანა, მაგრამ ი. მ-შვილმა, რომელიც ყვიროდა და საშველად უხმობდა მეზობლებს, შეძლო მოქნეული დანის აცილება. კ. რ-შვილი, შეექმნა რა მხილების საფრთხე, შემთხვევის ადგილიდან მიიმალა, ხოლო, სიცოცხლისათვის საშიში მძიმე დაზიანების გამო, მ. მ-შვილი საავადმყოფოში გარდაიცვალა.

აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გასაჩივრეს მსჯავრდებულმა კ. რ-შვილმა და კახეთის საოლქო პროკურატურის განყოფილების პროკურორმა გ. ბ-შვილმა.

მსჯავრდებული კ. რ-შვილი თავისი საჩივრით ითხოვდა თელავის რაიონული სასამართლოს განაჩენში ცვლილების შეტანას, კერძოდ: გამართლებას საქართველოს სსკ-ის 197-ე მუხლით წარდგენილ ბრალდებაში შემდეგი მოტივებით: აპელანტის განმარტებით, როგორც წინასწარი, ისე სასამართლო გამოძიებისას მან არაერთხელ მიუთითა იმის თაობაზე, რომ სახლი იყო მისი მამის - გ. რ-შვილის, საამქრო კი მისი ბიძაშვილის - ნ. რ-შვილის. საქმეში არსებული 2005 წლის 27 დეკემბრით დათარიღებული თელავის საგადასახადო ინსპექციის აქტით ირკვევა, რომ საგადასახადო ინსპექციამ შემოწმება ჩაატარა არა კ. რ-შვილთან, არამედ ნ. რ-შვილთან. აღნიშნულის გათვალისწინებით, აპელანტს მიაჩნია, რომ მას უსაფუძვლოდ დასდეს ბრალი საქართველოს სსკ-ის 197-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში. ამასთან, მიაჩნია, რომ მისი ქმედება, დაკვალიფიცირებული საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით, უნდა გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის პირველ ნაწილზე იმ მოტივით, რომ მას მ. მ-შვილის მოკვლის განზრახვა არ ჰქონია, რასაც ადასტურებს ის ფაქტი, რომ მან მ. მ-შვილს, რომელიც ამ ინციდენტის შემდეგ ცოცხალი იყო, დანა აღარ დაარტყა, თუმცა რეალურად ჰქონდა ამის შესაძლებლობა.

კახეთის საოლქო პროკურატურის განყოფილების პროკურორი გ. ბ-შვილი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილების შეტანას და კ. რ-შვილის ქმედების დაკვალიფიცირებას საქართველოს სსკ-ის მე-19 მუხლითა და 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით, ამავე კოდექსის 108-ე მუხლითა და საქართველოს სსკ-ის 197-ე მუხლის პირველი ნაწილით, ხოლო მისთვის საჯელის ზომად 30 წლით თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრას; ამასთან, თელავის რაიონული სასამართლოს 2007 წლის პირველი მაისის გადაწყვეტილების გაუქმებას, რომლითაც არ დაკმაყოფილდა შუამდგომლობა დაზარალებულის დამატებითი დაკითხვისა და კომისიური სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების თაობაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 9 ივლისის განაჩენით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა, ხოლო თელავის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 3 მაისის განაჩენი კ. რ-შვილის მიმართ დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა კ. რ-შვილმა საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

კასატორი თავისი საჩივრით ითხოვს გასაჩივრებული განაჩენის კვალიფიკაციისა და სასჯელის ნაწილში მის სასიკეთოდ ცვლილების შეტანას, კერძოდ: გამართლებას საქართველოს სსკ-ის 197-ე მუხლის პირველი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში, ხოლო საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით დაკვალიფიცირებული ქმედების გადაკვალიფიცირებას საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის პირველ ნაწილზე და, შესაბამისად, მისთვის შეფარდებული სასჯელის შემსუბუქებას იმავე მოტივებით, რაც მას წინათ მითითებული ჰქონდა სააპელაციო საჩივარში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ კ. რ-შვილის მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა თვლის, რომ კ. რ-შვილის ბრალდების საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით უტყუარადაა დადასტურებული, რომ მან ნამდვილად ჩაიდინა დაზარალებულ მ. მ-შვილის განზრახვი

მკვლევლობა და ფალსიფიკაცია. მისი ბრალეულობა დაზარალებულ მ. მ-შვილის განზრახ მკვლელობის ეპიზოდში, ასევე ფალსიფიკაციის ეპიზოდში დადასტურებულია დაზარალებულის უფლებამონაცვლისა და მოწმეების ჩვენებებით, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმითა და ამოღებული ნივთმტკიცებებით, აგრეთვე, სასამართლო ექსპერტიზების დასკვნებით, რომლებიც მოპოვებულია წინასწარი და სასამართლო გამოძიების სტადიაზე საპროცესო ნორმების დაცვით. საქმეში არ არსებობს სხვა ისეთი მტკიცებულებები, რომლებითაც გაბათილდებოდა, ანდა ეჭვქვეშ დადგებოდა კ. რ-შვილის მიმართ განაჩენით შერაცხული ბრალდება. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად დააკვალიფიცირა მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი ქმედება როგორც განზრახი მკვლელობის, ისე ფალსიფიკაციის ნაწილში და არ არსებობს საფუძველი მისი შეცვლისათვის.

რაც შეეხება კ. რ-შვილის მიმართ განაჩენით დანიშნულ სასჯელს, უნდა აღინიშნოს, რომ იგი განსაზღვრულია ჩადენილი ქმედებების სიმძიმის, დამდგარი შედეგებისა და მსჯავრდებულის პიროვნების გათვალისწინებით, არის სამართლიანი და წარმოადგენს აუცილებელ ზომას კანონის მიერ სასჯელის წინაშე დასახული მიზნის მისაღწევად.

ამავე დროს, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ კ. რ-შვილის მიმართ უნდა გავრცელდეს «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის მოქმედება, კერძოდ, ამ კანონის მეორე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, მას უნდა გაუნახევრდეს საქართველოს სსკ-ის 197-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე დანიშნული სასჯელი - 1 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა და ამ ნაწილში კ. რ-შვილს სასჯელის ზომად უნდა განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 6 თვის ვადით. შესაბამისად, უნდა შემცირდეს განაჩენით მისთვის განსაზღვრული საბოლოო სასჯელი, რის შემდეგაც მას მოსახდელად უნდა განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 14 წლისა და 6 ვადით.

აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 9 ივლისის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულ კ. რ-შვილის სასიკეთოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ კ. რ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 9 ივლისის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება: მსჯავრდებულ კ. რ-შვილს «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, გაუნახევრდეს საქართველოს სსკ-ის 197-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე დანიშნული სასჯელი - 1 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა და ამ ნაწილში მას სასჯელის ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 6 თვის ვადით. შესაბამისად, კ. რ-შვილს აღნიშნული განაჩენით განსაზღვრული საბოლოო სასჯელი - თავისუფლების აღკვეთა 15 წლის ვადით - შეუმცირდეს 6 თვით და საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 14 წლისა და 6 ვადით.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განზრახ მკვლელობა

განჩინება

#2261-აპ

4 იანვარი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),**
- ლ. მურუსიძე,**
- ი. ტყემელაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ბ. ს-ურის დამცველის, ადვოკატ ზ. რ-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 29 ნოემბრის განაჩენზე ბ. ს-ურის მიმართ.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 21 ივნისის განაჩენით ბ. ს-ური ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით - თავისუფლების აღკვეთა 12 წლის ვადით, ხოლო სსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილით - თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე დადგენილი სასჯელები შეიკრიბა და საბოლოოდ ბ. ს-ურს სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 13 წლის ვადით.

განაჩენის მიხედვით, ბ. ს-ურს მსჯავრი დაედო ისეთი დანაშაულის ჩადენაში, როგორცაა განზრახ მკვლელობა; მანვე ჩაიდინა სხვისი ნივთის დაზიანება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ხოლო აღნიშნული დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

ბ. ს-ური 2006 წლის 11 სექტემბერს, დაახლოებით 00:30 საათზე, ნასვამი, მივიდა ქ. თბილისში, ... ქ. #40-ში მდებარე ღამის ბარ «აბა-01-ში», რომლის მეორე სართულზე მდებარეობს სასტუმრო «შოკი». ბარში ყოფნისას ბ. ს-ურმა სთხოვა იქვე მომუშავე თ. ბ-ოვას მასთან ეცეკვა. ბარში ერთ-ერთ მაგიდასთან ისხდნენ ი. ც-ავა და მ. გ-ია. ცეკვის დროს ი. ც-ავამ დაუძახა თ. ბ-ოვას, რომელსაც ზედმეტ სახელად ეძახდნენ «ანის», რომ ერთი წუთით მისულიყო მათ მაგიდასთან. აღნიშნულით განაწყენებული ბ. ს-ური მივიდა ი. ც-ავასა და მ. გ-იას მაგიდასთან, უთხრა გარეთ გასულიყვნენ და იქ ესაუბრათ, რის შემდეგაც სამივენი გავიდნენ გარეთ. ქუჩაში ასევე გავიდნენ ბარის დაცვის სამსახურის უფროსი ლ. მ-ძე და დაცვის სხვა თანამშრომლები - ზ. ხ-შვილი, დ. ს-ია და გ. გ-ძე. ბ. ს-ურს, მ. გ-იასა და ი. ც-ავას ერთმანეთში მოუვიდათ ჩხუბი. ჩხუბის დროს ბ. ს-ურმა, წინასწარ მომარჯვებული დანით, განზრახ მოკვლის მიზნით, ი. ც-ავას გულმკერდის არეში მიაყენა სიცოცხლისათვის სახიფათო, მძიმე ხარისხის დაზიანება. აღნიშნულის შემდეგ ისინი გააშველეს დაცვის თანამშრომლებმა. დაჭრილი ი. ც-ავა მ. გ-იასთან ერთად ჩაჯდა მამამისის კუთვნილ ავტომანქანა «ტოიოტში», რომლითაც მისული იყო ბარში. ავტომანქანის დაძვრისას მასთან მისულმა ბ. ს-ურმა ავტომანქანის წინა საქარე მინას დაარტყა ფეხი და დაამტვრია იგი, შემდეგ ასევე ფეხის დარტყმით დააზიანა ავტომანქანის უკანა მარცხენა ფრთა, რითაც დაზარალებულს მიაყენა 300 ლარის ოდენობის მნიშვნელოვანი ზიანი. ი. ც-ავამ არ გააჩერა რა ავტომანქანა, გაიარა დაახლოებით 100 მეტრი და გონების დაკარგვის გამო შეეჯახა ბორდიურს. ბ. ს-ური კი მიიმალა შემთხვევის ადგილიდან. დაჭრილი ი. ც-ავა მ. გ-იამ და მ. ბ-იამ გადაიყვანეს ო. ლუდუშაურის სახელობის საავადმყოფოში, სადაც, მიუხედავად კვალიფიციური სამედიცინო დახმარების გაწევისა, იგი გარდაიცვალა.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს სახელმწიფო ბრალმდებელმა დ. ხიზანაიძემ და მსჯავრდებულმა ბ. ს-ურმა. პროკურორი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენში ცვლილების შეტანას სასჯელის ღმობიერების მოტივით, კერძოდ, ბ. ს-ურისათვის დანაშაულთა ერთობლიობით 16 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთის შეფარდებას.

მსჯავრდებული ბ. ს-ური სააპელაციო საჩივრით ითხოვდა პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენში ცვლილების შეტანას როგორც დანაშაულის კვალიფიკაციის, ისე სასჯელის ნაწილში, კერძოდ, მისი დანაშაულებრივი ქმედების დაკვალიფიცირებას საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლით და შესაბამისი სასჯელის განსაზღვრას იმ მოტივით, რომ მას არ ჩაუდენია ბრალად შერაცხული დანაშაული - განზრახ მკვლელობა და სასამართლომ ყოვლად უსაფუძვლოდ, საქმეში არსებულ მტკიცებულებათა სათანადო შეფასების გარეშე დასდო მას მსჯავრი აღნიშნულ დანაშაულში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 29 ნოემბრის განაჩენით სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, ხოლო თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 21 ივნისის განაჩენი დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ ბ. ს-ურის დამცველმა, ადვოკატმა ზ. რ-შვილმა საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორი საჩივრით ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 29 ნოემბრის განაჩენის გაუქმებასა და ბ. ს-ურის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას იმ მოტივით, რომ სააპელაციო სასამართლოს განაჩენი გამოტანილია კანონის უხეში დარღვევით, რადგან საქმეში არ მოიპოვება უტყუარი მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებდნენ ბ. ს-ურის მიერ მისთვის ბრალად შერაცხული ქმედების ჩადენას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ ბ. ს-ურის მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა თვლის, რომ ბ. ს-ურის ბრალდების საქმეში წარმოდგენილია საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებები, რომლებითაც დასტურდება, რომ მან ნამდვილად ჩაიდინა ი. ც-ავას განზრახი მკვლელობა და სხვისი ქონების დაზიანება. მისი ბრალეულობა დადასტურებულია მოწმეთა მიერ წინასწარი გამოძიების სტადიაზე და სასამართლოსათვის მიცემული ჩვენებებით, სასამართლო ექსპერტიზების დასკვნებით და საქმეში არსებული სხვა მასალებით, რომლებიც მოპოვებულია საპროცესო ნორმების დაცვით. საკასაციო პალატის აზრით, სააპელაციო სასამართლომ სწორად დააკვალიფიცირა მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი ქმედება და არ არსებობს საფუძველი მისი შეცვლი-სათვის.

რაც შეეხება ბ. ს-ურის მიმართ განაჩენით საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლის საფუძველზე დანიშნულ სასჯელს, უნდა აღინიშნოს, რომ იგი განსაზღვრულია ჩადენილი ქმედების სიმძიმისა და შედეგების, მსჯავრდებულის პიროვნების მახასიათებელი მონაცემებისა და საქმის სხვა გარემოებების გათვალისწინებით, არის სამართლიანი და წარმოადგენს ბრალის ხარისხის ადეკვატურ, აუცილებელ ზომას კანონის მიერ სასჯელის წინაშე დასახული მიზნის მისაღწევად.

ამავე დროს, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ ბ. ს-ურის მიმართ უნდა გავრცელდეს «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის მოქმედება, კერძოდ, ამ კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, იგი უნდა გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე დანიშნული სასჯელის - 1 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთის - მოხდისგან, რის გამოც, შესაბამისად, უნდა შეუმცირდეს განაჩენით მისთვის განსაზღვრული საბოლოო სასჯელი, რის შედეგადაც მას მოსახდელად უნდა განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 12 წლის ვადით.

აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 29 ნოემბრის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულ ბ. ს-ურის სასიკეთოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ბ. ს-ურის დამცველის, ადვოკატ ზ. რ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 29 ნოემბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება: მსჯავრდებული ბ. ს-ური «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე დანიშნული სასჯელის - 1 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთის - მოხდისგან და, შესაბამისად, აღნიშნული განაჩენით განსაზღვრული საბოლოო სასჯელი - თავისუფლების აღკვეთა 13 წლის ვადით - შეუმცირდეს 1 წლით და მას საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 12 წლის ვადით.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განზრახ მკვლელობის მცდელობა

განჩინება

#1244-აპ

23 იანვარი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),

ლ. მურუსიძე,

დ. სულაქველიძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ს. ზ-ძის ინტერესების დამცველი ადვოკატების - გ. ვ-უასა და დ. ჯ-ავას საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 6 ივნისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 5 მარტის განაჩენით:

ს. ზ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 19,109-ე მუხლის მეორე ნაწილის «გ» ქვეპუნქტით - 13 წლით თავისუფლების აღკვეთა, 239-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით - 2 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 15 წლით თავისუფლების აღკვეთა;

დ. ჯ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით და მიესაჯა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენის მიხედვით, ს. ზ-მისა და დ. ჯ-მის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

2006 წლის 10 ივლისს, დაახლოებით 21.00 საათზე, ს. ზ-მე და დ. ჯ-მე მეგობრებთან - შ. ბ-მესა და გ. ქ-იასთან ერთად იმყოფებოდნენ რა ქ. თბილისში, შპს „კუს ტბის“ მიმდებარე ტერიტორიაზე, ნავით გასეირნების მიზნით სამაშველო სამსახურის თანამშრომელს - ზ. დ-ლს მოსთხოვეს ნავი, რაზედაც ამ უკანასკნელმა, სამუშაო საათების ამოწურვის მიზეზით, უარი განაცხადა. აღნიშნულზე განაწყენებულმა ს. ზ-მემ, დ. ჯ-მემ, შ. ბ-მემ და გ. ქ-იამ ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს ზ. დ-ლს, რითაც გამოხატეს იქ მყოფი საზოგადოების მიმართ აშკარა უპატივცემულობა და უხეშად დაარღვიეს საზოგადოებრივი წესრიგი. ჩხუბით წარმოქმნილ ხმაურზე შეიკრიბნენ კუს ტბის ნაპირზე მყოფი მოქალაქეები, რომლებიც უშუალოდ გახდნენ ხულიგნური ფაქტის თვითმხილველები. ს. ზ-მემ, გ. ქ-იასა და შ. ბ-მესთან ერთად, ზ. დ-ლი, მისი მართლზომიერი თავდაცვითი წინააღმდეგობისა და ფიზიკური უპირატესობის გასანეიტრალებლად, აიძულა ჩასულიყო წყალში, სადაც მათ გააგრძელეს მის მიმართ ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა, ხოლო დ. ჯ-მე კი დარჩა ნაპირზე. მათ იგრძნეს რა საკუთარი უპირატესობა ზ. დ-ლთან ფიზიკურ დაპირისპირებაში, შეწყვიტეს თავდასხმა და ამოვიდნენ წყლიდან, ხოლო ზ. დ-ლთან წყალში პირისპირ მყოფმა ს. ზ-მემ ხულიგნური ქვენაგრძობით, დამამძიმებელ გარემოებაში განზრახ მოკვლის მიზნით, დანის დატყვით ზ. დ-ლს მიაყენა პლეურის ღრუში შემავალი, გულ-მკერდის წინა კედლის ჭრილობა, მარჯვენა წინა გულის დაზიანებით, რაც მიეკუთვნება სიცოცხლისათვის სახიფათო დაზიანების მიმე ხარისხს.

უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი ზ. დ-ლი გადაიყვანეს სს დიპლომის შემდგომი განათლების სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის კლინიკაში, სადაც გაწეული სამედიცინო დახმარების შედეგად შეუნარჩუნდა სიცოცხლე, ხოლო ს. ზ-მე, დ. ჯ-მე, გ. ქ-ია და შ. ბ-მე დააკავეს ქ. თბილისის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 19 მარტის დადგენილებით გასწორდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 5 მარტის განაჩენის შესავალ ნაწილში დაშვებული უზუსტობა. კერძოდ: გასწორდა მსჯავრდებულ დ. ჯ-მის დაბადების თარიღი და ნაცვლად 1983 წლის 14 სექტემბრისა, მიეთითა 1986 წლის 14 სექტემბერი.

აღნიშნულ განაჩენში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 6 ივნისის განაჩენით შევიდა ცვლილება, კერძოდ:

ს. ზ-მის მიმართ წარდგენილი ბრალდება, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის მე-19,109-ე მუხლის მეორე ნაწილის «გ» ქვეპუნქტით, გადაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის მე-19,108-ე მუხლზე.

ს. ზ-მე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის მე-19,108-ე მუხლით - 11 წლით თავისუფლების აღკვეთა, 239-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით - 2 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 13 წლით თავისუფლების აღკვეთა;

დ. ჯ-მე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით და მიესაჯა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა.

მსჯავრდებულ ს. ზ-მის ინტერესების დამცველი ადვოკატები - გ. ვ-უა და დ. ჯ-ავა საკასაციო საჩივრით ითხოვენ სასჯელის შემსუბუქებას, კერძოდ: ს. ზ-მისათვის საქართველოს სსკ-ის მე-19,108-ე მუხლითა და 239-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით გათვალისწინებული სასჯელის მინიმუმის შეფარდებას იმ მოტივით, რომ განაჩენით ს. ზ-მისათვის დანიშნული სასჯელის ზომა აშკარად შეუსაბამოა მისი ქმედების ხასიათსა და მის პიროვნებასთან; სასჯელის განსაზღვრისას სრულად არ იქნა გათვალისწინებული ს. ზ-მის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებები.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

განაჩენით მსჯავრდებულ ს. ზ-მის მიერ საქართველოს სსკ-ის მე-19,108-ე მუხლითა და 239-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქმედებების ჩადენა სრულადაა დადასტურებული საქმეში არსებული მასალებით, კერძოდ: დაზარალებულ ზ. დ-ლის ჩვენებით, მოწმეების - შ. ბ-მის, გ. ქ-იას, ა. ნ-შვილის, ვ. პ-ოვის, მ. ს-მის, მ. ბ-შვილის, ნ. გ-მის, გ. ნ-მის, მ. გ-შვილის, გ. კ-კის ჩვენებებით, სასამართლო-სამედიცინო, ტრასოლოგიური, ბიოლოგიური ექსპერტიზის დასკვნებითა და სხვა მტკიცებულებებით.

რაც შეეხება ს. ზ-მის მიმართ დანიშნულ სასჯელს, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ იგი უნდა შემსუბუქდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სასჯელის დანიშვნისას სასამართლო ითვალისწინებს დამნაშავეს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს, მათ შორის - ქმედების განხორციელების სახესა და ხერხს, დამნაშავეს წარულ ცხოვრებას.

საკასაციო პალატა ითვალისწინებს რა იმ გარემოებას, რომ მსჯავრდებული ს. ზ-მე პირველადაა სამართალში, ხასიათდება დადებითად, არის სტუდენტი, სწავლობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის მეოთხე კურსზე, აქვს მძიმე ოჯახური მდგომარეობა, ჰყავს დედა და ინვალიდი ძმა, საქმეში არსებული სამედიცინო ფორმა #027-ის თანახმად, იგი დაავადებულია ასთმითა და ვეგეტონერვოზით; ს. ზ-მე შეურიგდა დაზარალებულს, მისმა ახლობლებმა აანაზღაურეს ს. დ-ლის მკურნალობის ხარჯები, ხოლო საქმეში არსებული განცხადებით დაზარალებული ს. დ-ლი, ს. ზ-მის პიროვნებიდან და ოჯახიდან გამომდინარე, შუამდგომლობს, რომ ს. ზ-მეს შეეფარდოს მინიმალური საჯელი, მსჯავრდებულს პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება არ გააჩნია, შესაძლებლად მიიჩნევს, რომ მას საქართველოს სსკ-ის მე-19,108-ე მუხლით დანიშნული სასჯელი - 11 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუმცირდეს და ამ მუხლით მიესაჯოს 7 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. მსჯავრდებულ ს. ზ-მეს საბოლოოდ მოსახდელად უნდა განესაზღვროს 9 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

რაც შეეხება ამავე საქმეზე მსჯავრდებულ დ. ჯ-მეს, რომელსაც განაჩენი საკასაციო წესით არ გაუსაჩივრებია, საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 567-ე მუხლის პირველი ნაწილით, სრული მოცულობით შეამოწმა საქმე მსჯავრდებულ დ. ჯ-მის მიმართაც და მიიჩნია, რომ დადგენილი განაჩენი მის მიმართ კანონიერია.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 567-ე მუხლის პირველი ნაწილით, 568-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 6 ივნისის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ:

მსჯავრდებულ ს. ზ-მეს საქართველოს სსკ-ის 19,108-ე მუხლით დანიშნული სასჯელი - 11 წლით თავისუფლების აღკვეთა - შეუმცირდეს და ამ მუხლით მიესაჯოს 7 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

მსჯავრდებულ ს. ზ-მეს საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვროს 9 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განზრახ მკვლელობა

განჩინება

#1254-აპ

24 იანვარი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),**
- ნ. ქადაგიძე,**
- ნ. სხირტლაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. კ-იანის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 7 ივნისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თელავის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 19 მაისის განაჩენით გ. კ-იანი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს 2000 წლის 1 ივნისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 105-ე მუხლით, 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით იმაში, რომ ჩაიდინა განზრახ მკვლელობა; ასევე, ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალისა და ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგოდ შექმნა, შენახვა და ტარება, რაც გამოიხატა შემდეგში:

გ. კ-იანი ცხოვრობს ქ. თელავში, ... ქ. #37-ში. იგი მონაწილეობდა აფხაზეთის ომში, საიდანაც ნადავლის სახით ჩამოიტანა 1974 წლის ნიშუმის „კალაშნიკოვის» კონსტრუქციის, „ასკ-74» სისტემის ავტომატური იარაღი ორი მჭიდით, დიდი რაოდენობით საბრძოლო მასალა და ასაფეთქებელი მოწყობილობა, რომლებსაც მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდა თავის საცხოვრებელ ბინასთან არსებულ ავტოფარეხში და თავისი ძმის საცხოვრებელი ბინის მეზობლად, ... ქ. #24-ში მიტოვებული

საცხოვრებელი სახლის კიბის ქვეშ, დამხმარე სათავსში, საიდანაც პოლიციის თანამშრომლებმა ამოიღეს: 294 ცალი სტანდარტული, ქარხნული წესით დამზადებული, 5,45 მმ კალიბრიანი, „კალაშნიკოვის» კონსტრუქციის, 1974 წლის ნიმუშის ავტომატური იარაღისათვის განკუთვნილი საბრძოლო ვაზნა; 6 ცალი სტანდარტული, გერმანული წარმოების, 7,62 მმ კალიბრიანი, „კალაშნიკოვის» კონსტრუქციის, 1947 წლის ნიმუშის ავტომატური იარაღისა და 1945 წლის ნიმუშის, „მოსინის» თვითმტენი კარაბინისათვის განკუთვნილი 1943 წლის საბრძოლო ვაზნა; 8 ცალი სტანდარტული, 7,62 მმ კალიბრიანი, 1801\30 წლის ნიმუშის, „მოსინის» კონსტრუქციის შაშხანებისა და 1938\44 წლის ნიმუშის კარაბინისათვის განკუთვნილი ვაზნა; ასევე, „დეგტიანოვისა» და „კალაშნიკოვის» კონსტრუქციის ტყვიამფრქვევებისათვის განკუთვნილი, 1908 წლის ნიმუშის ვაზნები, 4 დიდი ზომის, სტანდარტული სამხედრო დანიშნულების, 12,7 მმ კალიბრიანი, 1932 წლის ნიმუშის საბრძოლო ვაზნა ჯავშნაწინააღმდეგო ამაღლებელი ტყვიით, რომელიც განკუთვნილია მსხვილკალიბრიანი „ДМК», „НСВ», „УБ», „А-127» ტყვიამფრქვევებისათვის. პოლიციელებმა ასევე ამოიღეს აგს-17 ტიპის 1 ჭურვი, განკუთვნილი სამხედრო დანიშნულების სადაზოგო ავტომატური ყუმბარმტყორცნებისათვის; სტანდარტული ქარხნული წესით დამზადებული 80მმ კალიბრიანი ჭურვი, რომელიც აღჭურვილია შებრუნებული ტიპის მისიული მოქმედების ამფეთქებით; ლითონის კორპუსის მქონე 7 კაფსულა-დეტონატორი; აგრეთვე - ორი ხელყუმბარა და ორი მოწყობილობა, რომელიც წარმოადგენს სტანდარტულ, ქარხნული წესით დამზადებულ სამხედრო დანიშნულების ასაფეთქებელ მოწყობილობათა კატეგორიაში შემავალ, მხვრეტავ „ფ-1» და „რგდ-5» ტიპის ხელყუმბარებს და კონკრეტულად მათთვის შესაბამის „უზრგვ» ტიპის საფალიე მოწყობილობებს. პოლიციის თანამშრომლებმა ასევე ამოიღეს #1368909 „აკს» სისტემის, 1974 წლის „კალაშნიკოვის» ავტომატური იარაღი და 16-კალიბრიანი „იჟ-17» მოდელის ცალკეული სანადირო თოფი.

გ. კ-იანი 1998 წლის 24 ივნისს თავის მეგობრებთან ერთად იმყოფებოდა ქ. თელავში, კაფე „ბაროკოში», სადაც დაახლოებით 22 საათზე მივიდა თელავის რაიონის სოფ. ... მცხოვრები გ. რ-შვილი. მთვრალ გ. კ-იანს სიტყვიერი შელაპარაკება მოუვიდა მასთან, რის გამოც გ. რ-შვილმა იგი თავისი ავტომატურით წაიყვანა სასადილო „ასსაიდის» მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც მიაყენა სხეულის მსუბუქი ხარისხის დაზიანება ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლით. ნაცემი გ. კ-იანი გ. რ-შვილმა დატოვა სასადილოსთან. ამით განაწყენებულმა გ. კ-იანმა გადაწყვიტა შურისძიება და გ. რ-შვილის მოკვლა. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად მან ავტოფარეხიდან აიღო 5,45 მმ კალიბრიანი, 1974 წლის ნიმუშის, „კალაშნიკოვის» კონსტრუქციის, „აკს-74» სისტემის ავტომატური იარაღი ორი მჭიდით საბრძოლო ვაზნებთან ერთად, რომელსაც მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდა და ატარებდა, ასევე - „იჟ-17» მოდელის 16-კალიბრიანი ერთლულაიანი სანადირო თოფი, რომელიც ჰქონდა სათანადო ნებართვის გარეშე. შეიარაღებულმა გ. კ-იანმა გ. რ-შვილს დაუწყო ძებნა და ისევ მივიდა კაფე „ბაროკოსთან», სადაც მას მანქანაში ჩაუსხდნენ მეგობრები - გ. ს-შვილი და ბ. მ-შვილი. გ. კ-იანმა გ. ს-შვილი დატოვა თავის სახლში, ხოლო თვითონ და ბ. მ-შვილი გაემართნენ ქალაქის ცენტრისაკენ. გ. კ-იანმა მოძებნა თავისი ძმა, რომელსაც უამბო გ. რ-შვილთან მომხდარი კონფლიქტის შესახებ და გაანდო თავისი განზრახვა, რის შემდეგაც მათ დაიწყეს ქალაქში სიარული, რათა ენახათ გ. რ-შვილი. თელავში მოძრაობისას ისინი შეხვდნენ კ. ე-ძეს, რომელიც იჯდა გ. უ-შვილის მანქანაში. გ. კ-იანმა მათაც უამბო მომხდარი კონფლიქტის შესახებ და იმის თაობაზეც, რომ უნდოდათ გ. რ-შვილის მოძებნა საქმის გასარჩევად. მეგობრებმა სცადეს გ. კ-იანის დაწყნარება, მაგრამ ის მაინც წავიდა სოფელ ... მიმართულებით. კ. ე-ძე და გ. უ-შვილი ავტომატურით გაჰყვნენ მათ. გ. რ-შვილის სახლთან მივიდნენ დაახლოებით 1 საათზე. გ. კ-იანმა დაუძახა მას, რომელიც „ტტ-1» სისტემის, #ნ-ჟ-2518-ით შეიარაღებული გამოვიდა თუ არა თავისი საცხოვრებელი სახლის ეზოდან, ჭიშკართან მდგარმა გ. კ-იანმა დაუწყო ავტომატიდან ერთჯერადი რეჟიმით სროლა. მან გ. რ-შვილს ესროლა დაახლოებით 22 ტყვია. სროლის შედეგად მიღებული დაზიანებების გამო გ. რ-შვილი დაეცა მიწაზე, რის შემდეგაც სანადირო თოფიდან ესროლა გ. კ-იანის ძმამ - დ. კ-იანმა. ცეცხლსასროლი იარაღებიდან გასროლილი ჭურვების შედეგად თავის ქალასა და სხვა ორგანოების დაზიანება გახდა გ. რ-შვილის სიკვდილის უშუალო მიზეზი. იგი შემთხვევის ადგილზევე გარდაიცვალა, გ. კ-იანი კი მიიმალა.

აღნიშნული ქმედებისათვის გ. კ-იანს საბოლოოდ მიესაჯა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა; მას სასჯელის მოხდაში ჩათვალა 1998 წლის 25 ივნისიდან 2000 წლის 27 აპრილამდე პატიმრობაში ყოფნის ვადა.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ი. უ-ძემ. მან ითხოვა მსჯავრდებულის ქმედების დაკვალიფიცირება უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში ჩადენილ მკვლელობად და სასჯელის შემსუბუქება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 7 ივნისის განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

კასატორი - მსჯავრდებული გ. კ-იანი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი უკანონო, უსაფუძვლო და უსამართლოა, რადგან გამოტანილია არსებითი და მნიშვნელოვანი სამართლებრივი და საპროცესო დარღვევებით, ამიტომ ის უნდა გაუქმდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სასამართლომ საქმე განიხილა მსჯავრდებულის დაუსწრებლად, როდესაც მისი დასწრება საქართველოს სსსკ-ის 443-ე, 444-ე და მე-11 მუხლებით სავალდებულო იყო; მსჯავრდებულის

ინტერესებს იცავდა ადვოკატი თ. ბ-შვილი, რომლის მიმართაც აშკარად უარყოფითი და კონფლიქტური დამოკიდებულება ჰქონდა მოსამართლეს; როდესაც საპატიო მიზეზით ეს ადვოკატი სხდომაზე არ გამოცხადდა, სასამართლომ მას დაუნიშნა სახაზინო ადვოკატი; ამის გამო გ. კ-იანმა გააუქმა ხელშეკრულება თ. ბ-შვილთან და სურდა ახალი დამცველის აყვანა, რის შესახებაც მან 26 მაისს დეპუტატთა აგნობა სასამართლოს, 19 ივნისს კი შეიტყო, რომ სახაზინო ადვოკატის მონაწილეობით სასამართლოს გამოუტანია უკანონო განაჩენი; საქმეში ჩაკერებული დეპუტატის ასლი ყალბია, მას არ ახლავს ქვითარი და არც მიღებაზეა გ. კ-იანის ხელმოწერა; ასეთი დეპუტატი თელავში არ ჩასულა, რის გამოც მსჯავრდებულმა პროცესში მონაწილეობა ვერ მიიღო; მას არ მიეცა საშუალება, აეყვანა სხვა ადვოკატი, ასევე - აეცილებინა სახაზინო ადვოკატი, რომელიც მას არ შეხვედრია და პოზიციები არ შეუთანხმებია; სასამართლომ მსჯავრდებულს შეუზღუდა თავის დაცვისა და საბოლოო სიტყვის უფლება.

კასატორის აზრით, სახაზინო ადვოკატმა დაარღვია მისი დაცვის უფლება, დაცვა განახორციელა ფორმალურად, საქმის მასალების გაცნობის გარეშე; მან მოითხოვა მსჯავრდებულის ქმედების დაკვალი-ფიცირება ფიზიოლოგიური აფექტის მდგომარეობაში ჩადენილად და შესაბამისი სასჯელის დანიშვნა, რაც უხეშად არღვევს მისი დაცვის უფლებას, რადგან ფიზიოლოგიური აფექტის პირობებში გ. კ-იანისათვის სასჯელის შეფარდების მოთხოვნა აღარ შეიძლება; ფაქტი მოხდა 1998 წლის 24 ივნისს; სსკ-ის 28-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ დევნა უნდა შეწყდეს; აღნიშნულის გამო ადვოკატს უნდა მოეთხოვა ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო სასჯელის გამოუყენებლობა; მან ასევე არ იშუამდგომლა მსჯავრდებულისათვის ანალოგიური საფუძვლით სსკ-ის 236-ე მუხლით დანიშნული სასჯელის მოხსნა, რის გამოც დაირღვა დაცვის უფლება.

მსჯავრდებულ გ. კ-იანს მიაჩნია, რომ სასამართლომ ასევე უკანონოდ დასდო მსჯავრი საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით, რადგან ამ შემთხვევაშიც გასული იყო 2000 წლის 1 ივნისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 49-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადა - 5 წელი, ხოლო ფაქტის ჩადენიდან განაჩენის დადგენამდე გასული იყო 5 წელი და 11 თვე; თავად გ. კ-იანი არ მიმაჯობა, არ ჩაუდენია ახალი დანაშაული, ესწრებოდა ყველა პროცესს და წინასწარ პატიმრობაში, ნაცვლად 1 წლისა, იმყოფებოდა 1 წელი და 8 თვე; მას არასოდეს ჰქონია ალკოჰოლის ღონისძიებად შეფარდებული პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ გადაცემა, როგორც განაჩენში აღნიშნული, რაც იმაზე მიუთითებს, რომ სასამართლო არ იცნობდა მის საქმეს; სასამართლო რომ არაობიექტური და უკანონო იყო, იმაზეც ჩანს, რომ არ დანიშნა დამატებითი ექსპერტიზა და თავად შეითავსა ფსიქოლოგიური ექსპერტიზის ფუნქცია; ასეთ შემთხვევაში, თანახმად სსკ-ის 36-ე მუხლისა, დამატებითი ექსპერტიზის ჩატარება სავალდებულო იყო.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებულ გ. კ-იანი ითხოვს განაჩენის გაუქმებას და საქმის დაბრუნებას იმავე სასამართლოში ხელახლა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გაანალიზა საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის წინასწარი გამოძიებისას მოპოვებული და სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული მტკიცებულებები სათანადოაა გაანალიზებული და შეფასებული, უდავოდ დადგენილია, რომ გ. კ-იანმა ჩაიდინა განზრახ მკვლელობა, ასევე - ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა და ტარება. ამ დასკვნის საფუძველს წარმოადგენს უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რაც საკმარისია საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად და, ამდენად, გასაჩივრებული განაჩენი დასაბუთებულია.

უსაფუძვლოა კასატორის მოტივი, რომ მისი დასწრება სააპელაციო პალატის სხდომაზე სავალდებულო იყო. სსკ-ის 531-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, მსჯავრდებულს, რომელიც პატიმრობაში არ იმყოფება, იმაზე უნდა სააპელაციო სასამართლოში და მისი გამოუცხადებლობა არ აბრკოლებს საქმის განხილვას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი საჩივრის ავტორია. ამ შემთხვევაში საქმის მოსმენა გადაიდგა და აპელანტის განმეორებით გამოუცხადებლობის შემთხვევაში საქმე მის დაუსწრებლად განიხილება.

როგორც ირკვევა, სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვა არაერთხელ გადაიდო, მსჯავრდებულს ეზავნებოდა შეტყობინებები საქმის განხილვის თარიღის შესახებ, რომელთაგან ორი - ადრესატს პირადად ჩაბარდა. სხდომებს ესწრებოდა გ. კ-იანის ადვოკატი და სასამართლო უფლებამოსილი იყო, საქმე განეხილა მსჯავრდებულის დაუსწრებლად.

კასატორი მიუთითებს, რომ დეპუტატი სახაზინო წესით ადვოკატის დანიშვნის თაობაზე არ ჩაბარდა და ამის გამო ვერ მიიღო მონაწილეობა სხდომაზე, რაც უსაფუძვლოა, ვინაიდან იგი არ ცხადდებოდა სასამართლოში.

მსჯავრდებულის განცხადებით, მას სურდა სხვა ადვოკატის აყვანა, რაც არ დასტურდება საქმის მასალებით. გ. კ-იანმა დეპუტატთა აგნობა სასამართლოს, რომ გააუქმა ხელშეკრულება ადვოკატთან და მოითხოვა, იგი გაეთავისუფლებინათ დაცვის მოვალეობისაგან. ამის თაობაზე ადვოკატმა განუმარტა სასამართლოს, რომ გ. კ-იანმა, გაურკვეველი მოტივით, გააუქმა ხელშეკრულება და სთხოვა, შეეწყვიტა მისი დაცვა. ამის გამო სხდომა კვლავ გადაიდო და გ. კ-იანს დაენიშნა დამცველი სახაზინო

წესით. თავად კასატორი აღნიშნავს, რომ დეპეშა გაგზავნა 2007 წლის 26 მაისს და იცოდა, რომ 29 მაისს დანიშნული იყო საქმის განხილვა. ამის მიუხედავად, მას არ აუყვანია დამცველი შეთანხმებით, რისთვისაც ჰქონდა დრო, ვინაიდან საქმის განხილვა დასრულდა 7 ივნისს.

კასატორი მიუთითებს, რომ ვერ დაიცვა საკუთარი ინტერესები, რადგან სააპელაციო სასამართლომ საქმე «ჩუმად» განიხილა. ეს მოტივი ეწინააღმდეგება გ. კ-იანის განცხადებას, რომ მის ინტერესებს სასამართლოში იცავდა ადვოკატი, რომელსაც ენდობოდა და თვითონაც «თვალყურს ადევნებდა პროცესს».

საჩივრის ავტორს არასწორად აქვს გაგებული საქართველოს 2000 წლის 1 ივნისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 49-ე მუხლის მოთხოვნები, რაც პირის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადებს ეხება.

დადგენილია, რომ გ. კ-იანი დააკავს მომხდარის დღესვე და იმ დროს მოქმედი რედაქციის სსკ-ის 105-ე მუხლით ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს 1998 წლის 27 ივნისს, ხოლო 238-ე მუხლის 1-ლი, მე-2 და მე-4 ნაწილებით - 1999 წლის 18 დეკემბერს.

უსაფუძვლოა კასატორის ის მოტივიც, რომ სასამართლოს უნდა დაენიშნა დამატებითი ფსიქოლოგიური ექსპერტიზა. ამგვარი ექსპერტიზა ჩატარდა და დასკვნაში მითითებულია, რომ ცალკეულ პირთა ჩვენებები გამორიცხავს ფიზიოლოგიურ აფექტს. საექსპერტო კომისიამ გასცა ალტერნატიული პასუხი და მიუთითა, რომ აფექტის საკითხის დადგენა დამოკიდებული იყო იმაზე, თუ რომელ პირთა ჩვენებებს მიიჩნევდა სარწმუნოდ სასამართლო.

ექსპერტმა ლ. ჩოხელიმა სააპელაციო სასამართლოს განუმარტა, რომ საქმეზე დაკითხული ზოგიერთი პირის ჩვენება გამორიცხავს აფექტის არსებობას.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს რომელიმე სახის ექსპერტიზის ჩატარების ვალდებულებას. ამასთან, გაანალიზა რა საქმის მასალები, სააპელაციო პალატამ საფუძვლიანად არ გაიზიარა მოთხოვნა გ. კ-იანის ქმედების სსკ-ის 111-ე მუხლით დაკვალიფიცირების შესახებ.

სახაზინო წესით დანიშნულ ადვოკატს არ განუცხადებია, რომ არ იცნობდა საქმის მასალებს და ვერ შეძლებდა გ. კ-იანის ინტერესების დაცვას, ამიტომ უსაფუძვლოა კასატორის მოტივი, თითქოს დაირღვა მისი დაცვის უფლება.

საგულისხმოა, რომ გასაჩივრებული განაჩენის გამოტანის შემდეგ გ. კ-იანის ინტერესების დასაცავად ორდერი გამოიწერა იმ ადვოკატზე, რომლის მომსახურებაზეც მსჯავრდებულმა უარი განაცხადა სააპელაციო სასამართლოში.

ამრიგად, გასაჩივრებული განაჩენი უნდა დარჩეს უცვლელად, რადგან იგი კანონიერი და სამართლიანიცაა, მატერიალური კანონი სწორადაა გამოყენებული, ხოლო სისხლის სამართლის საპროცესო კანონი არ დარღვეულა.

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «ა» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ გ. კ-იანის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 7 ივნისის განაჩენი გ. კ-იანის მიმართ დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განზრახ მკვლელობის მცდელობა

განჩინება

#1798-აპ

24 აპრილი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- ი. ტყემელაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ დ. მ-შვილის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატის 2007 წლის 5 სექტემბრის განაჩენზე, რომლითაც დ. მ-შვილი ცნობილ იქნა ბრალეულად საქართველოს სსკ-ის 19, 108-ე მუხლითა და 236-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენაში.

აღწერილობითი ნაწილი:

საბრალდებო დასკვნით დ. მ-შვილს ბრალი ედება იმაში, რომ მან ჩაიდინა ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შექმნა, შენახვა, ტარება და გადაზიდვა;

მანვე ჩაიდინა განზრახ მკვლელობის მცდელობა.

მის მიერ ჩადენილი ქმედებები გამოიხატა შემდეგში:

დ. მ-შვილმა დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა 9 მმ კალიბრიანი, დაუდგენელი მოდელის ცეცხლსასროლი იარაღი და ამავე კალიბრიანი საბრძოლო ვაზნები, რომლებსაც პერიოდულად მართლსაწინააღმდეგოდ ატარებდა და ინახავდა თავის საცხოვრებელ სახლში. 2005 წლის ივლისში დ. მ-შვილი სტუმრად წავიდა ლანჩხუთის რაიონის სოფ. . . . , ბიძასთან, გ. ს-ძესთან, რა დროსაც მან ქალაქ თბილისიდან გადმოიზიდა ზემოაღნიშნული ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო ვაზნები.

დ. მ-შვილი 2005 წლის 17 სექტემბერს, დაახლოებით 23 საათსა და 25 წუთზე, ნასვამ მდგომარეობაში იმყოფებოდა ლანჩხუთის რაიონის სოფ. . . . გამავალ „სამტრედია-ბათუმის“ საავტომობილო გზაზე, სადაც მან შეაგინა ცენტრალურ საავტომობილო გზაზე მდგარ მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს, რაზედაც მას შენიშვნა მისცა მოპირდაპირე მხარეს მყოფმა, იმავე სოფელში მცხოვრებმა მ. გ-ძემ, რომელიც ელოდებოდა ქალაქ ბათუმისკენ მიმავალ ტრანსპორტს. მიუხედავად შენიშვნისა, დ. მ-შვილმა განმეორებით შეაგინა პირუტყვს, რაზეც ისევ მისცა შენიშვნა მ. გ-ძემ. ამაზე დ. მ-შვილმა დაუძახა მ. გ-ძეს მისულიყო მასთან, ეს უკანასკნელიც გადავიდა და დაუწყო საუბარი, რაც გადაიზარდა კამათში. დ. მ-შვილი განაწყენდა რა მ. გ-ძის ქმედებამ, გადაწყვიტა მისი მოკვლა. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით მან ამოიღო თანაქონი ცეცხლსასროლი იარაღი და განზრახ მოკვლია მიზნით ერთხელ გაისროლა მ. გ-ძის მიმართულებით. გასროლის შედეგად მ. გ-ძეს ტყვია მოხვდა მარჯვენა მხრის მიდამოში, რა დროსაც განუვითარდა მარჯვენა მხრის გამჭოლი ჭრილობა, შემავალი მუცლის ღრუში, წვრილი და მზვილი ნაწლავების, ჯორჯალის დაზიანებით, რაც განეკუთვნება სიცოცხლისათვის საშიფათო დაზიანებას, რის შემდეგაც დ. მ-შვილი მიიმალა შემთხვევის ადგილიდან, ხოლო მ. გ-ძე გადაიყვანეს ქალაქ ფოთის კლინიკურ საავადმყოფოში, სადაც გაწეული დროული სამედიცინო დახმარების შედეგად შესაძლებელი გახდა მისთვის სიცოცხლის შენარჩუნება.

ლანჩხუთის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 15 მაისის განაჩენით დ. მ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის მე-19, 108-ე მუხლითა და 236-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებებში და დანაშაულთა ერთობლიობით სასჯელის ზომად განესაზღვრა 12 წლით თავისუფლების აღკვეთა.

პროკურორი შ. ჩ-ძე თავისი სააპელაციო საჩივრით ითხოვს, რომ შეტანილ იქნეს ცვლილება ლანჩხუთის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 15 მაისის განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში და დ. მ-შვილს სასჯელის ზომად განესაზღვროს 15 წლით თავისუფლების აღკვეთა, რასაც ასაბუთებს იმ მოტივებით, რომ აღნიშნული განაჩენი, მსჯავრდებულის პიროვნებისა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის გათვალისწინებით, აშკარად ლმობიერია. დ. მ-შვილის მიერ ჩადენილია განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაული, იგი დანაშაულის ჩადენის შემდეგ ემალებოდა გამოძიებას და მიმალვაში ყოფნის დროს პროცესის მონაწილეებზე ზეწოლით ცდილობდა, თავი დაეღწია მართლმსაჯულებისათვის. იგი არ აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

მსჯავრდებული დ. მ-შვილი და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატი თავიანთი სააპელაციო საჩივრით ითხოვენ, რომ გაუქმდეს ლანჩხუთის რაიონული სასამართლოს მიერ 2007 წლის 15 მაისს დ. მ-შვილის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი და მის ნაცვლად გამოტანილ იქნეს გამამართლებელი განაჩენი, რასაც ასაბუთებენ იმ მოტივებით, რომ საქმეზე არ ყოფილა გამოკვლევით არც ერთი მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა დ. მ-შვილის უდანაშაულობას, სასამართლომ არ ჩაატარა სრული და ობიექტური სასამართლო გამოძიება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატის 2007 წლის 5 სექტემბრის განაჩენით ლანჩხუთის რაიონული სასამართლოს განაჩენი დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებული დ. მ-შვილი საკასაციო საჩივრით ითხოვს ლანჩხუთის რაიონული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებასა და გამამართლებელი განაჩენის გამოტანას.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრების საფუძვლიანობა და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატას მიაჩნია, რომ საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით, მოწმეთა ჩვენებებით, სასამართლო-სამედიცინო და ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნებით დ. მ-შვილის მიერ საქართველოს სსკ-ის მე-19, 108-ე მუხლითა და 236-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით ჩადენილი ქმედებები დადასტურებულია და მას სწორი სამართლებრივი შეფასება აქვს მიცემული.

ამასთან, პალატა თვლის, რომ დ. მ-შვილის მიმართ უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა დანაშაულისათვის, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით. სსკ-ის მე-19 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, განაჩენი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობას. საქმეში არსებული არც ერთი მტკიცებულებით არ

დასტურდება დ. მ-შვილის მიერ ქ. თბილისიდან სოფელ სუფსაში ცეცხლსასროლი იარაღის გადაზიდვის ფაქტი. სსკ-ის მე-10 მუხლის თანახმად, ყოველგვარი ეჭვი, რომელიც არ დასტურდება დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ, ხოლო გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატას მიაჩნია, რომ ასევე ცვლილება უნდა შევიდეს მსჯავრდებულის მიმართ დანიშნული სასჯელის ნაწილში, კერძოდ: დ. მ-შვილს უნდა მოეხსნას საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით დანიშნული სასჯელი - 5 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით უნდა განესაზღვროს 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა. დ. მ-შვილს საბოლოო სასჯელის ზომად უნდა განესაზღვროს 8 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა» და „დ» ქვეპუნქტებით, 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ დ. მ-შვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 5 სექტემბრის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ შემდეგი მიმართებით:

დ. მ-შვილის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა დანაშაულისათვის, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით.

დ. მ-შვილს საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვროს 8 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

სხვა ნაწილში განაჩენი დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განზრახ მკვლელობა

განჩინება

#1544-აპ-07

14 მაისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

დ. სულაქველიძე,

ზ. მეიშვილი,

მ. ოშხარელი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ზ. გ-იანის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 13 ივნისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ზ. გ-იანი ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 27 მარტის განაჩენით მსჯავრდებულ იქნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით და იმავე კოდექსის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა: საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლის საფუძველზე - თავისუფლების აღკვეთა 14 წლის ვადით; საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე - თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით, ხოლო საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე, სასჯელთა შეკრების შედეგად, მას საბოლოოდ განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 15 წლის ვადით.

განაჩენით ზ. გ-იანს მსჯავრი დაედო განზრახ მკვლელობის ჩადენაში, აგრეთვე, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შექმნაში, შენახვასა და ტარებაში, რაც გამოიხატა შემდეგში:

ზ. გ-იანმა გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში დაუდგენილი პირისაგან მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა ცეცხლსასროლი იარაღი - «ჩხ-ს» სისტემის პისტოლეტი თავისივე 9 მმ კალიბრის, 3-08 ნიმუშის საბრძოლო ვაზნებით, რომელსაც ასევე მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდა დაუდგენელ ადგილზე და ატარებდა.

2001 წლის 10 აგვისტოს, სადამოს, დაახლოებით 18 საათსა და 30 წუთზე, ზ. გ-იანი მეგობრებთან - ო. ა-ძესა და ლ. დ-ძესთან ერთად შევიდა სავანშმოდ ქ. ქუთაისში, ... ქუჩის #40-

ში მდებარე სასაუზმე «თეთრ რაშში», სადაც შეხვდა ნაცნობს - ა. ო-ნს, რომელიც აგრეთვე დაპატიჟა სუფრაზე და დაიწყო ქეიფი. ქეიფი გაგრძელდა დაახლოებით ღამის 24 საათამდე. სუფრის მიწურულს ზ. გ-იანსა და ო. ა-ძეს შორის მოხდა შეკამათება, რაც გადაიზარდა სიტყვიერ შეურაცხყოფაში, თუმცა მათ ურთიერთიფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების საშუალება არ მისცეს იქ მყოფმა ლ. დ-ძემ და ა. ო-ნმა. ამის შემდეგ ზ. გ-იანმა დატოვა სასაუზმე და წავიდა თავისი დროებითი საცხოვრებელი ბინის მიმართულებით. რამდენიმე ხანში ურთიერთობის გარკვევის მიზნით ზ. გ-იანის ბინასთან მივიდნენ ო. ა-ძე და ლ. დ-ძე. ამ დროს საცხოვრებელი ბინიდან ეზოში გამოვიდა ზ. გ-იანიც, რომელსაც თან ჰქონდა მართლსაწინააღმდეგოდ შეძენილი და შენახული «ჩხ-ს» სისტემის პისტოლეტი თავისივე საბრძოლო ვაზნებით. განაწყენების ნიადაგზე, შურისძიების მოტივით განიზრახა რა ო. ა-ძის მოკვლა, ზ. გ-იანმა ცალკე გაიხმო იგი და როცა ო. ა-ძემ დაიწყო მისი მიმართულებით მოძრაობა, დაახლოებით 2-3 მეტრი მანძილიდან ოთხჯერ ესროლა მას ზემოთ ხსენებული პისტოლეტიდან, რითაც ო. ა-ძემ მიიღო ოთხი ცეცხლნასროლი დაზიანება, კერძოდ, გულმკერდის არეში შემავალი სიცოცხლისათვის სახიფათო მძიმე ხარისხის დაზიანება, შინაგანი ორგანოს - ფილტვის დაზიანებით, შინაგანი და გარეგანი სისხლდენით, აგრეთვე მსუბუქი ხარისხის დაზიანება მარცხენა ბარძაყის არეში ბრმა ჭრილობის სახით. გულმკერდის არეში მიღებული სიცოცხლისათვის სახიფათო მძიმე დაზიანების შედეგად ო. ა-ძე საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ზ. გ-იანმა, რომელიც თავისი საჩივრით ითხოვდა მის მიერ ჩადენილი ქმედების საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლიდან საქართველოს სსკ-ის 111-ე მუხლზე გადაკვალიფიცირებას, ვინაიდან მიაჩნია, რომ მან მკვლელობა ჩაიდინა აფექტის მდგომარეობაში, რაც გამოწვეული იყო დაზარალებულის, აწ გარდაცვლილ ხ. ა-ძის მხრიდან, რომელიც თავს კრიმინალური სამყაროს წარმომადგენლად თვლიდა, მის მიმართ არაერთგზის განხორციელებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებებით, ასევე უშუალოდ მომხდარი შემთხვევის დროს ხ. ა-ძის მიერ მისი პიროვნებისა და ოჯახის წევრების - ახლო ნათესავების მძიმე შეურაცხყოფით. გარდა ამისა, აპელანტი მიუთითებს, რომ მისი წარსული არაფრით არ არის შეზღუდული, მონაწილეობდა ბრძოლებში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად, არის აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირი, ამასთან, მიუხედავად ყველაფრისა, გულწრფელად ინანიებს თავის მიერ ჩადენილ ქმედებას, რასაც ახალგაზრდა კაცის სიკვდილი მოჰყვა.

საჩივარი განიხილა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ, რომელმაც, არ დააკმაყოფილა რა აღნიშნული საჩივრის მოთხოვნა, 2007 წლის 13 ივნისის განაჩენით მსჯავრდებულ ზ. გ-იანის მიმართ უცვლელად დატოვა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა ზ. გ-იანმა საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორი, იმავე ძირითადი მოტივების საფუძველზე, რაც მას მითითებული ჰქონდა თავის სააპელაციო საჩივარში, ითხოვს თავის მიერ ჩადენილი ქმედების საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლიდან სსკ-ის 111-ე მუხლზე გადაკვალიფიცირებასა და სასჯელის განსაზღვრას სისხლის სამართლის კოდექსის აღნიშნული მუხლის შესაბამისად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ ზ. გ-იანის მიმართ და შეამოწმა მისი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს სასჯელის ნაწილში შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მიერ წარმოდგენილ ვერსიას იმის თაობაზე, რომ დანაშაულის ჩადენისას ის იმყოფებოდა აფექტის - უცარი ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში, რადგან მოწმეთა ჩვენებებიდან, ასევე საქმეში არსებული სხვა მასალებიდან და თვით მსჯავრდებულის დანაშაულის ჩადენის შემდგომი ქცევიდან გამომდინარე, არ მოიპოვება დასაბუთებული საფუძველი დასკვნისათვის აფექტის შესაძლო არსებობის თაობაზე. ამასთან, საქმეში მოიპოვება საპროცესო ნორმების დაცვით მოპოვებული სარწმუნო მტკიცებულებები, რომლებიც უდავოდ ადასტურებენ ხ. ა-ძის განზრახ მკვლელობის ფაქტს, ჩადენილს ზ. გ-იანის მიერ მათ შორის მომხდარი კონფლიქტის შედეგად წარმოშობილი შურისძიების მოტივით. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ გასაჩივრებული განაჩენი ჩადენილი ქმედების კვალიფიკაციის ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად.

ამავე დროს, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს განაჩენი მსჯავრდებულ ზ. გ-იანის მიმართ განზრახ მკვლელობისათვის სასჯელის განსაზღვრის ნაწილში არის დაუსაბუთებელი და უკანონო, ისევე როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი. სასამართლოებმა სასჯელის დანიშვნისას არ გაითვალისწინეს რეალურად არსებული პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებები, რომლებიც მსჯავრდებულის სასარგებლოდ არსებობდა, კერძოდ ის, რომ ზ. გ-იანი პირველად არის სამართალში; წარსულში ხასიათდება დადებითად, მომხდარი შემთხვევისას კონფლიქტის ინიციატორი, როგორც საქმის გარემოებები მოწმობს, იყო თვით დაზარალებული, აწ გარდაცვლილი ხ. ა-ძე, რომლის ვიქტიმურმა ქცევამ გარკვეულწილად განაპირობა კონფლიქტის

წარმოშობა და შემდგომი განვითარება, ამასთან, მსჯავრდებული, მართალია, არ ეთანხმება თავის მიერ ჩადენილი ქმედების კვალიფიკაციას, მაგრამ აღიარებს და ინანიებს ჩადენილ ქმედებას.

ამრიგად, მსჯავრდებულ ზ. გ-იანის მიმართ სასჯელის განსაზღვრისას უნდა შეფასდეს აღნიშნული გარემოებები, რომელთა გათვალისწინებით, მას უნდა განესაზღვროს სასჯელის ისეთი ზომა, რომელიც არ იქნება ზედმეტად მკაცრი და უსამართლო, ამასთან, უზრუნველყოფს სასჯელის მიზნის მიღწევას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მსჯავრდებულ ზ. გ-იანს სასამართლოს მიერ განზრახ მკვლელობისათვის საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლის საფუძველზე დანიშნული სასჯელი - თავისუფლების აღკვეთა 14 წლის ვადით უნდა შეუმცირდეს 4 წლით და ამ ნაწილში მას სასჯელის ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 10 წლის ვადით. შესაბამისად, მას უნდა შეუმცირდეს განაჩენით დანიშნული საბოლოო სასჯელი და ასეთ სასჯელად უნდა განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 11 წლის ვადით, რისთვისაც ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 13 ივნისის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულ ზ. გ-იანის სასიკეთოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

დ ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ ზ. გ-იანის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 13 ივნისის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება: მსჯავრდებულ ზ. გ-იანს საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლის საფუძველზე დანიშნული სასჯელის ვადა - თავისუფლების აღკვეთა 14 წლით შეუმცირდეს 4 წლით და ამ ნაწილში მას სასჯელად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 10 წლის ვადით, რასაც დაემატოს აღნიშნული განაჩენით საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე განსაზღვრული სასჯელი - თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით და მას საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 11 წლის ვადით.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განზრახ მკვლელობა

განჩინება

#1862-აპ-07

29 მაისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- დ. სულაქველიძე,**
- ლ. მურუსიძე,**
- მ. ოშხარელი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ა. ტ-ძის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 3 სექტემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ა. ტ-ძე ამჟამად პატიმარი, საგარეჯოს რაიონული სასამართლოს 2007 წლის 2 მაისის განაჩენით მსჯავრდებულ იქნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 9 წლის ვადით.

განაჩენის მიხედვით, ა. ტ-ძის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

2005 წლის 29 იანვარს, დაახლოებით 16 საათზე, საგარეჯოს რაიონის სოფ. ... მცხოვრებ ა. მ-შვილთან სახლში სტუმრად იმყოფებოდნენ ამავე სოფელში მცხოვრები ა. მ-შვილის მეგობარი ა. ჯ-ური, მეზობელი თ. კ-შვილი, აგრეთვე მისი ნაცნობი ტ. ტ-ძე თავის ტყუპისცალ ძმასთან - ა. ტ-ძესთან და ვინმე ლ.-სთან ერთად. ზემოთ ჩამოთვლილი პირები ისხდნენ სუფრასთან და სვამდნენ ალკოჰოლურ სასმელს. სუფრასთან სიტყვიერი შელაპარაკება მოხდა ლ.-სა და ა. მ-შვილს შორის, რა დროსაც ა. მ-შვილმა ხელი დაარტყა ლ.-ს, რომელიც იატაკზე დაეცა. აღნიშნულით განაწყენებული ა. ტ-ძე მივიდა ა. მ-შვილს და ხელთ არსებული დანით გულ-მკერდის არეში მიაყენა მრავლობითი ჭრილობები, შემდეგ კი თავის ძმასთან - ტ. ტ-ძესა და ლ.-სთან ერთად შემთხვევის ადგილიდან

მიიმალა. ა. მ-შვილი მეზობლების დახმარებით მაშინვე გადაიყვანეს საგარეჯოს რაიონულ საავადმყოფოში, მაგრამ მიღებული ჭრილობების შედეგად იგი გარდაიცვალა.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ა. ტ-მემ, რომელიც თავის საჩივარში აღნიშნავდა, რომ მას არ ჩაუდენია განაჩენით მისთვის შერაცხული დანაშაული. სინამდვილეში ჩხუბი მოხდა აწ გარდაცვლილ ა. მ-შვილსა და ტ. ტ-მეს შორის, ხოლო ჩხუბის დაწყების შემდეგ თვითონ ოთახიდან გარეთ გავიდა, რის გამოც ამის შემდეგ რა მოხდა და ა. მ-შვილი როგორ დაიჭრა, მას არ უნახავს. სინამდვილეში ა. მ-შვილის მკვლელობა ჩადენილი აქვს მის ტყუპისცალ ძმას - ტ. ტ-მეს, რასაც ეს უკანასკნელი აღიარებს თავის განცხადებებში, მაგრამ მას ყურადღებას არავინ აქცევს. საქმეზე წინასწარი გამოძიება წარიმართა საპროცესო დარღვევებით, რაც პირველი ინსტანციის სასამართლომ რეაგირების გარეშე დატოვა, ხოლო განაჩენი ეყრდნობა მოწმეთა წინააღმდეგობრივ ჩვენებებს. იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ, მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს სარწმუნო მტკიცებულებები, რომლებითაც დადასტურდებოდა მისი ბრალი მომხდარ დანაშაულში. აღნიშნული მოტივებიდან გამომდინარე, აპელანტი ა. ტ-მე ითხოვდა მის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებასა და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენას.

სააპელაციო საჩივარი განიხილა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ, რომელმაც არ დააკმაყოფილა აპელანტის მოთხოვნა და 2007 წლის 3 სექტემბრის განაჩენით მსჯავრდებულ ა. ტ-მის მიმართ უცვლელად დატოვა საგარეჯოს რაიონული სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი, ვინაიდან მისი საჩივრის მოტივები უსაფუძვლოდ მიიჩნია.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა ა. ტ-მემ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორი მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლომ მისი ბრალდების საქმეზე არ ჩაატარა ობიექტური სასამართლო გამოძიება, არ გაარკვია ბრალდების მოწმეთა ჩვენებებს შორის არსებული წინააღმდეგობები, სასამართლომ არ დაკითხა მისი ძმა - ტ. ტ-მე მომხდარი დანაშაულის თაობაზე, რომლის ჩვენება ხელს შეუწყობდა ჭეშმარიტების დადგენას, ხოლო სააპელაციო სასამართლოს განაჩენი ეყრდნობა საპროცესო ნორმების დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებს. აღნიშნული მოტივებით კასატორი - მსჯავრდებული ა. ტ-მე ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 3 სექტემბრის განაჩენის გაუქმებასა და მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას გამამართლებელი საფუძვლით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ ა. ტ-მის მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივრის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა თვლის, რომ საქმის მასალებში მოიპოვება სარწმუნო და საკმარისი მტკიცებულებები, რომლებიც უდავოდ ადასტურებენ, რომ ა. მ-შვილის განზრახ მკვლელობა ჩაიდინა ა. ტ-მემ და არა მისმა ძმამ - ტ. ტ-მემ. აქ მხედველობაშია როგორც პირდაპირი მტკიცებულებები, ასევე არაპირდაპირი მტკიცებულებები. ა. ტ-მის ბრალეულობაზე პირდაპირ მიუთითებს მოწმე ა. ჯ-ურის ჩვენებები, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა. არაპირდაპირ მტკიცებულებებს, რომლებიც ადასტურებს ა. ტ-მის მიერ დანაშაულის ჩადენას, წარმოადგენს მოწმე თ. პ-შვილის ჩვენებები, დაზარალებულ ვ. მ-შვილის ჩვენება, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი.

საკასაციო პალატა სარწმუნოდ ვერ მიიჩნევს კასატორის, მსჯავრდებულ ა. ტ-მის მიერ წარმოდგენილ ვერსიას იმის თაობაზე, რომ ა. მ-შვილის მკვლელობა ჩაიდინა მისმა ძმამ - ტ. ტ-მემ. მან თავის საჩივარში ვერ მიუთითა საფუძვლიან და დამაჯერებელ არგუმენტზე, რის გამოც მოწმე ა. ჯ-ურის ჩვენება ეჭვის ქვეშ უნდა იქნეს დაყენებული. მართალია, ა. ტ-მე მიუთითებს მოწმე ა. ჯ-ურის ჩვენებებს შორის არსებულ გარკვეულ სხვაობაზე, ასევე გარკვეულ შეუსაბამობაზე მის ჩვენებასა და მოწმე თ. პ-შვილის ჩვენებებს შორის, მაგრამ კასატორის მიერ მითითებული ეს სხვაობა და შეუსაბამობა არ ეხება მთავარს - აწ გარდაცვლილ ა. მ-შვილის ბინაში, სუფრასთან ამ უკანასკნელსა და ა. ტ-მის თანმხლებ პირს - ლ.-ს შორის მომხდარ კონფლიქტს, აგრეთვე, ამ კონფლიქტის დროს ა. ტ-მის მიერ ა. მ-შვილის დანით დაჭრას, რამაც მისი სიკვდილი გამოიწვია.

გარდა ამისა, საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს შემდეგ გარემოებებზე: მსჯავრდებული ა. ტ-მე ვერ ხსნის, რატომ უნდა ყოფილიყო მოწმე ა. ჯ-ური დაინტერესებული იმით, რომ მის წინააღმდეგ ცრუ ჩვენება მიეცა. ა. ჯ-ურს მომხდარ შემთხვევამდე ა. ტ-მე საერთოდ არ ჰყავდა ნანახი, მათ შორის არავითარი ურთიერთობა არ ყოფილა, ხოლო მანამდე ტ. ტ-მეს ა. ჯ-ური შეხვდა წინა სადამოს, სულ რამდენიმე წუთით. ეს მომენტი საყურადღებოა იმ თვალსაზრისით, რომ მოწმე ა. ჯ-ურს არავითარი საფუძველი არ გააჩნდა რომელიმე მათგანის მიმართ მიკერძოებული დამოკიდებულებისათვის ანდა იმისათვის, რომ რომელიმე მათგანის წინააღმდეგ განწყობილი და დაინტერესებული ყოფილიყო. ამასთან, საქმის მასალებით დგინდება, რომ მოწმე ა. ჯ-ური იყო ა. მ-შვილის თანაკლასელი, მეგობარი, მათ ერთმანეთთან ახლობლური ურთიერთობა ჰქონდათ, რის გამოც არადაამაჯერებელია, რომ ა. ჯ-ურს მისი მეგობრის ნამდვილი მკვლეელი დაეფარა და მის ნაცვლად უდანაშაულო ადამიანი ემხილებინა ისეთი განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენაში, როგორცაა განზრახ მკვლელობა. აქედან გამომდინარე, რეალურ საფუძველს მოკლებულია მსჯავრდებულ ა. ტ-მის

მიერ სააპელაციო სასამართლოში გაკეთებული განცხადება იმის თაობაზე, რომ მის ძმას - ტ. ტ-მესა და მოწმე ა. ჯ-ურს შორის ამ საქმესთან დაკავშირებით რაღაც შეთანხმება და საერთო ჩანაფიქრი არსებობდა. მით უმეტეს, რომ წინასწარ არავინ იცოდა, რა მოხდებოდა სუფრაზე, ხოლო ა. მ-შვილის დაჭრის შემდეგ ძმებმა ტ-ძეებმა თავიანთ თანმხლებ პირთან ერთად დაუყოვნებლივ მიატოვეს შემთხვევის ადგილი, მოწმე ა. ჯ-ური კი იმავე დღეს დაიკითხა, რომელმაც თავის ჩვენებაში ამხილა ა. ტ-ძე და არა - ტ. ტ-ძე.

რაც შეეხება კასატორის მიერ სასამართლოს მიმართ გამოთქმულ პრეტენზიას იმის თაობაზე, რომ არ დაიკითხნენ ტ. ტ-ძე და შემთხვევის ადგილზე მყოფი მისი მეგობარი, ვინმე ლ. ქ-ია, უნდა აღინიშნოს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას ადვოკატის მიერ აღძრული შუამდგომლობა ტ. ტ-ძის დაკითხვის თაობაზე აშკარად დაუსაბუთებელი იყო, სააპელაციო სასამართლოში კი დაცვის მხარეს მის დაკითხვაზე შუამდგომლობა არ დაუყენებია, ხოლო ლ. ქ-იას მოწმის სახით დაკითხვის თაობაზე დაცვის მხარეს შუამდგომლობა არც პირველი ინსტანციის სასამართლოში და არც სააპელაციო სასამართლოში არ დაუყენებია, სასამართლო კი კანონით უფლებამოსილი არ არის, თავისი ინიციატივით მოიწვიოს ახალი მოწმე, თუკი ამის თაობაზე მხარე არ შუამდგომლობს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ არ არსებობს რეალური და დასაბუთებული საფუძველი სააპელაციო სასამართლოს განაჩენით დადგენილად მიჩნეულ იმ ფაქტობრივ გარემოებებსა და მათ სამართლებრივ შეფასებაში ეჭვის შეტანისათვის, რომლის მიხედვით, ა. მ-შვილის განზრახ მკვლელობა ჩადენილია მსჯავრდებულ ა. ტ-ძის მიერ, რის გამოც მის მიმართ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიერ 2007 წლის 3 სექტემბერს გამოტანილი განაჩენი უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა» ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ ა. ტ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 3 სექტემბრის განაჩენი მსჯავრდებულ ა. ტ-ძის მიმართ დარჩეს უცვლელად.
საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განზრახ მკვლელობა (მცდელობა)

განჩინება

#745-აპ-08

24 სექტემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

დ. სულაქველიძე,

ზ. მეთევილი,

ლ. მურუსიძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ კ. კ-ძის დამცველის, ადვოკატ ს. ც-ძის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 2 აპრილის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

კ. კ-ძე ამჟამად პატიმრობაში მყოფი, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 15 იანვრის განაჩენით მსჯავრდებულ იქნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლისა და 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის «გ» ქვეპუნქტის საფუძველზე, რის გამოც მას სასჯელის ზომად შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა 13 წლის ვადით.

განაჩენით კ. კ-ძეს მსჯავრი დაედო იმაში, რომ მან ჩაიდინა მკვლელობის მცდელობა დამამძიმებელ გარემოებაში - ხულიგნური ქვენაგრძობით, რაც გამოიხატა შემდეგში:

2007 წლის 27 ივნისს, დაახლოებით 19.30 საათზე, კ. კ-ძე მივიდა მეგობართან - ვ. კ-ძესთან, რომელიც იმ დროს იმყოფებოდა თავისი საცხოვრებელი კორპუსის ეზოში - თბილისი, ... ქ. #26-ში, სადაც ასევე იმყოფებოდა მისი ბიძაშვილი - ა. ზ-შვილი. კ. კ-ძემ ვ. კ-ძესა და ა. ზ-შვილთან საუბარში დაპყო დაახლოებით 40 წუთს, რა დროსაც მათ შეუერთდა ვ. კ-ძის მეგობარი, ავტომანქანით

მყოფი ო. გ-ია, რომელიც გადმოვიდა ავტომანქანიდან და ისე საუბრობდა მათთან. კ. კ-მე კი დაჯდა აღნიშნულ ავტომანქანაში და ხმა აუწია მაგნიტოფონს. ხმაურზე ვ. კ-მეს სახლიდან დაურეკა და შენიშვნა მისცა ბაბუამისმა, რის გამოც მან ხმა ჩაუწია მაგნიტოფონს. აღნიშნულის გამო კ. კ-მე განაწყენდა და გადმოვიდა ავტომანქანიდან. შემდეგ ვ. კ-მემ, შეიძინა რა ლუდი და მინერალური წყალი - «ნაბელავი», ა. ზ-შვილთან და კ. კ-მესთან ერთად გადაინაცვლა #62 სკოლის ეზოში, სადაც მათ განაგრძეს საუბარი. მათთან ერთად ასევე იმყოფებოდნენ ა. ზ-შვილის უმცროსი ძმა - დ. ზ-შვილი, ვ. კ-მის მეგობარი - ო. ჩ-შვილი და ი. ქ-ია. კ. კ-მემ, ზემოაღნიშნული მცირე საბაზის გამო, ხულიგნური ქვენაგრძნობით განიზრახა ვ. კ-მის მკვლელობა. დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, დაახლოებით 22.30 საათზე, თითქოსდა სალაპარაკოდ, ცალკე გაიხმო იგი და გაიყვანა იქ მყოფებისაგან მოშორებით, სკოლის ეზოში არსებულ ბუჩქებში, სადაც ყოველგვარი მიზეზის გარეშე, ხულიგნური ქვენაგრძნობით, განზრახ მოკვლის მიზნით, თან ნაქონი დანა ორჯერ ზედიზედ დაარტყა ვ. კ-მეს კისრის არეში და მიაყენა დაზიანებები. ვ. კ-მე საშველად უხმობდა მეგობრებს და ცდილობდა მისგან გაქცევას. კ. კ-მე არ აძლევდა მას ამის საშუალებას და მეორე ხელით იჭერდა. კ. კ-მემ, შენიშნა რა მათკენ მომავალი ა. ზ-შვილი, რომელმაც დაინახა, თუ როგორ ურტყამდა იგი დანას ვ. კ-მეს, უყვიროდა და მოუწოდებდა, რომ შეეწყვიტა აღნიშნული ქმედება, მხოლოდ ამის შემდეგ გაუშვა ხელი ვ. კ-მეს, თვითონ კი მიიმალა შემთხვევის ადგილიდან. ვ. კ-მე მიღებული დაზიანებებით გადაიყვანეს ყიფშიძის სახელობის თსუ-ს კლინიკაში, სადაც სამედიცინო დახმარების შედეგად სიკვდილს გადაურჩა.

აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ კ. კ-მის დამცველმა, ადვოკატმა დ. ა-ურმა, რომელიც საჩივრით ითხოვდა მსჯავრდებულ კ. კ-მის ქმედების გადაკვალიფიცირებას საქართველოს სსკ-ის 111-ე მუხლის პირველ ნაწილზე.

სასამართლო სხდომაზე მსჯავრდებულმა კ. კ-მემ და მისმა ადვოკატმა ს. ც-მემ დააზუსტეს სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა და მოითხოვეს კ. კ-მის ქმედების გადაკვალიფიცირება საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის პირველ ნაწილზე, შემდეგი მოტივებით: მართალია, მსჯავრდებულმა კ. კ-მემ დანის გამოყენებით დაზიანებები მიაყენა დაზარალებულ ვ. კ-მეს, მაგრამ მას არ ჰქონდა მისი მოკვლის განზრახვა, ვინაიდან ჭრილობები არ არის მიყენებული დანის დარტყმით, ისინი განვითარებულია დანის გასმის შედეგად. აღნიშნული კი იმაზე მეტყველებს, რომ კ. კ-მეს ამომრავებდა დაზარალებულისათვის ტკივილის მიყენების და არა - მისი მოკვლის სურვილი. გარდა ამისა, მას ხელს არავინ უშლიდა და თავისუფლად შეეძლო ვ. კ-მის მკვლელობა ბოლომდე მიეყვანა, ამის სურვილი რომ ჰქონოდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ, არ დააკმაყოფილა რა სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა, 2008 წლის 2 აპრილის განაჩენით უცვლელად დატოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მიერ მსჯავრდებულ კ. კ-მის მიმართ გამოტანილი განაჩენი.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ კ. კ-მის დამცველმა, ადვოკატმა ს. ც-მემ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორი ითხოვს მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი ქმედების კვალიფიკაციის შეცვლის მიზნით აღნიშნული განაჩენის გაუქმებასა და კ. კ-მის მიმართ სისხლის სამართლის საქმის იმავე სასამართლოში დაბრუნებას ხელახლა განსახილველად. კასატორი თავის საჩივარში მიუთითებს, რომ სასამართლომ უსაფუძვლოდ ცნო კ. კ-მე ბრალეულად ხულიგნური ქვენაგრძნობით ჩადენილი მკვლელობის მცდელობაში, რადგან აღნიშნული არ დასტურდება საქმეში არსებული მასალებით, მთლიანად ეწინააღმდეგება დაზარალებულის ჩვენებებსა და რეალურად არსებულ ფაქტობრივ გარემოებებს, რომელთა შესაბამისად, კ. კ-მეს ჩადენილი აქვს ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის პირველი ნაწილით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ კ. კ-მის მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა არ ეთანხმება კასატორის მოსაზრებას მსჯავრდებულ კ. კ-მის მიერ არა მკვლელობის მცდელობის, არამედ - ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების შესაძლო ჩადენის თაობაზე, ვინაიდან ჩადენილი ქმედების ხასიათი და დაზარალებულისათვის მიყენებული დაზიანების არამართო სიმძიმე, არამედ მისი ლოკალიზაცია სიცოცხლისათვის ძალზე სახიფათო მიდამოში, ადასტურებს იმას, რომ, მისი ქმედებიდან გამომდინარე, ინტელექტუალური თვალსაზრისით შესაძლო შედეგს (მხედველობაშია ადამიანის სიკვდილი) იგი უცილობლად ითვალისწინებდა, თუმცა, რაც შეეხება ამ ქმედების ნებელობით მომენტს, ეს უკანასკნელი არ იყო იმ შედეგისკენ პირდაპირ მიმართული, რომელიც შეიძლება აღნიშნული ქმედებით რეალურად დამდგარიყო. აღსანიშნავია, რომ კ. კ-მეს თავისი ქმედების გაგრძელებაში ხელი შეუშალა მისგან დამოუკიდებელმა გარემოებებმა (დაზარალებულის მხრიდან აქტიური წინააღმდეგობის გაწევა, დანაშაულის ადგილზე სხვა ადამიანების დროულად მისვლა), რის გამოც დანაშაული შეწყდა ადრეულ ეტაპზე - მცდელობის სტადიაზე. აღნიშნული დასტურდება დაზარალებულისა და მოწმეების ჩვენებებით. თვით მსჯავრდებული კ. კ-მე

თავის ჩვენებებში პირდაპირ უთითებს, რომ მისი განაწილება და მკვეთრად უარყოფითი ემოციური დამუხტვა დაზარალებულის მიმართ გამოიწვია მისი მხრივ მაგნიტოფონის ხმის დაწვევის შესახებ არაკორექტულად მიმართვამ და ხელით უხეშად შეხებამ, რამაც იგი მის მიმართ სამაგიეროს გადახდის გრძნობით განაწყო. ამ მიმართებით საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის პოზიციას, რომლის მიხედვით, მსჯავრდებულს დაზარალებულის მიმართ გაუჩნდა შურისძიების გრძნობა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, თვით დაზარალებულის ჩვენებითაც კი, ვ. კ-მეს არ სურდა მისი მოკვლა.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, მართალია, სარწმუნოდ არ დასტურდება დაზარალებულის მოკვლის მიზანი, მიუხედავად იმისა, რომ ვ. კ-მე მოქმედებდა გამანაწილებლისათვის სამაგიეროს მიზლის მოტივით, მაგრამ, როგორც ზემოთ აღინიშნა, მძიმე დაზიანება მიყენებულია სიცოცხლისათვის ძალზე სახიფათო ადგილზე, რასაც ითვალისწინებდა ვ. კ-მე, შესაბამისად, შესაძლო სასიკვდილო შედეგსაც.

განხილულ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც დადგენილია სასამართლო გამოძიებით, ერთობლივად უნდა მიეცეს სწორი სამართლებრივი შეფასება იმ თვალსაზრისით, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზეა განზრახ მკვლელობის მცდელობა ევენტუალური განზრახვით, რა დროსაც მსჯავრდებულ ვ. კ-მეს შეგნებული ჰქონდა თავისი მოქმედების მნიშვნელობა, ითვალისწინებდა მისი მოქმედების შესაძლო შედეგს - დაზარალებულის სიკვდილს და გულგრილად ეკიდებოდა მის დადგომას. ამასთან დაკავშირებით, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მიზნით დაფუძნებული დელიქტი აუცილებლობით გულისხმობს შესაბამის მოტივს, მაგრამ მოქმედების ამა თუ იმ მოტივის არსებობა ყოველთვის აუცილებლობით არ გულისხმობს კონკრეტული მიზნის არსებობას, უშუალოდ მიმართულს იმ შედეგს, რომელიც შეიძლება დამდგარიყო ფაქტობრივად ჩადენილი მოტივირებული ქმედებით. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის გარემოება, რომ მოტივი, როგორც სავესებით გარკვეული ფსიქოლოგიური ფენომენი, პირდაპირ არის დაკავშირებული განზრახვი ქმედების სუბიექტური მხარის როგორც ინტელექტუალურ, ისე - ნებელობით მომენტთან, მაგრამ მას თავისი ავტონომიური ფსიქოლოგიური შინაარსი გააჩნია და ვერც ერთ მათგანთან ვერ იქნება გაიგივებული. ამიტომ, მოცემულ შემთხვევაში, ვ. კ-მეს, მოქმედებდა რა ევენტუალური განზრახვით, არ გააჩნდა დაზარალებულ ვ. კ-მის სიკვდილის სურვილი და შესაბამისი მიზანი, ვინაიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას ხელთ არსებული დანით შეეძლო დაზარალებულისათვის მიყენებინა სასიკვდილო დაზიანებები. ვ. კ-მეს ქმედების ჩადენის მომენტში, განაწილებისათვის, თავისი ემოციურ-ფსიქოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით, როგორც თვითონაც აღნიშნავს, ვ. კ-მისათვის სურდა მხოლოდ ტკივილის მიყენება. მაგრამ ამ დროს დაზარალებულს მან სრულიად შეცნობილად მიაყენა სიცოცხლისათვის სახიფათო დაზიანება სიცოცხლისათვის მნიშვნელოვანი ორგანოს მიდამოში, რა დროსაც იგი ითვალისწინებდა სიკვდილის შესაძლო დადგომას, თუმცა ასეთი შედეგის მიღწევა მის მიზანს არ წარმოადგენდა. ამასთან, ის გარემოება, რომ ვ. კ-მე გულგრილად მოევიდა აღნიშნულ შესაძლო შედეგს, დასტურდება შემდეგით: მას შემდეგ, რაც მან ვ. კ-მეს დაზიანება მიაყენა, სასწრაფოდ მიატოვა შემთხვევის ადგილი ისე, რომ არც კი დაინტერესებულა დაზარალებულის მდგომარეობით.

საკასაციო პალატა ვერ დაეთანხმება პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოების დასკვნას იმის თაობაზე, რომ დაზარალებულ ვ. კ-მის მიერ მსჯავრდებულის მიმართ განხორციელებული ქმედება, რომელზეც ვ. კ-მე მიუთითებს როგორც მისი აღელვებისა და დაზარალებულის მიმართ შურისძიების გრძნობის გაღვივების საფუძველზე, წარმოადგენდა მცირე საბაზს, უმნიშვნელო მიზეზს, რომლის საფუძველზეც მან, ხულიგნური ქვენაგრძნობით შეპყრობილმა, განზრახა ვ. კ-მის მკვლელობა.

ამ შემთხვევაში, საკასაციო პალატის აზრით, სასამართლომ ყურადღების მიღმა დატოვა რიგი მტკიცებულებებისა, რომლებითაც დადასტურებულია, რომ, მართალია, ვ. კ-მე შერაცხადა, მაგრამ მას გააჩნია მნიშვნელოვანი ფსიქიკური პრობლემები, რომლებიც არსებით გავლენას ახდენს მის ქცევაზე, კერძოდ, მხედველობაშია საქმეში არსებული ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნა, რომლის მიხედვით, ვ. კ-მეს აღენიშნება ემოციურად არასტაბილური პერსონოლოგიური აშლილობა, რასაც მოწმობს მისი ანამნეზური მონაცემები, ასევე, საექსპერტო გამოკვლევისას გამოვლენილი ნეგატიური ფსიქიკური მახასიათებლები. უნდა აღინიშნოს, აგრეთვე, პირველი ინსტანციის სასამართლოში მოწმე ლ. კალმახელიძის მიერ მიცემული ჩვენება, რომელიც არის როგორც დაზარალებულის, ასევე, მსჯავრდებულის მეგობარი. მოწმე მიუთითებს, რომ ვ. კ-მე ლონდონიდან ძალიან შეცვლილი ჩამოვიდა, დათრგუნვილი და დეპრესიული იყო, რასაც ყველა ამჩნევდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მართალია, ის საკითხი, დაზარალებულ ვ. კ-მის მოქმედება (მსჯავრდებულისათვის შენიშვნის არაკორექტულად მიცემა და უხეშად ხელით შეხება) წარმოადგენდა თუ არა მნიშვნელოვან ან უმნიშვნელო საბაზს, ნორმატიული, ანუ შეფასებითი მსჯელობის საგანია და ჩვეულებრივ პირობებში, საერთო შეფასებით, იგი შეიძლება მართლაც არ იყოს რელევანტური, მის საპასუხოდ მეორე მხარის მიერ გამოვლენილი, მკვეთრად უარყოფითი ემოციით დატვირთული და შურისძიების მოტივით განპირობებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებისა, მაგრამ ასეთი შეფასება არ შეიძლება იდენტური იყოს განხილული კონკრეტული შემთხვევისათვის, ვინაიდან, ზემოხსენებული ფსიქიკური პრობლემებისა და მისი ხასიათის თვისებების გათვალისწინებით, ვ. კ-მისათვის დაზარალებულის მოქმედება არ იყო უმნიშვნელო მიზეზი და მცირე საბაზი შურისძიების მძაფრი

გრძნობის წარმოშობისა და შესაბამისი მოტივაციური ფონის ჩამოყალიბებისათვის, რამაც კ. კ-მეს უბიძგა დანაშაულის ჩასადენად და რაც აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრებისა და ჩადენილი ქმედების კვალიფიკაციის განსაზღვრის დროს. ამავე დროს, ყურადღებას იქცევს ის გარემოებაც, რომ სააპელაციო სასამართლო, მსჯელობს რა კ-მის ქმედებაში ანტისაზოგადოებრივი განწყობისა და ხულიგნური ქვენაგრძნობის ელემენტების არსებობაზე, განაჩენში საერთოდ არ უთითებს, თუ რაში გამოიხატა ისინი და რომელი მტკიცებულებებით დასტურდება მათი არსებობა.

აღნიშნული გარემოების გამო საკასაციო პალატა იზიარებს დაცვის მხარის პოზიციას იმის თაობაზე, რომ მსჯავრდებულ კ. კ-მის ქმედებაში საქმის მასალებით არ დგინდება ისეთი გარემოების არსებობა, როგორცაა ხულიგნური ქვენაგრძნობა, რადგან ასეთი არ დასტურდება სარწმუნო მტკიცებულებებით, ხოლო სასამართლოს დასკვნა მისი არსებობის შესახებ მხოლოდ დაუსაბუთებელ ვარაუდს წარმოადგენს.

ამრიგად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ კ. კ-მის ბრალდების საქმეზე განაჩენის დადგენისას არ დაიცვა საქართველოს სსკ-ის მე-18 და მე-19 მუხლებით დადგენილი მოთხოვნები, ასევე ჯეროვნად არ შეაფასა საქმეში არსებული მასალებით დადგენილი ყველა ფაქტობრივი გარემოება, რამაც განაპირობა, სამართლებრივი თვალსაზრისით, მსჯავრდებულ კ. კ-მის მიერ ჩადენილი ქმედებისათვის არასწორი კვალიფიკაციის მიცემა, კერძოდ, კ. კ-მის ქმედება დაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის მე-19 მუხლითა და 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის «გ» ქვეპუნქტით, როგორც მკვლელობის მცდელობა, ჩადენილი ხულიგნური ქვენაგრძნობით მაშინ, როდესაც კ. კ-მემ ჩაიდინა მკვლელობის მცდელობა დამამძიმებელ და შემამსუბუქებელ გარემოებათა გარეშე, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის მე-19 მუხლითა და 108-ე მუხლით. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს განაჩენი უნდა შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ, რადგან სახეზეა საქართველოს სსკ-ის 562-ე მუხლის «ბ» ქვეპუნქტითა და 564-ე მუხლის «ა», «ბ» ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დარღვევა - მატერიალური სისხლის სამართლის კანონის არასწორი გამოყენება, სახელდობრ, სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა.

მსჯავრდებულ კ. კ-მის მიმართ მის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელის ზომის განსაზღვრისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს მისი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებები: იგი პირველად არის სამართალში, ხოლო მისი პიროვნება და წარსული ხასიათდება დადებითად, გულწრფელად ინანიებს თავის მიერ ჩადენილ დანაშაულს, მან ბოდიში მოუხადა დაზარალებულს; ამასთან, მის მიერ დანაშაულის ჩადენა მნიშვნელოვანწილად განაპირობა გარკვეულმა ფსიქიკურმა პრობლემებმა, რომლებიც იმაზე მიუთითებს, რომ მოცემულ შემთხვევაში სასჯელის საბოლოო მიზნის მისაღწევად არ არის აუცილებელი მკაცრი ზომის დანიშვნა, არამედ საკმარისი იქნება მსჯავრდებულ კ. კ-მის მიმართ კანონით გათვალისწინებული სასჯელის მინიმალური ზომის გამოყენება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ კ. კ-მის დამცველის, ადვოკატ ს. ც-მის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 2 აპრილის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება: მსჯავრდებულ კ. კ-მის მიერ ჩადენილი ქმედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლიდან და 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის «გ» ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის მე-19 მუხლსა და 108-ე მუხლზე, ხოლო ამ დანაშაულისათვის მას სასჯელის ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მკვლელობა

განჩინება

#270-აპ

30 სექტემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- ლ. მურუსიძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ თ. ქ-ძის ინტერესების დამცველის, ადვოკატ თ. ნ-ძის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 28 ნოემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 25 ივლისის განაჩენით თ. ქ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს 2000 წლის 1 ივნისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 228-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 238-ე მუხლის მე-2 ნაწილით, მე-17,104-ე მუხლის მე-4 პუნქტითა და 105-ე მუხლით იმაში, რომ ჩაიდინა განზრახ მკვლელობა; ასევე, ორი ან მეტი პირის განზრახ მკვლელობის მცდელობა; ასევე, ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება და ხულიგნობა, რაც გამოიხატა შემდეგში:

საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საზღვოს „ამნისტიის შესახებ» დადგენილების საფუძველზე სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გათავისუფლებულმა თ. ქ-ძემ დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, დაუდგენელი პირისაგან შეიძინა 9 მმ კალიბრის ცეცხლსასროლი იარაღი, რომელსაც უკანონოდ ინახავდა და ატარებდა.

მოვრალი თ. ქ-ძე 1992 წლის 12 სექტემბერს, დაახლოებით 24 საათზე, მივიდა ბათუმში, ... ქ. #22-ის, ბინა 9-ში მცხოვრებ დ. მ-ძესთან და მას და მისი ოჯახის წევრებს მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, რასაც თან ახლდა ძალადობის მუქარა. ხულიგნური ქმედება გრძელდებოდა დაახლოებით 20 წუთს. ამ დროს თ. ქ-ძემ დ. მ-ძის ბინაში ურთიერთშელაპარაკებისას ორჯერ გაისროლა ცეცხლსასროლი იარაღიდან იატაკის მიმართულებით, რითაც უხეშად დაარღვია საზოგადოებრივი წესრიგი და გამოხატა აშკარა უპატივცემულობა საზოგადოების, კერძოდ - დ. მ-ძის ოჯახის წევრებისა და მეზობლების მიმართ; ამასთან, მისი მოქმედება გამოირჩეოდა განსაკუთრებული თავხედობით.

1992 წლის 13 სექტემბერს, დაახლოებით 1 საათზე, თ. ქ-ძემ დ. მ-ძის ბინიდან გამოიყვანა და თავისი ავტომანქანით წაიყვანა გ. მ-ძე და დათო მ-ძე. ისინი მიიყვანა ხელვაჩაურის რაიონის სოფელ წინსვლაში მდებარე ბიოლაბორატორიის მიმდებარე ტერიტორიაზე, გააჩერა ავტომანქანა და მოკვლის მიზნით ცეცხლსასროლი იარაღიდან რამდენჯერმე გაისროლა, რის შედეგადაც მიღებული სხეულის დაზიანებებით გ. მ-ძე ადგილზევე გარდაიცვალა, ხოლო დ. მ-ძემ ქვემო კიდურებზე მიიღო სიცოცხლისათვის სახიფათო მძიმე ხარისხის დაზიანებები.

აღნიშნული ქმედებისათვის თ. ქ-ძეს 2000 წლის 1 ივნისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 228-ე მუხლის მე-3 ნაწილით მიესაჯა 3 წლით, 238-ე მუხლის მე-2 ნაწილით - 3 წლით, 105-ე მუხლით - 8 წლით, ხოლო მე-17,104-ე მუხლის მე-4 პუნქტით - 11 წლით თავისუფლების აღკვეთა; სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თ. ქ-ძეს მოსახდელად განესაზღვრა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა; 2000 წლის 1 ივნისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 42-ე მუხლის საფუძველზე მას საბოლოოდ მიესაჯა 15 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყო 2006 წლის 26 მაისიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულის ადვოკატებმა - თ. ნ-ძემ და გ. გ-ძემ. მათ ითხოვეს თ. ქ-ძის დამნაშავედ ცნობა საქართველოს 2000 წლის 1 ივნისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 228-ე მუხლის მე-2 ნაწილით, ხოლო ბრალდების დანარჩენ ნაწილში - გამართლება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 28 ნოემბრის განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

კასატორი - მსჯავრდებულის ინტერესების დამცველი, ადვოკატი თ. ნ-ძე საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლო ძირითადად დაეყრდნო პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განაჩენში ჩამოყალიბებულ ფაქტობრივ გარემოებებსა და სამართლებრივ შეფასებებს; საქმეში არ არსებობს არანაირი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებს მსჯავრდებულის მონაწილეობას მისთვის ინკრიმინირებულ დანაშაულში, გარდა დაზარალებულ დ. მ-ძის წინასწარ გამოძიებაში მიცემული ურთიერთგამომრიცხველი და არათანმიმდევრული ჩვენებებისა; დაცვის მხარეს არ მიეცა შესაძლებლობა, მონაწილეობა მიეღო დაზარალებულის დაკითხვაში, რათა გარკვეულიყო, რა გახდა მიზეზი სამართალდამცავ ორგანოებთან 15 წლის წინ გამოყენებული დუმილისა და რატომ გახდა იძულებული, დაერღვია ნებაყოფლობით არჩეული დუმილის უფლება.

კასატორის აზრით, განაჩენი უკანონო და დაუსაბუთებელია, რადგან სასამართლოს დასკვნა არ გამომდინარეობს საქმეზე შეკრებილ უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობიდან; წინააღმდეგობრივ მტკიცებულებათა არსებობისას სასამართლომ დაუსაბუთებლად უარყო ერთი და მიიღო მეორე მტკიცებულება ისე, რომ არ აღმოფხვრა მათ შორის არსებული წინააღმდეგობა, რაც ეჭვქვეშ აყენებს სასამართლო დასკვნების უტყუარობას; სასამართლოს მტკიცებულებად მოჰყავს დაზარალებულის უფლებამონაცვლე მ. წ-ძის ჩვენებები; დაცვის ვარაუდით, მ-ძეებთან მისულ თ. ქ-ძეს სწორედ დ. მ-ძე დახვდა აგრესიულად, შეიარაღებული და ნასვამი; საქმეში ფიგურირებდა მეორე იარაღიც, რომლის საქმიდან გაქრობის მიზნით წინასწარ გამოძიებაში დღის წესრიგში დადგა მტკიცებულებების განადგურების საკითხი, კერძოდ, შეიქმნა დოკუმენტი, რომლითაც დასტურდებოდა, რომ მ-ძეების ახლობლები უარს აცხადებდნენ გ. მ-ძის გვამის გაკვეთაზე; უკვალოდ გაქრა როგორც დ. მ-ძის სხეულიდან ამოღებული ტყვია, ისე - მ-ძეების ტანსაცმელი, რათა არ ჩატარებულიყო რაიმე სახის

ექსპერტიზა, რომელიც დაადგენდა გ. მ-ის გარდაცვალების მიზეზს; მ. წ-მე თავისი ჩვენებებით ცდილობს, ოჯახში დატრიალებული უბედურება თ. ქ-მის მიერ ჩადენილად წარმოადგინოს, ცეცხლსასროლი იარაღი და გასროლა მას გადააბრალოს და ამით მიჩქმალოს რეალური ფაქტი; სწორედ დაზარალებულის უფლებამონაცვლის უმოქმედობით დადგა შედეგი, რადგან სიტუაციის განსამუხტავად მან პოლიციას კი არ დაურეკა, არამედ მეუღლეს დაუმახა; მ. წ-მის ჩვენებები არ გამოდგება იმის სამტკიცებლად, რომ სწორედ თ. ქ-მემ დაჭრა დ. მ-მე და მოკლა გ. მ-მე, რადგან დაზარალებულის უფლებამონაცვლე დღესაც არ ფლობს ზუსტ ინფორმაციას მომხდართან დაკავშირებით; რაც შეეხება მოწმეებს - ი. ხ-შვილსა და ე. კ-ძეს, ისინი ადასტურებენ მხოლოდ იმ ფაქტს, რომ მ-ძეების ოჯახიდან გადიოდა ხმამაღალი საუბრის ხმა და გაიგეს გასროლის ხმა, თუმცა სასამართლოს მათი ჩვენებები მაინც თ. ქ-მის ბრალდების მამტკიცებლად მოჰყავს; საეჭვოა მოწმე თ. მ-მის ჩვენებაც, რადგან, თუკი მან დაინახა, როგორ ჩასვა ძალით შეიარაღებულმა თ. ქ-მემ მამამისი და მისი ძმა მანქანაში, რატომ არ დარეკა პოლიციაში ან რატომ აირჩია დუმილის უფლება იქამდე, სანამ ოჯახში ტრაგედია არ დატრიალდა; ასევე არ არის სარწმუნო მოწმე ნ. ჯ-ის ჩვენებები, რადგან მან დღესაც არაფერი იცის, რა მოხდა; უდავოა, რომ დაზარალებული დ. მ-მე რატომღაც გაურბის სიმართლეს; თავის დროზე შიშის სინდრომი არ აძლევდა შესაძლებლობას, ეთქვა სიმართლე და დაედასტურებინა შემთხვევის ადგილზე ვინმე ა. ჩ-მის ყოფნა; ახლა, როდესაც ეს პიროვნება ცოცხალი აღარ არის, ცდილობს, ყველაფერი თ. ქ-ძეს გადააბრალოს; მოსამართლე განაჩენით რატომღაც გამორიცხავს შემთხვევის ადგილზე ა. ჩ-მის ყოფნას, ასევე - მსჯავრდებულის მიერ სიმართლის თქმას; გაუგებარია, რატომ შეიძლება სასამართლომ იგნორირება გაუკეთოს და არ გაიზიაროს დ-ძეების ოჯახის წევრების გულწრფელი ჩვენებები, რომლებიც მიუთითებენ დ. მ-ძეზე, როგორც გამომძალველზე; სასამართლომ თავი აარიდა მოწმე მ. დ-მის დაკითხვას, რომელიც წინასწარ გამოძიებაში ადასტურებდა, რომ მათი ოჯახიდან ფულის გამომძალველი იყო დ. მ-მე და რომ აღნიშნულის შესახებ თ. ქ-ძეს აცნობა ა. ჩ-ძემ; დ. მ-მემ იცრუა, როდესაც განაცხადა, რომ თ. ქ-მის სროლის შემდეგ „გაითიშა“ და საავადმყოფოში მოვიდა გონებაზე, რადგან მოწმე ი. ს-მის ჩვენებით, მან გაიგო ახალგაზრდა ბიჭის ყვირილი და ეს ბიჭი იყო დ. მ-მე.

კასატორის აზრით, წინასწარი გამოძიება, ისევე, როგორც სასამართლო, არ შეეცადა საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენას; სასამართლომ დაუშვებლად არ ცნო ის მტკიცებულებები, რომელთა შედგენისას დაირღვა საპროცესო კოდექსით დადგენილი მოთხოვნები, კერძოდ: შემთხვევის ადგილის დათვალიერების, გვამის გაკვეთაზე წინააღმდეგობის გაწევის, დაზარალებულის მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის ოქმები, ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნა; აღნიშნული მასალები სასამართლოს დაუშვებელ მტკიცებულებად რომ ეცნო, საქმეში არ დარჩებოდა არც ერთი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა თ. ქ-მის მიერ დანაშაულის ჩადენას; სასამართლომ დაცვის მხარეს უსაფუძვლოდ უთხრა უარი გამომძიებელ ბ-მის მოწმის სახით დაკითხვის შუამდგომლობაზე; გამომძიებელი, ალბათ, განმარტავდა, რატომ არ ჩათვალა საჭიროდ შემთხვევის ადგილიდან სისხლის ნიმუშების აღება, მათზე ექსპერტიზის ჩატარება, რატომ არ მოიძებნა დროულად და არ იქნა ამოღებული თ. ქ-მის ავტომანქანა; რატომ არ ამოიღეს დროულად გარდაცვლილის ტანსაცმელი და რატომ არ ჩატარდა მასზე ფიზიკო-ტექნიკური ექსპერტიზა; რატომ დაუბრუნდა დაზარალებულს შემთხვევის ადგილიდან ამოღებული და დალუქული ფეხსაცმელი ისე, რომ მასზე არ ჩატარდა არანაირი ექსპერტიზა; რა მიზანს ემსახურებოდა დ-ძეების ოჯახის წევრების დაკითხვა, თუ სამართალდამცავი ორგანო არ მოახდენდა შესაბამის რეაგირებას ფულის გამომძალვასთან დაკავშირებით.

კასატორი ითხოვს თ. ქ-მის დამნაშავედ ცნობას მხოლოდ ამავე კოდექსის 228-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რომლის ჩადენასაც აღიარებს მსჯავრდებული, 2007 წლის 29 ნოემბრის ამნისტიის აქტის გამოყენებას, დანარჩენ ნაწილში კი - გამართლებას. გარდა აღნიშნულისა, ადვოკატი თ. ნ-მე აღნიშნავს, რომ თ. ქ-მე აღიარებს და ინანიებს ჩადენილ დანაშაულს; აქვს ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობა; ჰყავს სამი შვილი, რომელთაც აქვთ მონაცემები, რომ მომავალში იყვნენ ღირსეული ადამიანები, რაც იმაზე მეტყველებს, რომ თ. ქ-მე ცდილობდა, ღირსეული მამობა გაეწია შვილებისათვის. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო მაინც ცნობს დამნაშავედ თ. ქ-ძეს საქართველოს 2000 წლის 1 ივნისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 238-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 105-ე მუხლითა და მე-17,104-ე მუხლის მე-4 პუნქტით, ადვოკატი ითხოვს, სასჯელის დანიშვნისას გაითვალისწინონ პასუხისმგებლობის ზემოაღნიშნული შემამსუბუქებელი გარემოებები.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გაანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში არსებული მასალები უდავოდ მეტყველებს, რომ თ. ქ-მემ ჩადინა მისთვის ბრალად შერაცხული ქმედებები და რომ გასაჩივრებული განაჩენით სრულყოფილად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, კერძოდ:

მოწმე ვ. დ-მის ჩვენებით ირკვევა, რომ 1992 წლის 12 სექტემბერს თ. ქ-მე ესტუმრა. ამ უკანასკნელმა ვახშობისას შეიტყო დ. მ-მის მიერ ვ. დ-მის მეუღლის მიმართ გამოთქმული მუქარის შესახებ, ძლიერ აღშფოთდა და დაახლოებით 23.³⁰ საათზე წავიდა.

დაზარალებულმა მ. წ-მემ განმარტა, რომ მის სახლში ღამით მისულმა თ. ქ-მემ მისკენ მიმართა ცეცხლსასროლი იარაღი, მეორე ხელით რაღაც საგანი მიადო დ. მ-ძეს და თქვა, რომ ამ საგანს ელექტროენერჯის გამოყოფა შეეძლო. თ. ქ-მე ჩაჯდა სავარძელში და ამბობდა, რომ იყო ქურდი და მათთან მივიდა დ-ძეების ოჯახიდან. ამის შემდეგ თ. ქ-მემ გაისროლა იარაღიდან გვერდით მდგარი სავარძლის მიმართულებით. შემდეგ გავიდა სამზარეულო ოთახში და კვლავ მოახდინა გასროლა. ბინაში შევიდა მეზობელი, რომელმაც თქვა, რომ მალე პოლიცია მივიდოდა. ამის გაგონებაზე თ. ქ-მე შემფოთდა, დ. მ-ძეს ხელი მოჰკიდა და მოსთხოვა, რომ იგი და მამამისი გაჰყოლოდნენ. დაახლოებით ერთ საათში მ. წ-ძეს აცნობეს, რომ მეუღლე გარდაცვლილი იყო, ხოლო შვილი - საავადმყოფოში გადაიყვანეს. დაზარალებულმა მიუთითა, რომ სროლის ხმაზე შეიკრიბნენ მეზობლები.

ანალოგიური ჩვენებები მისცა მოწმე ნ. ჯ-მა. მან ასევე მიუთითა, რომ თ. ქ-ძეს არ დაუსახელებია თავისი ქცევის მიზეზი.

მოწმე თამარ მ-ძის ჩვენებით დადგენილია, რომ შეატყობინეს მამამისის სახლში მომხდარი სროლის შესახებ. იქ მისულმა დაინახა, რომ თ. ქ-ძეს ჰქონდა იარაღი და მას გ. მ-მე ამშვიდებდა. მეზობელმა მათ უთხრა, რომ მალე პოლიცია მივიდოდა, რის გამოც თ. ქ-მემ მოსთხოვა დ. და გ. მ-ძეებს, გაჰყოლოდნენ.

მოწმეებმა - ი. ხ-შვილმა და ე. კ-მემ სასამართლოს განუმარტეს, რომ სროლის ხმაზე სადარბაზოში შეიკრიბნენ მეზობლები. ერთ-ერთმა პოლიციაში დარეკა. ისმოდა ჩხუბის ხმა, დ. მ-მე იძახდა - რა გინდათ ჩემგანო. ყოველივე დაახლოებით 30-40 წუთი გაგრძელდა. შემდეგ ბინიდან გამოვიდნენ თ. ქ-მე და დ. და გ. მ-ძეები.

უსაფუძვლოა კასატორის მოტივი, თითქოს შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდა ა. ჩ-მე და სწორედ მან ჩაიძინა მკვლელობა და მკვლელობის მცდელობა.

დაზარალებულ დ. მ-ძის ჩვენებებით სახლში თ. ქ-მე ხმამაღლა საუბრობდა, იმუქრობდა და ორჯერ გაისროლა იარაღიდან, რის გამოც მას დ. მ-მემ მიაყენა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა. ამის შემდეგ თ. ქ-მემ თავისი ავტომანქანით მამა-შვილი «საქმის გასარკვევად» წაიყვანა. გზად მსვლელობისას რ. მ-მემ თ. ქ-ძის ფიზიკური შეურაცხყოფის მიზეზად დაასახელა სახლში იარაღის გასროლა. კამათისას თ. ქ-მემ იკითხა - ხელი როგორ დამარტყიო, გააჩერა მანქანა და მამა-შვილს დამიზნებით ესროლა. დ. მ-მემ დაჰკარგა გონება და საავადმყოფოში გამოფხიზლდა. იქვე შეიტყო, რომ მამამისი გარდაიცვალა.

დადგენილია, რომ გ. მ-ძის მკვლელობის ადგილიდან და დაზარალებულის ბინიდან ამოღებული მასრები გასროლილია 9 მმ კალიბრის ერთი იარაღიდან.

თ. ქ-ძის მამამ - ე. ქ-მემ სასამართლოს განუმარტა, რომ მამა-შვილსა და თ. ქ-ძეს შორის «საქმის გარჩევისას» ამ უკანასკნელს იარაღი შემთხვევით გაუვარდა. მომხდარის შესახებ თავად თ. ქ-მემ უამბო.

ამრიგად, გასაჩივრებული განაჩენი დასაბუთებულია და მსჯავრდებულის ქმედება სწორადაა დაკვალიფიცირებული, ხოლო სისხლის სამართლის საპროცესო კანონი არსებითად არ დარღვეულა.

თ. ქ-ძის ერთი ქმედება სწორადაა დაკვალიფიცირებული სისხლის სამართლის კოდექსის ორი - 105 და მე-17,104-ე მუხლებით (2000 წლის 1 ივნისამდე მოქმედი რედაქციით), მაგრამ მსჯავრდებულს თითოეული ამ მუხლით არასწორად დაენიშნა ცალ-ცალკე სასჯელი. შესაბამისად, მსჯავრდებულს სსკ-ის 105-ე და მე-17,104-ე მუხლებით გათვალისწინებული ერთი ქმედებისათვის უნდა დაენიშნოს ერთი სასჯელი.

აღნიშნულის მიუხედავად, მსჯავრდებულისათვის დანიშნული საბოლოო სასჯელი უნდა დარჩეს უცვლელად, რადგან თ. ქ-ძის პიროვნებისა და ჩადენილი ქმედების სიმძიმის გათვალისწინებით, მისი შემსუბუქების, ისევე როგორც «ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის გამოყენების საფუძველი, არ არსებობს.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ თ. ქ-ძის ინტერესების დამცველის, ადვოკატ თ. ნ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს უსაფუძვლოების გამო.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 28 ნოემბრის განაჩენი შეიცვალოს: თ. ქ-ძეს 2000 წლის 1 ივნისამდე მოქმედი სსკ-ის 105-ე მუხლითა და მე-17,104-ე მუხლის მე-4 პუნქტით განესაზღვროს 11 წლით თავისუფლების აღკვეთა;

გასაჩივრებული განაჩენიდან ამოირიცხოს მითითება თ. ქ-ძისათვის 25 წლით თავისუფლების აღკვეთის დანიშვნის შესახებ;

2000 წლის 1 ივნისამდე მოქმედი სსკ-ის 42-ე მუხლის შესაბამისად, თ. ქ-ძეს საბოლოოდ მიესაჯოს 15 წლით თავისუფლების აღკვეთა.

სააპელაციო პალატის განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განზრახ მკვლელობა

განჩინება

#172-აპ

15 ოქტომბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- ი. ტყემელაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ დ. კ-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 5 დეკემბრის განაჩენზე, რომლითაც დ. კ-შვილი ცნობილ იქნა ბრალეულად საქართველოს სსკ-ის 105-ე მუხლით, 150-ე მუხლის II პუნქტითა (2000 წლის 1 ივნისამდე მოქმედი რედაქცია) და 379-ე მუხლის II ნაწილის «ა» ქვეპუნქტით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენაში.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 13 ივლისის განაჩენით დ. კ-შვილი ამჟამად პატიმარი, - ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 105-ე მუხლით - 10 წლით, 150-ე მუხლის II პუნქტით - 4 წლით (2000 წლის 1 ივნისამდე მოქმედი რედაქცია) და 379-ე მუხლის II ნაწილის «ა» ქვეპუნქტით - 6 წლით თავისუფლების აღკვეთა; მას საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის გამოყენებით განესაზღვრა 15 წლით თავისუფლების აღკვეთა, რასაც საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის II ნაწილის თანახმად, დაემატა თბილისის სამგორის რაიონული სასამართლოს 1992 წლის 6 აგვისტოს #1/76 განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 6 წელი, 3 თვე, 15 დღე და საბოლოოდ დ. კ-შვილს განესაზღვრა 21 წლით, 3 თვითა და 15 დღით თავისუფლების აღკვეთა.

იგი სასჯელს იხდის 2006 წლის 14 ნოემბრიდან.

განაჩენით დ. კ-შვილს მსჯავრი დაედო განზრახ მკვლელობისათვის, ასევე, ქურდობისათვის, ე.ი. მოქალაქეთა პირადი ქონების გატაცებისათვის, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია; თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან გაქცევისათვის, ჩადენილი ჯგუფურად.

აღნიშნული დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

წარსულში ორჯერ ნასამართლევი დ. კ-შვილი 1992 წლის 6 აგვისტოს გასამართლებულ იქნა დანაშაულისათვის, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 152-ე მუხლის I ნაწილითა და 112-ე მუხლის II ნაწილით (ძველი რედაქცია), რისთვისაც მიესაჯა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა. 1992 წლის 23 სექტემბრიდან იგი სასჯელს იხდიდა საქართველოს შს სამინისტროს სასჯელაღსრულების #123/37 დაწესებულებაში.

1993 წლის 13 იანვარს, დაახლოებით 2 საათსა და 5 წუთზე, მან აღნიშნული დაწესებულების 153 მსჯავრდებულთან ერთად, წინასწარი შეთანხმებით, დაწესებულების ტერიტორიაზე არსებული სადამოს საშუალო სკოლის შენობის ბიბლიოთეკის ოთახიდან მათ მიერ წინასწარ გათხრილი 30 მეტრი სიგრძის მიწისქვეშა გვირაბის საშუალებით მოახდინა ჯგუფური გაქცევა და ისინი მიიმალნენ. 1993 წლის 17 იანვარს გამოცხადდა მათი ძებნა.

1995 წლის 4 აგვისტოს დაახლოებით 2 საათზე, ნასვამმა ა. კ-მემ თავის საცხოვრებელ ბინაში მიიპატიჟა ასევე ნასვამი ზ. და რ. ნ-ძეები, ვ. ა-შვილი და ძებნილი დ. კ-შვილი. ა. კ-მე სტუმრებს გაუმასპინძლდა შამპანურით, რის შემდეგ, დაახლოებით 2 საათსა და 30 წუთზე, სტუმრები წავიდნენ. ძმებმა ზ. და რ. ნ-ძეებმა, დაახლოებით 3 საათსა და 30 წუთზე, დ. კ-შვილი დატოვეს თავისი მშობლების სახლთან, საიდანაც ამ უკანასკნელმა წამოიღო ორი ქილა ლუდი და ერთი ქილა „ფანტა« და კვლავ დაბრუნდა ა. კ-მის ბინაში, სადაც იგი იმყოფებოდა მარტო. ბინაში ყოფნის დროს მათ შორის დაიწყო ჩხუბი, რა დროსაც დ. კ-შვილმა ა. კ-მეს, განზრახ მოკვლის მიზნით, დანით მიაყენა მრავლობითი, სიცოცხლისათვის სახიფათო დაზიანებები თავის, კისრისა და გულმკერდის არეში, რის შედეგადაც ა. კ-მე ადგილზევე გარდაიცვალა. დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის შემდეგ დ. კ-შვილმა ა. კ-მის ბინიდან ფარულად გაიტაცა ფულადი თანხა - 1500 აშშ დოლარი, 15 მილიონი კუპონი (1995 წლის 4 აგვისტოს მდგომარეობით 11,54 აშშ დოლარი), მამაკაცის ოქროს ყელსაბამი თავისივე ჯვრით, ორი ცალი ოქროს ყელსაბამი ჯვრებით, სამივე ღირებული - 150 აშშ დოლარად, მამაკაცის ყავისფერი უცხოური „დუბლიონკა« ღირებული - 300 აშშ დოლარად, მამაკაცის შალის რუხი ფერის პიჯაკი, ღირებული - 50 აშშ დოლარად. სულ დაზარალებულს მან მიაყენა 2000 აშშ დოლარის

ზიანი და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დ. კ-შვილი პოლიციის მუშაკებმა დააკავეს 2006 წლის 14 ნოემბერს.

აპელანტი, მსჯავრდებული დ. კ-შვილი თავისი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 13 ივლისის განაჩენში ცვლილების შეტანას და მის გამართლებას საქართველოს სსკ-ის 105-ე მუხლითა და 150-ე მუხლის II პუნქტით (2000 წლის 1 ივნისამდე მოქმედი რედაქცია) გათვალისწინებულ დანაშაულებში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 5 დეკემბრის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 13 ივლისის განაჩენი დარჩა უცვლელად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 5 დეკემბრის განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა დ. კ-შვილმა საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

კასატორი დ. კ-შვილი ითხოვს განაჩენის გაუქმებას, ვინაიდან თავს არ ცნობს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 105-ე მუხლითა და 150-ე მუხლის II პუნქტით (2000 წლის 1 ივნისამდე მოქმედი რედაქცია) გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენაში და ითხოვს ხსენებულ მუხლებში გამართლებას.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და თვლის, რომ მსჯავრდებულ დ. კ-შვილის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 5 დეკემბრის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულის სასიკეთოდ, შემდეგი გარემოებების გამო:

პალატა არ იზიარებს მსჯავრდებულ დ. კ-შვილის საკასაციო საჩივრის მოთხოვნას სააპელაციო სასამართლოს უკანონო და დაუსაბუთებელი განაჩენის გაუქმებისა და საქართველოს სსკ-ის 105-ე მუხლით (2000 წლის 1 ივნისამდე მოქმედი რედაქცია) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში გამართლების შესახებ, უსაფუძვლოების გამო.

პალატას მიაჩნია, რომ საქმეზე წარმოდგენილ მტკიცებულებათა ერთობლიობით, კერძოდ, მოწმეების: ზ. ნ-ძის, რ. ნ-ძის, ვ. ა-შვილის ჩვენებებით, გ. ნ-ძის, ე. მ-ევას, დ. გ-ანის, ლ. ჩ-შვილის, ბ. ვ-ძის, ზ. გ-ძის დაკითხვის ოქმებით, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის #643 და #276, ბიოლოგიური ექსპერტიზის #3328/12 დასკვნებით, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმით და საქმის სხვა მასალებით მსჯავრდებულისათვის ბრალად შერაცხული სსკ-ის 105-ე მუხლითა და 379-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა დადასტურებულია.

ამასთან, პალატას მიაჩნია, რომ არ არსებობს არცერთი უტყუარი მტკიცებულება იმისა, რომ დ. კ-შვილმა ა. კ-ძის ბინიდან ფარულად გაიტაცა ფულადი თანხა და ნივთები. რაც შეეხება მოვარდისფრო ფერის თეთრი ვიწრო ზოლიანი მამაკაცის პერანგს, რომელიც ეკუთვნოდა გარდაცვლილ დ. კ-ძეს და რომელიც ამოღებული იქნა დ. კ-შვილის ბინიდან, აღნიშნული ნივთის ფარულად, მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებას გამოძიება დ. კ-შვილს საბრალდებო დასკვნით არ ედავება.

საქართველოს სსკ-ის მე-10 მუხლის თანახმად, „ყოველგვარი ეჭვი, რომელიც არ დასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ეჭმიტანისა და ბრალდებულის სასარგებლოდ«, ხოლო საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 496-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად: „სასამართლოს განაჩენი დასაბუთებულია, თუ მისი დასკვნები ემყარება სასამართლო სხდომაზე განხილულ უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობას და ეს მტკიცებულებები საკმარისია სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად«.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა მიიჩნევს, რომ დ. კ-შვილის მიმართ საქართველოს სსკ-ის 150-ე მუხლის II პუნქტის საფუძველზე (2000 წლის 1 ივნისამდე მოქმედი რედაქცია) წარდგენილი ბრალდება, მტკიცებულებების უქონლობის გამო, განაჩენიდან უნდა ამოირიცხოს და ამ ნაწილში მის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა.

ამდენად, პალატა ითვალისწინებს რა აღნიშნულს, შესაძლებლად თვლის, რომ გასაჩივრებულ განაჩენში შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულის სასიკეთოდ, კერძოდ დ. კ-შვილს საქართველოს სსკ-ის 105-ე მუხლით დანიშნული სასჯელი - 10 წლით თავისუფლების აღკვეთა - შეუმცირდეს 1 წლით და აღნიშნული მუხლით მას სასჯელის ზომად განესაზღვროს 9 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 379-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელი - 6 წლით თავისუფლების აღკვეთა - შეუმცირდეს 1 წლით და აღნიშნული მუხლით მას სასჯელის ზომად განესაზღვროს 5 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის (2000 წლის პირველ ივნისამდე მოქმედი რედაქცია) გამოყენებით, დანაშაულთა ერთობლიობით დ. კ-შვილს სასჯელად უნდა განესაზღვროს 14 წლით თავისუფლების აღკვეთა, რასაც უნდა დაემატოს 1992 წლის 6 აგვისტოს თბილისის სამგორის რაიონული სასამართლოს განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 6 წელი 3 თვე და 15 დღე და მას საბოლოო სასჯელად უნდა განესაზღვროს 20 წლით, 3 თვითა და 15 დღით თავისუფლების აღკვეთა.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის I ნაწილის „ა“, „დ» ქვეპუნქტებითა და 568-ე მუხლით,

დ ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ დ. კ-შვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 5 დეკემბრის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ შემდეგი მიმართებით:

მსჯავრდებულ დ. კ-შვილს განაჩენიდან ამოერიცხოს საქართველოს სსკ-ის 150-ე მუხლის II ნაწილით (2000 წლის 1 ივნისამდე მოქმედი რედაქცია) წარდგენილი ბრალდება და ამ ნაწილში მის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა.

საქართველოს სსკ-ის 105-ე მუხლით დანიშნული სასჯელი - 10 წლით თავისუფლების აღკვეთა - შეუმცირდეს 1 წლით და აღნიშნული მუხლით მას სასჯელის ზომად განესაზღვროს 9 წლით თავისუფლების აღკვეთა; საქართველოს სსკ-ის 379-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელი - 6 წლით თავისუფლების აღკვეთა - შეუმცირდეს 1 წლით და აღნიშნული მუხლით მას სასჯელის ზომად განესაზღვროს 5 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის (2000 წლის პირველ ივნისამდე მოქმედი რედაქცია) გამოყენებით, დ. კ-შვილს სასჯელად განესაზღვროს 14 წლით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაემატოს 1992 წლის 6 აგვისტოს თბილისის სამგორის რაიონული სასამართლოს განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 6 წელი, 3 თვე და 15 დღე და საბოლოოდ, დ. კ-შვილს სასჯელად განესაზღვროს 20 წლით, 3 თვითა და 15 დღით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განზრახ მკვლელობა

განჩინება

#557-აპ

30 ოქტომბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე),

პ. სილაგაძე,

ი. ტყემელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ მ. ბ-მის ინტერესების დამცველი ადვოკატის - ი. გ-მისა და დაზარალებულ ე. ს-მის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 13 თებერვლის განაჩენზე, რომლითაც მ. ბ-მე ცნობილ იქნა ბრალეულად საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლითა და 236-ე მუხლის I, II ნაწილებით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენაში.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 28 მაისის განაჩენით მ. ბ-მე ამჟამად პატიმარი, ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლითა და 236-ე მუხლის I, II ნაწილებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, რისთვისაც საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, შეკრების წესით, სასჯელად განესაზღვრა 17 წლით თავისუფლების აღკვეთა.

იგი სასჯელს იხდის 2006 წლის 30 სექტემბრიდან.

განაჩენით მ. ბ-მეს მსჯავრი დაედო განზრახ მკვლელობის ჩადენაში, ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო ტარებასა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შექმნა-შენახვაში, რაც გამოიხატა შემდეგში:

2006 წლის 30 სექტემბერს მ. ბ-მე იმყოფებოდა თავის საცხოვრებელ სახლში, რომელიც მდებარეობს დაბა წყნეთში, ... ქუჩის #3ა-ში. დაახლოებით 8 საათსა და 45 წუთზე მ. ბ-მესთან მივიდა მეგობარი, მეზობლად მცხოვრები ზ. ს-მე და ჭიშკრის გარედან დაუძახა მას. მ. ბ-მე გავიდა ეზოს გარეთ, ზ. ს-მესთან. მათი საუბარი გადაიზარდა ჯერ ურთიერთშელაპარაკებაში, შემდგომ კი ჩხუბში, რა დროსაც მ. ბ-მემ სახლიდან წინასწარ გამოტანილი „მაკაროვის» სისტემის ცეცხლსასროლი პისტოლეტიდან ზ. ს-მეს განზრახ მოკვლის მიზნით შეიძვერ ესროლა. ზ. ს-მემ მიიღო სხეულის დაზიანებები, კერძოდ: ზოგადი მწვავე სისხლნაკლებობა, ცეცხლსასროლი გამჭოლი ჭრილობები -

შემაჯავლი ორივე ფილტვის, გულის, აორტის რკალის, წვრილი და მსხვილი ნაწლავების დაზიანებით, მარცხენა ბეჭის ძვლის მოტეხილობა. მიყენებული დაზიანებების შედეგად იგი ადგილზევე გარდაიცვალა. ზ. ს-ძის სიკვდილის მიზეზი გახდა ზოგადი მწვავე სისხლნაკლებობა, გამოწვეული გულმკერდის ღრუს ორგანოების დაზიანებით.

მ. ბ-ძემ, მას შემდეგ, რაც დაწმუნდა, რომ თავისი განზრახვა სისრულეში მოიყვანა, მკვლელობის იარაღი დაადგო გარდაცვლილის სხეულიდან რამდენიმე მეტრის დაშორებით, თვითონ კი შემთხვევის ადგილიდან მიიშალა.

მ. ბ-ძის საცხოვრებელი სახლის ჩხრევისას ამოღებულ იქნა: 1974 წლის ნიმუშის „კალაშნიკოვის» კონსტრუქციის 5,45 მმ კალიბრიანი 7 ვაზნა; 1943 წლის ნიმუშის 7,62 მმ კალიბრიანი - 4, 5,6 მმ კალიბრიანი რგოლოური აალების - 2, 1895 წლის ნიმუშის 7,62 მმ კალიბრიანი - 1, 1917 წლის ნიმუშის 7,72 მმ კალიბრიანი - 1 ვაზნა. ჩამოთვლილი სხვადასხვა სახეობის ცეცხლსასროლი იარაღისათვის განკუთვნილი ვაზნები მიეკუთვნება საბრძოლო მასალათა კატეგორიას და ვარგისია გამოყენებისათვის. გულუვლუიანი სანადირო თოფისათვის განკუთვნილი 8 ვაზნა, 9 მმ კალიბრიანი „მაკროვის» სისტემის პისტოლეტისათვის განკუთვნილი 4 ვაზნა ასევე განეკუთვნება საბრძოლო მასალათა კატეგორიას და ვარგისია გამოყენებისათვის.

აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა დაზარალებულმა ე. ს-ძემ. იგი მიიჩნევს, რომ მ. ბ-ძის მიმართ დადგენილი განაჩენი არის ლომობიერი, არ შეესაბამება დამნაშავეს პიროვნებას და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს. ე. ს-ძე აღნიშნავს, რომ ცეცხლსასროლი იარაღით ჭრილობების მიყენების შემდეგ მ. ბ-ძე გაიქცა და მიიშალა, ნაცვლად რაიმე ზომების მიღებისა და ასეთ მდგომარეობაში მყოფი ადამიანის დახმარებისა. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაზარალებული ითხოვს მ. ბ-ძისათვის წარდგენილი მუხლებით გათვალისწინებული სასჯელის მაქსიმუმის შეფარდებას.

განაჩენი ასევე გაასაჩივრა განსასჯელის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ი. გ-ძემ. აპელანტი მიიჩნევდა, რომ სასამართლო გამოძიება ჩატარდა ცალმხრივად და არასრულად. სასამართლომ არ გამოიკვლია ისეთი არსებითი ხასიათის გარემოებები, რომელთა გარეშე შეუძლებელია საქმეზე სწორი გადაწყვეტილების მიღება. სასამართლომ ეჭვი არ განმარტა განსასჯელის სასარგებლოდ. ზ. ს-ძის მკვლელობის ფაქტს თვითმხილველი არ ჰყავს, ამიტომ ქმედების კვალიფიკაციისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება მ. ბ-ძის ჩვენებას, რომელიც მკვლელობის მოტივად ასახელებს დაზარალებულ ზ. ს-ძის თხოვნას მისი მოკვლის თაობაზე, რისთვისაც მას „ქურდად აღიარებდნენ». ადვოკატი აღნიშნავს, რომ განსასჯელის მიერ წინასწარ გამოძიებასა და სასამართლოში მიცემული ჩვენებები არის არათანმიმდევრული და ურთიერთგამომრიცხავი, რაც იწვევს ეჭვს განსასჯელის ფსიქიკურ სრულფასოვნებაზე. დაცვის მხარეს გამოძიების პროცესში ფსიქიატრიულ-ფსიქოლოგიური ექსპერტიზის ჩატარებაზე უსაფუძვლოდ ეთქვა უარი. ადვოკატი მიიჩნევს, რომ განსასჯელის ქმედება უნდა დაკვალიფიცირებულიყო მკვლელობად, ჩადენილი ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში. ამასთანავე, აპელანტი თვლის, რომ განსასჯელისათვის 236-ე მუხლით წარდგენილი ბრალდება არის ზედმეტად შერაცხული, რადგანაც მ. ბ-ძეს ჰქონდა ტყვიების კოლექცია, რომელსაც არ იყენებდა მისი პირდაპირი დანიშნულებით. რაც შეეხება ცეცხლსასროლი იარაღის ტარებას, იარაღი ბ-ძეს ხელში ეჭირა და იგი, უბრალოდ, წაიყოლა, როდესაც ს-ძემ დაუძახა. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვდა მ. ბ-ძის გამართლებას სსკ-ის 236-ე მუხლით წარდგენილ ბრალდებაში და მისი ქმედების დაკვალიფიცირებას საქართველოს სსკ-ის 111-ე მუხლით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 13 თებერვლის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 28 მაისის განაჩენი დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ მ. ბ-ძის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ი. გ-ძემ და დაზარალებულმა ე. ს-ძემ საკასაციო საჩივრებით მიმართეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

მსჯავრდებულის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ი. გ-ძემ ითხოვა შეურაცხაობის გამო, რა დროსაც მ. ბ-ძეს არ შეეძლო, გაეცნობიერებინა თავისი ქმედების ფაქტობრივი ხასიათი, მართლწინააღმდეგობა და ეხელმძღვანელა მისთვის, მსჯავრდებულის განთავისუფლება სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან. ალტერნატივის სახით კი ითხოვა სააპელაციო სასამართლოს განაჩენში მსჯავრდებულის სასიკეთოდ ცვლილების შეტანა, ქმედების გადაკვალიფიცირება საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლიდან იმავე კოდექსის 113-ე მუხლზე, ხოლო სსკ-ის 236-ე მუხლის I, II ნაწილებით წარდგენილ ბრალდებაში - საქართველოს სსკ-ის 28-ე მუხლის I ნაწილის „ა» ქვეპუნქტით სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა და მსჯავრდებულის გამართლება.

დაზარალებულმა ე. ს-ძემ ითხოვა ლომობიერების მოტივით განაჩენის გაუქმება და მსჯავრდებულისათვის წარდგენილი მუხლებით სასჯელების მაქსიმუმის შეფარდება.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობა და თვლის, რომ საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლოს

სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 13 თებერვლის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულის სასიკეთოდ, შემდეგი გარემოებების გამო:

პალატა არ იზიარებს დაზარალებულ ე. ს-ძის საკასაციო საჩივრის მოთხოვნას მსჯავრდებულის მიმართ დანიშნული სასჯელის გამკაცრების შესახებ უსაფუძვლოების გამო.

პალატა ასევე არ იზიარებს მსჯავრდებულის ინტერესების დამცველი ადვოკატის - ი. გ-ძის მოთხოვნას შეურაცხაობის გამო მსჯავრდებულის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების ან ალტერნატივის სახით ქმედების საქართველოს სსკ-ის 113-ე მუხლზე გადაკვალიფიცირებისა და სსკ-ის 236-ე მუხლის I, II ნაწილებით წარდგენილ ბრალდებაში სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ, უსაფუძვლოების გამო.

პალატას მიაჩნია, რომ საქმეზე წარმოდგენილ მტკიცებულებათა ერთობლიობით: მ. ბ-ძის ნაწილობრივ აღიარებითი ჩვენებით, ექვმიტანილის დაკავების, შემთხვევის ადგილის დათვალიერების, ამოღების, ჩხრეკის ოქმებით, ბალისტიკური, ბიოლოგიური, ქიმიური სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზების დასკვნებით, მოწმეების: დ. გ-შვილის, ვ. ზ-შვილის, შ. გ-ძის, ლ. ჩ-ელის ჩვენებებით, დაზარალებულის უფლებამონაცვლის - ე. ს-ძის ჩვენებით და საქმის სხვა მასალებით მსჯავრდებულისათვის ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენა დადასტურებულია და სწორი სამართლებრივი შეფასება აქვს მიცემული.

მსჯავრდებულის ადვოკატის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მ. ბ-ძეს დანაშაულის ჩადენის დროს არ შეეძლო, გაეცნობიერებინა თავისი ქმედების ფაქტობრივი ხასიათი ან მართლწინააღმდეგობა, ანდა ეხელმძღვანელა მისთვის, გაზიარებული ვერ იქნება, შემდეგ გარემოებათა გამო:

2007 წლის 13 ნოემბრის ალტერნატიული, კომისიური, კომპლექსური, სტაციონარული, სასამართლო ფსიქიატრიულ-ფსიქოლოგიური ექსპერტიზის №1940-857/27-155 დასკვნის თანახმად, მ. ბ-ძე ბრალად შერაცხული დანაშაულის ჩადენის დროს ქრონიკული ფსიქიკური ავადმყოფობით, ფსიქიკის დროებითი აშლილობით, ან ჭკუასუსტობით დაავადებული არ იყო. მას აღენიშნებოდა არაფსიქოზური დონის ფსიქიკური აშლილობა შერეული პერსონოლოგიური აშლილობის სახით და მას შეეძლო, გაეცნობიერებინა თავისი ქმედების ფაქტობრივი ხასიათი და მართლწინააღმდეგობა და ეხელმძღვანელა მისთვის (შერაცხადობა), რაზეც მოწმობს მისი მიზანმიმართული და თანმიმდევრული ქმედებები დანაშაულის ჩადენის დროს, ასევე მის ქცევაში ზოდვის, აღქმის პათოლოგიის ან ცნობიერების აშლის ნიშნების არარსებობა. მ. ბ-ძეს აქვს ფსიქიკური ნაკლი. იგი არანებაყოფლობით სტაციონარულ ფსიქიატრიულ დახმარებას არ საჭიროებს და მას შეუძლია, პასუხი აგოს მართლმსაჯულების წინაშე ბრალად შერაცხული ქმედებისათვის. აღნიშნულ დასკვნას ხელი მოაწერა კომისიის სამმა წევრმა, ს.ს.ი.პ «ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს» ექსპერტებმა, ხოლო სამი წევრი, მ. ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ფსიქიატრები დარჩნენ განსხვავებულ აზრზე.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 28-ე მუხლის მეორე ნაწილის «ე» ქვეპუნქტის თანახმად სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა შეწყდეს თუ პირის შეურაცხაობა დადასტურებულია სახელმწიფო სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნით, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არა აქვს.

პალატა ასევე ვერ გაიზიარებს აპელანტის მოსაზრებას, რომ მ. ბ-ძემ მკვლელობა ჩაიდინა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით, ვინაიდან აღნიშნული არ დასტურდება საქმეში არსებული და სასამართლო გამოძიების დროს გამოკვლეული მტკიცებულებებით. მსჯავრდებულის განმარტება, რომ მასსა და ზ. ს-ძეს შორის კონფლიქტი დაახლოებით ნახევარ საათს გაგრძელდა, არ დასტურდება მოწმეთა ჩვენებებით.

მოწმის სახით დაკითხვისას ვ. ზ-შვილმა განმარტა, რომ შემთხვევამდე ზ. ს-ძე მივიდა მასთან ჯიხურში, მიღების ჩაბარების მიზნით, რაზეც უარი უთხრა. მისი წასვლიდან დაახლოებით 5 წუთში გაიგო ჯერ სამი გასროლის ხმა, შემდეგ კიდევ შემოესმა სროლების ხმა. სროლებს შორის დაახლოებით იყო სამი წამის სხვაობა.

რაიმე კონფლიქტის ან ჩხუბის ხმა არ გაუგია არც მსჯავრდებულის დედას - მ. ბ-ძეს და არც შემთხვევის ადგილიდან ახლოს მდებარე მადაზიის გამყიდველს - დ. გ-შვილს.

პალატა თვლის, რომ აღნიშნულ ვითარებაში მ. ბ-ძის ქმედება არ შეიძლება, მიჩნეულ იქნეს აუცილებელი მოგერიების მდგომარეობად, ვინაიდან აუცილებელი მოგერიების მთავარი კომპონენტები - თავდასხმა და თავდაცვის მიზანი მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს და, შესაბამისად, ვერც მისი ფარგლების გადაცილება მოხდებოდა.

საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძვლად დაედება განაჩენის გაუქმებას.

ამასთან, საქართველოს სსკ-ის 565-ე მუხლის თანახმად, მსჯავრდებულის ქმედების სიმძიმისა და პიროვნების შეუსაბამოდ ითვლება სასჯელი, რომელიც, თუმცა არ სცილდება კანონით გათვალისწინებული სანქციის ფარგლებს, მაგრამ თავისი სახითა და ზომით, მეტისმეტი სიმკაცრის გამო, აშკარად უსამართლოა.

საკასაციო პალატა, იქიდან გამომდინარე, რომ მსჯავრდებული ნაწილობრივ ინანიებს ჩადენილ დანაშაულს, ხასიათდება დადებითად, არ არის ნასამართლევი, შესაძლებლად მიიჩნევს, რომ მ. ბ-ძეს საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით შეფარდებული სასჯელი - 13 წლით თავისუფლების აღკვეთა -

შეუმცირდეს 3 წლით და საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, შეკრების წესით, საბოლოო სასჯელად განესაზღვროს 14 წლით თავისუფლების აღკვეთა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის I ნაწილის „ა», „დ» ქვეპუნქტებით, 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ მ. ბ-ძის ინტერესების დამცველი ადვოკატის - ი. გ-ძისა და დაზარალებულ ე. ს-ძის საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 13 თებერვლის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ შემდეგი მიმართებით:

მ. ბ-ძეს საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით დანიშნული სასჯელი - 13 წლით თავისუფლების აღკვეთა - შეუმცირდეს 3 წლით და ამ მუხლით მას სასჯელად განესაზღვროს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა.

მ. ბ-ძეს საბოლოო სასჯელად განესაზღვროს 14 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებათა გარეშე

განჩინება

#181-აპ-8

3 ნოემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),

მ. ოშხარელი,

პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ უ. ს-ძის დამცველის, ადვოკატ მ. ჭ-ძის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 6 დეკემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

უ. ს-ძე ამჟამად პატიმრობაში მყოფი, წყალტუბოს რაიონული სასამართლოს მიერ მსჯავრდებულ იქნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლისა და 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის «გ» ქვეპუნქტის საფუძველზე, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 13 წლის ვადით.

განაჩენით უ. ს-ძეს მსჯავრი დაედო განზრახ მკვლელობის მცდელობისათვის, ჩადენილი ხულიგნური ქვენაგრძნობით, რაც გამოიხატა შემდეგში:

2007 წლის 18 აპრილს წყალტუბოს რაიონის სოფ. ... უ. ს-ძემ, უსაფუძვლოდ განაწყენებულმა, რაიმე სპეციალური მიზნის გარეშე, ხულიგნური ქვენაგრძნობით, თანაქონი დანის გამოყენებით, განზრახ სიცოცხლის მოსპობის მიზნით, კევის არეში ჭრილობა მიაყენა ამავე სოფელში, მის მეზობლად მცხოვრებ მ. ს-ძეს. მან დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანა ვერ შეძლო მისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო, რადგან დაზარალებულის ყვირილზე შემთხვევის ადგილზე დახმარების აღმოსაჩენად მისულმა ვ. კ-ძემ შეძლო მისთვის დანის წართმევა და დანაშაულებრივი ქმედების აღკვეთა. ამის შემდეგ მსჯავრდებული უ. ს-ძე შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. იგი იმავე დღეს დააკავეს წყალტუბოს რაიონული სამმართველოს პოლიციის მუშაკებმა, ხოლო დაზარალებული მ. ს-ძე გადაიყვანეს ზ. ც-იას სახელობის ინტერვენციული მედიცინის ცენტრში, სადაც დროულად გაწეული სამედიცინო დახმარების შედეგად სიკვდილს გადარჩა

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა უ. ს-ძემ და მისმა ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა მ. ჭ-ძემ, რომლებიც სააპელაციო საჩივრით ითხოვდნენ გასაჩივრებულ განაჩენში, როგორც კვალიფიკაციის, ისე სასჯელის ნაწილში, ცვლილების შეტანას, კერძოდ: უ. ს-ძის უდანაშაულოდ ცნობას წარდგენილ ბრალდებაში და მის მიერ ჩადენილი ქმედების დაკვალიფიცირებას საქართველოს სსკ-ის 120-ე მუხლით, რასაც ასაბუთებდნენ შემდეგი მოტივებით: პირველი ინსტანციის სასამართლომ ისე დასდო ბრალი უ. ს-ძეს დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი მკვლელობის

მცდელობაში, რომ არ დაადგინა დანაშაულის ჩადენის მოტივი. სასამართლომ უსაფუძვლოდ არ გაიზიარა მსჯავრდებულის ჩვენება, რომ დაზარალებული მას აყენებდა შეურაცხყოფას და დასცინოდა, რამაც გამოიწვია უ. ს-ძის გალიზიანება, რის გამოც მან დაზარალებულს დანით მიაყენა დაზიანებები. სასამართლომ ასევე არ გაიზიარა ისიც, რომ მსჯავრდებულს სურდა დაზარალებულისათვის მხოლოდ დაზიანებების მიყენება, რაც კიდევაც განახორციელა და მისი მოკვლის არანაირი განზრახვა არ ჰქონია. მსჯავრდებულის საწინააღმდეგოდ სასამართლო სხდომაზე წარმოდგენილ იქნა მხოლოდ დაზარალებულის ჩვენება, ხოლო უშუალოდ ფაქტთან დაკავშირებით, თუ როგორ მიიღო დაზიანებები დაზარალებულმა ან მოხდა თუ არა მათ შორის დაპირისპირება, სხვა მტკიცებულებები არ არსებობს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ, არ დააკმაყოფილა რა აპელანტების მოთხოვნა, 2007 წლის 6 დეკემბრის განაჩენით უცვლელად დატოვა წყალტუბოს რაიონული სასამართლოს მიერ მსჯავრდებულ უ. ს-ძის მიმართ გამოტანილი განაჩენი.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ უ. ს-ძის დამცველმა, ადვოკატმა მ. ჭ-ძემ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორი იმავე მოტივებით, რაზეც მითითებული იყო სააპელაციო საჩივარში, ითხოვს მსჯავრდებულის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას საქართველოს სსკ-ის მე-19 მუხლითა და 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის «გ» ქვეპუნქტის საფუძველზე წარდგენილი ბრალდების ნაწილში და მისი ქმედების დაკვალიფიცირებას საქართველოს სსკ-ის 120-ე მუხლით (ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება), შესაბამისად - სასამართლოს მიერ მისთვის დანიშნული სასჯელის შემსუბუქებასა და პატიმრობიდან მის განთავისუფლებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ უ. ს-ძის მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილებები შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა არ ეთანხმება დაცვის მხარის მიერ ჩამოყალიბებულ ვერსიას იმის თაობაზე, რომ მსჯავრდებულმა უ. ს-ძემ ჩაიდინა არა მკვლელობის მცდელობა, არამედ - დაზარალებულ მ. ს-ძის ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება, რადგან ამ ვერსიას არ გააჩნია ფაქტობრივი საფუძველი. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, უ. ს-ძის მიერ მ. ს-ძისათვის მიყენებული ჭრილობები ერთობლივად წარმოადგენს სიცოცხლისათვის სახიფათო, ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებას, ხოლო აღნიშნული მტკიცებულება დაცვის მხარეს რაიმე დამაჯერებელი არგუმენტით არ გაუბათილებია.

ამავე დროს, საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულ უ. ს-ძის ბრალდების საქმის განხილვისას არ დაიცვა საპროცესო კანონით დადგენილი მოთხოვნები წინასწარი და სააპელაციო გამოძიებით მოპოვებული მტკიცებულებების ერთობლივად განხილვისა და მათთვის ობიექტური სამართლებრივი შეფასების მიცემის თაობაზე, კერძოდ: სააპელაციო სასამართლომ ყურადღების გარეშე დატოვა ის გარემოება, რომ ვერ იქნა მოპოვებული ისეთი სარწმუნო მტკიცებულებები, რომლებიც გამორიცხავდნენ ეჭვს იმის თაობაზე, რომ უ. ს-ძის მიერ მკვლელობის მცდელობა ნამდვილად იყო თუ არა ჩადენილი ხულიგნური ქვენაგრძნობით. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ ასევე შეფასების გარეშე დატოვა დაზარალებულ მ. ს-ძისა და მოწმე ვ. კ-ძის მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოში მიცემულ ჩვენებებში წარმოდგენილი ის გარემოება, რომ მსჯავრდებულისა და დაზარალებულის ოჯახებს შორის, მიუხედავად მათი ნათესაური ურთიერთობისა, არ იყო ნორმალური და ჯანსაღი დამოკიდებულება, რაც გრძელდებოდა დიდი ხნის განმავლობაში. ამ გარემოებამ თავისი მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მსჯავრდებულ უ. ს-ძის მოქმედების მოტივაციის ჩამოყალიბებაში, რომელმაც დაზარალებულის მიმართ ქმედება ჩაიდინა მათ ოჯახებს შორის არსებული უსიამოვნებებით განპირობებული პირადი მოტივით.

აღნიშნულის გამო დაუსაბუთებელია განაჩენის პოზიცია იმის თაობაზე, რომ უ. ს-ძემ, უსაფუძვლოდ განაწყენებულმა, რაიმე სპეციალური მიზნის გარეშე, ხულიგნური ქვენაგრძნობით ჩაიდინა მისთვის ბრალად შერაცხული ქმედება, მაშინ, როდესაც რეალურად უ. ს-ძეს ჩადენილი აქვს განზრახ მკვლელობის მცდელობა დამამძიმებელ და შემამსუბუქებელ გარემოებათა გარეშე, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის მე-19 მუხლითა და 108-ე მუხლით.

ამრიგად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულ უ. ს-ძის მიმართ განაჩენის დადგენისას დაუშვა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 562-ე მუხლის «ბ» ქვეპუნქტითა და 564-ე მუხლის «ა», «ბ» ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დარღვევა - სისხლის სამართლის კანონის არასწორი გამოყენება, კერძოდ, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, რაც მოცემულ შემთხვევაში წარმოადგენს განაჩენის შეცვლის საფუძველს.

ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა შემდეგ დასკვნამდე: ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 6 დეკემბრის განაჩენში უნდა შევიდეს შემდეგი ცვლილებები: მსჯავრდებულ უ. ს-ძის ქმედება საქართველოს სსკ-ის მე-19 მუხლიდან და 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტიდან უნდა გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის მე-19 მუხლსა და 108-ე მუხლზე, ხოლო ჩადენილი ქმედების სიმძიმის,

მსჯავრდებულის პიროვნების მახასიათებელი მონაცემებისა და შემამსუბუქებელი გარემოებების გათვალისწინებით, მას სასჯელის ზომად უნდა განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 8 წლის ვადით.

საპედაგოგო სასამართლოს განაჩენი სხვა ნაწილში მსჯავრდებულ უ. ს-ძის მიმართ უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ უ. ს-ძის დამცველის, ადვოკატ მ. ჭ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის საპედაგოგო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 6 დეკემბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება: მსჯავრდებულ უ. ს-ძის ქმედება საქართველოს სსკ-ის მე-19 მუხლიდან და 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის მე-19 მუხლსა და 108-ე მუხლზე, ხოლო მას სასჯელის ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 8 წლის ვადით.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განზრახ მკვლელობა

განჩინება

#974-აპ

23 დეკემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- მ. ოშხარელი**

მონაწილეობით განიხილა მსჯავრდებულ მ. ა-შვილის ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. ბ-ავას საკასაციო საჩივარი თბილისის საპედაგოგო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 6 ივნისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 15 თებერვლის განაჩენით მ. ა-შვილი ნასამართლობის არმქონე, ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლითა და 239-ე მუხლის 1-ლი ნაწილით იმაში, რომ ჩაიდინა განზრახ მკვლელობა; ასევე - ხულიგნობა, ე.ი. ქმედება, რომელიც უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და გამოხატავს საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობას, ჩადენილი ძალადობით.

განაჩენით დადგენილად იქნა მიჩნეული შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2007 წლის 18 აგვისტოს, გვიან საღამოს, თბილისში, ... ქ. #11 სახლის ეზოში ფერისცვალების დღესასწაულის აღსანიშნავად შეიკრიბნენ იქვე მცხოვრებნი ი. დ-ლი, ბ. ჩ-ძე, გ. ნ-ძე, ასევე - მეზობლად მცხოვრებნი მ. ა-შვილი და დ. კ-შვილი. მათ დ.ეს ალკოჰოლური სასმელები. ქეიფი გაგრძელდა დაახლოებით ღამის 1 საათამდე, რის შემდეგაც სუფრასთან მსხდომნი გავიდნენ ეზოდან ქუჩაში და ჭიშკართან გააგრძელეს საუბარი. ამ დროს ნასვამმა მ. ა-შვილმა დ. კ-შვილს მიმართა სახელით „სიდეროვნა«, რამაც იგი გაანაწყენა და დაწყებული კამათი ჩხუბში გადაიზარდა. ამას მ. ა-შვილის მხრიდან მოჰყვა დ. კ-შვილის ფიზიკური შეურაცხყოფა და ლანძღვა-გინება. ასეთმა ქმედებამ გამოიწვია საზოგადოებრივი წესრიგის უხეში დარღვევა და საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობა. ხმაურზე გამოსულმა მეზობლებმა შეაჩერეს მ. ა-შვილი და სახლისაკენ წაიყვანეს ნაცემი და მიწაზე მწოლიარე დ. კ-შვილი, რომელსაც გზაში შეხვდა ... ქუჩაზე მცხოვრები, ნასვამი გ. ჩ-ძე. მან, შეიტყო რა მომხდარის შესახებ, დაიწყო ხმამაღალი გინება, რასაც გამოეხმაურა მ. ა-შვილი. მათ დაიწყეს ჩხუბი, რა დროსაც განაწყენებულმა მ. ა-შვილმა შურისძიების მოტივით, მოკვლის მიზნით, წინიდან უკან, ზემოდან ოდნავ ქვემოთ მოიქნია ხელთ ნაქონი დანა გ. ჩ-ძის მიმართულებით და მას გულის არეში მიაყენა სასიკვდილო ჭრილობა, რის შედეგადაც იგი საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა.

აღნიშნული ქმედებისათვის მ. ა-შვილს საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით მიესაჯა 9 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, 239-ე მუხლის 1-ლი ნაწილით - 6 თვით თავისუფლების აღკვეთა;

საბოლოოდ მას განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 10 წლის ვადით, რომლის მოხდა დაეწყო 2007 წლის 19 აგვისტოდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს პროკურორმა თ. პ-ავამ და მსჯავრდებულის ადვოკატმა მ. ბ-ავამ.

პროკურორმა თ. პ-ავამ ითხოვა განაჩენში ცვლილების შეტანა და მ. ა-შვილისათვის სასჯელის ზომად 13 წლით თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრა, ხოლო ადვოკატმა მ. ბ-ავამ - მ. ა-შვილის ქმედების სსკ-ის 108-ე მუხლიდან 111-ე მუხლზე გადაკვალიფიცირება ან 108-ე მუხლით დანიშნული სასჯელის შემსუბუქება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 6 ივნისის განაჩენით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

კასატორი - მსჯავრდებულ მ. ა-შვილის ინტერესების დამცველი, ადვოკატი მ. ბ-ავა საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი უკანონოა და უნდა გაუქმდეს, ხოლო მ. ა-შვილი - გამართლდეს საქართველოს სსკ-ის 28-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ» ქვეპუნქტით, ქმედების არამართლწინააღმდეგობის გამო.

კასატორის აზრით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა სისხლის სამართლის კანონი, რაც განაჩენის გაუქმების საფუძველია; ერთადერთი, ვინც მიუთითებს, როგორ დაინახა მ. ა-შვილის მიერ პრიალა საგნის გ. ჩ-ძისათვის ჩარტყმის მომენტი, არის ხულიგნობის ეპიზოდში დაზარალებული დ. კ-შვილი, რომლის განმარტებით, მას არ დაუნახავს გ. ჩ-ძის მხრიდან მ. ა-შვილისათვის თავში ბოთლის ჩარტყმის მომენტი; დ. კ-შვილის ჩვენებების უტყუარობაში ეჭვის შეტანის საფუძველს იძლევა წინააღმდეგობები თავად მის ჩვენებებსა და მისი დედის - დ. ლ-ძის ჩვენებებს შორის; მოწმე დ. ლ-ძის ჩვენებით, მან დაინახა, თუ როგორ მოუქნია ბოთლი გ. ჩ-ძემ მ. ა-შვილს, ასევე დაინახა მ. ა-შვილის მხრიდან დანის ჩარტყმის მომენტიც; მან ასევე აღნიშნა, რომ მ. ა-შვილი დანის გამოსატანად არსად გაქცეულა; განაჩენში არაფერია ნახსენები იმის თაობაზე, რომ ბოთლის თავში ჩარტყმა და დანის მოქნევა იმავდროულად მოხდა; პალატამ გაიზიარა დ. ლ-ძის ჩვენების მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც ეხმარება ბრალდების დადასტურებაში, არადა მისი ჩვენება დაცვის მხარისათვის წარმოადგენდა მ. ა-შვილის ქმედებისათვის სწორი სამართლებრივი შეფასების მიცემის უმნიშვნელოვანეს არგუმენტს.

ადვოკატ მ. ბ-ავას განმარტებით, დაცვის მხარეს არასოდეს უარუყვია, რომ მ. ა-შვილმა მოკლა გ. ჩ-ძე, რადგან აუცილებელი მოგერიების ფარგლებში ყოფნისას პირს ამოძრავებს განზრახვა, რომ როგორმე დააზიანოს თავდამსხმელი საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად, ხოლო, თუ სხვა გზა არ არსებობს - დააზიანოს სასიკვდილოდ. ამ კონკრეტულ შემთხვევაში სახეზეა აუცილებელი მოგერიების ოთხი ძირითადი პირობა: გ. ჩ-ძე მ. ა-შვილს თავს დაესხა მოკვლის განზრახვით, რადგან ის ლუდის საკმაროდ მძიმე შუშის ბოთლს ურტყამდა მ. ა-შვილს სიცოცხლისათვის სახიფათო ადგილას - თხემის არეში, რაც მან აღიქვა, როგორც სიცოცხლის მოსპობის რეალური საფრთხე, რის გამოც მისიერად თანაქონი დანით თავდამსხმელს მიაყენა სასიკვდილო ჭრილობა, რათა დაეცვა საკუთარი სიცოცხლე. მოცემულ შემთხვევაში თავდამსხმელი იყო 1,85 სმ სიმაღლის, კარგი აგებულების გ. ჩ-ძე, ხოლო მომგერიებელი - მასზე გაცილებით დაბალი, 1,65 სმ სიმაღლის, ფიზიკურად სუსტი მ. ა-შვილი, რომელიც იძულებული გახდა, შეეჩერებინა გ. ჩ-ძის მხრიდან ბოთლის თავში ჩარტყმა თავის ხელთ არსებული საშუალებით - დანით; საინტერესოა, როგორ უნდა მოქცეულიყო იგი - დალოდებოდა, როგორ გააგრძელებდა გ. ჩ-ძე მის თავში ცემას ბოთლით და მოუსწრაფებდა სიცოცხლეს, თუ თავი გადაერჩინა; ბუნებრივია, მ. ა-შვილმა საკუთარი სიცოცხლის გადარჩენა ამჯობინა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მ. ა-შვილი იმყოფებოდა აუცილებელი მოგერიების ფარგლებში, რის გამოც იგი უნდა გამართლდეს საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით წარდგენილ ბრალდებაში სსკ-ის 28-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ» ქვეპუნქტის საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ საკასაციო პალატა არ გაიზიარებს დაცვის მხარის აღნიშნულ მოტივაციას, კასატორი ალტერნატიული მოთხოვნის სახით ითხოვს მ. ა-შვილის ქმედების დაკვალიფიცირებას სსკ-ის 111-ე მუხლით, რადგან დავას არ იწვევს ის ფაქტი, რომ გ. ჩ-ძემ ნამდვილად ჩაარტყა ბოთლი თავში მ. ა-შვილს, რაც მართლსაწინააღმდეგო ძალადობა იყო; ასეთ შემთხვევაში უნდა დადგინდეს, ჩავარდა თუ არა მ. ა-შვილი ძლიერი სულიერი აღელვების - აფექტის მდგომარეობაში; მათ შორის მომხდარი ჩხუბიდან გარკვეული დროის გასვლის შემდეგ მ. ა-შვილს სახლიდან რომ გამოეტანა დანა, დაცვას არაფერი ექნებოდა სადავო ქმედების კვალიფიკაციასთან დაკავშირებით, რადგან ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში ჩადენილი მკვლელობისას აუცილებელია, რომ აფექტის წარმოქმნასა და მის რეალიზაციას შორის დრო არ იყოს გასული, მაგრამ აფექტის ხანგრძლივობა ზუსტად არ არის განსაზღვრული; ცნობი. მხოლოდ, რომ აფექტი გრძელდება ძალზე მცირე დროის - წამების განმავლობაში; სწორედ რამდენიმე წამი დასჭირდებოდა მ. ა-შვილს სახლიდან დანის გამოსატანად; დაცვის მხარე ვერ დაეთანხმება ბრალდებას იმაში, რომ ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში ყოფნისას პირი აყენებს ხელმყოფს მრავლობით დაზიანებას, ვინაიდან, პიროვნების ინდივიდუალობიდან გამომდინარე, არ არსებობს ფორმულა, რომელიც დაადგენდა ყველა ადამიანის ერთნაირი ქცევის წესს აფექტის მდგომარეობაში. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა დაცვის მხარის ასეთი მოტივაცია იმ საფუძველით, რომ საქმეში არ მოიპოვება მსჯავრდებულის აფექტში ყოფნის რაიმე მტკიცებულება.

კასატორი საკასაციო საჩივრით ასევე ითხოვს, რომ, იმ შემთხვევაში, თუ საკასაციო პალატა არ გაიზიარებს დაცვის მხარის არც ერთ პოზიციას, მაშინ პალატამ იმსჯელოს მ. ა-შვილისათვის სსკ-ის

108-ე მუხლით დანიშნული სასჯელის სამართლიანობაზე; მ. ა-შვილს არ გააჩნია პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებები; არ არის ნასამართლევი; ჰყავს მეუღლე და მცირეწლოვანი შვილი; დანაშაულის პროვოცირება მოხდა აწ გარდაცვლილი გ. ჩ-ძის მხრიდან; მ. ა-შვილი თვითონ ჩაჰბარდა სამართალდამცავ ორგანოებს, თუმცა ჰქონდა საშუალება, რომ მიმალულიყო.

საკასაციო პალატის სხდომაზე ადვოკატმა მ. ბ-ავამ მხარი დაუჭირა თავის საკასაციო საჩივარს და მოითხოვა მისი დაკმაყოფილება იმ მოტივით, რომ მ. ა-შვილი იძულებული იყო, მოეგერიებინა თავდამსხმელი. ალტერნატიული მოთხოვნის სახით კასატორმა იშუამდგომლა მსჯავრდებულის ქმედების სსკ-ის 111-ე მუხლით დაკვალიფიცირება ან მისთვის დანიშნული სასჯელის შემსუბუქება.

თავისი დამცველის მოთხოვნას მხარი დაუჭირა მსჯავრდებულმა მ. ა-შვილმა და განმარტა, რომ გარდაცვლილმა ორჯერ ჩაარტყა ბოთლი თავში. თვითონ იქნევდა დანას, რათა თავი გადაერჩინა.

დაზარალებულმა დ. კ-შვილმა განაცხადა, რომ მ. ა-შვილის მიმართ პრეტენზია არ აქვს.

პროკურორმა გ. შ-ძემ საჩივარს მხარი არ დაუჭირა და მოითხოვა გასაჩივრებელი განაჩენის შეცვლა მხოლოდ «ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2008 წლის 21 ნოემბრის კანონის საფუძველზე იმ მოტივით, რომ მსჯავრდებულის მიერ სსკ-ის 108-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა დადასტურებულია საქმეში არსებული მტკიცებულებებით.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, მოისმინა მხარეთა მოსაზრება, გააანალიზა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე შეკრებილი მასალების ურთიერთშეჯერებითა და გაანალიზებით ირკვევა, რომ მას შემდეგ, რაც მ. ა-შვილმა ეზოში სცემა დ. კ-შვილს და ამის გამო გ. ჩ-ძემ დაუწყო გინება, მ. ა-შვილმა სახლიდან გამოიტანა დანა და ჩაერთო ჩხუბში, რა დროსაც მას გ. ჩ-ძემ ლუდის ბოთლით მიაყენა ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება, ხოლო მ. ა-შვილმა წინასწარ მომარჯვებული დანა ჩაარტყა გულში და მიაყენა სასიკვდილო ჭრილობა.

ასეთ პირობებში, როდესაც მსჯავრდებული წინასწარ მოემზადა მოსალოდნელი კონფლიქტისათვის და შეიარაღდა, აუცილებელ მოგერიებას არ აქვს ადგილი იმის მიუხედავად, რომ ჩხუბში პირველი დაზიანება მას გ. ჩ-ძემ მიაყენა. ამავე მიზეზით უსაფუძვლოა იმის მტკიცება, რომ მ. ა-შვილი მკვლელობის დროს აფექტის მდგომარეობაში იმყოფებოდა.

ამავე დროს პალატა საფუძვლიანად მიიჩნევს საკასაციო საჩივრის მოთხოვნას მსჯავრდებულისათვის სასჯელის შემცირების შესახებ, იმის გათვალისწინებით, რომ გ. ა-შვილი დანაშაულის ჩადენის შემდეგ თვითონ გამოცხადდა სამართალდამცავ ორგანოში, არ არის ნასამართლევი, ჰყავს მეუღლე და მცირეწლოვანი შვილი და მის მიერ დანაშაულის ჩადენას გარკვეულწილად ხელი შეუწყო დაზარალებულის მოქმედებამაც.

გარდა ამისა, «ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2008 წლის 21 ნოემბრის კანონის 1-ლი მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, მ. ა-შვილი უნდა გათავისუფლდეს სსკ-ის 239-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნული სასჯელის - 6 თვით თავისუფლების აღკვეთის მოხდისაგან.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით, «ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2008 წლის 21 ნოემბრის კანონის 1-ლი მუხლის 1-ლი ნაწილით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ მ. ა-შვილის ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. ბ-ავას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 6 ივნისის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ: «ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2008 წლის 21 ნოემბრის კანონის 1-ლი მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, მ. ა-შვილი გათავისუფლდეს სსკ-ის 239-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნული სასჯელის - 6 თვით თავისუფლების აღკვეთის მოხდისაგან;

მ. ა-შვილს სსკ-ის 108-ე მუხლით დანიშნული სასჯელი - 9 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა შეუმცირდეს 1 წლით და 6 თვით და საბოლოოდ მიესაჯოს 8 წლით თავისუფლების აღკვეთა.

გასაჩივრებელი განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში

განჩინება

#2112-აპ

3 იანვარი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- მ. ოშარელი (თავმჯდომარე),**
- ი. ტყეშელაშვილი,**
- დ. სულაქველიძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. ზ-იანის ინტერესების დამცველის, ადვოკატ შ. მ-შვილისა და მსჯავრდებულ მ. ო-იანის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 19 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 7 ივნისის განაჩენით:

გ. ზ-იანი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, ამავე მუხლის მეორე ნაწილით - 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, ამავე მუხლის მესამე ნაწილით - 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, 179-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით - 10 წლით თავისუფლების აღკვეთა, 143-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მესამე ნაწილის „ა“, „ე“ ქვეპუნქტებით - 9 წლით თავისუფლების აღკვეთა, 187-ე მუხლის მეორე ნაწილით - 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, 109-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით - 12 წლით თავისუფლების აღკვეთა, ამავე მუხლის მეორე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით - 15 წლით თავისუფლების აღკვეთა, ამავე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით - უვადო თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის საფუძველზე გ. ზ-იანს საბოლოოდ სასჯელის ზომად განესაზღვრა უვადო თავისუფლების აღკვეთა;

მ. ო-იანი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, ამავე მუხლის მეორე ნაწილით - 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, 179-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით - 10 წლით თავისუფლების აღკვეთა, 143-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მესამე ნაწილის „ა“, „ე“ ქვეპუნქტებით - 9 წლით თავისუფლების აღკვეთა, 187-ე მუხლის მეორე ნაწილით - 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, 109-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით - 12 წლით თავისუფლების აღკვეთა, ამავე მუხლის მეორე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით - 15 წლით თავისუფლების აღკვეთა, ამავე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით - 19 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის საფუძველზე მ. ო-იანს საბოლოოდ სასჯელის ზომად განესაზღვრა 30 წლით თავისუფლების აღკვეთა;

მ. ჯ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, 375-ე მუხლით - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის შესაბამისად მ. ჯ-ძეს მიესაჯა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელი 3 წელი და საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა.

თ. ო-იანი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 375-ე მუხლით და მიესაჯა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა.

სამოქალაქო სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. გ. ზ-იანსა და მ. ო-იანს ზ. ჯ-შვილის სასარგებლოდ დაეკისრათ 10000 ლარის სოლიდარულად გადახდა.

განაჩენით მსჯავრდებულების - გ. ზ-იანის, მ. ო-იანის, მ. ჯ-ძისა და თ. ო-იანის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებები გამოიხატა შემდეგში:

გარდაბნის რაიონის სოფ. ... მცხოვრებმა გ. ზ-იანმა გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, გლუვკულიანი სანადირო თოვის გადაჭრის გზით მართლსაწინააღმდეგოდ დაამზადა ცეცხლსასროლი იარაღი ე.წ. „აბრეზი“, რომელსაც ასევე მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდა და ატარებდა; იმავე სოფელში მცხოვრებმა მ. ო-იანმა ასევე დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, დაუდგენელი პირისაგან მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა „ტტს“ სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი ხუთი ცალი საბრძოლო ვაზნით, რომელსაც ასევე მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდა და ატარებდა. 2006 წლის ნოემბერში გ. ზ-იანმა და მ. ო-იანმა გამოძიებით დაუდგენელ მესამე პირთან ერთად გადაწყვიტეს ჩაედინათ ყაჩაღობა, კერძოდ დაექირავებინა უცხოური წარმოების ავტომატური ტაქსი, მოტყუებით მიეყვანათ იგი უკაცრიელ ადგილას, თავს დასხმოდნენ მძღოლს, აღკვეთათ მისთვის თავისუფლება და გამოეყენებინათ მანქანა სხვა დანაშაულის ჩასადენად, თუ მძღოლი გაუწევდათ წინააღმდეგობას ან შეეცდებოდა გაქცევას - მოეკლათ იგი.

დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად ისინი შეიარაღდნენ „ტტ-ს“ სისტემის ცეცხლსასროლი იარაღით და საბრძოლო ვაზნით, რაც მართლსაწინააღმდეგოდ ჰქონდათ შექმნილი,

ინახავდნენ და ატარებდნენ. 2006 წლის 26 ნოემბერს მათ გაინაწილეს როლები, ერთ-ერთმა თანამზრახველმა, რომლის ვინაობა უცნობია, დილაადრიან ქ. თბილისში დაიქირავა ავტომანქანა „ოპელ-ვექტრა», რომელსაც მართავდა ა. ჯ-შვილი და ჩამოიყვანა გარდაბნის რაიონში, სადაც ა/მანქანაში ჩასხდნენ ასევე მ. ო-იანი და გ. ზ-იანი. მათ გააგრძელეს მოძრაობა მუყაო-რუბეროიდის ქარხნის მიმდებარე ტერიტორიაზე, ისინი „ტტ-ს» სისტემის იარაღით თავს დაესხნენ ა. ჯ-შვილს, გააჩრებინეს მას ა/მანქანა და აიძულეს გადამჯდარიყო მანქანის უკანა სავარძელზე, მას შემდეგ, რაც მძღოლს თავისუფლება, საჭესთან დაჯდა გ. ზ-იანი და გაემგზავრნენ გარდაბნის ნაკრძალში, წინასწარ შეგულებულ ადგილზე მისვლისას გ. ზ-იანმა გააჩერა ა/მანქანა, რითაც ისარგებლა ა. ჯ-შვილმა და მოახერხა ა/მანქანიდან გადახტომა. ეს უკანასკნელი შეეცადა გაქცევას, მაგრამ გ. ზ-იანი, მ. ო-იანი და მესამე დაუდევნი პირი დაედევნა მას. წინასწარი შეთანხმების საფუძველზე გ. ზ-იანმა, რომელიც შეიარაღებული იყო „ტტ-ს» სისტემის პისტოლეტით წინათ ჩადენილი დანაშაულების დაფარვის და ახალი დანაშაულის ჩადენის გაადვილების მიზნით, ანგარებით, განზრახ მოკვლის მიზნით ესროლა ა. ჯ-შვილს და მიაყენა სიცოცხლისათვის სახიფათო ცეცხლნასროლი ჭრილობა კისრის მიდამოში, მარჯვენა საძილე არტერიის და ვენის დაზიანებით, რაც მიეკუთვნება სიცოცხლისათვის სახიფათო, მძიმე ხარისხის დაზიანებას, სროლის შედეგად დაზარალებული ადგილზევე გარდაიცვალა.

ზემოაღნიშნული მკვლელობის ჩადენის შემდეგ აღნიშნული პირები ა. ჯ-შვილის კუთვნილი ავტომანქანით გამოემართნენ გარდაბნისაკენ, რათა შეეძინათ ბენზინი და ცეცხლის წაკიდებით გაენადგურებინათ გვამი. ქ. გარდაბნის შესასვლელთან ბენზინის შეძენის შემდგომ კვლავ გაემგზავრნენ შემთხვევის ადგილისაკენ, რა დროსაც გ. ზ-იანმა ვერ უზრუნველყო საჭის მართვა და შეეჯახა ბორდიურს, ა/მანქანის დაზიანების შედეგად მგზავრობა შეუძლებელი იყო. დაზიანებულ ა/მანქანაში არსებული ყოველგვარი კვალის დაფარვის მიზნით ჯგუფის წევრებმა გადაწყვიტეს მისი თავიდან მოცილება და ცეცხლის წაკიდებით გაანადგურეს ა/მანქანა, რის შემდეგაც მიიძალნენ. ჩადენილი ქმედებების დროს გ. ზ-იანი და მ. ო-იანი, მესამე დაუდგენელ პირთან ერთად მოქმედებდნენ წინასწარი შეთანხმებით და ერთიანი განზრახვით.

მომხდარი დანაშაულებების შესახებ გ. ზ-იანმა აცნობა თავის თანასოფელ მ. ჯ-ძეს, ხოლო მ. ო-იანმა მის ძმას თ. ო-იანს, ვინაიდან ამ პირების დახმარებით განზრახული ჰქონდათ შემთხვევის ადგილზე მიტოვება ა. ჯ-შვილის გვამის განადგურება და ყოველგვარი კვალის საბოლოოდ მოსპობა. ამ მიზნით გ. ზ-იანი ტელეფონით დაუკავშირდა მ. ო-იანს და გადაწყვიტეს სისრულეში მოეყვანათ თავიანთი განზრახვა. მ. ო-იანი, რომელიც პირადად თავს არიდებდა გარდაბნის რაიონში გამოჩენას, შეჰპირდა გ. ზ-იანს, რომ გვამის დაწვით მის განადგურებაში დახმარებას აღმოუჩენდა უფროსი ძმა თ. ო-იანი. თ. ო-იანი, რომლისთვისაც ცნობილი იყო, რომ მომხდარი დანაშაულები მის ძმასთან ერთად ჩადენილი იყო სხვა პირების მიერაც, დათანხმდა დანაშაულის დაფარვაზე. გ. ზ-იანმა დახმარება სთხოვა თავის თანასოფელ მ. ჯ-ძეს, რომელიც ასევე დათანხმდა დანაშაულის დაფარვაში მონაწილეობაზე. ამ მიზნით 206 წლის 12 დეკემბერს გ. ზ-იანთან ერთად თ. ო-იანი და მ. ჯ-ძე წინასწარ შეუპირებლად განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის დაფარვის მიზნით, მივიდნენ შემთხვევის ადგილზე ა. ჯ-შვილის გვამის დასაწვავად, რისთვისაც წინასწარ მოიმარაგეს 5 ლიტრი ბენზინი, მაგრამ ვერ განახორციელეს გვამის დაწვა, რადგან დაკავებული იქნენ პოლიციის თანამშრომლების მიერ. დაკავებულებს ჩაუტარდათ პირადი ჩხრეკა, რა დროსაც მ. ჯ-ძეს პირადი ჩხრეკისას ამოუღეს დაუდგენელ დროსა და ვითარებაში გამოძიებით დაუდგენელი პირისაგან უკანონოდ შეძენილი 7,8 გრამი ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანა», რომელსაც ასევე უკანონოდ ინახავდა.

აღნიშნულ განაჩენში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 19 ოქტომბრის განაჩენით შევიდა ცვლილება, კერძოდ:

გ. ზ-იანი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით - 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, ამავე მუხლის მეორე ნაწილით - 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, ამავე მუხლის მესამე ნაწილით - 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, 179-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ» ქვეპუნქტით - 10 წლით თავისუფლების აღკვეთა, 143-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა», „ე» ქვეპუნქტებით - 9 წლით თავისუფლების აღკვეთა, 187-ე მუხლის მეორე ნაწილით - 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, 109-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ» ქვეპუნქტით - 12 წლით თავისუფლების აღკვეთა, ამავე მუხლის მეორე ნაწილის „ე» ქვეპუნქტით - 15 წლით თავისუფლების აღკვეთა, ამავე მუხლის მესამე ნაწილის „გ» ქვეპუნქტით - უვადო თავისუფლების აღკვეთა. გ. ზ-იანს საბოლოოდ სასჯელის ზომად განესაზღვრა უვადო თავისუფლების აღკვეთა; მას სასჯელის ათვლა დაეწყო დაკავების დღიდან - 2006 წლის 13 დეკემბრიდან.

მ. ო-იანი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით - 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, ამავე მუხლის მეორე ნაწილით - 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, 179-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ» ქვეპუნქტით - 10 წლით თავისუფლების აღკვეთა, 143-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა», „ე» ქვეპუნქტებით - 9 წლით თავისუფლების აღკვეთა, 187-ე მუხლის მეორე ნაწილით - 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, 109-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ» ქვეპუნქტით - 12 წლით თავისუფლების აღკვეთა, ამავე მუხლის მეორე ნაწილის „ე» ქვეპუნქტით - 15 წლით თავისუფლების აღკვეთა, ამავე მუხლის მესამე ნაწილის „გ» ქვეპუნქტით - 19 წლით თავისუფლების აღკვეთა. მ. ო-იანს საბოლოოდ სასჯელის ზომად განესაზღვრა 30 წლით

თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის ათვლა დაეწყო დაკავების დღიდან - 2006 წლის 13 დეკემბრიდან.

მ. ჯ-მე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით (2007 წლის 3 ივლისის ცვლილებებამდე მოქმედი რედაქცია) - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, 375-ე მუხლით (2007 წლის 18 იანვრამდე მოქმედი რედაქცია) - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის შესაბამისად მ. ჯ-მეს მიესაჯა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელი 3 წელი და საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა. მ. ჯ-მეს სასჯელის ათვლა დაეწყო დაკავების დღიდან 2006 წლის 13 დეკემბრიდან;

თ. ო-იანი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 375-ე მუხლით (2007 წლის 18 იანვრამდე მოქმედი რედაქცია) და მიესაჯა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის ათვლა დაეწყო დაკავების დღიდან 2006 წლის 13 დეკემბრიდან.

სამოქალაქო სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. გ. ზ-იანსა და მ. ო-იანს ზ. ჯ-შვილის სასარგებლოდ დაეკისრათ 10000 ლარის სოლიდარულად გადახდა.

საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი 4,5 ლიტრი ბენზინი პოლიმერული მასალის ბოთლით, რომელიც ინახება ქვემო ქართლის სამხარეო შს მთავარ სამმართველოში, განადგურდეს; ნარკოტიკული საშუალება „მარინუანა“ წონით 7,7 გრ, რომელიც ინახება სპეციალურ ოპერატიულ დეპარტამენტში, განადგურდეს, რისი აღსრულებაც დაევალოს საქართველოს შსს მუდმივმოქმედ სპეციალურ კომისიას; «ტტ-ს» სისტემის პისტოლეტი, ხუთი ცალი ვაზნა, გადაჭრილი თოფი და ერთი ცალი მასრა, რომელიც ინახება ქვემო ქართლის სამხარეო შს მთავარ სამმართველოში, გადაეგზავნოს რეაგირებისათვის საქართველოს შს სამინისტროს სპეციალური ოპერაციების ცენტრის შტაბის შეიარაღების განყოფილებას; მ. ო-იანის ბინის ჩხრეკისას ამოღებული მობილური ტელეფონები, რომლებიც ინახება ქვემო ქართლის სამხარეო შს მთავარ სამმართველოში, დაუბრუნდეს მ. ო-იანის ოჯახს, ა. ჯ-შვილის ქურთუკი იარლიყზე წარწერით „მოთოდ«, რომელიც ინახება ქვემო ქართლის სამხარეო შს მთავარ სამმართველოში, გადაეცეს დაზარალებულის უფლებამონაცვლე ზ. ჯ-შვილს.

მსჯავრდებულ გ. ზ-იანის ინტერესების დამცველი, ადვოკატი შ. მ-შვილი საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენში ცვლილების შეტანას, კერძოდ: გ. ზ-იანის გამართლებას საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მესამე ნაწილით, 143-ე მუხლის მესამე ნაწილითა და 187-ე მუხლის მეორე ნაწილით წარდგენილ ბრალდებებში; სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი, მეორე და მესამე ნაწილებით გათვალისწინებული დანაშაულებისათვის მინიმალური სასჯელის განსაზღვრას. სსკ-ის 109-ე მუხლის პირველი, მეორე და მესამე ნაწილების გადაკვალიფიცირებას 116-ე მუხლზე და მინიმალური სასჯელის განსაზღვრას.

მსჯავრდებული მ. ო-იანი საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენში ცვლილების შეტანას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრების საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე წინასწარი გამოძიება და სასამართლო გამოკვლევა ჩატარებულია სრულყოფილად, ობიექტურად და საპროცესო კანონმდებლობის დაცვით.

პალატა უსაფუძვლოდ მიიჩნევს საკასაციო საჩივრების მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ, თითქოს, განაჩენი არის უკანონო, საქმეზე არ არის დადგენილი და დადასტურებული მსჯავრდებულების მხრიდან დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენა.

საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძვლად დაედება განაჩენის გაუქმებას.

პალატა თვლის, რომ როგორც I-ლი ინსტანციის, ასევე სააპელაციო სასამართლოებს საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებები გააჩნდათ გ. ზ-იანისა და მ. ო-იანის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის დასადგენად.

განაჩენით მსჯავრდებულების - გ. ზ-იანისა და მ. ო-იანის მიმართ შერაცხული ბრალდება დადასტურებულია გ. ზ-იანისა და მ. ო-იანის ნაწილობრივ აღიარებითი ჩვენებებით, დაზარალებულის უფლებამონაცვლე ზ. ჯ-შვილის ჩვენებით, მოწმეების - ნ. ჯ-ძის, მ. ჯ-ძის, ი. ჯ-ძის, კ. ჭ-იას, ტ. უ-ურის, ვ. ა-ვეისა და სხვათა ჩვენებებით, ა/მანქანის დათვალიერების ოქმით, დაკავებისა და ჩხრეკის ოქმებით, შემთხვევის ადგილის დათვალიერებისა და ბინის ჩხრეკის ოქმებით, ქიმიური, ბალისტიკური, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზების დასკვნებითა და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებით.

ამდენად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სასამართლომ სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა მსჯავრდებულების ქმედებებს და სასჯელის ზომაც სამართლიანად განუსაზღვრა.

რაც შეეხება ამავე საქმეზე მსჯავრდებულებს - მ. ჯ-მესა და თ. ო-იანს, რომელსაც განაჩენი საკასაციო წესით არ გაუსაჩივრებიათ, საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 567-ე მუხლის პირველი ნაწილით, სრული მოცულობით შეამოწმა საქმე მათ მიმართაც და მიიჩნია, რომ დადგენილი განაჩენი კანონიერია.

ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის მეორე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების საფუძველზე მსჯავრდებულ გ. ზ-იანს საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის მეორე ნაწილით შეფარდებული სასჯელი - თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით - უნდა გაუნახევრდეს და საბოლოოდ სასჯელის ზომად უნდა დარჩეს უვადო თავისუფლების აღკვეთა.

მსჯავრდებულ მ. ო-იანს საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის მეორე ნაწილით შეფარდებული სასჯელი - თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით - უნდა გაუნახევრდეს და საბოლოოდ სასჯელის ზომად უნდა დარჩეს თავისუფლების აღკვეთა 30 წლის ვადით.

მსჯავრდებულ მ. ჯ-ძეს საქართველოს სსკ-ის 375-ე მუხლის მეორე ნაწილით შეფარდებული სასჯელი - თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით - უნდა გაუნახევრდეს და საბოლოოდ სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე სასჯელის ზომად უნდა შეეფარდოს 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რასაც წინა განაჩენით საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, წინა განაჩენით დანიშნული სასჯელიდან გაუქმებული პირობითი მსჯავრიდან ზემოაღნიშნულ სასჯელს დაემატოს - 3 წლით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ სასჯელის ზომად უნდა განესაზღვროს 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა», «დ» ქვეპუნქტებით, 568-ე მუხლით, «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 19 ოქტომბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

«ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის მეორე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების საფუძველზე მსჯავრდებულ გ. ზ-იანს საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის მეორე ნაწილით შეფარდებული სასჯელი - თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით - გაუნახევრდეს და საბოლოოდ სასჯელის ზომად დარჩეს უვადო თავისუფლების აღკვეთა;

«ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის მეორე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების საფუძველზე მსჯავრდებულ მ. ო-იანს საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის მეორე ნაწილით შეფარდებული სასჯელი - თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით - გაუნახევრდეს და საბოლოოდ სასჯელის ზომად დარჩეს თავისუფლების აღკვეთა 30 წლის ვადით;

ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის მეორე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების საფუძველზე მსჯავრდებულ მ. ჯ-ძეს საქართველოს სსკ-ის 375-ე მუხლის მეორე ნაწილით შეფარდებული სასჯელი - თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით - გაუნახევრდეს და საბოლოოდ სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე სასჯელის ზომად შეეფარდოს 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რასაც საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, წინა განაჩენით დანიშნული სასჯელიდან გაუქმებული პირობითი მსჯავრიდან ზემოაღნიშნულ სასჯელს დაემატოს - 3 წლით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ სასჯელის ზომად განესაზღვროს 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში

განჩინება

#2197-აპ

4 იანვარი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

**დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),
ლ. მურუსიძე,
მ. ოშხარელი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ვ. ბ-ურის დამცველის, ადვოკატ გ. რ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 20 ნოემბრის განაჩენზე ვ. ბ-ურის მიმართ.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 21 თებერვლის განაჩენით კ. ბ-ური ცნობილ იქნა ბრალეულად და მისაჯა საქართველოს სსკ-ის მე-19 მუხლითა და 109-ე მუხლის «ზ», «კ» ქვეპუნქტებით თავისუფლების აღკვეთა 10 წლის ვადით, საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის «ზ», «ლ» და «ო» ქვეპუნქტებით (2003 წლის 20 ივნისის რედაქცია) - თავისუფლების აღკვეთა 10 წლის ვადით, საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით - თავისუფლების აღკვეთა 6 თვის ვადით, ამავე მუხლის მეორე ნაწილით - თავისუფლების აღკვეთა 6 თვის ვადით, საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილით - თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით, საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის პირველი ნაწილით - თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დანიშნული სასჯელები შეიკრიბა და კ. ბ-ურს საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 25 წლის ვადით.

განაჩენის მიხედვით, კ. ბ-ურს მსჯავრი დაედო შემდეგ დანაშაულთა ჩადენაში:

კ. ბ-ურმა გამოიძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა «მაკაროვის» სისტემის, 9მმ კალიბრიანი პისტოლეტი, მისთვის განკუთვნილი ვაზნებით, რასაც ასევე მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდა და ატარებდა.

2006 წლის 18 იანვარს, დაახლოებით 19:30 საათზე, ქ. თბილისში, ... გამზირზე, #69-ე კორპუსის, ბ. #20-ში დროებით მცხოვრები ჯ. ჭ-ძე, თავის ნათესავ ლ. ბ-ძესთან ერთად, ჩამოვიდა ამავე ბინის ეზოში, სადაც კ. ბ-ური გამოიძიებით დაუდგენელ სხვა პირებთან ერთად, იქვე გაჩერებულ «ტოიოტას» მარკის, ჯიპის ტიპის ავტომანქანასთან სვამდა ალკოჰოლურ სასმელს - არაყს. ჯ. ჭ-ძე გაემართა იმავე კორპუსის წინ გაჩერებული თავისი «ფოლკსვაგენის» ფირმის, «გოლფ-3» მოდელის ავტომანქანისაკენ, ხოლო ლ. ბ-ძე წავიდა ხსენებული ჯიპის წინ გაჩერებული თავისი «ოპელ ომეგას» მარკის ავტომანქანისაკენ, დაჯდა საჭესთან და დააპირა წასვლა. კ. ბ-ური მიუახლოვდა ლ. ბ-ძეს, რომელიც ღია ფანჯრიდან გადაკოცნა და სთხოვა მათთან ერთად დაეღია ალკოჰოლური სასმელი. ამ უკანასკნელმა კი, რომელმაც იცოდა, რომ კ. ბ-ური დამნაშავეთა სამყაროს წარმომადგენელი იყო, რაიმე გართულების თავიდან აცილების მოტივით, უარი განუცხადა მას. ლ. ბ-ძის უარით უმიზეზოდ განაწყენებულმა ლ. ბ-ურმა განიზრახა მისი მკვლელობა ხულიგნური ქვენაგრძნობით, ისეთი საშუალებით, რომელიც საშიშროებას წარმოადგენს მრავალ პირთა სიცოცხლისათვის. იგი მარცხენა ხელით შეეცადა ავტომანქანის წინა, მარცხენა კარის გაღებას, ამასთან, განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, მოიმარჯვა მის მიერ დაუდგენელ დროსა და ვითარებაში მართლსაწინააღმდეგოდ შეძენილი «მაკაროვის» სისტემის, 9მმ კალიბრიანი პისტოლეტი. ამის დანახვაზე ლ. ბ-ძემ დიდი სიჩქარით დაძრა ავტომანქანა და გაემართა კორპუსის ეზოს გასასვლელისაკენ, რა დროსაც კ. ბ-ურმა მისი მიმართულებით ოთხჯერ გაისროლა, რომელთაგან ორი ტყვია მოხვდა ავტომანქანის კორპუსს. ამდენად, კ. ბ-ურმა განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანა. ლ. ბ-ძის წასვლის შემდეგ კ. ბ-ურმა განიზრახა, ავტომანქანის დაუფლების მიზნით, ყაჩაღურად თავს დასხმოდა იქვე მყოფ ჯ. ჭ-ძეს და განზრახვის სისრულეში მოსაყვანად მიუახლოვდა მას. «მაკაროვის» სისტემის, 9მმ კალიბრიანი პისტოლეტის გამოყენების მუქარით, ყაჩაღური თავდასხმის გზით დაეუფლა ჯ. ჭ-ძის ავტომანქანას, შემდეგ კი ანგარებით, სხვა დანაშაულის დაფარვისა და მისი ჩადენის გაადვილების მიზნით, არაერთგზის, განიზრახა მისი მკვლელობა და ამ განზრახვის სისრულეში მოსაყვანად ზურგის არეში ესროლა ჯ. ჭ-ძეს, რის გამოც ამ უკანასკნელს დაუზიანდა მარცხენა თირკმელი, მსხვილი ნაწლავები, თორმეტგოჯა ნაწლავი და ღვიძლი. აღნიშნული დაზიანებების შედეგად ჯ. ჭ-ძე რამდენიმე წუთში, სახლში ასვლის შემდეგ, გარდაიცვალა, ხოლო კ. ბ-ური ჯ. ჭ-ძის კუთვნილი «ფოლკსვაგენის» ფირმის «გოლფ-3» მოდელის ავტომანქანით, დანაშაულის ჩადენის ადგილიდან მიიმალა. ვინაიდან ხსენებულ ავტომანქანას დაუზიანდა სავალი ნაწილი, კ. ბ-ურმა გააჩერა იგი თავის საცხოვრებელ სახლთან, ... გამზირზე, #77-ე კორპუსის ეზოში, საიდანაც, გატარებული ოპერატიული და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ამოღებულ იქნა 2006 წლის 19 იანვარს, თვით კ. ბ-ური კი მიიმალა.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა კ. ბ-ურმა. საჩივრით აპელანტი ითხოვდა პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის გაუქმებასა და გამამართლებელი განაჩენის გამოტანას, რადგან თვლიდა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 21 თებერვლის განაჩენი იყო უკანონო და დაუსაბუთებელი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 20 ნოემბრის განაჩენით სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, ხოლო თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 21 თებერვლის განაჩენში შევიდა შემდეგი ცვლილება: კ. ბ-ურის ქმედება საქართველოს სსკ-ის მე-19-109-ე მუხლის «ზ», «კ» ქვეპუნქტებიდან (მითითებული რედაქცია) გადაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის მე-19-109-ე მუხლის პირველი ნაწილის «გ» ქვეპუნქტზე და მეორე ნაწილის «გ» ქვეპუნქტზე (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია), საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის «ზ» და «ლ» ქვეპუნქტებიდან (მითითებული რედაქცია) გადაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის პირველი ნაწილის «გ» და «დ» ქვეპუნქტებზე (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია), რომელთა საფუძველზე მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 10 წლის ვადით, ხოლო სხვა ნაწილში საალაქო სასამართლოს განაჩენი დარჩა უცვლელად. ამასთან, აღნიშნული ცვლილების გათვალისწინებით, საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის

თანახმად, სააპელაციო სასამართლოს განაჩენით კ. ბ-ურს საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 15 წლის ვადით.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ კ. ბ-ურის დამცველმა, ადვოკატმა გ. რ-მემ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორი საჩივრით ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 20 ნოემბრის განაჩენის გაუქმებასა და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას კ. ბ-ურის მიმართ იმ მოტივით, რომ წინასწარი გამოძიება მიმდინარეობდა უხეში საპროცესო დარღვევებით, განაჩენს საფუძვლად არ უდევს უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობა, ხოლო დასკვნები კ. ბ-ურის ბრალეულობაზე ეყრდნობა ურთიერთსაწინააღმდეგო მტკიცებულებებს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ კ. ბ-ურის მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა თვლის, რომ კ. ბ-ურის ბრალდების საქმეში წარმოდგენილია საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებები, რომლებითაც დასტურდება, რომ მან ნამდვილად ჩაიდინა ჯ. ჭ-მის განზრახი მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში, ასევე სიცოცხლისათვის საშიში ძალადობის მიუქართ ამ უკანასკნელის კუთვნილი ავტომატის გატაცება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება და სხვისი ნივთის დაზიანება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. მისი ბრალეულობა დადასტურებულია დაზარალებულის უფლებამონაცვლისა და მოწმეების ჩვენებებით, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმით, ოდოროლოგიური ექსპერტიზის დასკვნით, ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნითა და ამოღებული ნივთმტკიცებით, რომლებიც მოპოვებულია წინასწარი და სასამართლო გამოძიების სტადიაზე საპროცესო ნორმების დაცვით. სარწმუნო მტკიცებულებებით ასევე არის დადასტურებული კ. ბ-ურის მხრივ დაზარალებულ ლ. ბ-მის განზრახ მკვლელობის მცდელობა, ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებებში. საქმეში არ არსებობს სხვა ისეთი მტკიცებულებები, რომლებითაც გაბათილდებოდა, ანდა ეჭვქვეშ დადგებოდა კ. ბ-ურის მიმართ განაჩენით შერაცხული ბრალდება. სააპელაციო სასამართლომ სწორად დააკვალიფიცირა მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი ქმედება და არ არსებობს საფუძველი მისი შეცვლი-სათვის.

რაც შეეხება კ. ბ-ურის მიმართ განაჩენით დანიშნულ სასჯელს, უნდა აღინიშნოს, რომ იგი განსაზღვრულია ჩადენილი ქმედების სიმძიმისა და შედეგების, მსჯავრდებულის პიროვნების მახასიათებელი და საქმის სხვა გარემოებების გათვალისწინებით, წარმოადგენს ბრალის ხარისხის ადეკვატურ ზომას, არის სამართლიანი და აუცილებელი ზომა კანონის მიერ სასჯელის წინაშე დასახული მიზნის მისაღწევად.

ამავდროს, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ კ. ბ-ურის მიმართ უნდა გავრცელდეს «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის მოქმედება, კერძოდ, ამ კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, იგი უნდა გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე დანიშნული სასჯელის - 1 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთის - მოხდისგან, რის გამოც, შესაბამისად, უნდა შეუმცირდეს განაჩენით განსაზღვრული საბოლოო სასჯელი, რის შემდეგაც მას მოსახდელად უნდა განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 14 წლის ვადით.

ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 20 ნოემბრის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულ კ. ბ-ურის სასიკეთოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ კ. ბ-ურის დამცველის, ადვოკატ გ. რ-მის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 20 ნოემბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება: მსჯავრდებული კ. ბ-ური «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე დანიშნული სასჯელის - 1 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთის - მოხდისგან და, შესაბამისად, აღნიშნული განაჩენით განსაზღვრული საბოლოო სასჯელი - თავისუფლების აღკვეთა 15 წლის ვადით - შეუმცირდეს 1 წლით და მას საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 14 წლის ვადით.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განზრახ მკვლევლობა

განჩინება

#1352-აპ

25 იანვარი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

**მ. ოშარელი (თავმჯდომარე),
ლ. მურუსიძე,
დ. სულაქველიძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ რ. კ-ძის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 19 ივნისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ბაღდათის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 4 აპრილის განაჩენით რ. კ-ძე, ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მეორე ნაწილის «გ» ქვეპუნქტით 16 წლით თავისუფლების აღკვეთა, 236-ე მუხლის პირველი, მეორე ნაწილებით - 3 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 19 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენის მიხედვით, რ. კ-ძის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

რ. კ-ძემ გამოიბეჭა დაუდგენელ დროსა და ვითარებაში მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა 7,62 მმ კალიბრიანი «კალაშნიკოვის» სისტემის 1967 წლის იარაღი, 19 საბრძოლო ვაზნით, რასაც მართლ-საწინააღმდეგოდ ინახავდა ბაღდათის რაიონის სოფელ დიშში მდებარე თავის საცხოვრებელი სახლის დამხმარე სათავსოში და უკანონოდ ატარებდა. 2006 წლის 12 ოქტომბერს, დაახლოებით 13 საათზე, რ. კ-ძე იმყოფებოდა თავის საცხოვრებელი სახლის ეზოში. ქუჩაში მან დაინახა მისი სახლის მიმართულებით ფეხით მიმავალი თავისი შორეული ნათესავი ი. კ-ძე, რომელზეც იყო უსაფუძვლოდ განაწყენებული იმ უმნიშვნელო მიზეზით, რომ ი. კ-ძე მას ურჩევდა მეუღლესთან შერიგებას და ოჯახის შენარჩუნებას. აღნიშნულის გამო რ. კ-ძემ განიზრახა მისი მოკვლა. ამ მიზნით თავისი სახლის დამხმარე სათავსოდან გამოიტანა ზემოხსენებული თავის მიერ უკანონოდ შეძენილი ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი თავისივე ვაზნებით, გავიდა ქუჩაში, გაიტანა ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი და, როცა ი. კ-ძე გაუსწორდა მისი სახლის ჭიშკარს, დაახლოებით სამი მეტრი მანძილიდან გულმკერდის არეში ესროლა ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან. მას შემდეგ, რაც ი. კ-ძე მიწაზე დაეცა, რ. კ-ძემ, განზრახვის ბოლომდე მიყვანის მიზნით, ავტომატური ჯერით ესროლა ი. კ-ძეს ზურგისა და თავის არეში, რითაც მას მიაყენა თავის ქალას ცეცხლსასროლი გამჭოლი ჭრილობები, ქალას სარქველისა და ფუძის ძვლების დამსხვრეული მოტეხილობები, თავის ტვინში სისხლჩაქცევა, გულმკერდის მრავლობითი გამჭოლი ცეცხლსასროლი ჭრილობები ფილტვების დაზიანებით, შინაგანი და გარეგანი სისხლდენა, ორივე ლავიწის ძვლების, ნეკნების ორმხრივი მრავლობითი მოტეხილობებით, გულმკერდის მეორე-მესამე მალათაშორის ხერხემლის სვეტის სრული გაგლეჯვა, ზურგის ტვინის დაზიანებით, ქვედა ყბის, ორივე მტევნის თითების ძირითადი ფალანგების და მარჯვენა ბარძაყის ძვლის მოტეხილობა, სხეულზე მრავლობითი ცეცხლსასროლი ზერელე კანქვეშა ჭრილობები. მიღებული მძიმე დაზიანების შედეგად ი. კ-ძე ადგილზე გარდაიცვალა, ხოლო რ. კ-ძემ თავიდან მოიშორა ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი და გარკვეული დროის შემდეგ გამოცხადდა ბაღდათის შინაგან საქმეთა რაიონულ განყოფილებაში.

აღნიშნული განაჩენი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 19 ივნისის განაჩენით დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებული რ. კ-ძე საკასაციო საჩივრით ითხოვს მის მიერ ჩადენილი ქმედების დაკვალიფიცირებას საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით იმ მოტივით, რომ მან აღნიშნული დანაშაული ჩაიდინა ეჭვიანობის ნიადაგზე.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შესწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით რ. კ-ძის მიერ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი, მეორე ნაწილებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა დადასტურებულია, რასაც სადავოდ არც საკასაციო საჩივარი ხდის.

ამასთან, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ განაჩენში მსჯავრდებულ რ. კ-ძის სასიკეთოდ უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საბრალდებო დასკვნით რ. კ-ძეს ბრალი დაედო საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მეორე ნაწილის «გ» ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, იმაში, რომ მან ჩაიდინა თავისი ბიძაშვილის - ი. კ-ძის განზახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში, ხულიგნური ქვენაგრძნობით. რ. კ-ძის მიერ მისთვის ბრალად შერაცხული ქმედების ჩადენა დადასტურებულად იქნა მიჩნეული თავად რ. კ-ძის მიერ მიცემულ ჩვენებაში მითითებული იმ გარემოებით, რომ ი. კ-ძე ურჩევდა მას მეუღლესთან შერიგებასა და ოჯახის შენარჩუნებას.

როგორც პირველი ინსტანციის, ისე სააპელაციო სასამართლოებში საქმის განხილვისას რ. კ-ძემ თავი ნაწილობრივ ცნო დამნაშავედ და განმარტა, რომ მან ჩაიდინა თავისი ბიძაშვილის - ი. კ-ძის განზახ მკვლელობა ეჭვიანობის საბაბით, მას მკვლელობა უმიზეზოდ არ ჩაუდენია, ეს გადაწყვეტილება რ. კ-ძემ მიიღო ეჭვიანობის ნიადაგზე, მის ცოლსა და ი. კ-ძეს შორის მისივე ფსიქიკაში ჩამოყალიბებული სასიყვარულო ურთიერთობის გამო, რითაც ის იყო შეურაცხყოფილი და განადგურებული.

აღნიშნულის მიუხედავად, პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოებმა დადგინებულად მიიჩნიეს, რომ რ. კ-ძემ ჩაიდინა ი. კ-ძის განზახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში, ხულიგნური ქვენაგრძნობით.

საკასაციო პალატა არ ეთანხმება როგორც პირველი ინსტანციის, ისე სააპელაციო სასამართლოების განაჩენებში გაკეთებულ დასკვნებს მსჯავრდებულ რ. კ-ძის მიერ ჩადენილი ქმედების სამართლებრივ შეფასებასთან მიმართებით.

საკასაციო პალატა იზიარებს საჩივრის მტკიცებას იმასთან დაკავშირებით, რომ საქმის მასალებიდან გამომდინარე, დასტურდება რ. კ-ძის მიერ ი. კ-ძის მკვლელობა ეჭვიანობის ნიადაგზე.

საბრალდებო დასკვნით, რაც პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოების მიერ გამოტანილი განაჩენებით დადასტურებულად იქნა მიჩნეული, მსჯავრდებულ რ. კ-ძის მიერ ი. კ-ძის ხულიგნური ქვენაგრძნობით განზახ მკვლელობის ჩადენას საფუძვლად დაედო რ. კ-ძის ჩვენებაში მითითებული ის გარემოება, რომ ი. კ-ძე ურჩევდა მას მეუღლესთან შერიგებასა და ოჯახის შენარჩუნებას, რაც ჩაითვალა განაწყენების უმნიშვნელო მიზეზად, მაშინ, როდესაც სწორედ აღნიშნული გარემოება და რ. კ-ძის ჩვენებებში მითითებული სხვა გარემოებები (კერძოდ: 2006 წლის 12 ოქტომბერს რ. კ-ძე იმყოფებოდა ეზოში და ბიძის სამზარეულოდან შემოესმა ი. კ-ძის საუბარი თავის მეუღლესთან დაკავშირებით. მათ ახსენეს ბავშვი. რ. კ-ძემ გადაწყვიტა მისულიყო და გაერკვია ცოლისა და ბავშვის ხსენების მიზეზი, მაგრამ როდესაც ი. კ-ძემ გამოიარა მისი ეზოს ღობესთან და დაინახა იგი, დაუძახა: «რა ჰქენი, რ., გაუშვი ბოზი ცოლიო?») მიუთითებენ იმაზე, რომ ყოველივე აღნიშნულმა მასში ეჭვიანობის ნიადაგზე აღძრა ი. კ-ძის მოკვლის განზრახვა. სამართლებრივი კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს, რეალურად რ. კ-ძეს ეჭვიანობის საბაბი ჰქონდა თუ არა. ამ დროს გადამწყვეტია, თუ რა დაედო საფუძვლად პირის ფსიქიკაში წარმოშობილ განზრახვას.

საბოლოოდ საკასაციო პალატა, ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, იმ დასკვნამდე მიდის, რომ მსჯავრდებულ რ. კ-ძის მიმართ საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მეორე ნაწილის «გ» ქვეპუნქტის საფუძველზე წარდგენილი ბრალდება მის მიერ ი. კ-ძის ხულიგნური ქვენაგრძნობით განზახ მკვლელობის ჩადენის თაობაზე უნდა შეიცვალოს და მისი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით და მას სასჯელიც ამ დანაშაულისათვის უნდა განესაზღვროს ხსენებული სისხლისსამართლებრივი ნორმის სანქციით გათვალისწინებულ ფარგლებში, რის გამოც ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 19 ივნისის განაჩენში უნდა შევიდეს შესაბამისი ცვლილებები რ. კ-ძის სასარგებლოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 19 ივნისის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

მსჯავრდებულ რ. კ-ძის მიმართ საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მეორე ნაწილის «გ» ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლზე, რისთვისაც მას სასჯელის ზომად შეეფარდოს 13 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლითა და 236-ე მუხლის პირველი, მეორე ნაწილებით მსჯავრდებულ რ. კ-ძეს საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვროს 16 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში

განჩინება

#2103-აპ

31 იანვარი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),**
- ლ. მურუსიძე,**
- დ. სულაქველიძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ რ. ს-ოვისა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ი. თ-უას საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 23 ოქტომბრის განაჩენზე რ. ს-ოვისა და ჯ. ფ-შვილის მიმართ.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 22 ნოემბრის განაჩენით ცნობილ იქნენ დამნაშავეებად: 1. რ. ს-ოვი ნასამართლევი, - საქართველოს 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 109-ე მუხლის „ო« პუნქტითა და 379-ე მუხლის 1-ლი ნაწილით იმაში, რომ ჩაიდინა განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში - არაერთგზის; ასევე - თავისუფლების აღკვეთის მოხდის ადგილიდან გაქცევა; 2. ჯ. ფ-შვილი ნასამართლევი, - საქართველოს სსკ-ის 375-ე მუხლით იმაში, რომ ჩაიდინა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის დაფარვა წინასწარ შეუპირებლად.

რ. ს-ოვისა და ჯ. ფ-შვილის მიერ ჩადენილი დანაშაული კონკრეტულად გამოიხატა შემდეგში:

1996 წლის 29 იანვარს რ. ს-ოვი გაასამართლა ქ. თბილისის ჩუღურეთის რაიონის სასამართლომ საქართველოს სსკ-ის 252-ე მუხლის III ნაწილით (2000 წლის 1 ივნისამდე მოქმედი რედაქცია) და სასჯელის ზომად შეუფარდა თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით.

1997 წლის 12 მარტს რ. ს-ოვი გაასამართლა მარნეულის რაიონის სასამართლომ საქართველოს სსკ-ის 91-ე მუხლის II ნაწილით (2000 წლის 1 ივნისამდე მოქმედი რედაქცია) და სასჯელის ზომად შეუფარდა თავისუფლების აღკვეთა 3 წლითა და 7 თვის ვადით.

1997 წლის 28 ივლისს რ. ს-ოვი გაასამართლა ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონულმა სასამართლომ საქართველოს სსკ-ის 152-ე მუხლის II ნაწილით, 236-ე მუხლით (2000 წლის 1 ივნისამდე მოქმედი რედაქცია) და სასჯელის ზომად შეუფარდა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა.

1998 წლის 14 სექტემბერს რ. ს-ოვი გაასამართლა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ საქართველოს სსკ-ის 104-ე მუხლის I და VII პუნქტებით, 96-ე მუხლის II ნაწილის I, IV და VI პუნქტებით, 152-ე მუხლის II ნაწილის I, IV და V პუნქტებით, მე-17-96-ე მუხლის II ნაწილის I და VI პუნქტებით, მე-17-152-ე მუხლის II ნაწილის I და V პუნქტებით და სასჯელის ზომად შეუფარდა თავისუფლების აღკვეთა 10 წლის ვადით, მცხეთის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 6 მაისის დადგენილებით კი მოსახდელი სასჯელი - 5 თვე და 15 დღე შეეცვალა პირობითი მსჯავრით.

მიუხედავად ამისა, რ. ს-ოვი არ დაადგა გამოსწორების გზას, არ გამოიტანა სათანადო დასკვნები წარსული ცხოვრებიდან და პირობითი მსჯავრის მოხდის პერიოდში კვლავ ჩაიდინა განზრახი დანაშაული, კერძოდ:

2005 წლის 9 ივნისს ქ. ქუთაისში, ... ქუჩის #27/38-ში მცხოვრები რ. ს-ოვი ქ. თბილისში შეხვდა სასჯელის მოხდის პერიოდში გაცნობილ ჯ. ფ-შვილს. ისინი ჯ. ფ-შვილის მართვის ქვეშ მყოფი „ვაზ 21-013« მარკის ა/მანქანით მოძრაობდნენ ქალაქის ტერიტორიაზე, რა დროსაც მეტროს სადგურ „მარჯანიშვილთან« შეხვდნენ საერთო ნაცნობს, ასევე სასჯელის მოხდის ადგილას გაცნობილ, არაერთხელ ნასამართლევ დ. წ-ძეს. ვინაიდან ა/მანქანა გაუჩერდათ, ისინი ერთად შეეცადნენ, დაგორებით აემუშავებინათ ჯ. ფ-შვილის ა/მანქანის ძრავა და ამგვარად ჩავიდნენ მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, ლუდის ბარ „ყაზბეგთან«, სადაც მანქანა დატოვეს. რ. ს-ოვი და დ. წ-ძე ხელგადახვეულები ავიდნენ დგებუადის ქუჩის მიმდებარე სკვერში, ხოლო ოდნავ მოშორებით, ა/მანქანის დაკეტვის შემდეგ, მათ მიჰყვა ჯ. ფ-შვილიც. რ. ს-ოვისა და დ. წ-ძეს შორის მოხდა ურთიერთშელაპარაკება, რა დროსაც რ. ს-ოვმა გადაწყვიტა შურისძიების მოტივით, დამამძიმებელ გარემოებაში მისი განზრახ მოკვლა. მან განზრახვის სისრულეში მოსაყვანად თანაქონი დანით დ. წ-ძეს გულმკერდის წინა და უკანა ზედაპირზე, ზურგისა და კისრის არეში მიაყენა სიცოცხლისათვის საშიფათო მძიმე ხარისხის ნაკვეთ-ნაჩხვლეტი ჭრილობები (23 ჭრილობა). მიღებული დაზიანებების შედეგად დ. წ-ძე შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა, ხოლო რ. ს-ოვი ჯ. ფ-შვილთან ერთად, დანაშაულის კვალის დაფარვის მიზნით, ავიდა ჯერ დ. აღმაშენებლის გამზირზე, შემდეგ - ე.წ. „დეზერტირების« ბაზართან, სადაც, ურთიერთმოლაპარაკების თანახმად, შეეცადა, გაეწმინდა დანა და დაიბანა სისხლიანი ხელები; აფთიაქის თანამშრომლის დახმარებით გადაიხვია მკვლელობის დროს დაშავებული ხელი და ჯ. ფ-შვილთან ერთად დაბრუნდა ავტომანქანასთან შემთხვევის ადგილიდან მიმალვის მიზნით, თუმცა ისინი დააკავეს დიდუბე-ჩუღურეთის შს სამმართველოს პირველი განყოფილების მუშაკებმა. დაკავების შემდეგ, საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების მიზნით, რ. ს-

ოვმა, იმყოფებოდა რა პოლიციის განყოფილების შენობაში, დაახლოებით 09.⁵⁰ საათზე განიზრახა დაკავების ადგილიდან გაქცევა. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად სისხლის სამართლის სამმებროს უფროს ინსპექტორ გ. რ-შვილს სთხოვა საპირფარეოში გაყვანა, რა დროსაც საპირფარეოს გვერდით არსებული ღია ფანჯრიდან გადახტა და მიიმალა.

ჯ. ფ-შვილი 1994 წელს გასამართლა სამხედრო სასამართლომ განზრახ მკვლელობის ჩადენისათვის და მიუსაჯა 15 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2004 წლის 29 დეკემბრის განჩინებით მას სასჯელის მოუხდელი ნაწილი შეეცვალა პირობით, გამოსაცდელი ვადით. მიუხედავად ამისა, ჯ. ფ-შვილმა პირობითი მსჯავრის პერიოდში კვლავ ჩაიდინა განზრახი დანაშაული, კერძოდ:

2005 წლის 9 ივნისს ჯ. ფ-შვილი ქ. თბილისში შეხვდა სასჯელის მოხდის პერიოდში გაცნობილ რ. ს-ოვს. ისინი ჯ. ფ-შვილის მართვის ქვეშე მყოფი „ვაზ 21-013« მარკის ა/მანქანით მოძრაობდნენ ქალაქის ტერიტორიაზე, რა დროსაც მეტროს სადგურ „მარჯანიშვილთან« შეხვდნენ საერთო ნაცნობს სასჯელის მოხდის ადგილიდან, ასევე არაერთხელ ნასამართლევ დ. წ-ძეს. ვინაიდან ავტომანქანა გაუჩერდათ, ისინი ერთად შეეცადნენ, დაგორებით აემუშავებინათ ჯ. ფ-შვილის ა/მანქანის ძრავა და ამგვარად ჩავიდნენ მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, ლუდის ბარ „ყაზბეგთან«, სადაც ა/მანქანა დატოვეს. რ. ს-ოვი და დ. წ-ძე ხელგადახვეულნი ავიდნენ დგებუადის ქუჩის სკვერში, ხოლო ოდნავ მოშორებით, ა/მანქანის დაკეტვის შემდეგ, მათ მიჰყვა ჯ. ფ-შვილიც. რ. ს-ოვსა და დ. წ-ძის შორის მომხდარი ურთიერთშელაპარაკების შემდეგ რ. ს-ოვმა დ. წ-ძეს მიაყენა სიცოცხლისათვის სახიფათო, მძიმე ხარისხის 23 ნაკვეთ-ნაჩხველეთი ჭრილობა. მიღებული დაზიანებების შედეგად დ. წ-ძე ადგილზევე გარდაიცვალა, ხოლო რ. ს-ოვი და ჯ. ფ-შვილი მოგვიანებით დააკავეს დიდუბე-ჩუღურეთის შს სამმართველოს თანამშრომლებმა.

ჯ. ფ-შვილი, განიზრახა რა, წინასწარ შეუპირებლად დაეფარა რ. ს-ოვის მიერ ჩადენილი განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, განზრახვის სისრულეში მოსაყვანად მასთან ერთად მიიმალა შემთხვევის ადგილიდან, ავიდა დ. აღმაშენებლის გამზირზე, სადაც, ურთიერთმოლაპარაკების თანახმად, რ. ს-ოვმა წყლით დაიბანა სისხლიანი ხელები და შეეცადა, დ. წ-ძის მკვლელობისას თანაქონი იარაღიდან - დანიდან ჩამოერეცხა სისხლის ლაქები. ცენტრალური სუპერმარკეტის, ე.წ. „დეზერტერების« ბაზრის წინ მდებარე აფთიაქის თანამშრომლის დახმარებით, იქვე შეძენილი ბინტით რ. ს-ოვმა გადაიხვია დამავებული ხელი, რის შემდეგაც ჯ. ფ-შვილმა თავის ნაცნობ გარემოვაჭრეს, ვინმე მ.-ს ავტომანქანის მწყობრში მოსაყვანად სესხად გამოართვა ოთხი ლარი და დაბრუნდნენ სანაპიროზე დატოვებულ ა/მანქანასთან მისი ამუშავებისა და შემთხვევის ადგილიდან მიმალვის მიზნით, თუმცა გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად ისინი დააკავეს დიდუბე-ჩუღურეთის შს სამმართველოს 1-ლი განყოფილების მუშაკებმა.

აღნიშნული ქმედებისათვის რ. ს-ოვს საქართველოს 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 109-ე მუხლის „ო« პუნქტით მიესაჯა უვადო თავისუფლების აღკვეთა, ხოლო 379-ე მუხლის 1-ლი ნაწილით - 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რასაც ნაწილობრივ დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი და რ. ს-ოვს საბოლოოდ განესაზღვრა უვადო თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყო 2005 წლის 28 ივნისიდან; მასვე პატიმრობის ვადაში ჩათვალა 2006 წლის 10 ივნისიდან 2006 წლის 11 ივნისამდე დაკავების დრო; ჯ. ფ-შვილს სსკ-ის 375-ე მუხლით მიესაჯა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, რასაც ნაწილობრივ დაემატა წინა განაჩენით დანიშნული მოუხდელი სასჯელიდან 2 წელი და საბოლოოდ მიესაჯა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყო 2005 წლის 10 ივნისიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა რ. ს-ოვმა. მან ითხოვა გასაჩივრებული განაჩენის გაუქმება, მისთვის სსკ-ის 109-ე მუხლის „ო« პუნქტით წარდგენილ ბრალდებაში გამართლება და სასჯელის შემსუბუქება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 23 ოქტომბრის განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ამასთან, გასაჩივრებული განაჩენი შეიცვალა შემდეგი მიმართებით: რ. ს-ოვს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყო 2005 წლის 27 ივნისიდან; მასვე სასჯელის მოხდის ვადაში ჩათვალა პატიმრობაში ყოფნის დრო - 2005 წლის 10 ივნისიდან 2005 წლის 11 ივნისის ჩათვლით; ჯ. ფ-შვილს სასჯელის ვადის ათვლა დაეწყო 2005 წლის 27 ივნისიდან.

კასატორი - მსჯავრდებულის ინტერესების დამცველი, ადვოკატი ი. თ-უა საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი უკანონო და დაუსაბუთებელია, რადგან მსჯავრდებულის ქმედებას მიეცა არასწორი კვალიფიკაცია და დანიშნული სასჯელი არ შეესაბამება რ. ს-ოვის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმესა და ხასიათს; ის ფაქტი, რომ აწ გარდაცვლილ დ. წ-ძეს ჰქონდა ცუდი სიმთვრალე, დადასტურებულია მისი დის - ფ. კ-იასა და დაზარალებულის უფლებამონაცვლე გ. წ-ძის, ასევე - თავად მსჯავრდებულების ჩვენებებით; აღნიშნული კი, თავის მხრივ, იმას ადასტურებს, რომ რ. ს-ოვს შურისძიების მოტივი არ ამოძრავებდა; აღნიშნულ ფაქტამდე მათ კონფლიქტი არ ჰქონიათ და მეგობრები იყვნენ; სააპელაციო სასამართლოს განაჩენს საფუძვლად უდევს მტკიცებულება, რომელიც სასამართლო სხდომაზე არ გამოკვლეულა, ეს კი განაჩენის გაუქმების საფუძველია.

კასატორი ასევე აღნიშნავს, რომ, რ. ს-ოვის ჩვენებით, ჩხუბი წამოიწყო დ. წ-ძემ, რომელმაც რ. ს-ოვს მოუქნია დანა; მისი თავდასხმა იყო რეალური და იმწუთიერი, ამიტომ მსჯავრდებული

მოქმედებდა აუცილებელი მოგერიების ფარგლებში; ამას ადასტურებს შემთხვევის ადგილიდან ამოღებული დანა, რომელიც არ ეკუთვნოდა რ. ს-ოვს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ადვოკატ ი. თ-უას მიაჩნია, რომ სასამართლომ დაარღვია საქართველოს სსსკ-ის მე-10 მუხლის მე-3 ნაწილის, 496-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით დადგენილი მოთხოვნები, ამიტომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 23 ოქტომბრის განაჩენი უნდა გაუქმდეს და რ. ს-ოვის ქმედებას მიეცეს სწორი სამართლებრივი შეფასება.

სამოტივაციო ნაწილი:

საქართველოს სსსკ-ის 567-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, პალატამ შეამოწმა საქმე სრული მოცულობით, გაანალიზა საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის წინასწარი გამოძიებისას მოპოვებული და სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული მტკიცებულებებით, მათ შორის, მოწმე ი. ბ-შვილისა და თავად მსჯავრდებულთა ჩვენებებით, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმითა და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, მათი ურთიერთშეჯერებითა და გაანალიზებით უდავოდ დასტურდება, რომ რ. ს-ოვმა არაერთგზის ჩაიდინა მკვლელობა და დაკავების ადგილიდან გაქცევა, ხოლო ჯ. ფ-შვილმა - განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის დაფარვა წინასწარ შეუპირებლად.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ დ. წ-ძის გვამზე აღინიშნებოდა მჩხვლეტავ-მჭრელი საგნით მიყენებული 23 ჭრილობა, ასევე - ნაჭდევები სახის, ორივე იდაყვის სახსრის უკანა ზედაპირზე და მარცხენა მუხლზე.

გარდაცვლილის სხეულზე არსებული ჭრილობები, მათი რაოდენობა და ლოკალიზაცია ნათლად მეტყველებს რ. ს-ოვის განზრახვასა და მიზანზე.

ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედებების საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხისა და თვით მსჯავრდებულთა მახასიათებელი მონაცემების გათვალისწინებით, სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი სასჯელის მიზნების მხედველობაში მიღებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ რ. ს-ოვსა და ჯ. ფ-შვილს დანიშნული აქვთ სასჯელის კანონიერი და სამართლიანი ღონისძიება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გასაჩივრებული განაჩენი კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანია.

ამასთან, სააპელაციო პალატის განაჩენი უნდა შეიცვალოს «ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად, კერძოდ, მსჯავრდებულ ჯ. ფ-შვილს უნდა გაუნახევრდეს სსკ-ის 375-ე მუხლით დანიშნული სასჯელი.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით, «ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ რ. ს-ოვისა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ია თ-უას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს უსაფუძვლოდ გამო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 23 ოქტომბრის განაჩენი შეიცვალოს: «ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად, მსჯავრდებულ ჯ. ფ-შვილს გაუნახევრდეს სსკ-ის 375-ე მუხლით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციით) დანიშნული სასჯელი - 2 წლით თავისუფლების აღკვეთა და განესაზღვროს 1 წლით თავისუფლების აღკვეთა;

ჯ. ფ-შვილს საბოლოოდ განესაზღვროს 3 წლით თავისუფლების აღკვეთა.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში, მათ შორის - რ. ს-ოვის მსჯავრდების ნაწილში, დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში

განჩინება

9-კოლ

28 თებერვალი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

**ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),
ლ. მურუსიძე,
მ. ოშხარელი**

განიხილა მსჯავრდებულ დ. მ-ძის ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. ნ-ძის საკასაციო საჩივარი ქუთაისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 1 მაისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ქუთაისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 1 მაისის განაჩენით დ. მ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი სსკ-ის 109-ე მუხლის „ა“ და „ვ“ პუნქტებით, 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით იმაში, რომ განსაკუთრებული სისასტიკით ჩაიდინა ორი პირის მკვლელობა, ასევე - ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგოდ შექმნა, შენახვა და ტარება, რაც გამოიხატა შემდეგში:

დ. მ-ძე 1995 წელს იმყოფებოდა ქ. მოსკოვში, ... გამოირზე, ნ. ი-კოს კუთვნილ სამოთახიან ბინაში, სადაც საცხოვრებლად იქირავა ერთი ოთახი. მან ამ პერიოდში უკანონოდ შეიძინა 6,35 მმ კალიბრის, უცხოური წარმოების ცეცხლსასროლი იარაღი 7 საბრძოლო ვაზნით, რომლებსაც მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდა და ატარებდა. ქ. მოსკოვში მან გაიცნო და ახლო ურთიერთობა ჰქონდა მ. მ-ნუსთან, რომელიც იყო ნარკოტიკული საშუალებების გამსაღებელი. ის იცნობდა საქართველოს მოქალაქეებს - დ. რ-ავას, ლ. ფ-იასა და ა. ო-შვილს, რომლებიც მ. მ-ნუსაგან ხშირად იძენდნენ ნარკოტიკულ საშუალებებს. მათ დ. მ-ძისა და მ. მ-ნუს ახლო ურთიერთობის შესახებ არაფერი იცოდნენ.

1996 წლის 9 იანვარს, დ. რ-ავამ და ლ. ფ-იამ დ. მ-ძის ნაქირავებ ბინაში ყოფნისას, მ. მ-ნუსათვის ნარკოტიკული საშუალებების ღირებულების სანაცვლოდ მიტანილი სარეცხი მანქანა „ამო“ და „პანასონიკის“ ფირმის რადიოტელეფონი შეამჩნიეს. ისინი განაწყენდნენ აღნიშნულზე და ზემოხსენებული ნივთები ბინიდან წაიღეს. მეორე დღეს, 10 იანვარს, დაახლოებით 11.30 საათზე, „ვაზ-21011“ მარკის ავტომანქანით ა. ო-შვილი, დ. რ-ავა და ლ. ფ-ია დ. მ-ძის ნაქირავებ ბინასთან მივიდნენ. ა. ო-შვილი მანქანაში დარჩა, დ. რ-ავა და ლ. ფ-ია კი ნარკოტიკების მისაღებად ერთგვარი შპრიცებით ბინაში ავიდნენ. ამ დროს, დ. მ-ძის გარდა, ბინაში იმყოფებოდნენ ნ. ი-კო, მისი ვაჟი - რ. კ-ვინი, ტ. მ-ნუ (მ. მ-ნუს და) და დ. მ-ძის მეგობარი ზვიად ნ-ძე. დ. მ-ძემ, ზ. ნ-ძესთან ერთად, სტუმრები თავის ოთახში შეიყვანა და თავისი ბინიდან ნივთების წაღებისა და ნარკოტიკების მიღების ნიადაგზე წარმოშობილი დავის გამო განაწყენებულმა, განიზრახა განსაკუთრებული სისასტიკით დ. რ-ავასა და ლ. ფ-იას მოკლა. მან მაყუჩიანი პისტოლეტიდან გასროლით ლ. ფ-იას მიაყენა სამი, ხოლო დ. რ-ავას - ოთხი ცეცხლსასროლი ჭრილობა. ამის შემდეგ განსაკუთრებული სისასტიკით, დანით, ჯერ კიდევ ცოცხლებს, ლ. ფ-იას - 15 მჩხვლეტავი და ერთი დიდი ზომის ჭრილობა, ხოლო დ. რ-ავას - ერთი დიდი ზომის ჭრილობა მიაყენა.

თავისი განზრახვის სისრულეში მოყვანის შემდეგ დ. მ-ძემ სისხლიანი ხელები დაიბანა, ბინაში მყოფები გააფრთხილა, რომ მის წასვლამდე მილიციაში არ დაერეკათ და მიიძალა.

ძებნილი დ. მ-ძე ჩამოვიდა საქართველოში, ცხოვრობდა ჯერ ქუთაისში, შემდეგ - ბაღდათის რაიონის სოფელ ... მიუხედავად მასზე გამოცხადებული ძებნისა, სამართალდამცავ ორგანოებს არ გაუტარებიათ რაიმე ღონისძიება მის დასაკავებლად. იგი დააკავეს სხვა დანაშაულების ჩადენის შემდეგ.

აღნიშნული ქმედებისათვის დ. მ-ძეს საბოლოოდ განესაზღვრა უვადო თავისუფლების აღკვეთა. იგი პატიმრობაში იმყოფება 2002 წლის 23 თებერვლიდან.

კასატორი - მსჯავრდებულის ინტერესების დამცველი, ადვოკატი მ. ნ-ძე საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი უკანონო, დაუსაბუთებელი და უსამართლოა, გამოტანილია საპროცესო ნორმების უხეში დარღვევით, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სსკ-ის მე-10 მუხლის თანახმად, ყველა საპროცესო გადაწყვეტილება, მათ შორის - გამამტყუნებელი განაჩენი - უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს, ყოველგვარი ეჭვი კი უნდა გადაწყდეს მსჯავრდებულის სასარგებლოდ; დ. მ-ძის მიმართ სისხლის სამართლის საქმე წარმოებდა იმ ენაზე, რომელსაც საქართველოს საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს; გამოძიება ვალდებული იყო, რუსეთის ფედერაციიდან გამოგზავნილი საქმე ეთარგმნა ქართულ ენაზე და შეედგინა ამის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; მოცემულ საქმეში ბრალდების ყველა მტკიცებულება დაუშვებლადაა საცნობი, რადგან მიღებულია საპროცესო ნორმების არსებითი დარღვევებით.

კასატორი ასევე უთითებს, რომ საქმეზე არ არის ამოღებული ცეცხლსასროლი იარაღი „ვალტერი“, რომლის შეძენას, შენახვასა და ტარებას ედავებიან დ. მ-ძეს; კრიმინალისტიკური ექსპერტიზის დასკვნით არ არის დადგენილი, შემთხვევის ადგილიდან ამოღებული მასრები კონკრეტულად „ვალტერის“ სისტემის იარაღიდან არის გასროლილი თუ არა.

ადვოკატის განმარტებით, 1996 წლის 10 იანვარს მოსკოვში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე დ. რ-ავასა და ლ. ფ-იას მკვლელობის ფაქტზე; პასუხისგებაში მისცეს ზ. ნ-ძე და დ. მ-ძე; 1998 წლის 1 ოქტომბერს ზ. ნ-ძე ცნეს უდანაშაულოდ; მოსკოვის აღმოსავლეთ ადმინისტრაციული ოლქის პროკურორმა 1998 წლის 29 ოქტომბერს კერძო დავალებით მოითხოვა მოწმის სტატუსით ზ. ნ-ძის

დაკითხვა იმის დასადგენად, ნამდვილად მიაყენა თუ არა ჭრილობები დ. მ-მემ დ. რ-ავასა და ლ. ფ-იას; ე.ი. პროკურატურამ ეჭვქვეშ დააყენა დ. მ-მის ბრალეულობა; კერძო დავალების საფუძველზე დაკითხა ზ. ნ-მე, რომელმაც განაცხადა, რომ მსჯავრდებულს იცნობს, მაგრამ არაფერი იცის დ. რ-ავასა და ლ. ფ-იას მკვლელობაზე და იმაზეც, რომ ეს დ. მ-მემ ჩაიდინა; დ. მ-მის ბრალეულობა რომ საეჭვოა, დასტურდება ქუთაისის საოლქო პროკურატურის კერძო დავალებითაც, რომელზეც პასუხი დღემდე არ არის მიღებული; ბრალდების მხარემ ვერ უზრუნველყო სასამართლოში რომელიმე დაზარალებულისა და მოწმის გამოცხადება; ჩნდება ეჭვი, რომ გარკვეული ჩვენებები ამოღებულია საქმის მასალებიდან; ადგილი აქვს მტკიცებულებების ფალსიფიკაციას; საქმეს არ ერთვის ფოტოსურათები და მათი ნეგატივები, ასევე - ექსპერტის მიერ გაკეთებული ექსპერიმენტული ტყვიები, მსრები და სხვა ნიმუშები, რაც კანონის უხეში დარღვევაა; გაურკვეველია, ერთი და იგივე პირია თუ არა ა. ო-შვილი და ზ. ჯ-უა; არ მომხდარა დაპირისპირება მათ შორის და ა. ო-შვილი არც სასამართლოზე წარუდგენიათ; სისხლის სამართლის საქმეში არ არსებობს კანონიერი, პროცესუალური გზით მოპოვებული მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებს დ. მ-მის მიერ მისთვის ბრალად შერაცხული ქმედების ჩადენას; სასამართლოში მტკიცებულებათა გამოკვლევაზე საუბარი ზედმეტია, რადგან ჩვენებები არ იკითხება; განაჩენი არ შეესაბამება სსსკ-ის 496-ე მუხლის მოთხოვნებს, ამიტომ ის ყველა შემთხვევაში გასაუქმებელია.

გარდა აღნიშნულისა, კასატორს მიაჩნია, რომ ქუთაისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ დაარღვია განსჯადობის ნორმები, რადგან საქმე განიხილა პირველი ინსტანციით, ამ საქმის განხილვა კი შედიოდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს კომპეტენციაში; ასევე დარღვეულია დ. მ-მის საპატიმრო და სისხლის სამართლის საქმის განხილვის ვადები.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ადვოკატი მ. ნ-მე ითხოვს ქუთაისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის განაჩენის გაუქმებასა და დ. მ-მის მიმართ საქმის შეწყვეტას.

საკასაციო პალატის სხდომაზე ადვოკატმა მ. ნ-მემ მხარი დაუჭირა თავის საჩივარს და მოითხოვა დ. მ-მის მიმართ საქმის შეწყვეტა იმ მოტივით, რომ განაჩენი ეყრდნობა დაუშვებელ მტკიცებულებებს და იგი არ შეესაბამება სსსკ-ის 496-ე მუხლის მოთხოვნებს. კასატორმა აღნიშნა, რომ დარღვეულია განსჯადობის წესები.

მ. ნ-მის მოთხოვნას მხარი დაუჭირა ადვოკატმა ე. რ-შვილმა და განაცხადა, რომ არ შესრულებულა უზენაესი სასამართლოს მითითებები და არ დადგენილა ფაქტობრივი გარემოებები.

ადვოკატების მოთხოვნას დაეთანხმა მსჯავრდებული დ. მ-მე.

სახელმწიფო ბრალდებელმა გ. შ-მემ საკასაციო საჩივარს მხარი არ დაუჭირა და იშუამდგომლა განაჩენის უცვლელად დატოვების შესახებ იმ მოტივით, რომ იგი კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანია. პროკურორმა მიუთითა, რომ მტკიცებულებები გამოკვლეულია საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა დაცვით და ისინი უტყუარად ადასტურებს მსჯავრდებულის მიერ მისთვის ბრალად შერაცხული ქმედების ჩადენას.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ მოუსმინა მხარეებს, შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა საჩივრის საფუძვლიანობა, მოისმინა მხარეთა მოსაზრება და მივიდა დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული განაჩენი ეყრდნობა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლის მე-3 ნაწილის, 496-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და 481-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით სასამართლო სხდომაზე განხილულ და გამოკვლეულ უტყუარ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისია საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად, კერძოდ:

მოწმე ა. ო-შვილმა განაცხადა, რომ ქ. მოსკოვში მან და ლერი ფ-იამ ნარკოტიკების საფასურად მოლდაველ ქალს სარეცხი მანქანა და რადიოტელეფონი დაუტოვეს. იგი იცნობდა დ. რ-ავას და ქ. მოსკოვში გაიცნო დ. მ-მე, როგორც «ქურდული ტრადიციების» მიმდევარი და მასთან ნარკოტიკული საშუალებები აკავშირებდა. 1996 წლის 9 იანვარს შეიტყო, რომ ლ. ფ-იასა და დ. რ-ავას დ.-ს ბინაში უნახავთ აღნიშნული სარეცხი მანქანა და რადიოტელეფონი. ლ. ფ-იამ უთხრა, რომ დ. თვითონ ყოფილა ნარკოტიკების გამსაღებელი, სცემეს მას და წამოიღეს აღნიშნული ნივთები. მეორე დღეს ა. ო-შვილი, დ. რ-ავა და ლ. ფ-ია ნარკოტიკების მისაღებად ერთად მივიდნენ დ. მ-მის ნაქირავებ ბინასთან. ა. ო-შვილი მანქანაში დარჩა, ხოლო დ. რ-ავა და ლ. ფ-ია კი ერთჯერადი შპრიცებით ავიდნენ ბინაში. ლ. ფ-იამ ჩაილაპარაკა - ასე ხელცარიელი რომ მივდივართ, დ.-მ არ მოგვკლასო. ა. ო-შვილმა მისგან იცოდა, რომ დ. მ-მეს ჰქონდა პისტოლეტი. დ. რ-ავას და ლ. ფ-იას შეაგვიანდათ და ა. ო-შვილი ახლოს მივიდა ბინასთან. მას მოესმა ყრუ ხმა და როდესაც მანქანის ხმოვანი ნიშანი მისცა, ფანჯრიდან დ. მ-მემ გადახედა და უთხრა, არსად წასულიყო. სატელეფონო ჯიხურიდან დ.-ს დაურეკა, მაგრამ დიასახლისმა უპასუხა, რომ სახლში არ იყო, რაც გაუკვირდა. მეორედ ყურმილი გოგონამ აიღო და უთხრა, რომ დ. იქ აღარ ცხოვრობდა. ა. ო-შვილი ფანჯარასთან ახლოს მივიდა და შენიშნა, რომ შუშა ერთგან გახვრეტილი იყო ცეცხლსასროლი იარაღიდან წასროლი ტყვიით. ამის გამო იქაურობას გაეცალა, მაგრამ მოგვიანებით შემთხვევის ადგილზე მივიდა და

დააკავეს. ერთ ოთახში ნახა ლ.-ს და დ.-ის გვამები. მილიციელებს აფხაზეთიდან დევნილ ჯ-უად გაეცნო.

ა. ო-შვილის ჩვენების ობიექტურობაზე მეტყველებს შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი ერთჯერადი შპრიცი, ასევე - ნატყვიარი ორმაგ ფანჯარაზე.

მოწმე ნ. ი-კომ არაერთი დაკითხვისას განმარტა, რომ ქ. მოსკოვში მდებარე მისი ბინის ერთი ოთახი ნაქირავები ჰქონდა დ. მ-ძეს და იქ მ. მ-ნუსთან ერთად ცხოვრობდა. 1996 წლის 9 იანვარს დ. მ-ძის ოთახიდან ორმა ქართველმა წაიღო სარეცხი მანქანა. მეორე დღეს დ. მ-ძეს სწორედ ის ორი ქართველი ესტუმრა. ბინაში იყო დათოს მეგობარი ზვიადიც. მცირე ხანში მოესმა ხმამაღალი საუბარი, დარტყმისა და ორი ყრუ ხმა. ოთახიდან გამოვიდა ზვიადი, უთხრა, რომ სიგარეტის საყიდლად მიდიოდა და წავიდა. დაახლოებით 25 წუთში გამოვიდა დ. მ-ძეც. მას სისხლიანი პირსახოცი ეჭირა და ნ. ი-კოს უპასუხა, რომ თავს იცავდა მძარცველებისაგან და ყველაფერი კარგად იყო. დ. მ-ძემ გადაიხედა ფანჯრიდან, აიღო ნივთები და წავიდა, ხოლო ნ. ი-კოს დაუბარა, რომ მილიცია მოგვიანებით გამოემხებინა. მ. მ-ნუს გადმოცემით, დ. მ-ძე იყო ბანდის წევრი და ჰქონდა იარაღიც. დ. მ-ძესთან მისული პირები დათოს პისტოლეტით დაუჭრია. ისინი ეხვეწებოდნენ დ. მ-ძეს, რომ არ მოეკლა, მაგრამ ამაოდ. მომხდარის შემდეგ მილიციამ ამოიღო დ. მ-ძის კუთვნილი ყუთი წარწერით «ვალტერი».

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დ. მ-ძის ბრალეულობა უტყუარადაა დაადასტურებული ზემოაღნიშნულ და სხვა პირთა, მათ შორის - ტ. მ-ნუს, მ. მ-ნუს, ლ. ნ-ოვას და ლ. პ-აიას ჩვენებებით.

სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად, გარდაცვლილებს სხეულზე აღენიშნებოდათ ცეცხლსასროლი იარაღითა და მჩხვლეტად-მჭრელი საგნით მიყენებული მრავალი ჭრილობა, რომლებმაც გამოიწვია სიკვდილი.

ექსპერტიზის დასკვნაში აღწერილი ჭრილობების რაოდენობა და მათი ლოკალიზაცია ნათლად მეტყველებს განსაკუთრებული სისასტიკით ორი პირის მოკვლის მიზანზე.

ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია კასატორის მითითება იმის თაობაზე, რომ საქმე უნდა განეხილა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს.

საქმეზე წინასწარი გამოძიება აწარმოა იმერეთის საოლქო პროკურატურამ და ქუთაისის საოლქო სასამართლოში საქმე განსახილველად შევიდა განსჯადობის შესახებ საპროცესო ნორმების მოთხოვნათა დაცვით, უზენაესი სასამართლოდან. სსსკ-ის 680-ე მუხლის მე-18 ნაწილის შესაბამისად, იგი უნდა განეხილა ამ სასამართლოს პირველი ინსტანციით.

ქუთაისის საოლქო სასამართლოში საქმის განხილვისას დ. მ-ძე სასჯელს იხდიდა და უსაფუძვლოა მითითება საპატიმრო ვადის დარღვევის შესახებ.

პალატა აღნიშნავს, რომ განაჩენი დასაბუთებულია, მაგრამ იგი უნდა შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2003 წლის 1 სექტემბრის განაჩენით დ. მ-ძეს უვადო თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა სსკ-ის 109-ე მუხლის «კ» და «ო» ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სხვა, ზადდათის რაიონში ჩადენილი დანაშაულისათვის, რისთვისაც შემდეგ საკასაციო პალატის განჩინებით განესაზღვრა 20 წლით თავისუფლების აღკვეთა. ქ. მოსკოვში დ. რ-ავასა და ლ. ფ-იას განსაკუთრებული სისასტიკით მკვლელობისათვის დ. მ-ძეს დანიშნული ჰქონდა 15 წლით თავისუფლების აღკვეთა. დაცვის მხარის საკასაციო საჩივრის საფუძველზე ეს განაჩენი გაუქმდა ბრალდების იმ ნაწილში, რომლისთვისაც დ. მ-ძეს უვადო თავისუფლების აღკვეთა არ დანიშნია.

ამდენად, საქმის ხელახლა განხილვისას პირველი ინსტანციის სასამართლო არ იყო უფლებამოსილი, დ. მ-ძისათვის დაენიშნა იმაზე მკაცრი სასჯელი, რაც მას დანიშნული ჰქონდა ქ. მოსკოვში ჩადენილი მკვლელობისათვის უზენაესი სასამართლოს 2003 წლის 1 სექტემბრის განაჩენით, ე.ი. 15 წელზე მეტი ვადით.

პალატა აღნიშნავს, რომ დ. მ-ძეს ახალი დანაშაული არ ჩაუდენია და არც სსსკ-ის 614-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოება არსებობს, შესაბამისად, არასწორია მსჯავრდებულისათვის სასჯელის სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე - განაჩენთა ერთობლიობით დანიშვნა და მას სასჯელი უნდა განესაზღვროს დანაშაულთა ერთობლიობით, 2007 წლის 18 იანვრამდე მოქმედი სსკ-ის 50-ე მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ« ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ დ. მ-ძის ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. ნ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 1 მაისის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ: დ. მ-ძეს საქართველოს 2006 წლის 31 მაისამდე

მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის «ა» და «ვ» ქვეპუნქტებით განესაზღვროს 15 წლით თავისუფლების აღკვეთა;

განაჩენიდან ამოირიცხო მითითება სსკ-ის 51-ე მუხლსა და 59-ე მუხლის მე-2 ნაწილზე;

საქართველოს 2007 წლის 18 იანვრამდე მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 50-ე მუხლის მე-4 ნაწილისა და სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, მსჯავრდებულ დ. მ-მეს საბოლოოდ განესაზღვროს 25 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყოს 2002 წლის 23 თებერვლიდან.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში

განჩინება

#1274ს-აპ

14 მარტი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),
ზ. მეიშვილი,
ლ. მურუსიძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ხ. მ-შვილისა და მისი დამცველების, ადვოკატების - ნ. ფ-შვილისა და კ. კ-მის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 15 ივნისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

საბრალდებო დასკვნით ხ. მ-შვილს ბრალი ედებოდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (1960 წლის 30 დეკემბრის რედაქცია შემდგომი ცვლილებებითა და დამატებებით) 105-ე მუხლით, 104-ე მუხლის მეშვიდე და მეცხრე პუნქტებითა და იმავე კოდექსის 238-ე მუხლის პირველი-მეორე ნაწილებით, აგრეთვე საქართველოს სსკ-ის (1999 წლის 22 ივლისის რედაქცია შემდგომი ცვლილებებით) 236-ე მუხლის პირველი-მეორე ნაწილებით, აღნიშნული კოდექსის 362-ე მუხლის პირველი ნაწილითა და იმავე მუხლის მე-2 ნაწილის «დ» ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენაში.

ხ. მ-შვილის ბრალდების საქმე განიხილა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ, რომლის 2007 წლის 23 თებერვლის განაჩენით მისი ქმედება საქართველოს სსკ-ის (1960 წლის 30 დეკემბრის რედაქცია), 105-ე მუხლიდან და 104-ე მუხლის მე-7 და მე-9 პუნქტებიდან გადაკვალიფიცირდა იმავე კოდექსის 104-ე მუხლის მე-4 პუნქტზე, ხოლო საქართველოს სსკ-ის (1960 წლის 30 დეკემბრის რედაქცია) 238-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებიდან გადაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის (1999 წლის 22 ივლისის რედაქცია) 236-ე მუხლის პირველ და მე-2 ნაწილებზე, რის გამოც იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის (1960 წლის 30 დეკემბრის რედაქცია) 104-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე - თავისუფლების აღკვეთა 12 (თორმეტი) წლის ვადით, საქართველოს სსკ-ის (1999 წლის 22 ივლისის რედაქცია) 236-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე - თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით და იმავე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე - თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით (1992 წლის 22 მაისის ეპიზოდი), საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის (მითითებული რედაქცია) პირველი ნაწილის საფუძველზე - თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით და იმავე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე - თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით (2006 წლის 26 თებერვლის ეპიზოდი), ხოლო საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების (2000 წლის 30 ივნისის რედაქცია) საფუძველზე - თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დანიშნული სასჯელები შეიკრიბა და ხ. მ-შვილს სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 19 წლის ვადით, რასაც იმავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 3 წლით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ მსჯავრდებულ ხ. მ-შვილს სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 22 წლის ვადით.

განაჩენით ხ. მ-შვილს მსჯავრი დაედო ისეთ დანაშაულთა ჩადენაში, როგორებიცაა: განზრახ მკვლელობა, ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებაში - ორი პირის განზრახ მკვლელობა; ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა და ტარება (ორი ეპიზოდი); ყალბი პირადობის მოწმობისა და ბეჭდის დამზადება, ჩადენილი არაერთგზის, რაც გამოიხატა შემდეგში: ხ. მ-შვილმა, რომელსაც ძმები - ჯ. ს-შვილი და ს. თ-შვილი მიაჩნდა მისი საერთო

მეგობრების ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ტარებისათვის პოლიციაში მამხილებლად, ე.წ. «ჩამწვებად», განიზრახა აღნიშნული ორი პირის მკვლელობა, რის შემდეგაც, კერძოდ, 1992 წლის 22 მაისს, თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე, მან «მაკაროვის» სისტემის ცეცხლსასროლი იარაღის რამდენიმე გასროლით მოკლა ძმები - ჯ. ს.-შვილი და ს. თ.-შვილი, თვითონ კი შემთხვევის ადგილიდან მიიშალა. 2006 წლის 26 თებერვალს ხ. მ.-შვილს დაკავების დროს ჩატარებული პირადი ჩხრევისას აღმოაჩნდა დ. ხ.-ძისა და ვ. მ.-ძის სახელზე გაცემული ყალბი ოფიციალური დოკუმენტები, რომლებშიც ჩაკრული იყო მისი ფოტოსურათები, ხოლო ხ. მ.-შვილის საცხოვრებელი ბინის ჩხრევისას კი ამოღებულ იქნა სამი ერთეული ცეცხლსასროლი იარაღი.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ ხ. მ.-შვილის დამცველმა, ადვოკატმა კ. კ.-ძემ, რომელიც თავისი საჩივრით ითხოვდა აღნიშნული განაჩენის გაუქმებასა და მის ნაცვლად მსჯავრდებულის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენას შემდეგი მოტივებიდან გამომდინარე: მიუხედავად დაცვის მხარის მოთხოვნისა, საქმეზე არ ჩატარებულა სასამართლო-დაქტილოსკოპიური ექსპერტიზა, სასამართლო-ოდოროლოგიური ექსპერტიზა, კომისიური სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა, სხვა სახის აუცილებელი ექსპერტიზები და არ დაიკითხნენ ექსპერტები; არსებობს მონაცემები იმის თაობაზე, რომ მკვლელობა, რომელიც ხ. მ.-შვილს შეერაცხა, ჩადენილია სხვა პირების მიერ; განაჩენი ეყრდნობა დაზარალებულის შეცვლილ ჩვენებებსა და დაინტერესებულ მოწმეთა არასწორ ჩვენებებს, ხოლო სხვა მტკიცებულებები მოპოვებულია საპროცესო ნორმების დარღვევით.

ადვოკატ კ. კ.-ძის საჩივარი განიხილა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ, რომელმაც 2007 წლის 15 ივნისის განაჩენით არ დააკმაყოფილა აპელანტის მოთხოვნა, ამასთან, გასაჩივრებულ განაჩენში შეიტანა შემდეგი ცვლილება: ხ. მ.-შვილს მოუხსნა საქართველოს სსკ-ის (1999 წლის 22 ივლისის რედაქცია შემდგომი ცვლილებებით) 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით შერაცხული ბრალდება, ვინაიდან, სასამართლოს დასკვნით, 2006 წლის 26 თებერვლის ეპიზოდთან დაკავშირებით არ დადასტურდა მის მიერ ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო ტარების ფაქტი, აგრეთვე მასვე მოუხსნა საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის პირველი ნაწილით შერაცხული ბრალდება, რადგან ამ უკანასკნელს მოიგავს იმავე მუხლის მე-2 ნაწილის შემადგენლობა, რის გამოც ხ. მ.-შვილისათვის პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენით დანიშნულ საბოლოო სასჯელს - 22 წლით თავისუფლების აღკვეთას - გამოაკლდა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა და მას საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 20 წლის ვადით.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა ხ. მ.-შვილმა და მისმა დამცველებმა, ადვოკატებმა - ნ. ფ.-შვილმა და კ. კ.-ძემ საკასაციო საჩივრებით მიმართეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორები იმავე მოტივების საფუძველზე, რაც წინათ მითითებული იყო დაცვის მხარის მიერ შეტანილ სააპელაციო საჩივარში, ითხოვენ გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებასა და მსჯავრდებულ ხ. მ.-შვილის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას იმ საფუძველით, რომ მას არ ჩაუდენია განაჩენით მისთვის შერაცხული დანაშაული. გარდა ამისა, კასატორი ნ. ფ.-შვილი აღნიშნავს, რომ ხ. მ.-შვილს სასამართლომ ბოლო დანაშაული-სათვის დანიშნულ სასჯელს უსაფუძვლოდ დაუმატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რადგან აღნიშნული ვადით ხ. მ.-შვილი გათავისუფლებული იყო თავისუფლების აღკვეთის მოხდის ადგილიდან პირობით ვადამდე, ხოლო 1992 წლის 27 თებერვლის ამნისტიით პირობით მსჯავრდებულები გათავისუფლებულნი იყვნენ სასჯელის მოხდისგან.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ ხ. მ.-შვილის მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრების საფუძველიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა თვლის, რომ საქმეში მოიპოვება საკმარისი და სარწმუნო მტკიცებულებები, რომლებითაც დგინდება, რომ მსჯავრდებულმა ხ. მ.-შვილმა ნამდვილად ჩადინა ძმების - ჯ. ს.-შვილისა და ს. თ.-შვილის განზრახ მკვლელობა, აგრეთვე, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შექმნა, შენახვა და ტარება. აღნიშნული დადასტურებულია არა მხოლოდ დაზარალებულისა და მოწმეთა ჩვენებებით, არამედ ასევე სხვადასხვა სახის სასამართლო ექსპერტიზების დასკვნებით, ნივთმტკიცებებითა და სხვა მტკიცებულებებით, რომლებიც მოპოვებულია წინასწარი და სასამართლო გამოძიების სტადიაზე საპროცესო ნორმების დაცვით. დაცვის მხარე მიუთითებს სხვა პირებზე, რომლებსაც, ადვოკატთა აზრით, გააჩნდათ პირადი დაინტერესება გარდაცვლილი ძმების მიმართ, რის გამოც მათ შეეძლოთ მკვლელობის ჩადენა, რაც შემდეგ გადაბრალეს ხ. მ.-შვილს. დაცვის მხარის ასეთი ვერსია საქმის მასალებით ვერ დასტურდება, ვინაიდან არ არსებობს რაიმე სარწმუნო, დამაჯერებელი მონაცემი იმის თაობაზე, რომ ზემოაღნიშნული მკვლელობა სხვა პირებმა ჩადინეს და არა ხ. მ.-შვილმა. საკასაციო პალატა განაჩენის გაუქმებისათვის თავისი გადაწყვეტილების საფუძველად ვერ მიიღებს დაუდასტურებელ ვარაუდს. გარდა ამისა, დაცვის მხარე აპელირებს იმაზე, რომ სასამართლომ არ დააკმაყოფილა მათი მოთხოვნები სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ხელახლა ჩატარების, აგრეთვე დაქტილოსკოპიური და ოდოროლოგიური ექსპერტიზების დანიშვნის თაობაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს საკითხები არ იყო დაყენებული რეალური და ისეთი საფუძვლიანი დასაბუთებით, რაც დაადასტურებდა მათი ჩატარების აუცილებლობას, მათი შესაძლებელი შედეგების გათვალისწინებით, ხოლო საქმის წარმოებისას არ ყოფილა დაშვებული ისეთი არსებითი საპროცესო დარღვევები, რომელთა გამო ეჭვის ქვეშ დადგებოდა ხ. მ-შვილის ბრალულობა ძმების - ჯ. ს-შვილისა და ზ. თ-შვილის განზრახ მკვლელობაში ანდა ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შექმნაში, შენახვასა და ტარებაში.

ამავდროს, საკასაციო პალატა ვერ დაეთანხმება გასაჩივრებულ განაჩენს იმ ნაწილში, რომლითაც ხ. მ-შვილი მსჯავრდებულ იქნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა» ქვეპუნქტის საფუძველზე - არაერთგზის ყალბი პირადობის მოწმობის, ბეჭდის დამზადებისა და შენახვის ბრალდებით. საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებაზე, რომ სისხლის სამართლის კოდექსი ასეთ დანაშაულს არ იცნობს, ანუ ამ ნაწილში ბრალდების ფორმულირება, რომელიც ჩამოყალიბებულია საბრალდებო დასკვნასა და სააპელაციო სასამართლოს განაჩენში, არ შეესაბამება საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლში მოცემულ დისპოზიციას, რომლის მიხედვით, ხსენებული ქმედება დასჯადია მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ჩადენილია გასაღების მიზნით. არც საბრალდებო დასკვნასა და არც გასაჩივრებულ განაჩენში მითითებული არ არის, რომ ხ. მ-შვილმა ყალბი პირადობის მოწმობისა და ბეჭდის დამზადება და შენახვა ჩაიდინა მათი გასაღების მიზნით, ამასთან, გასაღების მიზნის არსებობა არავითარი მტკიცებულებით არ არის დადასტურებული. ასეთი მიზნის არსებობა გამორიცხული იყო თუნდაც იმიტომ, რომ ყალბ პირადობის მოწმობებში, რომლებიც ჩხრეკისას იქნა ამოღებული ხ. მ-შვილისგან, ჩაკრული იყო მისი სურათები. საქმეში არ მოიპოვება, ასევე, რაიმე მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ ხსენებული ყალბი მოწმობები პირადად მან დაამზადა. განხილული გარემოებებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ ხ. მ-შვილს უნდა მოეხსნას საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტის საფუძველზე შერაცხული ბრალდება და ამ ნაწილში მის მიმართ უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა, სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო.

ამასთან ერთად, საკასაციო პალატას მართებულად მიაჩნია დაცვის მხარის მითითება იმის თაობაზე, რომ სასამართლომ მსჯავრდებულ ხ. მ-შვილის მიმართ ბოლო დანაშაულისათვის დანიშნულ სასჯელს უკანონოდ დაუმატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რადგან ამ ვადით ხ. მ-შვილი პირობით იყო მსჯავრდებული იმის გათვალისწინებით, რომ იგი თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის მოხდისგან გათავისუფლებული იყო პირობით, რაც პირობით მსჯავრდების ერთ-ერთი სახეა, ხოლო «ამნისტიის შესახებ» საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს 1992 წლის 26 თებერვლის დადგენილების მე-2 პუნქტის თანახმად, პირობით მსჯავრდებულნი გათავისუფლდნენ ამ ღონისძიებისაგან, რის გამოც ზემოაღნიშნული 3 წლით თავისუფლების აღკვეთა ხ. მ-შვილს არ შეიძლება ჩაეთვალოს მოუხდელ სასჯელად. აღნიშნული გარემოების გამო გასაჩივრებული განაჩენიდან უნდა ამოირიცხოს მითითება სასამართლოს მიერ ბოლო დანაშაულისათვის დანიშნულ სასჯელზე წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილის დამატების შესახებ, ხოლო, აღნიშნულის გათვალისწინებით, მსჯავრდებულ ხ. მ-შვილს შესაბამისად უნდა შეუმცირდეს განაჩენით მისთვის განსაზღვრული საბოლოო სასჯელი.

ამრიგად, სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულ ხ. მ-შვილის მიმართ განაჩენის დადგენისას დაუშვა საქართველოს სსკ-ის 562-ე მუხლის «ბ» ქვეპუნქტითა და 564-ე მუხლის «ბ» ქვეპუნქტით გათვალისწინებული დარღვევა - მატერიალური სისხლის სამართლის კანონის არასწორი გამოყენება, კერძოდ, სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, რაც განაჩენის შეცვლის საფუძველია, ხოლო მოცემულ შემთხვევაში გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს მსჯავრდებულ ხ. მ-შვილის სასიკეთოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ ხ. მ-შვილისა და მისი დამცველი ადვოკატების - ნ. ფ-შვილისა და კ. კ-ძის საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 15 ივნისის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება: მსჯავრდებულ ხ. მ-შვილს მოეხსნას საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტის საფუძველზე შერაცხული ბრალდება და ამ ნაწილში მის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა, სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო, ხოლო მითითება ამ მუხლით მისთვის სასჯელად 1 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთის დანიშვნის თაობაზე, აგრეთვე მითითება მის მიმართ ამ განაჩენით ბოლო დანაშაულისათვის განსაზღვრულ სასჯელზე წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილის

- 3 წლით თავისუფლების აღკვეთის - დამატების თაობაზე ამოირიცხოს განაჩენიდან, რომლებიც გამოაკლდეს მისთვის განსაზღვრული საბოლოო სასჯელის ზომას - 20 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთას, რის გამოც მსჯავრდებულ ხ. მ-შვილს საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 16 წლის ვადით.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში მსჯავრდებულ ხ. მ-შვილის მიმართ დარჩეს უცვლელად. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განზრახ მკვლელობის მცდელობა დამამძიმებელ გარემოებებში

განჩინება

#1874-აპ

25 მარტი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),
ლ. მურუსიძე,
დ. სულაქველიძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ნ. შ-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 3 სექტემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 29 ივნისის განაჩენით ნ. შ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, ამავე მუხლის მეორე ნაწილით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) - 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, 187-ე მუხლის მეორე ნაწილით (2006 წლის 31 მაისიდან მოქმედი რედაქცია) - 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, მე-19,109-ე მუხლის «ა», «ზ», «კ» ქვეპუნქტებით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) - 10 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მეოთხე ნაწილის საფუძველზე საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენით მსჯავრდებულ ნ. შ-შვილის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

2004 წლის 4 აპრილს, დაახლოებით 15 საათსა და 45 წუთზე, ნასვამ მდგომარეობაში მყოფი, მცხეთის რაიონის სოფ. ... მცხოვრები ნ. შ-შვილი თბილისში, მეტროს სადგურ „დიდუბის“ მიმდებარე ტერიტორიაზე, მივიდა მანამდე მისთვის უცნობ გ. ჯ-შვილთან, რომელსაც უხეში ტონით მოსთხოვა სიგარეტი და უარყოფითი პასუხით განაწყენებულმა, ხულიგნური ქვენაგრძნობით, ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, გ. ჯ-შვილის განზრახ მოკვლის მიზნით, ამოიღო ჯიბიდან ფეთქებადი ნივთიერება „ფ-1“ ტიპის ხელყუმბარა, რომელიც მან მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა, ინახავდა და ატარებდა, მოიყვანა იგი საბპროლო მდგომარეობაში და დააგდო გ. ჯ-შვილთან, რომლის გარშემოც იმყოფებოდა მრავალი ადამიანი. მომხდარი აფეთქების შედეგად გ. ჯ-შვილმა მიიღო ჭრილობა მარჯვენა საფეთქლის მიდამოში და ჰემატომები სახის მარჯვენა ნახევარში, რომლებიც მიეკუთვნება სხეულის მსუბუქი ხარისხის კატეგორიის დაზიანებას, ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლით. გ. გ-იანმა მიიღო ჭრილობები მარჯვენა მხრის, მარჯვენა ბარძაყისა და მარცხენა წვივის არეში, რომლებიც მიეკუთვნება მსუბუქ ხარისხს, ჯანმრთელობის მოშლის გარეშე. მ. ჩ-შვილმა აფეთქებული ხელყუმბარის ნამსხვრევებით მუცლის არეში მიიღო შემავალი ჭრილობა ღვიძლის დაზიანებით, ტრავმული ჰემორაგიული შოკი, III-IV ხარისხის, რომლებიც მიეკუთვნება ჯანმრთელობისათვის საშიშ სხეულის მძიმე დაზიანებათა კატეგორიას. აღნიშნულ პირთა სიცოცხლის გადარჩენა მოხერხდა დროული და კვალიფიციური სამედიცინო დახმარების შედეგად. ასევე, აფეთქებით ნ. შ-შვილმა დააზიანა იქვე გაჩერებული ა. მ-ძის კუთვნილი ავტომანქანა „ფორდი“ (მიკროავტობუსი), რის შედეგადაც ა. მ-მემ მიიღო 300 ლარის ოდენობის მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი, ასევე ტ. ს-ურის კუთვნილი ავტომანქანა „მერსედესი“ (მიკროავტობუსი) და ლ. მ-ძის კუთვნილი ავტომანქანა „ჟიგული“ ვაზ-2107, რითაც ლ. მ-მემ მიიღო მნიშვნელოვანი ზიანი 335 ლარის ოდენობით. დანაშაულის ჩადენის შემდეგ ნ. შ-შვილი ადგილზევე დააკავეს.

აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 3 სექტემბრის განაჩენით დარჩა უცვლელად, კერძოდ:

ნ. შ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, ამავე მუხლის მეორე ნაწილით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) - 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, 187-ე მუხლის მეორე ნაწილით (2006 წლის

31 მაისიდან მოქმედი რედაქცია) - 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, მე-19,109-ე მუხლის «ა» ქვეპუნქტით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია), მე-19,109-ე მუხლის პირველი ნაწილის «გ» და ამავე მუხლის მეორე ნაწილის «გ» ქვეპუნქტებით (2006 წლის 31 მაისიდან მოქმედი რედაქცია) - 10 წლით თავისუფლების აღკვეთა. საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა.

მსჯავრდებული ნ. შ-შვილი საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას იმ საფუძველზე, რომ განაჩენი არის უკანონო, მას არ ჩაუდენია დანაშაული; განაჩენი ფაქტობრივად დაეყრდნო დაზარალებულებისა და მოწმეების მიერ მიცემულ წინააღმდეგობრივ ჩვენებებს; სასჯელის დანიშნისას სასამართლომ არ გაითვალისწინა პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებანი და დაუნიშნა მკაცრი სასჯელი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გაანალიზა წარმოდგენილი საჩივრების საფუძველიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე წინასწარი გამოძიება და სასამართლო გამოკვლევა ჩატარებულია სრულყოფილად, ობიექტურად და საპროცესო კანონმდებლობის დაცვით.

პალატა უსაფუძვლოდ მიიჩნევს საკასაციო საჩივრის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ, თითქოს, განაჩენი არის უკანონო, ნ. შ-შვილს არ ჩაუდენია მასზე ბრალად შერაცხული დანაშაულები.

საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძველად დაედება განაჩენის გაუქმებას.

პალატა თვლის, რომ როგორც I-ლი ინსტანციის, ასევე სააპელაციო სასამართლოებს საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებები გააჩნდათ ნ. შ-შვილის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის დასადგენად.

განაჩენით მსჯავრდებულ ნ. შ-შვილის მიმართ შერაცხული ბრალდებები დადასტურებულია დაზარალებულების - გ. ჯ-შვილის, გ. გ-იანის, ა. მ-ძის, ტ. ს-ურის, ლ. მ-ძის ჩვენებებით, მოწმეების - ი. მ-ძის, ს. გ-უას ჩვენებებით, შემთხვევის ადგილის დათვალიერებისა და ამოღების ოქმით, ალკოჰოლის მოხმარებისა და სიმთვრალის ფაქტის დადგენის სამედიცინო შემოწმების ოქმით, სასამართლო-სამედიცინო, ბალისტიკური, ბიოლოგიური, კრიმინალისტიკური ექსპერტიზების დასკვნებითა და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებით, კერძოდ:

დაზარალებულ გ. ჯ-შვილის ჩვენებით, 2004 წლის 4 აპრილს, 15.00 საათზე, იგი იდგა მეტროს სადგურ „დიდუბის“ მიმდებარე ტერიტორიაზე, რუსთავის სამარშრუტო ტაქსების გაჩერებაზე. მის წინ გაჩერდა უცნობი და სთხოვა სიგარეტი, მას სიგარეტი არ ჰქონდა და უარი უთხრა. უცნობმა პირმა მას უწმაწური სიტყვებით მიმართა. რადგან უცნობი ასაკიანი და თანაც მთვრალი იყო, ყურადღება არ მიაქცია. ეს პირი გასცდა, შემდეგ კი მისკენ მიტრიალდა და ამ დროს მის ხელში გახსნილი „ლიმონკა“ დაინახა. ამ პიროვნებამ „ლიმონკა“ მისკენ გაიშვირა, შეეცადა წართმევას და ამ დროს აფეთქებაც მოხდა, აფეთქების შედეგად მიიღო დაზიანებები. იგი დარწმუნებულია, რომ ნ. შ-შვილი სწორედ ის პიროვნებაა.

დაზარალებულ გ. გ-იანის ჩვენებით, 2004 წლის აპრილში, დაახლოებით შუადღისას, იმყოფებოდა მეტროს სადგურ „დიდუბის“ მიმდებარე ტერიტორიაზე, რუსთავის სამარშრუტო ტაქსების გაჩერებაზე. ვიღაცამ დაიძახა «ლიმონკაო», რომელიც მისკენ გაგორდა, მართალია, რაღაცას მიეფარა, მაგრამ აფეთქების შედეგად მაინც დაიჭრა.

დაზარალებულ ა. მ-ძის ჩვენებით, იგი მუშაობს თბილისი-რუსთავის სამარშრუტო ხაზზე. 2004 წლის 4 აპრილს, დილით, ის ჩვეულებრივ გავიდა სამსახურში რეისების შესასრულებლად. დაახლოებით 15 საათსა და 30 წუთზე მას უწევდა დიდუბის სადგურიდან გასვლა და ელოდებოდა, რომ მისი სამარშრუტო ტაქსი მგზავრებით შევსებულიყო. ამასობაში შემოესმა ყვირილის ხმა «ლიმონკაო», რასაც უცებ მოჰყვა ძლიერი აფეთქების ხმა, რა დროსაც ის იჯდა საჭესთან. როგორც შემდგომ გაიგო, ვიღაც ბიჭებს უკამათიან და ერთ-ერთმა გახსნა ხელყუმბარა.

მოწმე ი. მ-ძის ჩვენებით, იგი დაედევნა იმ პიროვნებას, რომელსაც ხელყუმბარა ეჭირა, დააკავა და წარადგინა წერეთლის გამზირზე მდებარე პოლიციის განყოფილებაში.

ამდენად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სასამართლომ სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა მსჯავრდებულის ქმედებებს და სასჯელის ზომაც სამართლიანად განუსაზღვრა.

ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის მეორე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების საფუძველზე მსჯავრდებულ ნ. შ-შვილს საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის მეორე ნაწილით შეფარდებული სასჯელი - 3 წლით თავისუფლების აღკვეთა - უნდა გაუნახევრდეს და მიესაჯოს 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

მსჯავრდებულ ნ. შ-შვილს საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი, მეორე ნაწილებით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია), 187-ე მუხლის მეორე ნაწილით (2006 წლის 31 მაისიდან მოქმედი რედაქცია), მე-19,109-ე მუხლის «ა» ქვეპუნქტით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია), მე-19,109-ე მუხლის პირველი ნაწილის «გ» და ამავე მუხლის მეორე ნაწილის «გ» ქვეპუნქტებით (2006 წლის 31 მაისიდან მოქმედი რედაქცია) საბოლოოდ მოსახდელად უნდა განესაზღვროს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა», «დ» ქვეპუნქტებით, 568-ე მუხლით, «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის მეორე მუხლის პირველი და მეორე პუნქტებით,

და ა დ გ ი ნ ა:

საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 3 სექტემბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

«ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის მეორე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების საფუძველზე მსჯავრდებულ ნ. შ-შვილს საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის მეორე ნაწილით შეფარდებული სასჯელი - 3 წლით თავისუფლების აღკვეთა - გაუნახვერდეს და მიესაჯოს 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

მსჯავრდებულ ნ. შ-შვილს საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი, მეორე ნაწილებით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია), 187-ე მუხლის მეორე ნაწილით (2006 წლის 31 მაისიდან მოქმედი რედაქცია), 19,109-ე მუხლის «ა» ქვეპუნქტით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია), მე-19,109-ე მუხლის პირველი ნაწილის «გ» და ამავე მუხლის მეორე ნაწილის «გ» ქვეპუნქტებით (2006 წლის 31 მაისიდან მოქმედი რედაქცია) საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვროს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში

განჩინება

#1999-აპ

11 აპრილი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- ი. ტყეშელაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ვ. ბ-იას ინტერესების დამცველი ადვოკატების - თ. ქ-ვასა და ა. ც-უას საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 15 აგვისტოს განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ჩხოროწყუს რაიონული სასამართლოს 2007 წლის 28 ივნისის განაჩენით ვ. ბ-ია ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, ამავე მუხლის მეორე ნაწილით - 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, 109-ე მუხლის პირველი ნაწილის «გ» ქვეპუნქტით - 11 წლით თავისუფლების აღკვეთა, მე-19,109-ე მუხლის პირველი ნაწილის «გ» ქვეპუნქტით - 11 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე და 50-ე მუხლების საფუძველზე საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენის მიხედვით, ვ. ბ-იას მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

ჩხოროწყუს რაიონის სოფ. ... დაბადებულმა ვ. ბ-იამ გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში დაუდგენელი პირისაგან მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი და მისთვის განკუთვნილი საბრძოლო მასალა, რომლებსაც ასევე მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდა და ატარებდა დროგამოშვებით.

ვ. ბ-ია კონფლიქტურ ურთიერთობაში იმყოფებოდა ბიძაშვილთან, ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ... დაბადებულ ჯ. ბ-იასთან, რაც გამოწვეული იყო იმით, რომ 1984 წელს ჯ. ბ-იამ დაამყარა სქესობრივი კავშირი ვ. ბ-იას დასთან, მ. ბ-იასთან. აღნიშნულის შესახებ ვ. ბ-იასა და მისი ოჯახის წევრებისათვის ცნობილი გახდა მას შემდეგ, რაც მ. ბ-ია გათხოვდა ქ. ზუგდიდში მცხოვრებ ა. თ-აიაზე, რომელიც დაშორდა თავის მეუღლეს - მ. ბ-იას და ეს უკანასკნელი დაბრუნდა მამისეულ სახლში იმ მიზეზით, რომ იგი არ იყო ქალწული. მ. ბ-იამ ოჯახის წევრებს აუხსნა თავისი მდგომარეობა და შეატყობინა, რომ რამდენიმე წლის წინ მასთან სქესობრივი კავშირი დაამყარა

ბიძაშვილმა - ჯ. ბ-იამ. ყოველივე ამის შემდეგ ვ. ბ-იასა და ჯ. ბ-იას ოჯახებს შორის დაიძაბა ურთიერთობა და მათ შორის იყო მტრული დამოკიდებულება. განსაკუთრებით მტრულ დამოკიდებულებას გამოხატავდა ვ. ბ-ია, რომელიც ამ ნიადაგზე შურისძიების მოტივით მამამისის, ს. ბ-იას კუთვნილი თოფით საცხოვრებელ სახლში მიუვარდა მეზობლად მცხოვრებ ბიძაშვილს, ჯ. ბ-იას. მან გაისროლა იარაღიდან, რის საფუძველზეც იგი დააპატიმრეს და სასჯელის სახით მოიხადა სამი წლით თავისუფლების აღკვეთა. არსებული კონფლიქტური და მტრული დამოკიდებულებისგან თავის არიდების მიზნით, ჯ. ბ-იამ დატოვა თავისი საცხოვრებელი სახლი და წავიდა სოფელ . . . , ხოლო მოგვიანებით კი საერთოდ დატოვა საქართველოს ტერიტორიის ფარგლები და საცხოვრებლად გაემგზავრა რუსეთის ფედერაციაში.

2006 წლის 27 ოქტომბერს ჩხორიწყუს რაიონის სოფელ . . . გარდაიცვალა ჯ. ბ-იას მამა - ა. ბ-ია, რის შესახებაც ცნობილი გახდა რუსეთის ფედერაციაში მყოფი ჯ. ბ-იასათვის, რომელიც მამის გარდაცვალებასთან დაკავშირებით იმავე წლის 3 ნოემბერს ჩამოვიდა რუსეთის ფედერაციიდან. მისი ჩამოსვლის შესახებ შეიტყო ვ. ბ-იამ და მისმა ოჯახის წევრებმა, რომლებიც გაღიზიანდნენ და ვ. ბ-ია დაემუქრა ჯ. ბ-იას, კერძოდ, მეზობლების - ვ. ლ-ავასა და დ. ლ-ავას მეშვეობით შეუთვალა ჯ. ბ-იას, რომ თუ იგი სასწრაფოდ არ დ. ვებდა სოფელს, მოკლავდა, რაზედაც ამ უკანასკნელმა უპასუხა, რომ მამის დაკრძალვის მეორე დღეს დ. ვებდა იქაურობას. 2006 წლის 4 ნოემბერს, ჯ. ბ-იას მამის დაკრძალვისა და ქელების დამთავრების შემდგომ, როდესაც ხალხი დაიშალა, ჯ. ბ-ია, სიძე - ე. კ-ავა და ბიძაშვილი - დ. შ-ია, იმყოფებოდნენ საცხოვრებელი სახლის პირველ სართულზე მდებარე უკანა ოთახში, სადაც გაშლილი იყო პატარა სუფრა მიცვალებულის მოსაგონებლად. აღნიშნულ სუფრასთან ისხდნენ მამაკაცები, ხოლო ქალები იმყოფებოდნენ იმავე ოთახში.

ვ. ბ-იამ, რომლისთვისაც ცნობილი იყო, რომ ჯ. ბ-ია მეორე დღეს, 5 ნოემბერს, ტოვებდა სოფელ . . . და მიემგზავრებოდა რუსეთის ფედერაციაში, განიზრახა ჩაედინა ჯ. ბ-იას მკვლელობა. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, 2006 წლის 4 ნოემბერს, ვ. ბ-იამ აიღო თავის მიერ მართლსაწინააღმდეგოდ შეძენილი და შენახული ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი მისთვის განკუთვნილი საბრძოლო მასალით. დაახლოებით 23 საათზე ავტომატით შეიარაღებული მივიდა ჯ. ბ-იას საცხოვრებელ სახლთან, მიიპარა სახლის უკანა მხარეს, ფანჯრიდან დაინახა ოთახში მყოფი ჯ. ბ-ია და ასევე იქვე მყოფი სხვა პირები. ავტომატი მოიყვანა საბრძოლო მდგომარეობაში და დამიზნებით, შურისძიების ნიადაგზე მკვლელობის განზრახვით, მრავალჯერ გაისროლა ოთახში მყოფი ჯ. ბ-იას მიმართულებით, რითაც განზრახ შეუქმნა საფრთხე იმავე ოთახში მყოფ ნონა ბ-იას, შურა შ-იასა და დ. შ-იას სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, ხოლო ჯ. ბ-ია დაჭრა ფეხის არეში, ე. კ-ავა კი მუცლის არეში, რის შემდეგ ვ. ბ-იამ სასწრაფოდ დატოვა იქაურობა და შემთხვევის ადგილიდან მიიშალა. ე. კ-ავა მიღებული დაზიანების შედეგად გარდაიცვალა ზუგდიდის მრავალპროფილიან კლინიკურ საავადმყოფო „რესპუბლიკაში“, ხოლო ჯ. ბ-ია იმვე საავადმყოფოში გაწეული დროული და კვალიფიციური ქირურგიული დახმარების შედეგად გადაურჩა სიკვდილს.

აღნიშნული განაჩენი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 15 აგვისტოს განაჩენით დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებულ ვ. ბ-იას ინტერესების დამცველი ადვოკატები - თ. ქ-ვა და ა. ც-უა საკასაციო საჩივრით ითხოვენ განაჩენის გაუქმებასა და ვ. ბ-იას მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას იმ მოტივით, რომ განაჩენი არის უკანონო, არ გამომდინარეობს კანონის მოთხოვნიდან, არ შეესაბამება რეალურ სინამდვილეს და არ ასახავს მომხდარ შემთხვევას ისე, როგორც ამას სინამდვილეში ჰქონდა ადგილი; გასაჩივრებულ განაჩენს საფუძვლად დაედო მხოლოდ დაინტერესებული დაზარალებული მხარისა და ბრალდების მხარდამჭერი პროკურორის უსაფუძვლო მოთხოვნები; საქმეზე წინასწარი გამოძიება ჩატარებულია ზერელედ, დარღვეულია საქართველოს სსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნები; ვ. ბ-იას ასევე უკანონოდ დაედო მსჯავრი სსკ-ის 236-ე მუხლით, რამდენადაც საქმეში არავითარი მტკიცებულება არ მოიპოვება იმის შესახებ, რომ ვ. ბ-ია ატარებდა და ინახავდა ავტომატურ ცეცხლსასროლ იარაღსა და საბრძოლო მასალას; სააპელაციო სასამართლომ, ნაცვლად იმისა, რომ ერთი დანაშაულებრივი ქმედებისათვის ორი განსხვავებული შედეგის დადგომის დროს დაენიშნა ერთი სასჯელი, გამოიყენა სასჯელთა შეკრების წესი.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

მსჯავრდებულმა ვ. ბ-იამ წარდგენილ ბრალდებაში თავი არ ცნო დამნაშავედ და აჩვენა შემდეგი:

2006 წლის 4 ნოემბერს, დილით, დაახლოებით რვის ნახევარზე, ის და მასთან ერთად მცხოვრები ს-ოვი წავიდნენ ტყეში, თან წაიღეს საქმელი, სამუშაო იარაღები და საწვავი. დაახლოებით 12 საათზე დარეკა ტელეფონმა, ჰკითხეს ვინ იყო, მან უთხრა, რომ იყო ვ., შემდეგ ჰკითხეს სად იყო, უთხრა, რომ შემის დასამზადებლად იყო წასული მთაში. მან ხმაზე იცნო პოლიციის თანამშრომელი ბ. ქ-ია. როდესაც ბ. -ს ჰკითხა, რა ხდებოდა, მან უთხრა, რომ სოფელში დაჭრილები იყვნენ და მათ დაჭრას ედავებოდნენ მას. მას არანაირი დანაშაული არ ჩაუდენია და ითხოვს სიმართლის გარკვევას, რისი საშუალებაც არ ეძლევა. მას ჯ. ბ-იას მოკვლა რომ სდომებოდა, მოკლავდა ჯ. ბ-იას და არა მისთვის

უცნობ პირს. იგი ფიქრობს, რომ ან ვინმემ მოუწყო მას ეს დანაშაული ანდა თვითონ მათ მოყვებოდა ვინმე და იმის გაკეთებულა. იგი ჯ. ბ-იას არ დამუქრებია მოკვლით. ოცი წლის წინ, როდესაც ჯერ კიდევ ბავშვი იყო, მიუვარდა ჯ. ბ-იას სახლში, რის გამოც იჯდა სამი წელი ციხეში. დაზარალებული რატომ ამბობს ტყუილს და რატომ ადებს ხელს მას, არ იცის.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სასამართლომ, გააანალიზა რა ვ. ბ-იას ეს ჩვენება საქმის სხვა მასალებთან ერთობლივად, სწორად არ გაიზიარა იგი და მის მიერ ბრალად შერაცხული დანაშაულების ჩადენა დადასტურებულად მიიჩნია საქმეში არსებული შემდეგი მტკიცებულებებით:

დაზარალებულების - ჯ. ბ-იას, ნ. ბ-იას, დ. შ-იას, შ. შ-იას ჩვენებებით, მოწმეების - ნ. ც-უას, დ. ჯ-ავას, ვ. ლ-ავასა და სხვათა ჩვენებებით, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმით, შემთხვევის ადგილიდან ამოღებული მასრებით, სასამართლო-სამედიცინო და ბალისტიკური ექსპერტიზების დასკვნებით.

საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძვლად დაედება განაჩენის გაუქმებას.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ გაითვალისწინა მსჯავრდებულ ვ. ბ-იას პიროვნება, მის მიერ ჩადენილი დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათი, ხარისხი და დაუნიშნა სამართლიანი სასჯელი.

ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ვ. ბ-იას ქმედება სწორადაა დაკვალიფიცირებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ორი - 109-ე მუხლის პირველი ნაწილის «გ» და მე-19,109-ე მუხლის პირველი ნაწილის «გ» ქვეპუნქტებით, მაგრამ მსჯავრდებულს თითოეული ამ მუხლით არასწორად დაენიშნა ცალ-ცალკე სასჯელი, ვინაიდან ვ. ბ-ია მოქმედებდა ერთიანი განზრახვით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ იმ მიმართებით, რომ ვ. ბ-იას უნდა ამოერიცხოს საქართველოს სსკ-ის მე-19,109-ე მუხლის პირველი ნაწილის «გ» ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელი. მას სსკ-ის 109-ე მუხლის პირველი ნაწილის «გ» და მე-19,109-ე მუხლის პირველი ნაწილის «გ» ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ქმედებების ჩადენისათვის უნდა მიესაჯოს 11 წლით თავისუფლების აღკვეთა. მსჯავრდებულ ვ. ბ-იას საბოლოოდ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, 109-ე მუხლის პირველი ნაწილის «გ» ქვეპუნქტითა და მე-19,109-ე მუხლის პირველი ნაწილის «გ» ქვეპუნქტით მოსახდელად უნდა განესაზღვროს 15 წლით თავისუფლების აღკვეთა.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 15 აგვისტოს განაჩენში შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

მსჯავრდებულ ვ. ბ-იას განაჩენის სარეზოლუციო ნაწილიდან ამოერიცხოს საქართველოს სსკ-ის მე-19,109-ე მუხლის პირველი ნაწილის «გ» ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელი.

მსჯავრდებულ ვ. ბ-იას საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის პირველი ნაწილის «გ» და მე-19,109-ე მუხლის პირველი ნაწილის «გ» ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ქმედების ჩადენისათვის მიესაჯოს 11 წლით თავისუფლების აღკვეთა;

მსჯავრდებულ ვ. ბ-იას საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, 109-ე მუხლის პირველი ნაწილის «გ» ქვეპუნქტითა და მე-19,109-ე მუხლის პირველი ნაწილის «გ» ქვეპუნქტით საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვროს 15 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში

განჩინება

#2231-აპ

16 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),

დ. სულაქველიძე,

ი. ტყეშელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ჯ. ს-ძის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ვ. ქ-ძის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 20 ნოემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 27 ივლისის განაჩენით ჯ. ს-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მეორე ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით, მე-19,109-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით, სსკ-ის 88-ე მუხლის პირველი ნაწილის გამოყენებით - 10 წლით თავისუფლების აღკვეთა, 236-ე მუხლის პირველი ნაწილით - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, ამავე მუხლის მეორე ნაწილით - 3 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დანიშნული სასჯელები შეიკრიბა და სსკ-ის 88-ე მუხლის პირველი ნაწილის გამოყენებით, საბოლოოდ ჯ. ს-ძეს სასჯელის ზომად განესაზღვრა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენის მიხედვით, ჯ. ს-ძის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

2007 წლის 7 მაისს, დაახლოებით 1.00 საათზე, გ. ა-იანი მეგობრებთან, ძმებ - ლ. და ნ. ჩ-იანებთან, გ. გ-იანთან და გამოძიებით დაუდგენელ პირებთან ერთად მივიდა ქ. თბილისის #66 საჯარო სკოლაში, თავისავე თანაკლასელ და ასევე ჯ. ს-ძის კლასელ კ. ზ-შვილთან იმავე წლის 4 მაისს მომხდარი უთანხმოების გასარკვევად. აღნიშნულ პირებთან შესახვედრად ჯ. ს-ძე წინასწარ მოემზადა, ავიდა სახლში, ქ. თბილისში, ... ქუჩის #27-ში, აიღო თავის მიერ გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, მართლსაწინააღმდეგოდ შეძენილი იარაღი, რასაც ასევე მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდა და ატარებდა, რის შემდეგაც მეგობრებთან: ზ. ფ-შვილთან, ბ. გ-ავასთან, შ. ა-ძესთან ერთად ავიდა ... ქ. #32-ე სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე, ბოტანიკური ბაღის გვირაბთან, სადაც მათ ელოდებოდნენ მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენლები. ჯ. ს-ძემ ლ. ჩ-იანთან დაიწყო საუბარი, რაც გადაიზარდა ფიზიკურ დაპირისპირებაში. განაწყენებულმა ჯ. ს-ძემ ამოიღო საქმრეში შენახული ცეცხლსასროლი იარაღი და ლ. ჩ-იანის მიმართულებით, მისი განზრახ მოკვლის მიზნით, ოთხჯერ გაისროლა, რის შედეგადაც მას მარცხენა საზარდულის მიდამოში მიაყენა ერთი ცეცხლსასროლი ჭრილობა, რაც მიეკუთვნება დაზიანებათა მსუბუქ ხარისხს და რასაც შედეგად მოჰყვა ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლა. აღნიშნულის შემდეგ ჯ. ს-ძე გაიქცა, მას გაეკიდნენ ნ. ჩ-იანი და გ. გ-იანი, ჯ. ს-ძემ ნ. ჩ-იანის მიმართულებით, მისი განზრახ მოკვლის მიზნით, წინასწარ შეცნობით არასრულწლოვნისა, მოახდინა გასროლა, თუმცა ამ უკანასკნელმა შეძლო ჯ. ს-ძეს დასწეოდა, წააქცია იგი და დაეცა ზემოდან, რა დროსაც ჯ. ს-ძემ კვლავ ისროლა მისი მიმართულებით. სროლების შედეგად მან ნ. ჩ-იანს მიაყენა გულ-მკერდის მიდამოს ერთი გამჭოლი ცეცხლსასროლი ჭრილობა, VII, VIII და IX ნეკნების მოტეხილობით, მარჯვენა ფილტვის დაზიანებით, ასევე მუცლის ღრუში შემავალი ერთი არაგამჭოლი დაზიანება. ორივე დაზიანება, ერთად აღებული, მიეკუთვნება სიცოცხლისათვის საშიფათო მძიმე ხარისხის დაზიანებებს და პირდაპირ მიზეზობრივ კავშირშია ნ. ჩ-იანის სიკვდილთან. მიყენებული დაზიანებებისგან ნ. ჩ-იანი საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა, ხოლო ჯ. ს-ძეს მისი ქმედებით გაღიზიანებულმა ჩ-იანის მეგობრებმა მიაყენეს სხეულის დაზიანებები.

აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 20 ნოემბრის განაჩენით დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებულ ჯ. ს-ძის ინტერესების დამცველი, ადვოკატი ვ. ქ-ძე საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და საქმის დაბრუნებას ახალი სასამართლო განხილვისათვის იმ მოტივით, რომ განაჩენი არის უკანონო, არ ემყარება უტყუარ მტკიცებულებებს, წინასწარი და სასამართლო გამოძიება ჩატარებულია ცალმხრივად, არაობიექტურად; ჯ. ს-ძის ქმედებას მიეცა არასწორი იურიდიული შეფასება; სათანადოდ არ შეფასებულა და არ გაანალიზებულა ინკრიმინირებული დანაშაულის გარემოებებთან დაკავშირებით მსჯავრდებულ ჯ. ს-ძის თანმიმდევრული და სარწმუნო ჩვენებები.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, საკასაციო საჩივრის მოტივთა საფუძვლიანობა და მიიჩნია, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე შეკრებილი და სასამართლოს მიერ გამოკვლეული მტკიცებულებებით, კერძოდ: დაზარალებულ ლ. ჩ-იანის ჩვენებებით, დაზარალებულის უფლებამონაცვლე ა. ა-ძის ჩვენებებით, მოწმეების - გ. გ-იანის, გ. ა-ძის, გ. ა-იანის, ზ. ფ-შვილის, ბ. გ-ავას, რ. გ-იანისა და სხვათა ჩვენებებით, მოწმის სახით დაკითხული ექსპერტების - ე. კ-ძის, თ. ქ-ძის, დ. ე-შვილის მიერ მიცემული ჩვენებებით, სასამართლო-ბალისტიკური, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზების დასკვნებითა და საქმეში არსებული სხვა მასალებით უდავოდ დასტურდება მსჯავრდებულ ჯ. ს-ძის მიერ მასზე ბრალად შერაცხული დანაშაულის ჩადენა.

საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძვლად დაედება განაჩენის გაუქმებას.

სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულ ჯ. ს-ის მიმართ სასჯელის დანიშვნისას გაითვალისწინა მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი ყველა გარემოება და შეუფარდა კანონით გათვალისწინებული სამართლიანი სასჯელი.

ამასთან, საკასაციო პალატა თვლის, რომ გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის ფაქტობრივი გარემოებებით დადგენილია, რომ ჯ. ს-მემ პირველ ეპიზოდში მოკვლის განზრახვით ესროლა ლ. ჩ-იანს; ასევე, საქმის ფაქტობრივი გარემოებებით დადგენილია, რომ ჯ. ს-მე ამის შემდეგ გაიქცა. ჯ. ს-მეს ლ. ჩ-იანის დაჭრის მომენტში არ გამოუმჟღავნებია სხვა პირის მოკვლის განზრახვა.

აღნიშნულის შემდეგ ჯ. ს-მე გაიქცა, მას გაეკიდნენ ნ. ჩ-იანი და გ. გ-იანი. ამ ეპიზოდში როგორც საბრალდებო დასკვნით, ისე I-ლი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოების განაჩენებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებით არის მიჩნეული, რომ ჯ. ს-მემ ორჯერ გაისროლა ნ. ჩ-იანის მოკვლის განზრახვით. არც საბრალდებო დასკვნასა და არც I-ლი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოების განაჩენებში არ არის მითითებული იმაზე, რომ ჯ. ს-მემ გაისროლა გ. გ-იანის მიმართულებით. მითითებულია, რომ მან გაისროლა ნ. ჩ-იანის მოკვლის განზრახვით. აღნიშნული გარემოება ვერ იქნება მიჩნეული, როგორც ორი ან მეტი პირის განზრახ მკვლელობის მცდელობა. პალატას მიაჩნია, რომ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, ჯ. ს-მის ქმედება შეიცავს ისეთი ქმედების შემადგენლობას, როგორცაა განზრახ მკვლელობის მცდელობა არაერთგზის, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის მე-19,109-ე მუხლის მესამე ნაწილის «ე» ქვეპუნქტით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ ჯ. ს-მის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება, დაკვალიფიცირებული საქართველოს სსკ-ის მე-19,109-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით, უნდა გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის მე-19,109-ე მუხლის მესამე ნაწილის «ე» ქვეპუნქტზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 20 ნოემბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

მსჯავრდებულ ჯ. ს-მის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება, დაკვალიფიცირებული საქართველოს სსკ-ის 19,109-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით, გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 19,109-ე მუხლის მესამე ნაწილის «ე» ქვეპუნქტზე.

განაჩენი სხვა ნაწილში, მათ შორის, მსჯავრდებულ ჯ. ს-მის მიმართ დანიშნული სასჯელი დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განზრახ მკვლელობის მცდელობა დამამძიმებელ გარემოებებში

განჩინება

#1667-აპ

14 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),

ლ. მურუსიძე,

ი. ტყემელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ლ. ტ-ავას ინტერესების დამცველის, ადვოკატ ვ. გ-მის საკასაციო საჩივარი და კერძო საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 10 ივლისის განაჩენსა და ხობის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 9 თებერვლის დადგენილებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ხოზის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 18 აპრილის განაჩენით:

ლ. ტ-ავას ბრალიდან ამოერიცხა საქართველოს სსკ-ის 353-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული და ამ ნაწილში გამართლდა იმ საფუძველით, რომ საქართველოს სსკ-ის მე-19,109-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა» ქვეპუნქტის დისპოზიცია გულისხმობს განზრახ მკვლელობის მცდელობას მსხვერპლის ან მისი ახლო ნათესავის სამსახურებრივ საქმიანობასთან ან საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით, იგი მოიცავს ასევე პოლიციის მუშაკების მიმართ წინააღმდეგობას, მათი საქმიანობის შეწყვეტისა და შეცვლის მიზნით, ჩადენილი ძალადობით.

ლ. ტ-ავა ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი, მეორე ნაწილებით 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, მე-19,109-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა» ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მეორე ნაწილის «ე» და მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტებით - 16 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 19 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულ ლ. ტ-ავას მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

ლ. ტ-ავამ დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, დაუდგენელი პირისაგან მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა „აკ-74" სისტემის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი 1 მჭიდითა და 21 საბრძოლო ვაზნით, ასევე 1 «ფ-1» ტიპის ხელყუმბარა, რომლებსაც იგი ასევე მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდა და ატარებდა დროგამოშვებით - 2006 წლის 24 აგვისტომდე.

ლ. ტ-ავას მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა კრიმინალური სამყაროს ავტორიტეტთან, ე.წ. „კანონიერ ქურდთან» მ. კ-იასთან, რომელიც 2003 წლის მაისის თვიდან იძებნებოდა შს ფოთის სამმართველოს მიერ. 2006 წლის 23 აგვისტოს ლ. ტ-ავა და მ. კ-ია სტუმრად იმყოფებოდნენ ხოზის რაიონის სოფ. ... მცხოვრებ კ. ტ-ავას ოჯახში, ამ უკანასკნელის შვილიშვილის ნათლობასთან დაკავშირებით გამართულ წვეულებაზე, რა დროსაც ლ. ტ-ავა თან ატარებდა თავის მიერ მართლსაწინააღმდეგოდ შეძენილ „აკს" სისტემის ავტომატ- ცეცხლსასროლ იარაღს თავისივე მჭიდითა და საბრძოლო ვაზნებით, ასევე «ფ-1» ტიპის ხელყუმბარას, ხოლო მ. კ-ია - „მაკაროვის» სისტემის ცეცხლსასროლ იარაღს საბრძოლო ვაზნებით. ვახშობის დამთავრების შემდეგ მასპინძელმა კ. ტ-ავამ ლ. ტ-ავა და მ. კ-ია მოათავსა ორსართულიანი საცხოვრებელი სახლის მეორე სართულზე, წინა მხარეს არსებულ საძინებელ ოთახში. მ. კ-ია იყო რა ძებნილი და ფოთის შს სამმართველო ფლობდა ოპერატიული ინფორმაციას მ. კ-იას კ. ტ-ავას ოჯახში სტუმრობის შესახებ, შეიქმნა სპეციალური ოპერატიული ჯგუფი ფოთის შს სამმართველოს უფროსის - ი. ჯ-იას ხელმძღვანელობით და დაიგეგმა ძებნილი, ე.წ. «კანონიერი ქურდის» მ. კ-იას დაკავება. იმავე დღეს (2006 წლის 24 აგვისტოს, დილის 5 საათზე) ოპერატიულმა ჯგუფმა ალყა შემოარტყა კ. ტ-ავას საცხოვრებელ სახლს და მ. კ-იასა და ლ. ტ-ავას მოუწოდეს, ნებაყოფლობით ჩაებარებინათ ცეცხლსასროლი იარაღი და დანებებულიყვნენ. აღნიშნულის პასუხად ლ. ტ-ავამ საბრძოლო მზადყოფნაში მოიყვანა ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, ხოლო მ. კ-იამ - «მაკაროვის» სისტემის პისტოლეტი და მოახდინეს მრავალჯერადი გასროლები პოლიციელების მიმართულებით, რის შედეგადაც ი. ჯ-ია დაიჭრა, ხოლო აივანზე მყოფი პოლიციელების მხრიდან საპასუხო გასროლების შედეგად მოხერხდა ლ. ტ-ავას დაკავება - განიარაღება, მ. კ-ია კი ორმხრივი გასროლისას მიღებული დაზიანების შედეგად შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა.

აღნიშნული განაჩენი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 10 ივლისის განაჩენით დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებულ ლ. ტ-ავას ინტერესების დამცველი, ადვოკატი ვ. გ-მე საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და ლ. ტ-ავას მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას იმ მოტივით, რომ განაჩენი არის უკანონო, დაუსაბუთებელი, უსაფუძვლო; ლ. ტ-ავას არასდროს არც ერთი სახის იარაღი არ შეუძენია არც კანონიერად და, მით უფრო - უკანონოდ; სააპელაციო სასამართლომ განაჩენს საფუძვლად დაუდო საპროცესო კანონის მოთხოვნათა უხეში დარღვევით მოპოვებული მტკიცებულებები.

კასატორის მოსაზრებით, ლ. ტ-ავას რომ საერთოდ შეხება არ ჰქონია არანაირ იარაღთან, დასტურდება შემდეგით: ა) ლ. ტ-ავას ორივე ხელიდან სპეციალური ხსნარით დასველებული მარლის ორი ტამპონით აღებული იყო ნიმუშები, მასზე ცეცხლსასროლი იარაღის გასროლის შემთხვევაში დენთის კვალის აღმოჩენის მიზნით. დაინიშნა შესაბამისი ქიმიური ექსპერტიზა და გაიცა დასკვნა, სადაც აღნიშნულია, რომ გამოსაკვლევ ობიექტებზე დასტურდება დენთის შემადგენელი კომპონენტის ფუნქციონალური ჯგუფის არარსებობა. აღნიშნული დასკვნა კი ადასტურებს იმ გარემოებას, რომ ლ. ტ-ავას, მ. კ-იასაგან განსხვავებით, ავტომატიდან არ უსვრია. მ. კ-იას ორივე ხელიდან აღებული ანაწმენდის საექსპერტო კვლევის შედეგად დაფიქსირდა დენთის კვალი მის მარჯვენა ხელზე; ბ) გამოძიებამ ასევე არ იზრუნა ავტომატზე დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის ჩატარების შესახებ იმის დასადგენად, ნამდვილად ჰქონდა და ისროდა თუ არა ლ. ტ-ავა მისთვის ბრალად შერაცხული ცეცხლსასროლი იარაღიდან.

მსჯავრდებულ ლ. ტ-ავას ინტერესების დამცველი, ადვოკატი ვ. გ-მე კერძო საკასაციო საჩივრით ითხოვს ხოზის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 9 თებერვლის დადგენილების გაუქმებას იმ საფუძველით, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში დაცვის მხარის მიერ დაყენებულ იქნა მთელი რიგი შუამდგომლობებისა, მათ შორის დაცვის მხარის მიერ მოპოვებულ მტკიცებულებათა წარდგენის და გამოკვლევის შესახებ, რაც არ დაკმაყოფილდა; სააპელაციო სასამართლომ სხდომაზე, ადგილზე

თათბირით, საოქმო წესით არ დააკმაყოფილა დაცვის მხარის მიერ წარდგენილი კერძო სააპელაციო საჩივარი იმ მოტივით, რომ საქმეში უკვე არსებობდა საკმარისი მტკიცებულებები, რომლებითაც შესაძლებელი იქნებოდა ლ. ტ-ავას ბრალეულობისა თუ უდანაშაულობის დასადასტურებლად. აღნიშნული განჩინება კი ამკარად უკანონოა და დაუსაბუთებელი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გაანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ უცვლელად დატოვა 1-ლი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი, რომელშიც მითითებულია, რომ ლ. ტ-ავას მიერ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი, მეორე ნაწილებით, მე-19,109-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა» ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მეორე ნაწილის «ე» და მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენა დასტურდება დაზარალებულების - ი. ჯ-იას, მ. ს-ავას, ჯ. გ-იას, კ. ა-იას ჩვენებითა და შემდეგი მტკიცებულებებით: ოპერაციის დასრულებისთანავე დაჭრილი ლ. ტ-ავას წინ ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი და ხელყუმბარა იქნა დაფიქსირებული. შემთხვევის ადგილიდან ამოღებული მასრებიდან 9 მასრა გასროლილია დასახელებული იარაღიდან.

დაზარალებულის - ფოთის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსის, ი. ჯ-იას ჩვენებით ირკვევა, რომ 2003 წლიდან ამავე სამმართველოს მიერ იძებნებოდა ე.წ. „კანონიერი ქურდი«, აწ გარდაცვლილი მ. კ-ია. მიღებული ოპერატიული ინფორმაციის თანახმად, ეს უკანასკნელი, მასთან მეგობრულ ურთიერთობაში მყოფ, მსჯავრდებულ ლ. ტ-ავასთან ერთად იმყოფებოდა ხობის რაიონის სოფ. ... მცხოვრებ კ. ტ-ავას საცხოვრებელ ბინაში, სადაც უნდა გამართულიყო კ. ტ-ავას შვილიშვილის ნათლობის აღსანიშნავი სუფრა. 2006 წლის 24 აგვისტოს, დაახლოებით 5 საათზე, ოპერატიულმა ჯგუფმა მისი (დაზარალებულ ი. ჯ-იას) ხელმძღვანელობით ალყა შემოარტყა კ. ტ-ავას საცხოვრებელ ბინას, სადაც მეორე სართულზე, წინა მხარეს არსებულ საძინებელ ოთახში, ისვენებდნენ აწ გარდაცვლილი, ე.წ. „კანონიერი ქურდი« მ. კ-ია და მსჯავრდებული ლ. ტ-ავა. მან (დაზარალებულმა ი. ჯ-იამ) მოუწოდა მათ, დანებებულიყვნენ და ჩაეზარებინათ ცეცხლსასროლი იარაღები პოლიციისათვის. პასუხად ზემოაღნიშნული ოთახიდან გაისმა გასროლები, ჯერ პისტოლეტიდან და უმაღვე - ავტომატიდანაც (ჯერით გასროლები). იგი (დაზარალებული ი. ჯ-ია) დაიჭრა პისტოლეტიდან გასროლილი ტყვიით.

დაზარალებულის - ფოთის შსს ნაბადის ქვეგანყოფილების უფროსი ინსპექტორ-გამომძიებლის მ. ს-ავას ჩვენებით ირკვევა, რომ ზემოაღნიშნული სპეცოპერაციის განხორციელებისას პოლიციის სამმართველოს უფროსის, მ. ჯ-იას შემახილს, „სახლი ალყაშია და დაგვნებდითო«, მოჰყვა გასროლები პისტოლეტიდან და ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან. მან შეანგრია ოთახის კარი, სადაც იმყოფებოდნენ ე.წ. „კანონიერი ქურდი« მ. კ-ია და მსჯავრდებული ლ. ტ-ავა. აწ გარდაცვლილმა მ. კ-იამ პისტოლეტიდან მოახდინა ორი გასროლა მისი (დაზარალებულ მ. ს-ავას) მიმართულებით, მაგრამ აღნიშნული ტყვიებით დაიჭრა სამმართველოს უფროსი ი. ჯ-ია, რომელიც იატაკზე დაეცა. ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან და პისტოლეტიდან ისროდნენ როგორც ერთდროულად, ისე - დროგამოშვებით. როგორც მან, ისე ოპერატიული ჯგუფის ყველა წევრმა მოახდინეს საპასუხო გასროლა ბოროტმოქმედების მიმართულებით. შედეგად, ფანჯრის მხარეს, საწოლთან მყოფი შეიარაღებული წინააღმდეგობის გამწევი პიროვნება დაეცა საწოლზე, ხოლო მეორე პიროვნებამ დაიძახა: „დაჭრილი ვარ, არ მომკლათ და გნებდებითო«. როდესაც ზემოაღნიშნულ ოთახში შევიდა, ე.წ. „კანონიერი ქურდი« მ. კ-ია უკვე გარდაცვლილი იყო, იქვე იდო პისტოლეტი დაცლილი ვაზნით. კარადასთან იწვა დაჭრილი ლ. ტ-ავა, რომლის წინ ეგდო ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი და ხელყუმბარა.

მითითებული ფაქტობრივი გარემოებანი დადგენილია დაზარალებულების - ჯონი გ-იასა და კ. ა-იას ჩვენებებით.

საკასაციო პალატა თვლის, რომ ზემოაღნიშნული დაზარალებულების ჩვენებები, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი და ექსპერტის დასკვნა არ არის საკმარისი მტკიცებულებები იმის დასადასტურებლად, რომ ლ. ტ-ავამ ჩაიდინა დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობის მცდელობა, ჯგუფურად, მსხვერპლის სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით, ორზე მეტი პირის მიმართ და ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შენახვა და ტარება, კერძოდ:

შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმის თანახმად, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი ერთი მჭიდით, ვაზნების გარეშე, ასევე 1 ცალი ხელყუმბარა იდო ლოგინზე და არა - დაჭრილი ლ. ტ-ავას წინ, როგორც განაჩენშია მითითებული. აღნიშნული კი არ არის უტყუარი მტკიცებულება იმისა, რომ ლ. ტ-ავა ინახავდა, ატარებდა და მანვე მოახდინა ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლა.

საქმეზე გამოტანილ იქნა დადგენილება შემდგომი კვლევისათვის ლ. ტ-ავას სხეულიდან ნიმუშის აღების შესახებ, ხოლო საქმეში არსებული ნიმუშის აღების შესახებ ოქმის თანახმად, ლ. ტ-ავას მარჯვენა და მარცხენა ხელზე მარლის ორი ცალი ტამპონისა და გამოხდილი წყლის საშუალებით გაკეთდა ანაწმენდი, შესაძლო დენთის კვალის ამოღების მიზნით.

2006 წლის 29 აგვისტოს გამოტანილ იქნა დადგენილება ქიმიური ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ. ქიმიური ექსპერტიზის #რან/265 დასკვნის თანახმად, ექსპერტიზაზე წარმოდგენილ მარლის ტამპონზე დენტის კვალი არ დაფიქსირდა.

საკასაციო პალატა თვლის, რომ აღნიშნული გარემოებები კი იმაზე მიუთითებს, რომ ლ. ტ-ავას არ მოუხდენია ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლა პოლიციის მუშაკების მიმართულებით.

ზემოაღნიშნული მტკიცებულებების გარდა, ბრალდების მხარეს საქმეზე არ წარმოდგენია სხვა უტყუარი და საკმარისი მტკიცებულებები, რაც შეიძლება საფუძვლად დაედოს ლ. ტ-ავას ბრალდებას აღნიშნულ ეპიზოდებში.

ამდენად, მსჯავრდებულ ლ. ტ-ავას ბრალეულობა მსჯავრდების იმ ეპიზოდებში, რომ მან ჩაიდინა დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობის მცდელობა, ჯგუფურად, მსხვერპლის სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით, ორზე მეტი პირის მიმართ; ასევე, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შენახვა და ტარება, უტყუარად არ არის დადასტურებული, რის გამოც მის მიმართ ბრალდების ამ ნაწილში უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა.

საკასაციო პალატას საქმეში არსებული მასალებით დადასტურებულად მიაჩნია, რომ ლ. ტ-ავას ქმედება შეიცავს საქართველოს სსკ-ის 353-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს - პოლიციის მუშაკთა მიმართ წინააღმდეგობა, მათი საქმიანობის შეწყვეტის მიზნით, ჩადენილი ძალადობით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ.

საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, ლ. ტ-ავა და მ. კ-ია არ დაემორჩილნენ პოლიციის თანამშრომლების მხრიდან მოწოდებას, რომ «სახლი ალყაში» იყო და დანებებულიყვნენ, არ გამოვიდნენ ოთახიდან და გადაწყვიტეს, გაეწიათ წინააღმდეგობა ძალადობით, რის შემდეგაც მ. კ-იამ ოთახიდან დაიწყო სროლა პოლიციის თანამშრომლების მიმართულებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ ლ. ტ-ავას მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 353-ე მუხლის მეორე ნაწილით და მას მოსახდელად განესაზღვროს 7 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ამასთან, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კერძო საკასაციო საჩივრის მოთხოვნას ხობის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 9 თებერვლის დადგენილების გაუქმების თაობაზე, ვინაიდან მიაჩნია, რომ დადგენილება კანონიერია და უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

კერძო საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 10 ივლისის განაჩენი შეიცვალოს:

მსჯავრდებულ ლ. ტ-ავას მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი, მეორე ნაწილებით, ME-19,109-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა» ქვეპუნქტით, იმავე მუხლის მეორე ნაწილის «ე» და მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მსჯავრდების ნაწილში.

მსჯავრდებულ ლ. ტ-ავას მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება დაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 353-ე მუხლის მეორე ნაწილით და მას მოსახდელად განესაზღვროს 7 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში

განჩინება

#11-კოლ

22 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე),

დ. სულაქველიძე,

ი. ტყემელაშვილი

მონაწილეობით განიხილა მსჯავრდებულ კ. ხ-მის ინტერესების დამცველი ადვოკატის - გ. მ-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 2007 წლის 3 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 2007 წლის 3 ოქტომბრის განაჩენით კ. ხ-ძე ამჟამად პატიმარი, ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის «თ» ქვეუქუქითა და 236-ე მუხლის I, II ნაწილებით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია), რისთვისაც საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე სასჯელად განესაზღვრა 19 წლით თავისუფლების აღკვეთა, რასაც სსკ-ის 67-ე მუხლის V ნაწილის თანახმად, დაემატა გლდან-ნამალადევის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 30 ნოემბრის განაჩენით დანიშნული სასჯელი - 1 წელი და კ. ხ-ძეს საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 20 წლით თავისუფლების აღკვეთა.

იგი სასჯელს იხდის 2004 წლის 15 მაისიდან.

საბრალდებო დასკვნით კ. ხ-ძეს ბრალი დაედო განსაკუთრებული სისასტიკით, ჯგუფურად, ხულიგნური ქვენაგრძობით ჩადენილი განზრახ მკვლელობისა და ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარებისათვის, რაც გამოიხატა შემდეგში:

ქ. თბილისის გლდან-ნამალადევის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 30 ნოემბრის განაჩენით კ. ხ-ძეს საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის I ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის სასჯელად განესაზღვრა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე-66-ე მუხლების საფუძველზე შეეცვალა პირობითი მსჯავრით - 1 წლის გამოსაცდელი ვადით. აღნიშნული ვადის გასვლამდე, 2002 წლის 24 ნოემბერს, დაახლოებით 17.30 საათზე, კ. ხ-ძე და ვ. ს-ავა მივიდნენ ქ. თბილისის ... დასახლების I მ\რ-ის, მე-15 კორპუსში მცხოვრებ ა. ი-შვილთან და გაიხმეს იგი ამავე მ/რაიონის მე-6 კორპუსის წინ მდებარე ავტოფარების მიმდებარე ტერიტორიაზე. ისინი შეიარაღებული იყვნენ დაუდგენელი ცეცხლსასროლი იარაღებით, რომლებიც შეიძინეს უკანონოდ და ასევე უკანონოდ ინახავდნენ და ატარებდნენ. მათი საუბარი ა. ი-შვილთან გადაიზარდა კონფლიქტში, რა დროსაც კ. ხ-ძემ და ვ. ს-ავამ ჯგუფურად, ხულიგნური ქვენაგრძობით განზრახეს ა. ი-შვილის განზრახ მკვლელობა. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, კ. ხ-ძემ ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით მცირეწლოვანი შვილის - თ. ი-შვილის თვალწინ, ა. ი-შვილს განსაკუთრებული სისასტიკით მიაყენა ჭრილობა მარჯვენა ფეხის არეში, რითაც ამ უკანასკნელმა მიიღო ძვლებისა და კუნთების დაზიანება მარჯვენა წვივის არეში და ძირს დაეცა. წაქცეულ ა. ი-შვილს ვ. ს-ავამ დაუდგენელი ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით მეორე ჭრილობა მიაყენა მუცლის არეში, რითაც მან მიიღო სასიკვდილო დაზიანება. აღნიშნულის შემდეგ კ. ხ-ძე და ვ. ს-ავა შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ, ხოლო ა. ი-შვილი ადგილზე გარდაიცვალა.

თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 11 ივლისის განჩინებით მოცემულ საქმეზე შეჩერდა საქმის განხილვა განსასჯელის გამოჯანმრთელებამდე. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 499-ე მუხლის მე-2 ნაწილში 2007 წლის 3 ივლისს შეტანილი ცვლილების საფუძველზე 2007 წლის 25 ივლისს განახლდა საქმის წარმოება.

თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 3 ოქტომბრის განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა გ. მ-შვილმა საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორი ითხოვს უკანონო და დაუსაბუთებელი განაჩენის გაუქმებას და მსჯავრდებულის გამართლებას, ხოლო თუ აღნიშნული პოზიცია გაზიარებული არ იქნება, ასეთ შემთხვევაში განაჩენში ცვლილების შეტანას მსჯავრდებულის სასიკეთოდ და კ. ხ-ძის ქმედების დაკვალიფიცირებას ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებით.

საკასაციო პალატის სხდომაზე მსჯავრდებულის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა მიხეილ ლოდაძემ აღნიშნა, რომ მის მიერ წარმოდგენილია ამბულატორიული სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნა, რომლის თანახმადაც დანაშაულის ჩადენის დროს კ. ხ-ძე იყო შეურაცხადი. ადვოკატმა აღნიშნული საკითხის დეტალურად გამოკვლევის მიზნით ითხოვა, აღნიშნული განაჩენის გაუქმება და საქმის დაბრუნება სასამართლოში ხელახლა განსახილველად.

პალატის სხდომაზე სახელმწიფო ბრალდების მხარდამჭერმა პროკურორმა გ. შ-ძემ მხარი არ დაუჭირა საკასაციო საჩივარს. მან აღნიშნა, რომ ჩადენილი ქმედების სიმძიმე, საზოგადოებრივი საშიშროება და ქმედების მორალური მხარე არ იძლევა სასჯელის შემსუბუქების საშუალებას და მოითხოვა თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 2007 წლის 3 ოქტომბრის განაჩენის უცვლელად დატოვება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა არ ეთანხმება მსჯავრდებულ კ. ხ-ძის ინტერესების დამცველი ადვოკატის - გ. მ-შვილის საკასაციო საჩივრის მოთხოვნას მსჯავრდებულის გამართლების ან მის სასიკეთოდ განაჩენში ცვლილების შეტანის შესახებ და კ. ხ-ძის ქმედების დაკვალიფიცირებას ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებით, უსაფუძვლოდ გამო:

პალატა იზიარებს სასამართლო კოლეგიის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ კ. ხ-ძე და მისი თანამზრახველი მოქმედებდნენ ერთიანი განზრახვითა და მიზნით - მოეკლათ ა. ი-შვილი.

ამდენად, სასამართლო გამოძიებით მოპოვებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით, კერძოდ: დაზარალებულის და მოწმეთა ჩვენებებით, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის #2379 დასკვნით, ბალისტიკური ექსპერტიზის #32-86/ზ დასკვნით მსჯავრდებულისათვის ბრალად შერაცხული დანაშაულის ჩადენა დადასტურებულია და მას სწორი სამართლებრივი შეფასება აქვს მიცემული.

საქმეზე წინასწარი გამოძიება და სასამართლო განხილვა ჩატარებულია სრულყოფილად, საპროცესო კანონმდებლობის დაცვით. განაჩენით მსჯავრდებულისათვის შერაცხული ბრალდება არავითარ ეჭვს არ იწვევს. სასამართლო კოლეგიამ, საქართველოს სსსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დაცვით, სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად გამოიკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები, მსჯავრდებულ კ. ხ-ძის პასუხისმგებლობის როგორც შემამსუბუქებელი, ისე დამამძიმებელი გარემოებები.

სტაციონარული სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის 2005 წლის 14 მარტის #30 დასკვნით ინკრიმინირებული დანაშაულის ჩადენისას კ. ხ-ძეს რაიმე ფსიქიკური აშლილობა არ აღენიშნებოდა და მას შეეძლო, გაეცნობიერებინა თავისი ქმედების ფაქტობრივი ხასიათი, მართლწინააღმდეგობა და ეხელმძღვანელა მისთვის.

2006 წლის 12 აპრილის ამბულატორიული სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის #442/27-69 დასკვნით კ. ხ-ძეს აქვს დროებითი ფსიქიკური აშლილობა - ფსიქოგენური რეაქტიული ფსიქოზის (ჰალუცინატორულ-ბოდვითი სინდრომის) სახით. თავისი ფსიქიკური მდგომარეობით კ. ხ-ძე საჭიროებს იძულებით მკურნალობას ქ. ფოთში, მკაცრი მეთვალყურეობის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში.

2007 წლის 27 აპრილის #14 დასკვნითა და 2007 წლის 22 ივნისის #50 დასკვნით დადგინდა, რომ კ. ხ-ძის ჯანმრთელობის მდგომარეობა არ შეცვლილა და იგი კვლავ საჭიროებს იძულებითი მკურნალობის გაგრძელებას იმავე პირობებში.

სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნის შინაარსის შესაბამისად, რომლის თანახმადაც კ. ხ-ძე დანაშაულის ჩადენის შემდეგ დაავადდა ზემოთ მითითებული ფსიქიკური აშლილობით და ესაჭიროება მკურნალობა ქ. ფოთის მკაცრი რეჟიმის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, 2006 წლის 11 ივლისის განჩინებით საქმეზე შეჩერდა წარმოება კ. ხ-ძის გამოჯანმრთელებამდე.

საქართველოს სსსკ-ის 499-ე მუხლში 2007 წლის 3 ივლისს შეტანილი ცვლილების თანახმად «თუ დადგინდა, რომ განსასჯელი დანაშაულის ჩადენის დროს შერაცხად მდგომარეობაში იყო, მაგრამ დანაშაულის ჩადენის შემდეგ შეურაცხი გახდა, სასამართლოს გამოაქვს გამამტყუნებელი განაჩენი, რომლითაც განსაზღვრავს მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდას შესაბამის სამედიცინო (სამკურნალო) დაწესებულებაში მის გამოჯანმრთელებამდე, რის შემდეგაც მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდა გრძელდება საერთო წესით». 2007 წლის 3 ივლისს ასევე ცვლილება იქნა შეტანილი სსსკ-ის 29-ე მუხლის პირველი ნაწილის «გ» ქვეპუნქტში, რომლის თანახმადაც დანაშაულის ჩადენის შემდეგ პირის ფსიქიურად დაავადება აღარ წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი დევნის შეჩერების საფუძველს. ამდენად, პალატას მიაჩნია, რომ თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე წარმოების განახლების შესახებ კანონიერია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა თვლის, რომ საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძვლად დაედება განაჩენის შეცვლას ან გაუქმებას.

პალატის აზრით, სასამართლო კოლეგიამ მსჯავრდებულ კ. ხ-ძეს სასჯელი დაუნიშნა იმ ზომით, რაც შესაბამეა მსჯავრდებულის ქმედების სიმძიმესა და პიროვნებას და რაც არ არის მეტისმეტი სიმკაცრის გამო აშკარად უსამართლო.

ამდენად, პალატა თვლის, რომ თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 2007 წლის 3 ოქტომბრის განაჩენი როგორც კვალიფიკაციის, ისე სასჯელის ნაწილში კანონიერია და არ არსებობს მისი გაუქმების ან შეცვლის საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა» ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ კ. ხ-ძის ინტერესების დამცველი ადვოკატის - გ. მ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 2007 წლის 3 ოქტომბრის განაჩენი კ. ხ-ძის მიმართ დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში

განჩინება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

**დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),
ზ. მენიშვილი,
მ. ოშხარელი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულების - ბ. ბ-ძისა და დ. ლ-შვილის დამცველი ადვოკატების - ვ. ხ-შვილისა და კ. წ-ლის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 22 ნოემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

საბრალდებო დასკვნით ბ. ბ-ძეს ამჟამად პატიმრობაში მყოფს და დ. ლ-შვილს, ასევე, პატიმრობაში მყოფს, ბრალი ედებადათ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ე» ქვეპუნქტითა და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის «ა», «ბ», «ე» ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ისეთი მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში, როგორცაა განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში - ჩადენილი ჯგუფურად, ორი პირის მიმართ, განსაკუთრებული სისასტიკითა და არაერთგზის.

საბრალდებო დასკვნის მიხედვით, ბ. ბ-ძისა და დ. ლ-შვილის მიერ ჩადენილი ქმედება გამოიხატა შემდეგში:

ბ. ბ-ძეს, რომელიც წინათ ჩადენილი დანაშაულისათვის იყო პირობით მსჯავრდებული სამი წლის გამოსაცდელი ვადით, ქ. ქობულეთში მცხოვრებ თ. ბ-ძესთან 2006 წლის სექტემბრიდან ჰქონდა უთანხმოება ავტომანქანის გაყიდვისა და თანხის მიღების თაობაზე. აღნიშნულზე განაწყენებული ბ. ბ-ძე და მისი თხოვნით, ასევე დ. ლ-შვილი 2007 წლის 6 იანვარს, დაახლოებით 2 საათზე, ჯგუფურად, თ. ბ-ძის განზრახ მოკვლის მიზნით, მივიდნენ მის საცხოვრებელ სახლში, სადაც მეორე სართულზე მდებარე მისაღებ ოთახში ბ. ბ-ძესა და თ. ბ-ძეს შორის გაიმართა საუბარი, რომელიც გადაიზარდა ჩხუბში. ბ. ბ-ძემ თანაქონი ნაჯახით, განსაკუთრებული სისასტიკით, სხეულის სხვადასხვა ნაწილში თ. ბ-ძეს მიაყენა სიცოცხლისათვის სახიფათო, მძიმე ხარისხის მრავლობითი ჭრილობები. ამის შემდეგ ბ. ბ-ძემ იქვე, ოთახში, არსებული დანით და დ. ლ-შვილმა თანაქონი დანით თ. ბ-ძეს განსაკუთრებული სისასტიკით სხეულის სხვადასხვა ნაწილში მიაყენეს სიცოცხლისათვის სახიფათო, მძიმე ხარისხის მრავლობითი დაზიანებები. თ. ბ-ძე მიღებული დაზიანებების შედეგად შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა. ყოველივე აღნიშნულს შეესწრო თ. ბ-ძის შვილი - გ. ბ-ძე, რომელიც დაედევნა მათ დ. აღმაშენებლის ქუჩის მიმართულებით. ამ ქუჩაზე მდებარე «პროკრედიტ ბანკის» ოფისის წინ ბ. ბ-ძემ და დ. ლ-შვილმა ჯგუფურად, არაერთგზის, ორი პირის განზრახ მოკვლის მიზნით, დანების მრავალჯერადი დარტყმებით გ. ბ-ძეს სხეულის სხვადასხვა ნაწილში მიაყენეს სიცოცხლისათვის სახიფათო, მძიმე ხარისხის დაზიანებები, რის შემდეგაც ისინი შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ, ხოლო გ. ბ-ძე გადაიყვანეს ქობულეთის რაიონულ საავადმყოფოში, სადაც იგი გარდაიცვალა.

ბ. ბ-ძისა და დ. ლ-შვილის ბრალდების საქმე განიხილა ქობულეთის რაიონულმა სასამართლომ, რომელმაც 2007 წლის 27 ივლისის განაჩენით ბ. ბ-ძე დამნაშავედ ცნო საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ე» ქვეპუნქტისა და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის «ა», «ბ», «ე» ქვეპუნქტების საფუძველზე, რისთვისაც მას სასჯელად შეუფარდა უვადო თავისუფლების აღკვეთა. სასამართლომ იმავე განაჩენით დ. ლ-შვილი გაამართლა საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» და «ე» ქვეპუნქტების საფუძველზე წარდგენილ ბრალდებაში - ორი პირის განზრახ მკვლელობის არაერთგზის ჩადენაში, ამასთან, იგი დამნაშავედ ცნო საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ე» ქვეპუნქტისა და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტის საფუძველზე - ჯგუფურად და განსაკუთრებული სისასტიკით განზრახ მკვლელობის ჩადენაში, რისთვისაც მას სასჯელის ზომად განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 20 წლის ვადით.

აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ბათუმის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ა. კ-შვილმა, აგრეთვე, მსჯავრდებულებმა - ბ. ბ-ძემ, დ. ლ-შვილმა და მათმა დამცველმა, ადვოკატმა ვ. ხ-შვილმა.

აპელანტი, სახელმწიფო ბრალმდებელი თავისი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 27 ივლისის განაჩენში ცვლილების შეტანას დ. ლ-შვილის მიმართ საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა», «ე» ქვეპუნქტებით გამართლების ნაწილში, ვინაიდან იგი მიაჩნდა დაუსაბუთებლად და - გამამტყუნებელი განაჩენის დადგენას აღნიშნულ ნაწილში, რასაც ასაბუთებდა შემდეგი მოტივით: განაჩენში ყურადღება გამახვილებულია მხოლოდ ბრალდების გამაბათილებელ გარემოებებზე და მითითებულია, რომ საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებები უტყუარად არ ადასტურებს დ. ლ-შვილის ბრალეულობას საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა» და «ე» ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და ბრალდება გააჯერებული არ არის მყარი მტკიცებულებებით. ამავე დროს, სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი ბრალის დამადასტურებელი მყარი არგუმენტები. სასამართლოს მთლიანად უნდა გაეთვალისწინებინა და გაეზიარებინა დაზარალებულ ნ. ი-შვილის ჩვენება, რომელიც

უტყუარად ადასტურებს, რომ ბ. ბ-მე და დ. ლ-შვილი ნამდვილად იმყოფებოდნენ თ. ბ-ძის ოთახში და აწ გარდაცვლილებს ორივე აყენებდა დაზიანებებს, რაც სასამართლომ სათანადოდ არ შეაფასა, როგორც ბრალის დამადასტურებელი მტკიცებულება.

აპელანტი, მსჯავრდებულები - ბ. ბ-მე, დ. ლ-შვილი და მათი დამცველი, ადვოკატი ვ. ხ-შვილი სააპელაციო საჩივრით ითხოვდნენ ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 27 ივლისის განაჩენის შეცვლას, კერძოდ, ბ. ბ-ძის ქმედების გადაკვალიფიცირებას საქართველოს სსკ-ის 111-ე მუხლის პირველ ნაწილსა და იმავე კოდექსის 113-ე მუხლზე (მკვლელობა, ჩადენილი უცარი, ძლიერი სულიერი ადელვების მდგომარეობაში და მკვლელობა, ჩადენილი აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით), ხოლო დ. ლ-შვილის მიმართ - გამამართლებელი განაჩენის გამოტანას, რასაც ასაბუთებდნენ შემდეგი მოტივებით: განაჩენი როგორც ბ. ბ-ძის, ასევე, დ. ლ-შვილის მსჯავრდების ნაწილში არის უკანონო და დაუსაბუთებელი; სასამართლომ არ გაითვალისწინა საქმის ის ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც ადასტურებენ, რომ ბ. ბ-მემ მკვლელობები ჩაიდინა ორმხრივი ჩხუბის დროს, უცარი, ძლიერი სულიერი ადელვების მდგომარეობაში მყოფმა და აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით, რა დროსაც ფაქტობრივად მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა; საქმეში არ მოიპოვება უტყუარი მტკიცებულებები ბ. ბ-ძის მიმართ იმ ქმედების ბრალად შერაცხვისათვის, რაც სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია დადგენილად და დადასტურებულად; რაც შეეხება დ. ლ-შვილის ბრალდებას, მას საერთოდ არ ჩაუდენია რაიმე დანაშაული, იგი მხოლოდ აშველებდა ბ. ბ-ძესა და თ. ბ-ძეს; საქმეში არ მოიპოვება ისეთი სარწმუნო მტკიცებულებები, რომლებიც შეიძლება, საფუძვლად დასდებოდა გამამტყუნებელ განაჩენს დ. ლ-შვილის მიმართ.

სააპელაციო საჩივრები განიხილა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ, რომელმაც 2007 წლის 22 ნოემბრის განაჩენით არ დააკმაყოფილა აპელანტთა მოთხოვნები, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში შეიტანა შემდეგი ცვლილება: ბ. ბ-ძეს მსჯავრდებიდან ამოურიცხა მითითება საქართველოს სსკ-ის მე-3 ნაწილის «ე» ქვეპუნქტზე, ვინაიდან მიიჩნია, რომ ბრალდება აღნიშნული ქვეპუნქტით მსჯავრდებულს ზედმეტად ჰქონდა წარდგენილი. სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში მსჯავრდებულების - ბ. ბ-ძისა და დ. ლ-შვილის მიმართ დატოვა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულებმა - ბ. ბ-მემ, დ. ლ-შვილმა და მათმა დამცველმა, ადვოკატმა ვ. ხ-შვილმა შეიტანეს საკასაციო საჩივარი, რომლითაც აყენებდნენ იმავე მოთხოვნებს, რის თაობაზეც წინათ ჰქონდათ მითითებული სააპელაციო საჩივარში. ამის შემდეგ იმავე კასატორებმა, ადვოკატ ვ. წ-ელთან ერთად, საპროცესო კანონით დადგენილ ვადაში შეიტანეს დაზუსტებული საკასაციო საჩივარი, რომლითაც ითხოვენ გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილებების შეტანას მსჯავრდებულთა სასიკეთოდ, კერძოდ: ბ. ბ-ძის მსჯავრდებიდან საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებზე მითითების ამორიცხვას, ასევე - არსებული შემამსუბუქებელი გარემოებების გათვალისწინებასა და განაჩენით მისთვის დანიშნული უვადო თავისუფლების აღკვეთის შეცვლას ვადიანი თავისუფლების აღკვეთით. კასატორები ითხოვენ აგრეთვე დ. ლ-შვილის მსჯავრდებიდან საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტზე მითითების ამორიცხვასა და მისთვის სასჯელის შემსუბუქებას.

კასატორები თავიანთ საჩივარში მიუთითებენ, რომ სააპელაციო სასამართლოს განაჩენით არასწორად დაკვალიფიცირდა მსჯავრდებულთა ქმედებები, რა დროსაც ფაქტობრივად განაჩენი გასცდა საბრალდებო დასკვნის ფარგლებს; ამასთან, განაჩენი დაუსაბუთებელია ჩადენილი ქმედების განსაკუთრებული სისასტიკით კვალიფიკაციის ნაწილში, ხოლო სასჯელთა დანიშვნისას სასამართლომ არ გაითვალისწინა შემამსუბუქებელი გარემოებები.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულების - ბ. ბ-ძის, დ. ლ-შვილის მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორების პოზიციას იმის თაობაზე, რომ მსჯავრდებულ ბ. ბ-ძეს განზრახ მკვლელობა არ ჩაუდენია საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ გარემოებებში. ის ფაქტი, რომ ბ. ბ-მემ ჯერ განზრახ მოკლა თ. ბ-მე მისივე სახლში, ხოლო შემდეგ მონაწილეობდა გ. ბ-ძის ჯგუფურ მკვლელობაში, სარწმუნოდ არის დადასტურებული საქმეში არსებული უტყუარი მტკიცებულებებით: მოწმეთა ჩვენებებით, ნივთიერი მტკიცებულებებით, სასამართლო ექსპერტიზების დასკვნებითა და სხვა დოკუმენტური მტკიცებულებებით, რომლებიც მოპოვებულია საპროცესო ნორმების დაცვით. გარდა ამისა, საკასაციო პალატა თვლის, რომ ბ. ბ-მემ თ. ბ-ძის განზრახ მკვლელობა ჩაიდინა განსაკუთრებული სისასტიკით, რაც იმაში გამოიხატა, რომ მან დაზარალებულს მძიმე, მრავლობითი დაზიანებები - ჭრილობების სახით ჯერ ნაჯახის მრავალჯერადი დარტყმებით მიაყენა, ხოლო ამის შემდეგ, აღნიშნული მკვლელობის ბოლომდე მიყვანამდე, თ. ბ-ძეს კიდევ მძიმე დაზიანებები მიაყენა დანის რამდენჯერმე დარტყმით. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით დადგენილია, რომ თ. ბ-ძისათვის მიყენებული ყველა დაზიანება - ჭრილობების სახით სიცოცხლისდროინდელია. ასეთ პირობებში არ არსებობს საფუძველი

ვარაუდისათვის, რომ ქმედების ჩადენისას ბ. ბ-მ ვერ აცნობიერებდა იმ ტანჯვას, რასაც განიცდიდა დაზარალებული თ. ბ-მ მისთვის მრავლობითი დაზიანებების მიყენებისას.

ამასთან, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორი სამართლებრივი შეფასება და კვალიფიკაცია მისცა ბ. ბ-მის მიერ ჩადენილ ქმედებას იმ თვალსაზრისით, რომ, საბრალდებო დასკვნით დადგენილად მიჩნეული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, რომლებიც ბ. ბ-მის ქმედებასთან მიმართებით არც ერთ სასამართლოს არ შეუცვლია, არ არსებობს რაიმე საფუძველი დასკვნისათვის, რომ დანაშაულის ჩადენისას ბ. ბ-მ მოქმედებდა ორი პირის მოკვლის ერთიანი განზრახვით, რასაც აუცილებლად ითხოვს კანონი ქმედების საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით დაკვალიფიცირებისათვის. ამიტომ სააპელაციო სასამართლომ დაუშვა შეცდომა, როდესაც თავის განაჩენში ბ. ბ-მის ქმედება დააკვალიფიცირა საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით და იმავდროულად მისი მსჯავრდებიდან ამორიგება მითითება საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ე» ქვეპუნქტზე (განზრახი მკვლელობა, ჩადენილი არაერთგზის), ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში სახეზეა სწორედ არაერთგზის ჩადენილი განზრახი მკვლელობა. ამდენად, ამ ნაწილში სააპელაციო სასამართლო აშკარად გასცდა საბრალდებო დასკვნაში ჩამოყალიბებული ბრალდების ფარგლებს, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თვით საბრალდებო დასკვნაშიც დაშვებულია შეცდომა, რის შედეგადაც ბ. ბ-მის ქმედება არასწორად დაკვალიფიცირდა ერთდროულად საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» და «ბ» ქვეპუნქტებით.

ამრიგად, სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულ ბ. ბ-მის მიერ ჩადენილი ქმედების კვალიფიკაციისას გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, რაც განაჩენის შეცვლის საფუძველია, თანახმად საქართველოს სსკ-ის 562-ე მუხლის «ბ» ქვეპუნქტისა და 564-ე მუხლის «ა», «ბ» ქვეპუნქტებისა, კერძოდ: ბ. ბ-მის ქმედება საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტიდან უნდა გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ე» ქვეპუნქტზე.

ამავე დროს, საკასაციო პალატა ვერ დაეთანხმება კასატორების მოთხოვნას მსჯავრდებულ ბ. ბ-მისათვის უვადო თავისუფლების აღკვეთის ვადიანი თავისუფლების აღკვეთით შეცვლის თაობაზე, რადგან, როგორც დანაშაულის ჩადენის გარემოებები და მისი შედეგების სიმძიმე, ასევე ამ პიროვნების წარსული და მისი მახასიათებელი მონაცემები არ იძლევა საამისო საფუძველს - ერთდროულად სამი დამამძიმებელი გარემოების არსებობა და წინა ნასამართლობის დროს დანაშაულის განმეორებით ჩადენა ადასტურებს ბ. ბ-მის მომეტებულ საშიშროებას, რაც აუცილებელს ხდის საზოგადოებისგან მის მუდმივ იზოლაციას.

რაც შეეხება მსჯავრდებულ დ. ლ-შვილის მიერ ჩადენილი ქმედების კვალიფიკაციას, უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაშიც სააპელაციო სასამართლო თავის განაჩენში გასცდა საბრალდებო დასკვნაში ჩამოყალიბებული ბრალდების ფარგლებს, კერძოდ: საბრალდებო დასკვნით დ. ლ-შვილს ქმედების განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენა (საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტი) ბრალად შეერაცხა თ. ბ-მის განზრახ მკვლელობის ეპიზოდში, რომელშიც ის სასამართლომ გაამართლა და მოუხსნა ბრალდების ეს ნაწილი, ხოლო იგივე საბრალდებო დასკვნა დ. ლ-შვილს ბრალად არ უყენებს გ. ბ-მის განზრახ მკვლელობის განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენას, რის გამოც სასამართლოს უფლება არ ჰქონდა, დ. ლ-შვილი ბრალეულად ეცნო საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქმედების ჩადენაში. აღნიშნული იმაზე მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლომ დ. ლ-შვილის ქმედების კვალიფიკაციისას გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, რაც ამ ნაწილში განაჩენის შეცვლის საფუძველია.

განხილული გარემოებებიდან გამომდინარე, დ. ლ-შვილს უნდა მოეხსნას საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტის საფუძველზე შერაცხული ბრალდება და ამ ნაწილში მის მიმართ უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა; შესაბამისად, მას სასჯელის ზომა უნდა განესაზღვროს მხოლოდ საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ე» ქვეპუნქტის (განზრახ მკვლელობა, ჩადენილი ჯგუფურად) სანქციით განსაზღვრულ ფარგლებში. საკასაციო პალატას მიაჩნია: იმის გათვალისწინებით, რომ მსჯავრდებული დ. ლ-შვილი პირველად არის სამართალში, ნებაყოფლობით გამოცხადდა სამართალდამცავ ორგანოებში, ხოლო დამამძიმებელი გარემოებები არ გააჩნია, მას სასჯელის ზომად უნდა განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 15 წლის ვადით.

ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 22 ნოემბრის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილებები მსჯავრდებულების - ბ. ბ-მისა და დ. ლ-შვილის მიმართ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულების - ბ. ბ-ის, დ. ლ-შვილისა და მათი დამცველების - ვ. ხ-შვილისა და კ. წ-ლის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 22 ნოემბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილებები: მსჯავრდებულ დ. ლ-შვილს მოეხსნას საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტის საფუძველზე შერაცხული ბრალდება და ამ ნაწილში მის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა, ხოლო სასჯელის ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 15 წლის ვადით; იმავე განაჩენში ბ. ბ-ის ქმედება იმ ნაწილში, რომელიც დაკვალიფიცირებულია საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით, გადაკვალიფიცირდეს იმავე კოდექსის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ე» ქვეპუნქტზე.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში

განჩინება

#924-აპ

2 დეკემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),
- პ. სილაგაძე,
- მ. ოშხარელი

განიხილა მსჯავრდებულ გ. უ-მის ინტერესების დამცველის, ადვოკატ გ. ჯ-მის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 14 მაისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 27 დეკემბრის განაჩენით გ. უ-მე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით იმაში, რომ დამამძიმებელ გარემოებებში - ჯგუფურად და ანგარებით ჩაიდინა მკვლელობა.

ამავე განაჩენით დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება პროკურორსა და განსასჯელ დ. მ-შვილს შორის, რომლის თანახმად, დ. მ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ და განესაზღვრა: საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებით - 13 წლით, ხოლო 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტებით, სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებით - 2 წლით თავისუფლების აღკვეთა; საბოლოოდ დ. მ-შვილს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 15 წლის ვადით, რომლის მოხდა დაეწყო 2007 წლის 4 აპრილიდან.

განაჩენით დადგენილად იქნა მიჩნეული შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2007 წლის თებერვლის თვეში, ზუსტი რიცხვი დაუდგენელია, გ. უ-მე, რომელიც მუშაობდა სოფ. ... შინაგან საქმეთა განყოფილებაში ინსპექტორ-გამომძიებლის თანამდებობაზე, დანაშაულებრივად დაუკავშირდა თავის ნაცნობ დ. მ-შვილს, რომელმაც შეატყობინა, რომ ბათუმიდან ჩამოყვანილი ჰყავდა მეგობარი ქალი ნ. ჯ-მე. მან ბათუმში გაყიდა ბინა და აღებული თანხა ინახებოდა მათთან. გ. უ-მემ და დ. მ-შვილმა განიზრახეს, მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებოდნენ აღნიშნულ თანხას და ამ მიზნით გადაწყვიტეს ნ. ჯ-მის ჯგუფურად მოკვლა. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად მათ შეარჩიეს თბილისში, ... ხევს, მე-8ა კორპუსში მდებარე ბინა #83, რომელიც ეკუთვნოდა გ. უ-მის დეიდაშვილ დ. გ-შვილს. ბინა დაკეტილი იყო და იქ არავინ ცხოვრობდა. დ. მ-შვილმა ბინის პატრონს სთხოვა, რომ რამდენიმე დღით ბინა მისთვის დაეთმო, რადგან წასასვლელი არსად ჰქონდა და აპირებდა ბინის დაგირავებას, რის შემდეგაც მის გასაღებს უკან დაუბრუნებდა. დ. გ-შვილისაგან გასაღების მიღებისთანავე მან ნ. ჯ-მე წაიყვანა ხსენებულ ბინაში, სადაც ასევე შეთანხმებისამებრ მივიდა გ. უ-მე. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად დ. მ-შვილმა ნ. ჯ-მე გაიყვანა სააბაზანო ოთახში, სადაც შემდეგ შევიდა გ. უ-მეც, რომელმაც ნ. ჯ-მეს დაუწყო დახრჩობა, ხოლო დ. მ-შვილმა გაუკავა ხელ-ფეხი, რათა მას წინააღმდეგობა არ გაეწია. გ. უ-მემ და დ. მ-შვილმა ჯგუფურად მოკლეს ნ. ჯ-მე, რის შემდეგაც დ. მ-შვილმა მალაზიიდან მიიტანა პოლიეთილენის პაკეტები. მათ დანაწევრეს გვამი, დანაშაულის კვალის მოსპობის მიზნით გვამის ნაწილები ჩააწყვეს დ. მ-შვილის კუთვნილი ავტომანქანის საბარგულში, რომლის საჭესთანაც დაჯდა გ. უ-მე, მან წაიღო ნ. ჯ-მის სხეულის ნაწილები და გადამალა.

აღნიშნული ქმედებისათვის გ. უ-მეს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 19 წლის ვადით, რომლის მოხდა დაეწყო 2007 წლის 11 მაისიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს დაზარალებულის უფლებამონაცვლე ლ. ჯ-მემ და მსჯავრდებულ გ. უ-მის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ავთანდილ ტყეშელაშვილმა.

დაზარალებულის უფლებამონაცვლემ მოითხოვა სამოქალაქო მოსარჩელედ ცნობა, გ. უ-მისათვის 25 წლით თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრა და თავისი შვილის ქონების დაბრუნების საკითხის გადაწყვეტა, ხოლო ადვოკატმა ა. ტყეშელაშვილმა - გ. უ-მის ქმედების სსკ-ის 375-ე მუხლით დაკვალიფიცირება, მისთვის პირობითი სასჯელის შეფარდება და სასამართლო სხდომის დარბაზიდან განთავისუფლება.

საქმის სააპელაციო სასამართლოში განხილვისას დაზარალებულის უფლებამონაცვლემ მოხსნა სააპელაციო საჩივარი და ითხოვა გასაჩივრებული განაჩენის უცვლელად დატოვება, ხოლო მსჯავრდებულმა გ. უ-მემ და მისმა ადვოკატმა დააზუსტეს თავიანთი სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა და ითხოვეს გ. უ-მის გამართლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 14 მაისის განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 27 დეკემბრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

კასატორი - მსჯავრდებულ გ. უ-მის ინტერესების დამცველი, ადვოკატი გ. ჯ-მე საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი უკანონოა, იგი უნდა გაუქმდეს და გ. უ-მის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა, რადგანაც განაჩენი დადგენილია საპროცესო კანონის არსებითი დარღვევით, კერძოდ: საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლისა და სსსკ-ის მე-10 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს; ყოველგვარი ეჭვი უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ, ხოლო მტკიცებულებები უნდა შეფასდეს სსსკ-ის მე-19 და 132-ე მუხლების იმპერატიულ მოთხოვნათა შესაბამისად და წესით; სისხლის სამართლის საქმეში არ მოიპოვება არც ერთი მტკიცებულება, რომელთა ერთობლიობა არამც თუ უტყუარად, არამედ - ალბათობის რაიმე ხარისხით მაინც დაადასტურებდა გ. უ-მის მიერ სსკ-ის 109-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას.

კასატორის განმარტებით, განაჩენში მითითებული უნდა იყოს დანაშაულის ჩადენის დრო, რადგან ნ. ჯ-მისა და დ. მ-შვილის თბილისში ჩამოსვლის შემდეგ დ. მ-შვილის გ. უ-მესთან პირველი შეხვედრის თარიღის განსაზღვრას უმთავრესი მნიშვნელობა აქვს გ. უ-მის უდანაშაულობისა თუ ბრალულობის საკითხის ობიექტურად გადაწყვეტისათვის; წინასწარ გამოძიებასა და პირველი ინსტანციის სასამართლოში არ ყოფილა მცდელობა, დადგენილიყო ნ. ჯ-მის მკვლელობის თარიღი, ხოლო სააპელაციო სასამართლომ საერთოდ გვერდი აუარა ამ საკითხის დადგენას; დაცვა ადასტურებდა, რომ ნ. ჯ-მე 2007 წლის 26 იანვარს, 11 საათსა და 25 წუთზე უკანასკნელად დაუკავშირდა დედას დ. მ-შვილის ტელეფონით; სასამართლო-სამედიცინო ექსპერტების - ლ. ჩ-უასა და მ. ლ-მის ჩვენებების, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმის, მოწმეების - გ. თ-უასა და ლ. ჯ-მის ჩვენებების გათვალისწინებით, დადგენილია, რომ მკვლელობა ჩადენილია 2007 წლის 26 იანვრის 11 საათსა და 25 წუთიდან 2007 წლის 30 იანვრის დაახლოებით 12 საათამდე პერიოდში, ხოლო დ. მ-შვილის გ. უ-მესთან პირველი შეხვედრა მოხდა არა უადრეს 2007 წლის 30 იანვრის საღამოს; შესაბამისად, გ. უ-მე ვერანაირად ვერ მიიღებდა მონაწილეობას ნ. ჯ-მის მკვლელობაში.

ექსპერტ ლ. ჩ-უას ჩვენებით, გარდაცვალების ხანდაზმულობის კატეგორიულად განსაზღვრა ძნელია, თუმცა, ზამთრის პირობების გათვალისწინებით, ნ. ჯ-მე არანაკლებ 3-4 დღის გარდაცვლილი უნდა ყოფილიყო, ხოლო ექსპერტ მ. ლ-მის ჩვენებით, გვამური გაშეშება უნდა მოხსნას 72 საათის შემდეგ, რაც მოცემულ შემთხვევაში უკვე მოხსნილი იყო და მისი ვარაუდით, სამ დღეზე მეტი არ უნდა ყოფილიყო გასული; სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ ექსპერტი მ. ლ-მე 2007 წლის 3 თებერვალს უშუალოდ მონაწილეობდა შემთხვევის ადგილის დათვალიერებისა და მოკვეთილი ზედა კიდურის ამოღების პროცესში; ამდენად, დაცვამ, ექსპერტთა ჩვენების გათვალისწინებით, სავსებით საფუძვლიანად აითვალა დრო კიდურის აღმოჩენის მომენტიდან - 2007 წლის 3 თებერვლის დაახლოებით 12 საათიდან.

საჩივრის ავტორი ასევე აღნიშნავს, რომ ექსპერტ თ. ქ-მეს პროცესზე არ უჩვენებია, რომ კუნთოვანი ქსოვილების ლაბილურობა და სახის ძვლებიდან მოცილებას იწვევს ნესტიანი ნიადაგი (ფრაზა „ნესტიანი« სასამართლო სხდომის ოქმში დაფიქსირებული არ არის), ხოლო შემთხვევის ადგილის დათვალიერების ვიდეოჩანაწერში ჩანს, რომ ხსენებული მტკიცებულების აღმოჩენისას ქვედა ყბა განსახსრებულია თავის ქალასაგანს, მდებარეობს მისგან გარკვეულ მანძილზე და თვალნათლივ ნამდვილად არ ჩანს ის, რომ, თითქოსდა, ჯერ ამოიღეს ადამიანის ქვედა ყბა, შემდეგ - თავის ქალა, ბოლოს კი - თმა, როგორც ამის შესახებ განაჩენშია დაფიქსირებული; ზემოაღნიშნულ გარემოებასთან დაკავშირებით, ასევე არასრულად, მხოლოდ სააპელაციო პალატისათვის სასურველი და მისადები კონტექსტით არის შეფასებული ექსპერტ ქ. ბ-შვილის ჩვენება; მან პროცესზე განაცხადა, რომ ქვედა ყბა რბილი ქსოვილების გარეშე ამოიღეს, განსახსრებული იყო თუ არა, არ ახსოვს, მაგრამ ჩანაწერის მიხედვით, განსახსრებული იქნებოდაო; ექსპერტის ეს განცხადება აშკარად ასაბუთებს დაცვის მხარის პოზიციას და ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს სააპელაციო პალატის დასკვნის მიკერძოებულობას, რომ: „ვარაუდი იმისა, რომ გ. უ-მის საცხოვრებელი კორპუსის სარდაფში შემდგომში მოხდა ერთმანეთისაგან განსახსრებული თავის ქალისა და ქვედა ყბის დამარხვა, უსაფუძვლოა».

გ. უ-ძის მსჯავრდება რეალურად ემყარება მხოლოდ ამავე საქმეზე მსჯავრდებულ დ. მ-შვილის მიერ წინასწარ გამოძიებასა და პირველი ინსტანციის სასამართლოში მიცემულ ჩვენებებს, რაც მან გ. უ-ძის თანამონაწილეობის ნაწილში უარყო სააპელაციო სასამართლოში დამატებით დაკითხვისას; საქმეში არსებული ყველა სხვა მტკიცებულება ვერ მიუთითებს გ. უ-ძეზე, როგორც დანაშაულის ჩამდენ პირზე და ნ. ჯ-ძესთან მის რაიმე სახის, თუნდაც, უმნიშვნელო კონტაქტზეც კი; განაჩენის სამოტივაციო ნაწილში აღნიშნულია, რომ ძნელი დასაჯერებელია, სუსტი აღნაგობის დ. მ-შვილს, რომელსაც წელის არემი ჰქონდა გაუსაძლისი ტკივილები, მარტოს მოეკლა ნ. ჯ-ძე, დაენაწევრებინა მისი გვამი და გაეტანა სახლიდან; გაუგებარია, სად ამოიკითხა სააპელაციო პალატამ იმის შესახებ, რომ დ. მ-შვილს დანაშაულის ჩადენის პერიოდშიც ჰქონდა გაუსაძლისი ტკივილები წელის არემი; სხდომის ოქმში ასეთი რამ დაფიქსირებული არ არის, მეტიც, დ. მ-შვილმა აჩვენა, რომ თურქეთიდან ჩამოსვლის შემდეგ ტკივილს არ შეუწყუხებია.

გარდა აღნიშნულისა, სააპელაციო სასამართლომ ნ. ჯ-ძის დ. გ-შვილის ბინაში მკვლელობის ფაქტი დადასტურებულად მიიჩნია დ. მ-შვილის ჩვენებებით, შემთხვევის ადგილის დათვალიერებისა და ჩვენების ადგილზე შემოწმების ოქმებით, გენეტიკური ექსპერტიზის დასკვნით და მიიჩნია, რომ დ. მ-შვილი პოლიეთილენის პარკებისა და ჭურჭლის გასარეცხი ყელეს შესაძენად ვარკეთილიდან გლდანულაში არ წავიდოდა; შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმითა და გენეტიკური ექსპერტიზის დასკვნით დგინდება მხოლოდ ნ. ჯ-ძის სისხლის ერთი ლაქის არსებობა ხსენებულ ბინაში, რაც ერთმნიშვნელოვნად არ შეიძლება ჩაითვალოს უტყუარ მტკიცებულებად მკვლელობის ადგილის განსაზღვრისათვის, რადგან იმავე გენეტიკური ექსპერტიზის დასკვნით, ბინაში ასევე აღმოაჩინეს მდებარეობითი სქესის სხვა პირის სისხლის ორი ლაქაც და აღნიშნული არ გამხდარა სხვა პირის მკვლელობაში ბრალდების საფუძველი; ჩვენების ადგილზე შემოწმების ოქმით კი დადგინდა, რომ დ. მ-შვილის მიერ მითითებულ ადგილზე აღმოჩნდა „პოკერ-კლუბი« და საქმის წარმოების არც ერთ ეტაპზე არ დადგენილა, იყო თუ არა ოდესმე იმ ნაგებობაში განთავსებული მაღაზია, ასევე არ დაუდგენიათ მაღაზიის გამყიდველი და სხვა გარემოებები; ამრიგად, სააპელაციო პალატის მტკიცება, რომ ჩვენების ადგილზე შემოწმებისას დ. მ-შვილმა, თითქოსდა, ზუსტად მიუთითა ის მაღაზია, სადაც შეიძინა ცელოფნის პარკები და ყელე, ყოველგვარ საფუძველსაა მოკლებული.

სააპელაციო პალატამ სსკ-ის 232-ე მუხლის მე-3 ნაწილის იმპერატიული მოთხოვნის დარღვევით არ დააკმაყოფილა გ. უ-ძის დაცვის შუამდგომლობები დ. მ-შვილის დამატებითი დაკითხვისა და შპს „ჯეოსელიდან« დ. მ-შვილის მფლობელობაში არსებული ტელეფონის ნომრიდან განხორციელებული ზარების დეტალური ანგარიშის ამოღების შესახებ; შესაბამისად, შეიზღუდა გ. უ-ძის უფლებები და ხელი შეეშალა საქმის ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად განხილვას; ასევე არ დაკმაყოფილდა დაცვის შუამდგომლობა საქმეზე სასამართლო-სამედიცინო კრიმინალისტიკური ექსპერტიზის ჩატარების შესახებ.

ადვოკატ გ. ჯ-ძის საჩივრის მიხედვით, მსჯავრდებულ დ. მ-შვილის 2008 წლის 14 მაისის განცხადებით ერთმნიშვნელოვნად დასტურდება გ. უ-ძის მსჯავრდების უკანონობა და ის, რომ ნ. ჯ-ძის მკვლელობა ჩაიდინა მხოლოდ დ. მ-შვილმა 2007 წლის 26 იანვარს ვარკეთილის ტერიტორიაზე, რაც ასევე გამორიცხავს იმ გარემოებას, რომ მკვლელობა არ მომხდარა დ. გ-შვილის ბინაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 14 მაისის განაჩენის გაუქმებასა და გ. უ-ძის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას ან საქმის დაბრუნებას იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობისათვის ხელახლა განსახილველად, ასევე - სააპელაციო პალატის 2008 წლის 30 აპრილისა და 7 მაისის განჩინებების გაუქმებას გ. უ-ძის დაცვის შუამდგომლობათა უარყოფის შესახებ.

საკასაციო პალატის სხდომაზე ადვოკატმა გ. ჯ-ძემ მხარი დაუჭირა თავის საკასაციო საჩივარს და მოითხოვა თავისი დაცვის ქვეშ მყოფის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა იმ მოტივით, რომ გ. უ-ძის დანაშაული არ ჩაუდენია და საქმეში არ მოიპოვება მისი მამხილებელი უტყუარი მტკიცებულებები.

თავისი დამცველის მოთხოვნას მხარი დაუჭირა მსჯავრდებულმა გ. უ-ძემ და განმარტა, რომ დ. მ-შვილის მიერ ჩადენილი ქმედების შესახებ მისთვის მოგვიანებით გახდა ცნობილი. გარდა ამისა, თავად არ იყო დარწმუნებული, რომ დ. მ-შვილი ჩაიდინა მკვლელობა.

პროკურორმა ქ. ჩ-შვილმა საკასაციო საჩივარს მხარი არ დაუჭირა და მოითხოვა გასაჩივრებული განაჩენის უცვლელად დატოვება იმ მოტივით, რომ საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებებით უტყუარადაა დადასტურებული გ. უ-ძისათვის მისთვის ბრალად შერაცხული ქმედების ჩადენა.

გასაჩივრებული განაჩენის უცვლელად დატოვება მოითხოვა პროკურორმა დ. ხიზანაიძემაც იმ მოტივით, რომ იგი კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანია.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, მოისმინა მხარეთა მოსაზრება, გააანალიზა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძველიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე შეკრებილი მასალებით შეუძლებელია გაირკვეს ნ. ჯ-ძის მკვლელობის ზუსტი დრო, მაგრამ ბიოლოგიური ექსპერტიზის დასკვნებით და ექსპერტების სასამართლოში მიცემული ჩვენებებით

დადგენილია, რომ იგი მოკლული იქნა დაახლოებით 2007 წლის იანვრის ბოლოს ან თებერვლის დასაწყისში. ეს გარემოება, საქმის მასალებით, რაიმე ეჭვს არ იწვევს.

საკასაციო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, ეს დრო არ ემთხვევა მსჯავრდებულ დ. მ-შვილის მიერ მიცემულ გ. უ-ძის მამხილებელ ჩვენებებს, რის გამოც ეს ჩვენებები არ შეიძლება გამოდგეს გ. უ-ძის ბრალის დასადასტურებლად. პალატა ამ მოტივს ვერ გაიზიარებს, ვინაიდან, საქმის მასალების ანალიზი ცხადყოფს დ. მ-შვილის მიერ წინასწარი გამოძიების პროცესში და პირველი ინსტანციის სასამართლოში მიცემული, გ. უ-ძის მამხილებელი ჩვენებების სარწმუნოებას.

სააპელაციო პალატამ სწორად არ გაიზიარა დ. მ-შვილის მიერ სააპელაციო სასამართლოში მიცემული ჩვენება, რომელიც არსებითად განსხვავდება მისი ადრე მიცემული ჩვენებებისაგან.

2007 წლის 1 ივნისს დ. მ-შვილი, მისი ჩვენების ადგილზე შემოწმების მიზნით, გაყვანილ იქნა ქ. თბილისში, ... მასივის მე-8 მიკრორაიონის 27-ე კორპუსის მე-3 სადარბაზოს სარდაფში. დ. მ-შვილმა გამოძიებას მიუთითა რომ, როგორც მისმა თანამონაწილე გ. უ-ძემ მოუყვა, ამ უკანასკნელმა სწორედ აქ დამარხა ნ. ჯ-ძის თავი. ამასთან, დ. მ-შვილმა თავის ზუსტი ადგილმდებარეობა ვერ მიუთითა, ვინაიდან, მისი განმარტებით, ეს გ. უ-ძეს მისთვის არ უთქვამს. თავის ნაწილები აღმოჩენილ იქნა მხოლოდ მთელი სარდაფის შემოწმების შედეგად. აღნიშნული გარემოება მიუთითებს დ. მ-შვილის ამ ჩვენების სარწმუნოებაზე. მოკლულის თავი მისი დამარხული რომ ყოფილიყო, კონკრეტულ ადგილსაც მიუთითებდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ გ. უ-ძის მხილება არ უნდოდა, საერთოდ არ განაცხადებდა მოკლულის თავის ადგილმდებარეობის შესახებ.

მანამდე, 2007 წლის 11 მაისს, დ. მ-შვილი, მისი ჩვენების ადგილზე შემოწმების მიზნით, გაყვანილ იქნა ქ. თბილისში, ... დასახლებაში მდებარე „პოკერ კლუბთან», სადაც ადრე იყო მაღაზია, რომელშიც მან გ. უ-ძის დავალებით შეიძინა ცელოფანის პარკები და სარეცხი საშუალება ნ. ჯ-ძის დანაწევრებული გვამის გადასატანად და სისხლიანი სააბაზანოს გასარეცხად. ამ საგამოძიებო მოქმედების დროს დ. მ-შვილი დაწვრილებით აღწერს, თუ როგორ დაახრჩვეს მან და გ. უ-ძემ ... დასახლების მე-8 კორპუსში ნ. ჯ-ძე, და დაანაწევრეს მისი გვამი, რომელიც შემდეგ ავტომატურად წაიღო გ. უ-ძემ.

დ. მ-შვილის აღნიშნული ჩვენება დასტურდება გენეტიკური ექსპერტიზის დასკვნითაც, რომლის მიხედვით ... დასახლების მითითებული ბინიდან ამოღებული სისხლის ლაქა ეკუთვნის მოკლულ ნ. ჯ-ძეს.

საქმის ეს მასალები მიუთითებენ საკასაციო საჩივრის იმ მოსაზრების უსაფუძვლობაზეც, რომ თითქოსდა ნ. ჯ-ძე მოკლული იქნა მხოლოდ დ. მ-შვილის მიერ, და არა ზემოთმითითებულ ბინაში, არამედ ვარკეთილის მასივში.

სავსებით სწორად არ იქნა გაზიარებული მოწმე ლ. ყ-შვილის ჩვენება, რომელმაც პირველი ინსტანციის სასამართლოში განმარტა, რომ 2007 წლის იანვარში თუ თებერვლის დასაწყისში, ... მე-8 მიკრორაიონის 27-ე კორპუსთან, დაახლოებით ღამის პირველ საათზე, დაინახა სარდაფიდან ამომავალი დ. მ-შვილი, რომელიც ტანსაცმელს იბერტყავდა. ამ პერიოდში დ. მ-შვილი ამხელდა გ. უ-ძეს, ხოლო ლ. ყ-შვილის ჩვენება მიმართული იყო იმის სამტკიცებლად, რომ გ. უ-ძის საცხოვრებელი კორპუსის სარდაფში თავი დამარხა დ. მ-შვილმა და არა თვით გ. უ-ძემ.

2008 წლის 4 აპრილს, სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე, უკვე ცდილობს რა ნ. ჯ-ძის მკვლელობაში გ. უ-ძის ბრალის გამოჩვენებას, დ. მ-შვილი, ლ. ყ-შვილის ჩვენების შესაბამისად აცხადებს, რომ მოკლულის თავი გ. უ-ძის სადარბაზოს სარდაფში თვითონ დამარხა და ეს გააკეთა დღის თორმეტ ან პირველ საათზე. თუმცა დ. მ-შვილს დღის პირველი საათი აერია ლ. ყ-შვილის მიერ ნათქვამ ღამის პირველ საათში, რაც მისი ჩვენების სიცრუეზე მიუთითებს.

სააპელაციო სასამართლომ მართებულად არ გაიზიარა დ. მ-შვილის განმარტება იმის შესახებ, რომ ეგონა, ნ. ჯ-ძის მკვლელობაში გ. უ-ძემ დააბეზდა და ამიტომ დააბრალა მას დანაშაულში თანამონაწილეობა წინასწარი გამოძიებისა და საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში განხილვის პროცესში, შემდეგ დარწმუნდა, რომ გ. უ-ძეს იგი არ დაუბეზლებია და ამიტომ ამბობს სიმართლეს. მაგრამ დ. მ-შვილს ჯერ კიდევ წინასწარი გამოძიების დასრულებამდე ჰქონდა შესაძლებლობა გაცნობოდა საქმის მასალებს და გაერკვია, რომ გ. უ-ძეს მის სამხელად არაფერი უმოქმედია. დ. მ-შვილის ასეთი მტკიცების უსაფუძვლობა დამაჯერებლად დასაბუთებული სააპელაციო სასამართლოს განაჩენში.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმეში არსებული მასალების ურთიერთმეჯერებითა და ობიექტური ანალიზით უტყუარადაა დადგენილი და ეჭვს არ იწვევს, რომ გ. უ-ძემ ჩაიდინა მისთვის ბრალად შერაცხული ქმედება. ამასთან, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნები არ დარღვეულა, ხოლო მატერიალური კანონი სწორადაა გამოყენებული, შესაბამისად, გასაჩივრებული განაჩენი კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანია და უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

სასამართლო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ გ. უ-ძის ინტერესების დამცველის, ადვოკატ გ. ჯ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 14 მაისის განაჩენი გ. უ-ძის მიმართ დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით

განჩინება

#1282-აპ

30 იანვარი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყემლაშვილი (თავმჯდომარე),**
- ლ. მურუსიძე,**
- მ. ვაჩაძე**

განიხილა მსჯავრდებულ კ. გ-იანისა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ხ. ჯ-იას, აგრეთვე - დაზარალებულის უფლებამონაცვლე რ. გ-იანის საკასაციო საჩივრები ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 4 ივნისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

მესტიის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 27 ივლისის განაჩენით კ. გ-იანს მოეხსნა საქართველოს 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 109-ე მუხლის „ა“, „დ“, „ვ“ და „კ“ ქვეპუნქტებით წარდგენილი ბრალდება; იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებითა და 116-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციით) იმაში, რომ ჩაიდინა ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შექმნა, შენახვა და ტარება; ასევე - სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით, რაც გამოიხატა შემდეგში:

კ. გ-იანმა დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, დაუდგენელი პირისაგან მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი საბრძოლო ვაზნებით, რომლებსაც ინახავდა თავის საცხოვრებელ სახლში და დროგამოშვებით ატარებდა. 2000 წლის 16 ოქტომბერს, დაახლოებით 2 საათზე, მთვრალი კ. გ-იანი ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით მივიდა ბ. პ-იანის სახლში, რათა მოეკითხა და შეეტყო სადღესასწაულო სუფრაზე მათ ოჯახში მიუსვლელობის მიზეზი. ოჯახში შესვლისას კ. გ-იანი წამოედო რაღაცას, წაიბორძიკა და მისდაუნებურად ავტომატიდან გაისროლა ტყვიების ჯერი, რამაც გამოიწვია ბ. პ-იანის სიცოცხლის მოსპობა.

აღნიშნული ქმედებისათვის კ. გ-იანს საბოლოოდ განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყო 2006 წლის 23 თებერვლიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურის განყოფილების პროკურორმა მ. მ-მემ. მან ითხოვა კ. გ-იანის მსჯავრდება საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით, 109-ე მუხლის „ა“, „დ“, „ე“, „კ“ პუნქტებით და მისთვის სასჯელის დანიშვნა სახელმწიფო ბრალმდებლის მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოში დაყენებული მოთხოვნის ფარგლებში.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006 წლის 20 ოქტომბრის განაჩენით რაიონული სასამართლოს განაჩენი შეიცვალა შემდეგი მიმართებით:

კ. გ-იანის ქმედება საქართველოს 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 116-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 109-ე მუხლის „ა“, „დ“, „ე“, „კ“ პუნქტებზე და ამ მუხლით განესაზღვრა 13 წლით თავისუფლების აღკვეთა; კ. გ-იანს საბოლოოდ განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 13 წლის ვადით.

განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ხ. ჯ-იამ. მან ითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენის გაუქმება და მესტიის რაიონული სასამართლოს განაჩენის ძალაში დატოვება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 12 აპრილის განჩინებით საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2006 წლის 20 ოქტომბრის განაჩენი და საქმე გაიგზავნა იმავე სასამართლოში ახალი სასამართლო განხილვისათვის.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 4 ივნისის განაჩენით მესტიის რაიონული სასამართლოს განაჩენი შეიცვალა: კ. გ-იანი ცნობილ იქნა დამნაშავედ

საქართველოს 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 109-ე მუხლის „ა», „დ», „ვ», „კ» პუნქტებით, 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით და საბოლოოდ მიესაჯა 12 წლით თავისუფლების აღკვეთა.

კასატორები - მსჯავრდებული კ. გ-იანი და მისი ადვოკატი ხ. ჯ-ია საკასაციო საჩივარში აღნიშნავენ, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი არის დაუსაბუთებელი, უკანონო, ცალმხრივი და ტენდენციური, რადგან სასამართლოს საქმის გარემოებები არ გამოუკვლევია ყოველმხრივ და ობიექტურად, ასევე არ მოუხდენია გამოკვლევულ მტკიცებულებათა ერთობლივი სათანადო სამართლებრივი ურთიერთშეჯერება; გამამტყუნებელ განაჩენს არ შეიძლება საფუძვლად დაედოს მხოლოდ ვარაუდი, იგი დგინდება მხოლოდ და მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებზე დაყრდნობით; კ. გ-იანმა ნაწილობრივ ცნო თავი დამნაშავედ და აჩვენა, რომ ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი ტყეში იპოვა ბ. პ-იანის სიკვდილამდე 6 თვით ადრე; რაც შეეხება სსკ-ის 109-ე მუხლით წარდგენილ ბრალდებას, მსჯავრდებულმა განმარტა, რომ ბ. პ-იანის სიკვდილი მოჰყვა მის გაუფრთხილებლობას და მოითხოვა დასჯა ამ დანაშაულის ჩადენისათვის; მიუხედავად დაცვის მხარის მიერ დაყენებული შუამდგომლობისა, სასამართლომ არ გამოიძახა და არ დაკითხა დაზარალებულის უფლებამონაცვლე რ. გ-იან-პ-იანი, რადგან სასამართლო პროცესზე დაზარალებულის ნათესავმა წარმოადგინა მესტიის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ბეჭდითა და ხელმოწერებით დამოწმებული რ. გ-იანის განცხადება, რომელიც სრულიად განსხვავდებოდა პროკურორის მიერ წარმოდგენილი, თითქოსდა დაზარალებულის კარნახით შედგენილი განცხადებისაგან; 2007 წლის 21 ივნისის განცხადებით რ. გ-იანი ადასტურებდა 2006 წლის ივლისში მესტიის რაიონული სასამართლოსათვის მიცემული ჩვენების სისწორეს; დაზარალებულის უფლებამონაცვლის დაკითხვის კატეგორიული წინააღმდეგი იყო პროკურორიც, მიზეზად ასახელებდა მის ავადმყოფობას, რომლის დამადასტურებელი ცნობაც არ წარმოუდგენია; მიუხედავად დაცვის მხარის შუამდგომლობისა, დაუშვებელ მტკიცებულებად ეცნო პროკურორის მიერ წარმოდგენილი რ. გ-იანის განცხადება, სახელმწიფო ბრალმდებელმა და სააპელაციო პალატამ მიმართეს ყველა დაუშვებელ და აკრძალულ ხერხს დაზარალებულის უფლებამონაცვლის წინასწარ გამოძიებაში მიცემული ჩვენების გამოსაკვლევადა, რომელზეც ააგეს გამამტყუნებელი განაჩენი განზრახ მკვლელობის კვალიფიკაციით; საქართველოს სსკ-ის 481-ე მუხლის თანახმად, აღნიშნული ჩვენება არ შეიძლება, საფუძვლად დაედოს განსასჯელის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანას; სასამართლო გადაწყვეტილებას საფუძვლად უდევს მხოლოდ სასამართლო სხდომაზე მხარეთა მონაწილეობით გამოკვლეული მტკიცებულებანი.

კასატორთა განმარტებით, რ. გ-იანმა 2006 წლის ივლისში მესტიის რაიონული სასამართლოს სახელზე გაგზავნილ განცხადებაში ითხოვა, რომ ანგარიში არ გაეწიათ წინასწარ გამოძიებაში მის მიერ მიცემული ჩვენებისათვის და რეალურად აღწერა მომხდარი; მან თავის განცხადებაში აღნიშნა, რომ მოექცა სხვისი გავლენის ქვეშ და გამოძიებას მისცა არასწორი ჩვენება; კ. გ-იანის დაკავების შემდეგ მათ ოჯახებს შორის მოხდა ამ საქმის მედიატორული წესით გარჩევა, ორივე მხარე დააფიცეს ხატზე, რომ ეთქვათ სიმართლე; ხატზე დაფიცებისას რ. გ-იანმა თქვა სრული სიმართლე და იგივე აცნობა სასამართლოსაც, რომ კ. გ-იანს არ ჰქონია მისი მეუღლის მოკვლის განზრახვა და საბაბი, გასროლა მოხდა უნებლიედ და ტყვიაც შემთხვევით მოხვდა ბ. პ-იანს, ამიტომ ითხოვა, მსჯავრდებული არ დასჯილიყო განზრახი მკვლელობისათვის; 2006 წლის 25 ივნისს სასამართლო სხდომაზე გამოცხადებულმა დაზარალებულის უფლებამონაცვლემ დაადასტურა თავის მიერ სასამართლოსათვის გაგზავნილი განცხადების რეალობა და აღნიშნა, რომ იგი მომხდარის ერთადერთი მოწმეა, ეს იყო შემთხვევითობა, ამიტომ მოითხოვა კ. გ-იანისათვის განზრახ მკვლელობის მუხლის მოხსნა და მსუბუქი სასჯელის დანიშვნა; რაც შეეხება წინასწარ გამოძიებაში მიცემულ ჩვენებას, ის მოექცა სხვისი ზეგავლენის ქვეშ, რისთვისაც მზად იყო, პასუხი ეგო; პირველი ინსტანციის სასამართლო დაეყრდნო არა მხოლოდ დაზარალებულის უფლებამონაცვლის ჩვენებებს, არამედ - საქმის მასალათა ერთობლიობას, კერძოდ: შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმს, მოწმე ბ. მ-იანის ჩვენებას, ექსპერტ მ. კ-უას განმარტებას, მოწმეების - ზ. გ-იანისა და ლ. კ-იანის ჩვენებებს, რ. გ-იანის განცხადებებს.

მსჯავრდებული და მისი ინტერესების დამცველი საკასაციო საჩივარში ასევე აღნიშნავენ, რომ სააპელაციო პალატამ დაარღვია საქართველოს სსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნები საქმის ყოველმხრივი, ობიექტური და სრული გამოკვლევის შესახებ; სასამართლომ გამამტყუნებელი განაჩენის ერთ-ერთ მტკიცებულებად გამოიყენა კ. გ-იანის წინასწარ გამოძიებაში მიცემული ჩვენება, რომელიც სასამართლოში არ გამოქვეყნებულა და მისი მტკიცებულებად გამოყენება დაუშვებელია, თანახმად სსკ-ის 477-ე მუხლისა; პალატამ მთლიანად უარყო გამოძიებით გამოკვლეული მტკიცებულებები და მტკიცებულებად გამოიყენა შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი და ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის 6 მასრა; პალატამ დაადგინა, რომ მასრების ეს რაოდენობა გამორიცხავს იარაღიდან შემთხვევით გასროლის ფაქტს; სხდომაზე მოწმეებად დაკითხულმა ბ. მ-იანმა და ექსპერტმა მ. კ-უამ განმარტეს, რომ, ტყვიების განლაგების მიხედვით, ისინი ნასროლია ყოველგვარი დამიზნების გარეშე, უსისტემოდ; გამამტყუნებელ განაჩენს არ შეიძლება, საფუძვლად დაედოს ვარაუდი.

სააპელაციო პალატამ სრულიად უსაფუძვლოდ არ გაიზიარა მსჯავრდებულის ჩვენებები; არ არის დადგენილი განზრახ მკვლელობის რაიმე მიზეზი, თუმცა სასამართლომ დაასახელა ხულიგნური ქვენაგრძობა; პალატამ არ გაიზიარა მოწმეების - ბ. მ-იანის, ლ. კ-იანისა და ზ. გ-იანის, ექსპერტ

მ. კ-უას, დაზარალებულის უფლებამონაცვლე რ. გ-იანის ჩვენებები; არც კი დაინტერესდა, თუ რით იყო გამოწვეული დაზარალებულის უფლებამონაცვლის განცხადებების სხვადასხვაობა.

კასატორთა განცხადებით, კ. გ-იანისათვის არასწორადაა წაყენებული ბრალდება სსკ-ის 109-ე მუხლის „ა«, „დ«, „ე« და „კ« პუნქტებით, რადგან მსჯავრდებულის მიერ შემთხვევით გასროლის შედეგად გარდაიცვალა ერთი პირი, ხოლო მეორე პირის მკვლელობის ფაქტი უცნობია; არ არის დადასტურებული აწ გარდაცვლილი ბ. პ-იანის უმწეო მდგომარეობაში ყოფნა; კ. გ-იანის ქმედებაში არ ყოფილა გამოხატული სისასტიკე, რადგან დამნაშავეს არ ჰქონია სურვილი და სპეციალური მიზანი, თავისი მოქმედებით განსაკუთრებული ტანჯვა მიეყენებინა დაზარალებულისათვის, გასროლა მოხდა შემთხვევით; მკვლელობის მოტივის დაუდგენლობა არ წარმოადგენს მისი ხულიგნური ქვენაგრძნობით დაკვალიფიცირების საფუძველს; კ. გ-იანის მხრიდან არ გამოვლენილა არანაირი ანტისაზოგადოებრივი ქვენაგრძნობა; ვერ დადგინდა მსჯავრდებულის მხრიდან ბ. პ-იანისათვის სიცოცხლის განზრახ მოსპობის ფაქტი, ასევე - მიზეზი და მოტივი; კ. გ-იანის უყურადღებობამ წაბორძიკებისას გამოიწვია ავტომატიდან ჯერით გასროლა და ბ. პ-იანის სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობა; რაც შეეხება მესტიის რაიონული სასამართლოს განაჩენს, იგი გამოტანილია უტყუარ მტკიცებულებებზე დაყრდნობით და კანონიერია, ხოლო სააპელაციო პალატის განაჩენით სწორად არ შეფასდა საქმის მასალები და მსჯავრდებულის ქმედება არასწორად დაკვალიფიცირდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებული კ. გ-იანი და ადვოკატი ხ. ჯ-ია ითხოვენ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 4 ივნისის განაჩენის შეცვლას და კ. გ-იანის ქმედების გადაკვალიფიცირებას საქართველოს სსკ-ის 116-ე მუხლის 1-ელ ნაწილზე.

კასატორი - დაზარალებულის უფლებამონაცვლე რ. გ-იანი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ კ. გ-იანის ქმედება არ მოიცავდა დამამძიმებელ გარემოებებში ბ. პ-იანის განზრახ მკვლელობის განზრახვას; ყველაფერი მოხდა გაუფრთხილებლობით; მან დეტალური ჩვენება მისცა პირველი ინსტანციის სასამართლოს, რამაც გამოიწვია კ. გ-იანის მსჯავრდება საქართველოს სსკ-ის 116-ე მუხლით და მისთვის 5 წლით თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრა; მას, როგორც დაზარალებულს, განაჩენი არ გაუსაჩივრებია; როგორც კი გაიგო, რომ მესტიის რაიონული სასამართლოს განაჩენი პროკურორმა გასაჩივრა სააპელაციო სასამართლოში, მან მიმართა პალატას წერილობითი განცხადებით, რომელიც დამოწმებულია ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენტური ორგანოს მიერ; რ. გ-იანისათვის ცნობილი გახდა, რომ სააპელაციო სასამართლოში პროკურორმა წარადგინა მისი განცხადება, რომელზეც ხელმოწერა დაუდასტურებია მესტიის პოლიციის რაიონული განყოფილება კაპიტან გაბულდანს თავისი ხელმოწერითა და ბეჭდით, რასაც საკასაციო პალატამ უნდა მისცეს სამართლებრივი შეფასება, რადგან დარწმუნებულია, რომ პოლიციის თანამშრომელს არ შეეძლო მისი ხელმოწერის სინამდვილის დადასტურება, თანაც ეს პირი აღნიშნული განცხადების ჩამოყალიბებისას არც კი ყოფილა ადგილზე, მით უმეტეს, რომ ამ განცხადების შინაარსი არ შეესაბამება რ. გ-იანის მიერ მათთვის ნაკარნახევ ტექსტს; რეალურია და სინამდვილეს შეესაბამება მის მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოში მიცემული და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ დამოწმებულ განცხადებაში აღნიშნული ჩვენება.

დაზარალებულის უფლებამონაცვლე დარწმუნებულია, რომ კ. გ-იანს არ ჰქონია მისი მეუღლის მოკვლის არანაირი განზრახვა; სახეზეა გაუფრთხილებლობა; სააპელაციო სასამართლომ მესტიის რაიონული სასამართლოს განაჩენის შეცვლით ფაქტობრივად უგულვებელყო მისი, როგორც დაზარალებულის უფლებამონაცვლის, ნამდვილი და რეალური ჩვენებები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, დაზარალებულის უფლებამონაცვლე რ. გ-იანი ითხოვს გასაჩივრებული განაჩენის შეცვლას, კ. გ-იანის ქმედების გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობად დაკვალიფიცირებას და სასჯელის ამ კვალიფიკაციით განსაზღვრას.

საკასაციო პალატის სხდომაზე ადვოკატმა ხ. ჯ-იამ მხარი დაუჭირა თავის საკასაციო საჩივარს და მოითხოვა მისი დაკმაყოფილება იმ მოტივით, რომ გასაჩივრებულ განაჩენს საფუძვლად უდევს მხოლოდ დაზარალებულის უფლებამონაცვლის საქმის წინასწარი გამოძიებისას მიცემული ჩვენება, რითიც დარღვეულია სსსკ-ის 481-ე მუხლის მოთხოვნა. ამასთან, სააპელაციო პალატამ მთლიანად უარყო სასამართლო გამოძიებისას გამოკვლეული მტკიცებულებები, რაც ადასტურებს, რომ კ. გ-იანმა ჩაიდინა სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით.

პალატის სხდომაზე წარმოდგენილ იქნა დაზარალებულის უფლებამონაცვლე რ. გ-იანის განცხადება, რომელშიც იგი მხარს უჭერს თავის საკასაციო საჩივარს და ითხოვს მის დაუსწრებლად საქმის განხილვას.

სახელმწიფო ბრალდებელმა ლ. ყ-იანმა საჩივრებს მხარი არ დაუჭირა და იშუამდგომლა გასაჩივრებული განაჩენის უცვლელად დატოვების შესახებ იმ მოტივით, რომ იგი კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანია და ეყრდობა საქმეში არსებულ უტყუარ მტკიცებულებებს, რომლებიც სწორადაა შეფასებული.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ მოუსმინა მხარეებს, შეისწავლა საქმის მასალები, გაანალიზა წარმოდგენილი საჩივრების საფუძვლიანობა, ასევე მხარეთა მოტივები და მივიდა დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის „ა“, «დ», «ვ» და «კ» პუნქტით კ. გ-იანის მსჯავრდების ნაწილში სააპელაციო სასამართლოს განაჩენი არის დაუსაბუთებელი, რითაც დარღვეულია საქართველოს სსკ-ის 496-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნა, რომლის მიხედვით, განაჩენის დასკვნები უნდა ემყარებოდეს სასამართლო სხდომაზე განხილულ უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობას და ეს მტკიცებულებები საკმარისი უნდა იყოს სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად.

დაზარალებულის უფლებამონაცვლე რ. გ-იანმა სასამართლოს განუმარტა, რომ მომხდარი ფაქტის ერთადერთი თვითმხილველია და კ. გ-იანს ავტომატი მართლაც შემთხვევით გაუვარდა, როდესაც წაიბორძიკა. მსჯავრდებულს არ ჰქონდა არანაირი საბაზი და მოტივი, მოეკლა ბ. პ-იანი. გასროლის შემდეგ კ. გ-იანი დაბნეული და შეშინებული იყო, მან ბოდიში მოიხადა და დატოვა სახლი.

გასაჩივრებულ განაჩენში უტყუარ მტკიცებულებადაა მოყვანილი შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას ამოღებული მასრების რაოდენობა (6 მასრა), რაც სააპელაციო პალატის აზრით გამორიცხავს ავტომატიდან შემთხვევით გასროლას.

შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმით ირკვევა, რომ დაზიანებები აღინიშნებოდა იატაკზე, დასავლეთისა და აღმოსავლეთის მხარის კედლებზე, ასევე - ჭერზე. ამოღებულ იქნა 6 მასრა.

სასამართლოში დაიკითხა მესტიის რაიონული პროკურორის ყოფილი მოადგილე ბ. მ-იანი, რომელმაც განმარტა, რომ შემთხვევის ადგილზე ნაწილობრივ ნატყვიარებით აშკარად იკვეთებოდა იარაღიდან «უსისტემოდ, დამიზნების გარეშე» სროლის ფაქტი. ბ. მ-იანის აზრით, ყოველივე მოხდა იარაღთან გაუფრთხილებელი მოპყრობის შედეგად, რასაც ადასტურებს ის გარემოება, რომ მიზანმიმართული სროლის შემთხვევაში დაზიანებები აღინიშნებოდა ერთ და არა სხვადასხვა მხარეს, რასაც მოცემულ შემთხვევაში ჰქონდა ადგილი.

შს-ს საექსპერტო-კრიმინალისტიკური სამმართველოს ექსპერტმა მ. კ-უამ სასამართლოში განაცხადა, რომ შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმისა და ნახაზის, ასევე, ნასროლი ტყვიების განლაგებით «ნასროლი არ არის პიროვნების ან რაიმე საგნის მიმართულებით, რადგან ნასროლი ტყვიების ადგილმდებარეობა მიუთითებს ავტომატიდან გაუზრებელი და გაუფრთხილებელი გასროლის ფაქტზე». მანვე მიუთითა, რომ იარაღის ავტომატურ რეჟიმში ყოფნისას წუთში ხდება 600 გასროლა. დროთა განმავლობაში იარაღის ჩამკეტი მოწყობილობა სუსტდება და მცირე ზემოქმედებისას შესაძლოა გადაინაცვლოს ავტომატურ რეჟიმში. მოცემულ შემთხვევაში შესაძლოა გასროლა გამოეწვია ტანსაცმელზე ან რაიმე საგანზე წამოღებას.

პალატა აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული განაჩენი ფაქტობრივად ეყრდნობა მხოლოდ საქმის წინასწარი გამოძიებისას დაზარალებულის უფლებამონაცვლე რ. გ-იანის მიერ მიცემულ ჩვენებებს, რომლებიც მან უარყო სასამართლოში. რ. გ-იანმა განაჩენი გასაჩივრა საკასაციო წესითაც და მოითხოვს მსჯავრდებულის ქმედების გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობად შეფასებას. კ. გ-იანი ამტკიცებს, რომ ავტომატი გადაკიდებული ჰქონდა მხარზე, სახლში შესვლისას წაიბორძიკა, იარაღი ჩამოუყურდა, მას ხელი შეაშველა და მოხდა გასროლა. ამის გამაბათილებელი უტყუარი მტკიცებულება საქმეში არ მოიპოვება, პირიქით, შემთხვევის ადგილის დამთვალიერებელი ბ. მ-იანი და ექსპერტი მ. კ-უა ადასტურებენ მსჯავრდებულის მიერ აღწერილ ფაქტობრივ გარემოებებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო პალატა თვლის, რომ მსჯავრდებულ კ. გ-იანის ქმედება საქართველოს 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი სსკ-ის 109-ე «ა», «დ», «ვ» და «კ» ქვეპუნქტებიდან უნდა გადაკვალიფიცირდეს ამავე კოდექსის 116-ე მუხლის პირველ ნაწილზე და იგი ცნობილ უნდა იქნეს დამნაშავედ ბ. პ-იანის სიცოცხლის მოსპობაში გაუფრთხილებლობით.

ამრიგად, კ. გ-იანის ბრალდების საქმის განხილვისა და მის მიმართ განაჩენის დადგენისას სააპელაციო სასამართლოს მიერ არ იქნა დაცული საქართველოს სსკ-ის მე-18 მუხლითა და მე-19 მუხლის მე-2-3 ნაწილებით გათვალისწინებული მოთხოვნები, ამასთან, დაშვებულ იქნა ამავე კოდექსის 562-ე მუხლის „ბ» პუნქტითა და 564-ე მუხლით გათვალისწინებული დარღვევა - სისხლის სამართლის კანონის არასწორი გამოყენება, კერძოდ, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა. ყოველივე ამან არსებითი გავლენა იქონია საქმის შედეგზე - განაჩენის კანონიერებაზე, დასაბუთებულობასა და სამართლიანობაზე. ყოველივე აღნიშნული წარმოადგენს გასაჩივრებული განაჩენის შეცვლის საფუძველს.

სასჯელის დანიშნისას საკასაციო პალატა ითვალისწინებს კ. გ-იანის პიროვნებას, მისი ქმედების სიმძიმეს, მოვალეობათა დარღვევის ხასიათსა და ზომას, მის წარსულ ცხოვრებას, კერძოდ, იგი ხასიათდება დადებითად და პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებები არ გააჩნია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ კ. გ-იანისა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ხ. ჯ-იას, ასევე - დაზარალებულის უფლებამონაცვლე რ. გ-იანის საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 4 ივნისის განაჩენი შეიქცალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ:

კ. გ-იანს მოეხსნას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის «ა», «დ», «ვ», «კ» პუნქტებით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციით) გათვალისწინებული ბრალდება და მისი ქმედება დაკვალიფიცირდეს ამავე კოდექსის 116-ე მუხლის პირველი ნაწილით. ამ ნაწილით მას სასჯელის ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით;

კ. გ-იანს 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მისაჯოს 1 წლით, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილით - 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა;

სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, კ. გ-იანს საბოლოოდ მიესაჯოს 6 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით

განჩინება

#115-აპ-08

22 ოქტომბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

დ. სულაქველიძე

ლ. მურუსიძე,

მ. ოშხარელი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. თ-შვილის დამცველის, ადვოკატ ზ. ბ-მის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 26 ნოემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

გ. თ-შვილი ამჟამად პატიმრობაში მყოფი, საგარეჯოს რაიონული სასამართლოს 2007 წლის 26 ივლისის განაჩენით ცნობილ იქნა ბრალდებულად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით.

განაჩენის მიხედვით, გ. თ-შვილს მსჯავრი დაედო განზრახ მკვლელობის ჩადენაში, რაც გამოიხატა შემდეგში:

2006 წლის 11 ოქტომბერს ქ. საგარეჯოში, ნ. თ-შვილის საცხოვრებელ სახლში, იმყოფებოდა მისივე მეგობარი ქალი ჟ. გ-შვილ-ბ-შვილი. მათ დალიეს არაყი და დაწვინეს დასაძინებლად. დაახლოებით 22.00 საათზე იქ მივიდა ნასვამ მდგომარეობაში მყოფი გ. თ-შვილი, რომელმაც მოინდომა ჟ. გ-შვილთან სქესობრივი კავშირის დამყარება, რა მიზნითაც იგი აიყვანა საცხოვრებელი სახლის მეორე სართულზე. ჟ. გ-შვილმა, არ ისურვა გ. თ-შვილთან სქესობრივი კავშირის დამყარება, დაიწყო ყვირილი და ითხოვდა შველას, გ. თ-შვილს ეუბნებოდა, თავი გაენებებინა მისთვის. აღნიშნულით განაწყენებულმა გ. თ-შვილმა რამდენჯერმე ჩაარტყა ჟ. გ-შვილს საფეთქლის არეში, რის გამოც მან დაკარგა გონება და უგონოდ დავარდა საწოლზე. გ. თ-შვილმა, დარწმუნდა რა, რომ ჟ. გ-შვილი მოკლა, ჩადენილი დანაშაულის დაფარვის მიზნით, გადაწყვიტა გვამის მოშორება. მან და მამამისმა - ნ. თ-შვილმა გაახვიეს «ადიალაში» ჯერ კიდევ ცოცხალი ჯ. გ-შვილი, გაიტანეს და ჩაადგეს ქ. საგარეჯოში, მშვიდობის ქუჩის ტერიტორიაზე არსებულ სარწყავ არხში, რის შედეგადაც იგი დაიხრჩო. 2006 წლის 13 ოქტომბერს ჟ. გ-შვილის გვამი აღმოაჩინა იმავე ქუჩაზე მცხოვრებმა მოქალაქემ.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა და მისმა ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა. მსჯავრდებული სააპელაციო საჩივარში აღნიშნავდა, რომ განაჩენი არის უსამართლო და ითხოვდა გამართლებას წარდგენილ ბრალდებაში. მსჯავრდებულის ინტერესების დამცველი ადვოკატები საჩივარში აღნიშნავდნენ, რომ განაჩენი არის უკანონო, არ გამომდინარეობს საქმის მასალებიდან და უნდა შეიქცალოს მსჯავრდებულის სასარგებლოდ შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით: წინასწარი და სასამართლო გამოძიება ჩატარებულია ცალმხრივად და არაობიექტურად; სწორი სამართლებრივი შეფასება არა აქვს მიცემული სისხლის სამართლის საქმის მასალებს, ამიტომ დანაშაულის კვალიფიკაცია არის სადავო; გამოძიებით და განაჩენით არ არის დადგენილი ე.წ. «განზრახი მკვლელობის» მოტივი. აღნიშნულის გათვალისწინებით, აპელანტები საჩივრით ითხოვდნენ საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას.

საქმის სააპელაციო წესით განხილვისას მსჯავრდებულმა და მისმა ადვოკატმა დააზუსტეს საჩივრის მოთხოვნა და ითხოვეს წარდგენილ ბრალდებაში გამართლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ არ დააკმაყოფილა აპელანტების დაზუსტებული მოთხოვნა მსჯავრდებულის გამართლების თაობაზე, ამასთან, 2007 წლის 26 ნოემბრის განაჩენით მსჯავრდებულის სასიკეთოდ ცვლილება შეიტანა საგარეჯოს რაიონული სასამართლოს განაჩენში, კერძოდ: გ. თ-შვილის ქმედება საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლიდან გადააკვალიფიცირა საქართველოს სსკ-ის მე-19 მუხლსა და 116-ე მუხლის პირველ ნაწილზე (სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით), ხოლო ამ დანაშაულისათვის მას სასჯელის ზომად განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლისა და 6 თვის ვადით.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ გ. თ-შვილის დამცველმა, ადვოკატმა ზ. ბ-ემ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას, რომლითაც იმავე ძირითადი მოტივებით, რაზეც მითითებული იყო სააპელაციო საჩივარში, ითხოვს მსჯავრდებულის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას იმ საფუძველზე, რომ მას არ ჩაუდენია განაჩენით მისთვის შერაცხული დანაშაული, ხოლო ამ მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში აპელანტი აყენებს საკითხს გ. თ-შვილის მიმართ სასჯელის შემსუბუქებაზე კანონით გათვალისწინებული სანქციის მინიმუმამდე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ გ. თ-შვილის მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრის მოთხოვნის საფუძველიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა ვერ დაეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მიერ განაჩენში მითითებულ მცდარ კვალიფიკაციას, ასევე მის დასასაბუთებლად განვითარებულ მსჯელობასა და მისი პოზიციის მოტივაციას მსჯავრდებულ გ. თ-შვილის მიერ ჩადენილი ქმედების თაობაზე. სააპელაციო სასამართლომ მისი ქმედება დააკვალიფიცირა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლითა და 116-ე მუხლის პირველი ნაწილით - როგორც გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობის მცდელობა. ასეთი კვალიფიკაცია არასწორია, ვინაიდან სისხლისსამართლებრივად გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულის მცდელობა შეუძლებელია. საყურადღებოა, რომ სააპელაციო სასამართლო გ. თ-შვილის ქმედებაში გაუფრთხილებლობას მოიაზრებს იმ მომენტში, როდესაც მან ჯერ კიდევ მამამისის - ნ. თ-შვილის სახლში ყოფნისას დაზარალებულ ჟ. გ-შვილს მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა, რის შედეგადაც ამ უკანასკნელმა გონება დაკარგა და ძირს დავარდა, ხოლო გ. თ-შვილმა, ვერ მოიყვანა რა გონებაზე, დილამდე მიატოვა ის უგონო მდგომარეობაში. აქ სააპელაციო სასამართლო გ. თ-შვილის გაუფრთხილებლობას ხედავს იმაში, რომ მან უგონო მდგომარეობაში მყოფი ჟ. გრატიშვილის მიმართ გამოიჩინა დაუდევრობა, მაშინ, როდესაც მას უნდა გაეთვალისწინებინა და შეეძლო კიდევ გაეთვალისწინებინა, რომ აღნიშნულ მდგომარეობაში ჟ. გ-შვილი შეიძლება გარდაცვლილიყო. ვინაიდან ამ მომენტში ჟ. გ-შვილი მაინც ცოცხალი დარჩა, სააპელაციო სასამართლომ ამის გამო ჩათვალა, რომ გ. თ-შვილის მხრივ ადგილი ჰქონდა მხოლოდ გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობის მცდელობას, რაც სამართლებრივად, როგორც ზემოთ აღნიშნა, აშკარად მცდარი პოზიციანია, ვინაიდან საქართველოს სსკ-ის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დანაშაულის მცდელობად ითვლება განზრახვი ქმედება, რომელიც, თუმცა, უშუალოდ მიმართული იყო დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი. ამრიგად, კანონის თანახმად, არ არსებობს გაუფრთხილებლობით ჩადენილი დაუმთავრებელი დანაშაული, ხოლო გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულის კვალიფიკაცია ნებისმიერ შემთხვევაში განისაზღვრება და ასეთი დანაშაული არსებობს მხოლოდ მაშინ, როდესაც რეალურად დადგა ამ დანაშაულის შემადგენლობით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო შედეგი.

რაც შეეხება გ. თ-შვილის მიერ ჟ. გ-შვილის არხში ჩაგდებასა და სასუნთქ ორგანოებში წყლის მოხვედრის შედეგად მის გარდაცვალებას ასფიქსიით, ამ ფაქტთან მიმართებით სააპელაციო სასამართლო თვლის, რომ ამ დროს გ. თ-შვილი მოქმედებდა თავისი დანაშაულის დაფარვის განზრახვით, ხოლო მის მიერ ჩადენილი ზემოხსენებული დანაშაულის დაფარვისათვის გ. თ-შვილი პასუხს არ აგებს. ამასთან, სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, გ. თ-შვილს, როდესაც ჟ. გ-შვილს წყლის არხში აგდებდა, ამ უკანასკნელის მდგომარეობის გამო, არ შეეძლო წარმოედგინა, რომ იგი შეიძლება ცოცხალი ყოფილიყო. აღნიშნული კი იმას ნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულ გ. თ-შვილს ბრალად არ შერაცხა დაზარალებულ ჟ. გ-შვილის სიკვდილის ფაქტი, ხოლო საკასაციო პალატა მსჯავრდებულის მდგომარეობას ვერ დაამძიმებს.

ზემოაღნიშნულის შესაბამისად, საკასაციო პალატა მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, რომ საბოლოოდ სააპელაციო სასამართლოს განაჩენით პასუხისმგებლობის საკითხი გადაწყვეტილია მსჯავრდებულ გ. თ-შვილისათვის სასიკეთოდ, ხოლო მისი ბრალდების საქმე საკასაციო პალატაში შესულია დაცვის მხარის საჩივრით, რომლითაც მისი დამცველი ითხოვს გ. თ-შვილის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას და რომლის დაკმაყოფილების საფუძველი არ არსებობს, რის გამოც საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, გასაჩივრებულ განაჩენში, კერძოდ, ჩადენილი ქმედების კვალიფიკაციის ნაწილში დაშვებული უზუსტობა ისე გაასწოროს, რომ ზიანი არ მიადგეს

მსჯავრდებულის კანონიერ ინტერესებს. აღნიშნული უზუსტობის გასწორება შეუძლებელი იქნება სააპელაციო სასამართლოში საქმის ხელახლა განხილვის შემთხვევაშიც.

განხილული გარემოებებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 26 ნოემბრის განაჩენი მსჯავრდებულ გ. თ-შვილის მიმართ უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ გ. თ-შვილის დამცველის, ადვოკატ ზ. ბ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 20 ნოემბრის განაჩენი მსჯავრდებულ გ. თ-შვილის მიმართ დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით

განჩინება

#382-აპ

22 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),

დ. სულაქველიძე,

მ. ოშხარელი

განიხილა დაზარალებულის უფლებამონაცვლე ლ. მ-შვილისა და მსჯავრდებულ რ. მ-შვილის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ლ. კ-ძის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 29 იანვრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

გორის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 13 აგვისტოს განაჩენით რ. მ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით იმაში, რომ ხულიგნური ქვენაგრძნობითა და განსაკუთრებული სისასტიკით ჩაიდინა მკვლელობა, ასევე - ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგოდ შექმნა, შენახვა და ტარება, რაც გამოიხატა შემდეგში:

რ. მ-შვილმა დაუდგენელ დროსა და ვითარებაში მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა დაუდგენელი მარკის ცეცხლსასროლი იარაღი - პისტოლეტი საბრძოლო ვაზნებით, რომლებსაც მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდა და ატარებდა. 2006 წლის 3 ნოემბერს რ. მ-შვილმა თავის ბიძაშვილებთან: ი., ვ. და გ. მ-შვილებთან ერთად დალია ალკოჰოლური სასმელი გ. მ-შვილის დაბადების დღის აღსანიშნავად. საღამოს, დაახლოებით 20 საათსა და 30 წუთზე, ისინი ავტომანქანით, რომელსაც მართავდა რ. მ-შვილი, მივიდნენ გორში, ... ქუჩაზე მდებარე გ. მ-შვილის საცხოვრებელ ბინასთან, ვ. მ-შვილი დატოვეს ქალაქში, რ. და გ. მ-შვილები კი მანქანიდან გადავიდნენ. ავტომანქანაში მძღოლის გვერდითა სავარძელზე იჯდა ი. მ-შვილი და ესაუბრებოდა გ. მ-შვილს, ხოლო რ. მ-შვილი იდგა ავტომანქანის წინა, მარცხენა კართან და საუბრობდა სახლიდან გამოსულ ლ. მ-შვილთან - გ. მ-შვილის ძმასთან. ამ დროს რ. მ-შვილმა უმიზეზოდ, ხულიგნური ქვენაგრძნობით, განსაკუთრებული სისასტიკით, ძმის - ლ. მ-შვილის თანდასწრებით, განიზრახა გ. მ-შვილის მოკვლა. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად მან ამოიღო თანაქონი, მართლსაწინააღმდეგოდ შექმნილი და შენახული იარაღი და დამიზნებით ესროლა გ. მ-შვილს, რომელსაც თავის არეში მიაყენა ცეცხლსასროლი ჭრილობა. ამის შემდეგ რ. მ-შვილი მიიმალა, ხოლო გ. მ-შვილი მიღებული დაზიანების გამო 2006 წლის 10 ნოემბერს საავადმყოფოში გარდაიცვალა.

აღნიშნული ქმედებისათვის რ. მ-შვილს საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით მიესაჯა 17 წლით, 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით - 1 წლით, ამავე მუხლის მე-2 ნაწილით - 3 წლით თავისუფლების აღკვეთა; საბოლოოდ რ. მ-შვილს განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 21 წლის ვადით, რომლის მოხდა დაეწყო 2006 წლის 22 ნოემბრიდან. სამოქალაქო სარჩელი

დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და მსჯავრდებულს დაზარალებულის უფლებამონაცვლე ლ. მ-შვილის სასარგებლოდ დაეკისრა მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურება 7300 ლარის ოდენობით.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს დაზარალებულის უფლებამონაცვლე ლ. მ-შვილმა და მსჯავრდებულის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ლ. კ-ძემ.

დაზარალებულის უფლებამონაცვლემ სააპელაციო საჩივრით ითხოვა მსჯავრდებულისათვის უვადო თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრა და სამოქალაქო სარჩელის სრულად დაკმაყოფილება, ხოლო ადვოკატმა ლ. კ-ძემ - გასაჩივრებული განაჩენის შეცვლა, რ. მ-შვილის ქმედების გადაკვალიფიცირება საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებიდან 116-ე მუხლის 1-ელ ნაწილზე და მინიმალური სასჯელის დანიშვნა, განაჩენიდან მორალური ზიანის ანაზღაურებაზე მითითების ამორიცხვა და მატერიალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში თანხის შემცირება, დანარჩენ ნაწილში კი განაჩენის უცვლელად დატოვება. გარდა ამისა, ადვოკატმა შესაგებლით მოითხოვა, არ დაკმაყოფილებულიყო დაზარალებულის უფლებამონაცვლის სააპელაციო საჩივარი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 29 იანვრის განაჩენით სააპელაციო საჩივრები დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და გორის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 13 აგვისტოს განაჩენი შეიცვალა: რ. მ-შვილს მოეხსნა საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდება და ამ ნაწილში გამართლდა; მას სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით მიესაჯა 13 წლით, 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით - 1 წლით, ამავე მუხლის მე-2 ნაწილით - 3 წლით თავისუფლების აღკვეთა; საბოლოოდ განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 17 წლის ვადით; მსჯავრდებულს დაზარალებულის უფლებამონაცვლის სასარგებლოდ დაეკისრა მატერიალური ზიანის ანაზღაურება 7 168 ლარის ოდენობით.

კასატორი - დაზარალებულის უფლებამონაცვლე ლ. მ-შვილი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი უკანონოა, რადგან სასამართლომ საქმის განხილვის დროს დაუშვა სამართლებრივი პროცედურის არსებითი დარღვევა, მსჯავრდებულის ქმედება არასწორად დააკვალიფიცირა და სამოქალაქო სარჩელის გადაწყვეტისას საერთოდ არ გამოიყენა სამოქალაქო სამართლის ნორმები; სასამართლომ რ. მ-შვილისათვის სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ბრალდების მოხსნის საფუძველად მიუთითა მოწმე ი. მ-შვილის ჩვენებაზე, რომელშიც იგი აღნიშნავდა, რომ გასროლის დროს გარდაცვლილის ძმა იქ არ ყოფილა; ამ მოწმის მიმართ 2007 წლის აგვისტოში დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა არასწორი ჩვენების მიცემისათვის და მის მიმართ სისხლის სამართლის საქმე ამჟამად გორის რაიონული სასამართლოს წარმოებაშია; ასევე სისხლის სამართლის საქმეა აღძრული მსჯავრდებულის ძმის - ს. მ-შვილის მიმართაც საქართველოს სსკ-ის 371¹ მუხლის 1-ლი ნაწილით და იგი ამჟამად ძებნილია; გორის რაიონულ სასამართლოში მოწმედ დაიკითხა გამომძიებელი გ. გ-შვილი, რომელმაც დაადასტურა, რომ მან დაკითხა მოწმეები - ი. და ს. მ-შვილები და მათზე არანაირი ზეწოლა არ განხორციელებულა; სასამართლომ განაჩენს საფუძველად დაუდო ცალმხრივად გამოკვლეული მტკიცებულებები, კერძოდ - მოწმე ი. მ-შვილის ცრუ ჩვენება.

დაზარალებულის უფლებამონაცვლის აზრით, სასამართლომ შეგნებულად დაარღვია სსკ-ის 503-ე მუხლის მოთხოვნა იმის შესახებ, რომ განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს. არ იქნა გათვალისწინებული ამავე კოდექსის 508-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მითითებები და სასამართლომ განაჩენში არ მიუთითა მოტივზე, რომლის თანახმადაც მიიღო ერთი მტკიცებულება და უარყო მეორე; განაჩენში არ არის მსჯელობა იმაზე, თუ რატომ უარყო სასამართლომ ლ. მ-შვილის ჩვენება; საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებებით უტყუარადაა დადასტურებული, რომ რ. მ-შვილმა ხულიგნური ქვენაგრძნობითა და განსაკუთრებული სისასტიკით, ძმის თანდასწრებით ჩაიდინა მკვლელობა.

გარდა აღნიშნულისა, სასამართლომ საერთოდ არ გამოიყენა სამოქალაქო სამართლის ნორმები მატერიალური თუ მორალური ზიანის განსაზღვრისას, სასამართლომ არ ცნო დაზარალებულის უფლებამონაცვლისათვის მორალური ზიანის ფულადი კომპენსაციით ანაზღაურება; ლ. მ-შვილი სისხლის სამართლის პროცესის მწარმოებელი ორგანოს მიერ სათანადო დადგენილებებით ცნობილია დაზარალებულად და სამოქალაქო მოსარჩელედ და ეს დადგენილებები არავის გაუუქმებია, ამიტომ არასწორია სასამართლოს მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, რომ დაზარალებულის უფლებამონაცვლეს არ ჰქონდა უფლება, მოეთხოვა მორალური ზიანის ანაზღაურება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, დაზარალებულის უფლებამონაცვლე ლ. მ-შვილი ითხოვს განაჩენის გაუქმებას რ. მ-შვილის სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გამართლებისა და მორალური ზიანის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში.

მსჯავრდებულის ინტერესების დამცველი, ადვოკატი ლ. კ-ძე საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ დადასტურებულად არ მიიჩნია ის ფაქტი, რომ, თითქოს, რ. მ-შვილმა გ. მ-შვილი მოკლა ძმის - ლ. მ-შვილის თვალწინ და ამ ნაწილში გამოიტანა გამამართლებელი განაჩენი; რაიმე მტკიცებულება, რომ ლ. მ-შვილი მკვლელობის დროს იმყოფებოდა შემთხვევის ადგილზე, გარდა მისი ჩვენებისა, საქმეში არ მოიპოვება, ხოლო დაზარალებულის უფლებამონაცვლის ჩვენება უტყუარ მტკიცებულებად ვერ ჩაითვლება, რადგან ის დანაშაულის თვითმხილველი არ არის.

ადვოკატ ლ. კ-ძის აზრით, რ. მ-შვილის ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 116-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და განესაზღვროს ამ მუხლით გათვალისწინებული სანქციის მინიმუმი; მსჯავრდებულის ჩვენებით, მან სახლის გვერდით, გზის მონაკვეთზე, იპოვა ძველი იარაღი, რომელიც შეინახა ავტომანქანაში, მძღოლის სავარძლის ქვეშ; გ. მ-შვილის სახლთან მისვლის შემდეგ გ. მას ეხვეწებოდა, რომ მისი დაბადების დღის აღსანიშნავად გაესროლა იარაღი; გადატენის დროს იარაღი უეცრად გაუვარდა და ხელი ატკინა, შემდეგ კი გაიგო, რომ ტყვია მოხვდა გ. მ-შვილს, რომელიც გადაიყვანეს საავადმყოფოში; რ. მ-შვილს უნდოდა დახმარება, მაგრამ ხალხის რცხვენოდა, რადგან ტყვია მას გაუვარდა და დამნაშავე იყო; მას შემდეგ, რაც შეიტყო, რომ გ. გარდაიცვალა, ჩაპბარდა პოლიციას; მას გ.-ს მოკვლის განზრახვა არ ჰქონია, ყველაფერი შემთხვევით მოხდა და ინანიებს ჩადენილ ქმედებას; მსჯავრდებულის ეს ჩვენება დასტურდება სხვა მტკიცებულებებითაც, კერძოდ: მოწმეების - ი. და ს. მ-შვილების ჩვენებებით; დაზარალებულის უფლებამონაცვლე ლ. მ-შვილის ჩვენებებით, მის შვილსა და რ. მ-შვილს ერთმანეთთან ნორმალური ურთიერთობა ჰქონდათ და სულ ერთად იყვნენ; სასამართლომ განაჩენში მიუთითა გამოგონილ ვერსიაზე, რომ, თითქოს, „რ. მ-შვილი მოქმედებდა არაპირდაპირი განზრახვით, მას გ. მ-შვილის მოკვლის მიზანი არ უნდა ჰქონოდა, ის თავისი მოქმედებით არ გამოიციხავდა ამ შედეგის დადგომის შესაძლებლობას, მაგრამ გულგრილად ეკიდებოდა»; აღნიშნულით სააპელაციო სასამართლომ ფაქტობრივად აღიარა რ. მ-შვილის მხრიდან გ. მ-შვილის გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობის ფაქტი, მაგრამ არასწორად შეაფასა ფაქტობრივი გარემოებები.

ადვოკატ ლ. კ-ძის მოსაზრებით, უტყუარადაა დადასტურებული, რომ რ. მ-შვილმა სიცოცხლის მოსპობა ჩაიდინა გაუფრთხილებლობით; განაჩენის მითითება იმის შესახებ, რომ მსჯავრდებულმა ჩაიდინა განზრახ მკვლელობა ხულიგნური ქვენაგრძნობით, დამყარებულია ეჭვსა და ვარაუდზე და არა უტყუარ მტკიცებულებებზე; ეჭვი და ვარაუდი კი საქართველოს სსკ-ის მე-10, 132-ე და 509-ე მუხლების საფუძველზე უნდა გადაწყდეს მსჯავრდებულის სასარგებლოდ; მოცემულ შემთხვევაში ხულიგნურ მოტივზე საუბარი გამორიცხულია; ბრალდების მხარე ისე იყო დაინტერესებული რ. მ-შვილის განზრახ მკვლელობის მუხლით დასჯით, რომ დაცვის მხარეს შესთავაზა საპროცესო შეთანხმება და დანაშაულის აღიარების სანაცვლოდ მისთვის სასჯელის ზომად 10 წლით თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრა, ყოველგვარი პირობითი სასჯელისა და ჯარიმის გადახდის გარეშე, მაგრამ რ. მ-შვილი არ დასთანხმდა ამ წინადადებას, რადგან დარწმუნებულია თავის სიმართლეში.

გარდა ამისა, ადვოკატი ლ. კ-ძე აღნიშნავს, რომ არასწორია სასამართლოს განაჩენი რ. მ-შვილის საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით მსჯავრდების ნაწილშიც; საქმის მასალებით დადგენილია, რომ მსჯავრდებულს ჰქონდა სხვა იარაღის შენახვის უფლება, ხოლო ის იარაღი, რომლიდანაც მოხდა შემთხვევითი გასროლა, იპოვა შემთხვევის დღეს და უნდა ჩაებარებინა პოლიციისათვის; ასეთ შემთხვევაში მის მიმართ უნდა შეწყდეს სისხლის სამართლის საქმე; სააპელაციო სასამართლომ უკანონოდ დააკმაყოფილა დაზარალებულის უფლებამონაცვლის სამოქალაქო სარჩელი და მსჯავრდებულს დააკისრა 7 168 ლარის გადახდა; სააპელაციო პალატამ არ მიუთითა, რომელი მტკიცებულების საფუძველზე გაიზარდა თანხის ოდენობა; არასწორია განაჩენი ნივთმტკიცებათა საქართველოს შსს „სპეციალური ოპერაციების ცენტრისათვის» გადაცემის ნაწილშიც, რადგან აღნიშნული ნივთმტკიცებები არ არის დანაშაულის ჩადენის იარაღი და უნდა დაუბრუნდეს კანონიერ მფლობელს; ასევე უნდა შევიდეს ცვლილება სასამართლოს გადაწყვეტილებაში რ. მ-შვილის ქონების დაყადაღების შესახებ.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ადვოკატი ლ. კ-ძე ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 29 იანვრის განაჩენის შეცვლას, რ. მ-შვილის ქმედების საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ» ქვეპუნქტიდან 116-ე მუხლის 1-ელ ნაწილზე დაკვალიფიცირებას და სანქციით გათვალისწინებული მინიმალური სასჯელის დანიშვნას; ასევე - საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით რ. მ-შვილის მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას; სამოქალაქო სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში - თანხის შემცირებას 2 168 ლარამდე და გაზის პისტოლეტის, სანადირო თოფის, შაშხანისა და პისტოლეტის, ასევე, მათი ვაზნების კანონიერი მფლობელებისათვის დაბრუნებას.

დაზარალებულის უფლებამონაცვლის ინტერესების დამცველმა ე. კ-შვილმა მხარი დაუჭირა თავისი მარწმუნებლის საკასაციო საჩივარს და მოითხოვა მისი დაკმაყოფილება იმ მოტივით, რომ საქმეში არის საკმარისი მტკიცებულებები მსჯავრდებულის ქმედების როგორც საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ» ქვეპუნქტით, ისე მე-3 ნაწილის „ბ» ქვეპუნქტით დაკვალიფიცირებისათვის. ასევე მხარი დაუჭირა მის მოთხოვნას სამოქალაქო სარჩელის სრულად დაკმაყოფილების ნაწილში იმ მოტივით, რომ დაზარალებულის უფლებამონაცვლეს უნდა აუნაზღაურდეს მორალური ზიანიც. ე. კ-შვილის მოთხოვნას მხარი დაუჭირა მისმა მარწმუნებელმაც.

საკასაციო პალატის სხდომაზე ადვოკატმა ლ. კ-ძემ შეცვალა მოთხოვნა რ. მ-შვილის მიმართ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული ბრალდების ნაწილში საქმის შეწყვეტის შესახებ და მოითხოვა მხოლოდ მე-2 ნაწილით დანიშნული სასჯელის შემსუბუქება, რასაც დაეთანხმა თვით მსჯავრდებულმა.

ადვოკატმა ლ. კ-ძემ ასევე შეცვალა მოთხოვნა მსჯავრდებულ რ. მ-შვილის ქონების დაყადაღების გადაწყვეტილების შეცვლის შესახებ, ვინაიდან, საპროცესო კანონმდებლობით, მსგავსი შუამდგომლობის

სასამართლოში შეტანის უფლება აქვს მხოლოდ პროკურორს ან, პროკურორის თანხმობით, გამომძიებელს.

საქმეში მონაწილე პროკურორმა ლ. ყ-იანმა დაზარალებულის უფლებამონაცვლის - ლ. მ-შვილისა და მსჯავრდებულის ადვოკატის - ლ. კ-ის საკასაციო საჩივრებს მხარი არ დაუჭირა და მოითხოვა გასაჩივრებული განაჩენის უცვლელად დატოვება იმ მოტივით, რომ საქმის მასალებით არ დასტურდება გარდაცვლილ გ. მ-შვილის ძმის - ლ. მ-შვილის შემთხვევის ადგილზე ყოფნა იარაღიდან ტყვიის გასროლის მომენტში, ამასთან, მსჯავრდებულის ქმედებაში დადასტურებულია ხულიგნური ქვენა გრძნობით მკვლელობის ჩადენა და არ უნდა იქნეს გაზიარებული მისი მტკიცება იარაღიდან უნებურად გასროლის შესახებ.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ მოუსმინა მხარეებს, შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრების საფუძვლიანობა, ასევე მხარეთა მოტივები და მივიდა დასკვნამდე, რომ დაზარალებულის უფლება-მონაცვლის, ლ. მ-შვილის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო მსჯავრდებულ რ. მ-შვილის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ლ. კ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ« ქვეპუნქტით რ. მ-შვილის მსჯავრდების ნაწილში სააპელაციო სასამართლოს განაჩენი არის დაუსაბუთებელი, რითაც დარღვეულია საქართველოს სსკ-ის 496-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნა, რომლის მიხედვით, განაჩენის დასკვნები უნდა ემყარებოდეს სასამართლო სხდომაზე განხილულ უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობას და ეს მტკიცებულებები საკმარისი უნდა იყოს სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად.

გასაჩივრებული განაჩენით დადგენილადაა მიჩნეული, რომ 2006 წლის 3 ნოემბერს მსჯავრდებულმა რ. მ-შვილმა თავისი სურვილით ამოიღო იარაღი და მოახდინა გასროლა. სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად არ გაიზიარა მსჯავრდებულ რ. მ-შვილის ჩვენება იმის შესახებ, რომ იარაღი ამოიღო გარდაცვლილ გ. მ-შვილის თხოვნით და შემთხვევით გაუვარდა, ვინაიდან შემთხვევის ადგილზე მყოფმა მოწმემ ი. მ-შვილმა განმარტა, რომ „ფიერვერვის» მოწყობა არც მას და არც გარდაცვლილს არ უთხოვია. სააპელაციო პალატის დასკვნით, რ. მ-შვილი მოქმედებდა არაპირდაპირი განზრახვით, რადგანაც, როგორც საქმის ფაქტობრივი გარემოებებით არის დადგენილი, მას განზრახ მოკვლის მიზანი არ უნდა ჰქონოდა, მაგრამ თავისი მოქმედებით (იარაღიდან გასროლით) იმ ვითარებაში, როდესაც გ. მ-შვილი მის წინ იდგა, არ გამორიცხავდა ამ შედეგის დადგომის შესაძლებლობას, რასაც გულგრილად ეკიდებოდა.

საკასაციო პალატა თვლის, რომ საქმის მასალებით უტყუარად არ არის დადგენილი, სთხოვა თუ არა გ. მ-შვილმა მსჯავრდებულს იარაღიდან გასროლა. მართალია, ამ უკანასკნელისათვის მოწმე ი. მ-შვილს არ უთხოვია გასროლა, მაგრამ რ. მ-შვილი განმარტავს, რომ ეს სთხოვა არა ი. მ-მ, არამედ - გ. მ-შვილმა. მართალია, ი. მ-შვილმა განაცხადა - გასროლის თხოვნა არც გ.-საგან გამიგიაო, მაგრამ ეს შესაძლებელი იყო, ვინაიდან იგი მანქანაში იჯდა, ხოლო რ. და გ. იდგნენ მანქანის გარეთ.

იმ შემთხვევაშიც კი, თუ რ. მ-შვილმა გ. მ-შვილის თხოვნის გარეშე, თავისი სურვილით ამოიღო იარაღი გასროლის მიზნით, ეს არ იძლევა მისი ქმედების განზრახ მკვლელობით დაკვალიფიცირების საფუძველს. რ. მ-შვილი ამტკიცებს, რომ ტყვია გაუვარდა უეცრად, იარაღის საბრძოლო მდგომარეობაში მოსაყვანად, მისი ერთი ხელიდან მეორე ხელში გადატანის მომენტში. ამის გამაბათილებელი მტკიცებულება საქმეში არ მოიპოვება და არც სააპელაციო სასამართლოს განაჩენშია მითითებული რაიმე საწინააღმდეგო არგუმენტი. გარდა ამისა, არაა აღმოჩენილი ცეცხლსასროლი იარაღი, რომლითაც მოხდა გასროლა და, შესაბამისად, არ არსებობს ექსპერტის დასკვნა - შეიძლება თუ არა, ხსენებული იარაღიდან გასროლა მომხდარიყო უნებლიეთ, მსჯავრდებულის მიერ აღწერილ ვითარებაში. მით უმეტეს, რომ აღნიშნული იარაღის მნახველ მოწმეთა ჩვენებებით, იგი იყო ძველი და ვერ მიახლოვდებოდა რომელიმე მარკის იარაღს.

ამასთან, საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ მსჯავრდებულს არ ჩაუდენია ისეთი ქმედება, რაც შეიძლება შეფასდეს საზოგადოებრივი წესრიგის რაიმე დარღვევად და დამახასიათებელი იყოს ხულიგნური ქვენა გრძნობით ჩადენილი დანაშაულისათვის. შემთხვევის ადგილზე მყოფი მოწმე ი. მ-შვილის განმარტებით, იარაღიდან გასროლა მოხდა მოულოდნელად, მას წინ არ უძლოდა რაიმე კამათი ან უსიამოვნო საუბარი, ამის თაობაზე არც გარდაცვლილის ძმა - მოწმე ლ. მ-შვილი მიუთითებს თავის ჩვენებებში. ამდენად, რ. მ-შვილის ქცევა არ მოიცავს ხულიგნობის შემადგენლობის კანონით გათვალისწინებულ ცალკეულ არსებით ელემენტებს.

შედეგობაშია მისაღები ისიც, რომ, როგორც თვით მსჯავრდებულის, ისე საქმეზე დაკითხული მოწმეების ჩვენებებით, რ. და გ. მ-შვილები იყვნენ ბიძაშვილები, მათ შორის იყო კარგი ურთიერთობა და რაიმე კონფლიქტი ერთმანეთში არასდროს ჰქონიათ. მათ შორის მსგავს რაიმეს არც მომხდარი შემთხვევის დღეს ჰქონია ადგილი.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს დაზარალებულის უფლებამონაცვლის მტკიცებას იმის შესახებ, რომ გასროლის მომენტში შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდა გარდაცვლილის ძმა - ლ. მ-შვილი, რომლის თვალწინ მოხდა გ. მ-შვილის განზრახ მკვლელობა და ამიტომ სააპელაციო სასამართლომ რ.

მ-შვილს არასწორად მოუხსნა საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ» ქვეპუნქტით გათვალისწინებული ბრალდება (მკვლელობა განსაკუთრებული სისასტიკით).

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ გასროლის მომენტში შემთხვევის ადგილზე ლ. მ-შვილის არყოფნა დასტურდება არა მხოლოდ მოწმეების - ი. მ-შვილისა და ს. მ-შვილის (ეს უკანასკნელი, როგორც საქმის მასალებით ირვევა, ამ დროს იყო ეზოში და ქუჩაში გამოვიდა გასროლის ხმის გაგონების შემდეგ) ჩვენებებით, არამედ საქმის სხვა მასალებითაც, კერძოდ, დადგენილია, რომ შემთხვევა მოხდა 2006 წლის 3 ნოემბერს, ხოლო დაჭრილი გ. მ-შვილი გარდაიცვალა ერთი კვირის შემდეგ - 10 ნოემბერს. ლ. მ-შვილი პირველ ჩვენებაში, 3 ნოემბერს, როცა მისი ძმა ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, განმარტავს შემდეგს: „როცა ვაპირებდი ქუჩაში გამოსვლას, გავიგონე გასროლის ხმა, გამოვვარდი გარეთ და დავინახე, რომ ჩემი ძმა მიწაზე იყო დაჩოქილი... რეზოს აქვს პისტოლეტი, რომელიც გაუვარდა და მოხვდა ჩემს ძმას... მათ ერთმანეთში ჩხუბი არ მოსვლიათ».

გ. მ-შვილის გარდაცვალების შემდეგ, 2006 წლის 20 ნოემბერს, ლ. მ-შვილი იძლევა რადიკალურად საწინააღმდეგო ჩვენებას: „მე ვიდექი მანქანის უკანა, მარცხენა კარბთან და ჩემგან დაახლოებით 1,5 მეტრის მანძილზე იდგა რეზო, სახით ჩემსკენ და მე მელაპარაკებოდა, ამ დროს მოულოდნელად რ. მ-შვილმა ამოიღო პისტოლეტი, თუ რა მარკის, არ ვიცი, გაიგინა, დაუმიზნა ჩემს ძმას გ.-ს და ესროლა... 3 ნოემბერს, ღამით, მე აღელვებული ვიყავი და არასწორად აღვნიშნე, თითქოს, რეზოს გაუვარდა იარაღი... აღნიშნულ საღამოს გ.-ს და რეზოს ჩხუბი და კამათი არ მოსვლიათ, მოულოდნელად დაუმიზნა რეზომ გ.-ს პისტოლეტი და თავში ესროლა, გავარდნით არ გავარდნია».

ამის შემდეგ, 3 თებერვალს მიცემულ ჩვენებაში ლ. მ-შვილი თავის ჩვენებებს შორის წინააღმდეგობის ახსნას შემდეგნაირად ცდილობს: „აღნიშნული ჩვენებები ერთიმეორისაგან განსხვავდება, თუ რატომ, ამას მე ვხსნი ჩემს მეორე ჩვენებაში და ამჟამად აღვნიშნავ, რომ იმ დროს, როდესაც პირველი ჩვენება მივეცი, ვიყავი აღელვებული და დაბნეული, ამასთან, ისიც მეგონა და ვფიქრობდი, რომ ჩემი ძმა გადარჩებოდა».

პირველი ინსტანციის სასამართლოში ლ. მ-შვილი კვლავ ამტკიცებს, რომ იგი შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდა და აღწერს, თუ როგორ გადატენა იარაღი რ. მ-შვილმა, დადო მანქანის სახურავზე, გაიღმა, დაუმიზნა მის ძმას და ესროლა, რის შემდეგ მისი ძმა დაეცა. ლ. მ-შვილი აცხადებს, რომ ამის შემდეგ მან გ.-ს ფეხი მიართქა და უთხრა - ადექი, რას „მეკაიფებო».

ის, რომ ძირს დავარდნილ ძმას ლ. მ-შვილმა ფეხი მიართქა, ვინაიდან ეგონა, რომ იგი ხუმრობდა, ადასტურებენ არა მხოლოდ თვით ლ. მ-შვილი, არამედ ი., ს. და რ. მ-შვილებიც, რომლებიც განმარტავენ, რომ გასროლის მომენტში ლ. მ-შვილი იყო ეზოში, მხოლოდ გასროლის ხმის გაგონებაზე გამოვიდა გარეთ, ქუჩაში, გაუკვირდა ძირს დავარდნილი ძმის დანახვა და ფეხი მიართქა.

საკასაციო პალატა თვლის, რომ ი., ს. და რ. მ-შვილების ეს ჩვენებები სწორია, ვინაიდან ლ. მ-შვილი რომ გასროლის მომენტში შემთხვევის ადგილზე ყოფილიყო და მართლაც დაენახა ის, რასაც თვითონ დაწვრილებით აღწერს, მას არ გაუკვირებოდა თავისი ძმის ძირს დავარდნა. აქედან გამომდინარე, სწორია სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, რომ არ არსებობს მტკიცებულებები ლ. მ-შვილის შემთხვევის ადგილზე ყოფნის შესახებ. შესაბამისად, რ. მ-შვილს მართებულად მოეხსნა საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ» ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდება.

ამრიგად, საკასაციო პალატა თვლის, რომ მსჯავრდებულ რ. მ-შვილის ბრალდება საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ» ქვეპუნქტიდან უნდა გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 116-ე მუხლის პირველ ნაწილზე და იგი ცნობილ უნდა იქნეს დამნაშავედ გ. მ-შვილის სიცოცხლის მოსპობაში გაუფრთხილებლობით.

ამ დანაშაულის ფაქტობრივი გარემოებები სარწმუნოდ დგინდება როგორც მსჯავრდებულ რ. მ-შვილის ჩვენებებით, ისე მოწმეთა ჩვენებებით, რომელთაც პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოებმა არ მისცეს ჯეროვანი სამართლებრივი შეფასება. ამავე დროს საქმეში არ მოიპოვება უტყუარი მტკიცებულებები მსჯავრდებულ რ. მ-შვილის მიერ გ. მ-შვილის ხულიგნური ქვენაგრძნობით განზრახ მკვლელობის ჩადენის თაობაზე ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი ვერსიის დასადასტურებლად.

ამრიგად, მსჯავრდებულ რ. მ-შვილის ბრალდების საქმის განხილვისა და მის მიმართ განაჩენის დადგენისას სააპელაციო სასამართლოს მიერ არ იქნა დაცული საქართველოს სსსკ-ის მე-18 მუხლითა და მე-19 მუხლის მე-2-მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული მოთხოვნები, ამასთან, დაშვებულ იქნა ამავე კოდექსის 562-ე მუხლის „ბ» პუნქტითა და 564-ე მუხლით გათვალისწინებული დარღვევა - სისხლის სამართლის კანონის არასწორი გამოყენება, კერძოდ, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა. ყოველივე ამან არსებითი გავლენა იქონია საქმის შედეგზე - განაჩენის კანონიერებაზე, დასაბუთებულობასა და სამართლიანობაზე. ყოველივე აღნიშნული წარმოადგენს გასაჩივრებული განაჩენის შეცვლის საფუძველს.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ არასწორია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ნივთმტკიცებათა საქართველოს შსს სპეციალური ოპერატიული ცენტრისათვის გადაცემის ნაწილშიც. როგორც საქმის მასალებიდან ჩანს, რ. მ-შვილის სახლში აღმოჩენილი იარაღები არ იყო მართლსაწინააღმდეგოდ შეძენილი და შენახული და ამისათვის ბრალიც არავის წაყენებია, კერძოდ, „ვალტროს» სისტემის გაზის პისტოლეტი #10008 მჭიდითა და ვაზნებით (სააპელაციო სასამართლოს

განაჩენში იარაღის ნომრად არასწორადაა მითითებული შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გაცემული ნებართვის #5455) და სანადირო შაშხანა „ტოზ-34» #XN 28414 ვაზნებით (ნებართვის #826), ეკუთვნის ო. მ-შვილს. „არმინიუსის» სისტემის შავი ფერის პისტოლეტი #1532015 Hჰ-38 ეკუთვნის რ. მ-შვილს (ნებართვის #16610). სანადირო შაშხანა „საიგა» #1055848 ამოღებულ იქნა რ. მ-შვილის ბინის ჩხრევისას 2006 წლის 3 ნოემბერს. საქმეში არსებული მასალებით არ ირკვევა მისი მფლობელის ვინაობა. ვინაიდან ამ იარაღის კანონიერება ბრალდებას სადავოდ არ გაუხდია, იგი, ისე, როგორც ზემოხსენებული სამი იარაღი, უნდა დაუბრუნდეს თავის კანონიერ მფლობელს.

საკასაციო პალატა ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას იმის შესახებ, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (კერძოდ, 30-ე მუხლის მე-5 ნაწილი) დაზარალებულის უფლებამონაცვლისათვის მორალური ზიანის ფულად კომპენსაციას არ ითვალისწინებს. ამავე დროს სააპელაციო სასამართლომ ისე დააკისრა მსჯავრდებულს დაზარალებულის უფლებამონაცვლის სასარგებლოდ მატერიალური ზარალის - 7168 ლარის ანაზღაურება, რომ არ იმსჯელა და არანაირად არ დაასაბუთა თანხის ეს რაოდენობა. ეს გადაწყვეტილება არ ემყარება საქმეში არსებულ მტკიცებულებებს და შეუძლებელია მისი კანონიერების შემოწმება. ამიტომ, საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, სამოქალაქო სარჩელის ნაწილში განაჩენი უნდა გაუქმდეს და ამ ნაწილში ხელახლა განსახილველად გადაეცეს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

საკასაციო პალატა არ ეთანხმება ადვოკატ ლ. კ-ძის მოთხოვნას მსჯავრდებულისათვის საქართველოს სსსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით დანიშნული სასჯელების შემცირების შესახებ, ვინაიდან ისინი დანიშნულია საქართველოს სსსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით.

საქართველოს სსსკ-ის 116-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე სასჯელის დანიშვნისას საკასაციო პალატა ითვალისწინებს რ. მ-შვილის პიროვნებას, მისი ქმედების სიმძიმეს, მოვალეობათა დარღვევის ხასიათსა და ზომას, მის წარსულ ცხოვრებას, კერძოდ, იგი ხასიათდება დადებითად და პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებები არ გააჩნია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ» ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-4 ნაწილითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა :

დაზარალებულის უფლებამონაცვლის, ლ. მ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

მსჯავრდებულ რ. მ-შვილის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ლ. კ-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 29 იანვრის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ:

რ. მ-შვილს მოეხსნას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ» ქვეპუნქტით გათვალისწინებული ბრალდება და მისი ქმედება დაკვალიფიცირდეს ამავე კოდექსის 116-ე მუხლის პირველი ნაწილით. ამ ნაწილით მას სასჯელის ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით, რასაც, საქართველოს სსსკ-ის 59-ე მუხლის შესაბამისად, დაემატოს საქართველოს სსსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების საფუძველზე სააპელაციო სასამართლოს განაჩენით დანიშნული სასჯელები და საბოლოოდ მსჯავრდებულ რ. მ-შვილს სასჯელის ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენი სამოქალაქო სარჩელის ნაწილში გაუქმდეს და საქმე ამ ნაწილში გადაეცეს გორის რაიონულ სასამართლოს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველად.

საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი სისხლისმაგვარი ლაქები და ერთი ცალი ოქროსფერი გასროლილი მასრა განადგურდეს. გ. მ-შვილის კუთვნილი „ადიდასის» ფირმის სპორტული მაისური დაუბრუნდეს დაზარალებულის უფლებამონაცვლე ლ. მ-შვილს. „ვალტროს» სისტემის გაზის პისტოლეტი #10008 მჭიდითა და ვაზნებით, სანადირო შაშხანა „ტოზ-34» EP #XN28414 ვაზნებით, „არმინიუსის» სისტემის შავი ფერის პისტოლეტი #1532015 Hჰ-38 და სანადირო შაშხანა „საიგა» #1055848, რომლებიც ინახება შიდა ქართლის სამხარეო შინაგან საქმეთა მთავარ სამმართველოში, დაუბრუნდეთ მათ კანონიერ მფლობელებს.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით

განჩინება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),**
- მ. ოშხარელი,**
- პ. სილაგაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ პ. ჭ-შვილის დამცველის, ადვოკატ შ. ბ-ძის საკასაციო საჩივარი და კერძო საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 6 მარტის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

პ. ჭ-შვილი ამჟამად პატიმრობაში მყოფი, ახალციხის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 1 ნოემბრის განაჩენით ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლისა და 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტის საფუძველზე, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა: საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლის საფუძველზე - თავისუფლების აღკვეთა 11 წლის ვადით, საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტის საფუძველზე - თავისუფლების აღკვეთა 7 წლისა და 9 თვის ვადით. იმავე განაჩენით მას ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება 3 წლის ვადით, ხოლო დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა - 7000 ლარის ოდენობით.

განაჩენით პ. ჭ-შვილს მსჯავრი დაედო განზრახ მკვლელობისათვის, აგრეთვე, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისათვის, ჩადენილი იარაღის გამოყენებით, რაც გამოიხატა შემდეგში:

პ. ჭ-შვილი 2006 წლის 24 დეკემბრიდან გამოსაცდელი ვადით დანიშნული იყო და მუშაობდა შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლის მთავარი სამმართველოს მეორე სამმართველოს (სამცხე-ჯავახეთი) პატრულ-ინსპექტორად, ირიცხებოდა შინაგან საქმეთა ორგანოებში «პოლიციის უმცროსი ლეიტენანტის» საშუალო სპეციალური წოდებით და «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის მეექვსე მუხლის მიხედვით, წარმოადგენდა სახელმწიფო მოხელეს. ამასთან, იგი «პოლიციის შესახებ» საქართველოს კანონისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 15 დეკემბრის #1310 ბრძანებით დამტკიცებული «საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის სამსახურის მიერ პატრულირების განხორციელების წესების შესახებ» ინსტრუქციისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შესაბამისი ნორმების მიხედვით, აღჭურვილი იყო გარკვეული სამსახურებრივი უფლება-მოვალეობით, რომელსაც გააჩნდა მათი განმახორციელებელი პირის მდგომარეობა.

2007 წლის 2 აპრილს, დაახლოებით 15.00 საათზე, პ. ჭ-შვილი თავის მეწყვილე - პატრულ-ინსპექტორ გ. ჯ-ძესთან ერთად იმყოფებოდა განწესში #305-ე მოძრავ ეკიპაჟზე «ხაშური-ახალციხე-ვალე-თურქეთის საზღვრის» გზის 28-ე კილომეტრიდან 53-ე კილომეტრზე სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად, რა დროსაც სამსახურებრივ ავტომანქანა «შკოდაში», ჰქონდათ, აგრეთვე, მათზე სამსახურებრივად მიმავრებული «AKB-74U» მოდელის, 5,45 მმ კალიბრის საბრძოლო დანიშნულების ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი 3 მჭიდითა და 90 საბრძოლო ვაზნით.

ქ. ბორჯომში ყოფნისას, დაახლოებით 15.00 საათზე, პ. ჭ-შვილმა შენიშნა ქ. ახალციხის მიმართულებით სწრაფად მოძრავი «YAMAHA-ს» ფირმის, ლურჯი, უნომრო მოტოციკლი, რომელსაც მართავდა თავზე ჩაფხუტდახურული მ. კ-იანი. მისი ვინაობა პ. ჭ-შვილისათვის იმ დროს არ იყო ცნობილი, იგი აღნიშნული მოტოციკლით ქ. თბილისიდან ბრუნდებოდა თავის საცხოვრებელ ბინაში, ქ. ახალციხეში.

პ. ჭ-შვილმა თავის მეწყვილესთან შეთანხმების შემდეგ გადაწყვიტა, გაჰყოლოდნენ ამ მოტოციკლს და შეეჩერებინათ გადამოწმების მიზნით.

მართლაც, პ. ჭ-შვილი თავის მეწყვილე - გ. ჯ-ძესთან ერთად სამსახურებრივი სპეცავტომანქანა «შკოდათი» გამოედევნა მოტოციკლს, რომელსაც მართავდა მ. კ-იანი, ხოლო ავტომანქანას მართავდა გ. ჯ-ძე, პ. ჭ-შვილი კი იჯდა მის გვერდით და ხმოვანი სიგნალის გამოყენებითა და ხმამაღლა მოლაპარაკე ტექნიკური საშუალებით, ე.წ. «მეგაფონით» სიტყვიერად აფრთხილებდა მძღოლს, შეეჩერებინა მოტოციკლი. მიუხედავად აღნიშნულისა, მ. კ-იანი არ დაემორჩილა მის მოთხოვნას და განაგრძობდა ახალციხის მიმართულებით მოძრაობას.

გარკვეულ მანძილზე დევნის შემდეგ, 15 საათსა და 8 წუთზე, პ. ჭ-შვილმა ეკიპაჟის სახელით სამცხე-ჯავახეთის სამმართველოს სამორიგო ნაწილში გადასცა ინფორმაცია, რომ ეკიპაჟი მისდევდა სწრაფად მოძრავ მოტოციკლს. იმავედროულად პ. ჭ-შვილი პირადად მობილური ტელეფონით დაუკავშირდა საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის მთავარი სამმართველოს სამცხე-ჯავახეთის სამმართველოს უფროსს გ. ს-იანს, რომელსაც შეატყობინა, რომ ეკიპაჟი მისდევდა უნომრო მოტოციკლს, რომლის მძღოლიც არ ემორჩილებოდა მათ მითითებას და მოტოციკლის შეჩერების მიზნით სთხოვა ნებართვა ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებაზე, რაზედაც სამმართველოს უფროსის - გ. ს-იანისაგან, რომელმაც თავის მხრივ საუბარში აღელვება შეატყო პ. ჭ-

შვილს, იარაღის გამოყენებაზე კატეგორიული უარი მიიღო. გ. ს-იანმა პ. ჭ-შვილს მითითება მისცა, რომ ეკიპაჟის წევრები მხოლოდ დადევნებოდნენ მოტოციკლს.

პ. ჭ-შვილი ავტომანქანით, რომელსაც მისი მეწყვილე მართავდა დიდი სიჩქარით განაგრძობდა დევნას და კვლავ მოუწოდებდა მძღოლს, გაეჩერებინა მოტოციკლი, მაგრამ მ. კ-იანი არ ემორჩილებოდა მის მოთხოვნას და მოტოციკლის მოძრაობის სიჩქარეს არეგულირებდა იმდაგვარად, რომ მოტოციკლი არ გასცდენოდა მდევარი საპატრულო ავტომანქანის თვალთახედვის არეს - სატრანსპორტო საშუალებებს შორის მანძილის შემცირების დროს, ე.ი. წამოეწოდა თუ არა ავტომანქანა, იგი კვლავ უმატებდა მოტოციკლის მოძრაობის სიჩქარეს, ხოლო როცა ავტომანქანა შესამჩნევად ჩამორჩებოდა, ისევ ანელებდა მოტოციკლის სიჩქარეს.

მ. კ-იანმა მოძრაობისას ხელის აწევით რამდენჯერმე მიანიშნა მდევრებს ე.წ. «სამი თითის» კომბინაცია, რაზედაც პ. ჭ-შვილი გაღიზიანდა და ხმოვანი სიგნალის გამოყენებასთან ერთად დაიწყო გამაფრთხილებელი გასროლები ეკიპაჟზე სამსახურებრივად მიმაგრებული «AKB-74» მოდელის, 5,45 მმ კალიბრის საბრძოლო დანიშნულების ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან, რომელიც მანამდე იდო იმავე ავტომანქანის უკანა სალონში. ავტომატი პ. ჭ-შვილმა თვითონვე აიღო და მოიყვანა საბრძოლო მდგომარეობაში.

ასეთ ვითარებაში პ. ჭ-შვილი მ. კ-იანს სამსახურებრივი ავტომანქანით თავის მეწყვილესთან ერთად მისდევდა ახალციხის რაიონის სოფელ აწყურამდე. აღნიშნულ მონაკვეთზე მოძრაობისას პ. ჭ-შვილს მობილური ტელეფონით დაუკავშირდა ოცმეთაური ვ. ჩ-შვილი, რომელმაც შეატყობინა, რომ ქ. ახალციხიდან გამოძახებული იყო დამხმარე ეკიპაჟი, რომელიც მათი შემხვედრი მიმართულებით უკვე მოძრაობდა. მანაც თავის მხრივ კვლავ გააფრთხილა პ. ჭ-შვილი, რომ არავითარ შემთხვევაში არ გამოეყენებინა იარაღი. მიუხედავად ამ გაფრთხილებებისა, სოფელ აწყურამდე მოტოციკლის დევნისას პ. ჭ-შვილმა დაუსახლებელ პუნქტში კვლავ მოახდინა მ. კ-იანის მიმართ გამაფრთხილებელი გასროლები.

სოფელ აწყურის გავლის შემდეგ, როდესაც მ. კ-იანი უკვე მოძრაობდა დაუსახლებელ პუნქტში, გზის მოსახვევში და თავისი ქმედებით არ ქმნიდა რაიმე რეალურ საფრთხეს სხვისი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის, პ. ჭ-შვილმა, რომელსაც გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის - მოტოციკლის მძღოლის დაზიანებისა და გარდაცვალების შესაძლებლობას, თუმცა, არ სურდა ეს შედეგი, მაგრამ შეგნებულად უშვებდა მისი მკვლელობის შედეგად დადგომას, თავისი, როგორც პოლიციელისა და მოხელის, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების გზით, სამსახურებრივად მიმაგრებული «AKB-74» მოდელის, 5,45 მმ კალიბრის #83341011 საბრძოლო დანიშნულების ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან არაახლო მანძილიდან ისროლა მოტოციკლის მიმართულებით, რომელსაც მ. კ-იანი მართავდა. მოტოციკლის საბურავის დასაზიანებლად და ამ ხერხით მოტოციკლის შესაჩერებლად, რის შედეგადაც პ. ჭ-შვილის ხელთ არსებული ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლილი ტყვია მ. კ-იანს ზურგის მხრიდან მოხვდა გულმკერდის არეში. მან ცეცხლსასროლი იარაღის მოქმედებით მიიღო სხეულის მძიმე ხარისხის დაზიანება, ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობის შედეგად განუვითარდა ტრავმული და ჰემორაგიული შოკი და აღნიშნული მიზეზით გარდაიცვალა.

აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ პ. ჭ-შვილის დამცველმა, ადვოკატმა შ. ბ-მემ, რომელიც თავისი საჩივრით ითხოვდა გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებასა და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენას შემდეგი მოტივებით:

მსჯავრდებული პ. ჭ-შვილი საპატრულო სამსახურის მანქანით ახდენდა აწ გარდაცვლილ მ. კ-იანის დევნას, რა დროსაც იგი მოტოციკლს მართავდა კანონით დადგენილი წესების უხეში დარღვევით, რითაც აშკარა საფრთხეს უქმნიდა ფეხით მოსიარულეებს; ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებისას პ. ჭ-შვილს დაცული ჰქონდა წინდახედულობის ყველა ნორმა, ხოლო იარაღიდან გასროლა მოხდა მის უნებლიეთ, რადგან ავტომანქანა, რომელშიც ის იჯდა, მოსახვევში მოულოდნელად დაამუხრუჭა მძღოლმა, რის გამოც მას ხელი ჩამოუვარდა და ამან განაპირობა უნებლიე გასროლა; არ დაკმაყოფილდა დაცვის მხარის შუამდგომლობები სასამართლო ექსპერტიზების ჩატარებისა და დაცვის მოწმეების დაკითხვის თაობაზე; საქმეზე წინასწარი გამოძიება და სასამართლო განხილვა იყო ტენდენციური და არაობიექტური, რამაც გამოიწვია უკანონო განაჩენის გამოტანა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ 2008 წლის 6 მარტის განაჩენით არ დააკმაყოფილა აპელანტის საჩივარი, ხოლო ახალციხის რაიონული სასამართლოს განაჩენში შეიტანა შემდეგი ცვლილება: საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლისა და 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტის საფუძველზე მსჯავრდებულ პ. ჭ-შვილს განუსაზღვრა ერთი სასჯელი - თავისუფლების აღკვეთა 11 წლის ვადით, რომლის მოხდის ათვლა დაეწყო 2007 წლის 2 აპრილიდან - მისი დაკავების დღიდან.

სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ პ. ჭ-შვილის დამცველმა, ადვოკატმა შ. ბ-მემ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორი იმავე მოტივების საფუძველზე, რაზეც მითითებული იყო სააპელაციო საჩივარში, ითხოვს მსჯავრდებულის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას იმ საფუძველით, რომ მას არ ჩაუდენია განაჩენით მისთვის შერაცხული ქმედება. ამავე დროს, ადვოკატმა შ. ბ-მემ საკასაციო პალატას მიმართა კერძო საკასაციო საჩივრით, რომლითაც

ითხოვს საქმის განხილვისას სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილი იმ განჩინებების გაუქმებას, რომლებითაც დაცვის მხარეს უარი ეთქვა შუამდგომლობების დაკმაყოფილებაზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ პ. ჭ-შვილის მიმართ, ასევე შეამოწმა საკასაციო და კერძო საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობა, რის შედეგადაც მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილებები შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატის აზრით, დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი პოზიცია მსჯავრდებულ პ. ჭ-შვილის უდანაშაულობის თაობაზე არ არის საფუძვლიანი, რადგან საქმეში არსებული მტკიცებულებები უტყუარად ადასტურებენ მის ბრალეულობას როგორც სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების თვალსაზრისით, ასევე, მის მიერ დაზარალებულ მ. კ-იანის სიცოცხლის მართლსაწინააღმდეგოდ მოსპობაში. აღნიშნული დასტურდება მოწმეების: გ. ჯ-ძის, გ. ს-იანის, ვ. ჩ-შვილის, ა. მ-ძის ჩვენებებით, აგრეთვე ნაწილობრივ თვით პ. ჭ-შვილის ჩვენებებითაც, ხოლო ამ ჩვენებების საპირისპიროდ საქმეში არ მოიპოვება სხვა სარწმუნო მტკიცებულებები, რომლებითაც გაბათილდებოდა პ. ჭ-შვილის ბრალი. კასატორი თავისი პოზიციის განმარტებისას საკასაციო საჩივარში მიუთითებს ისეთ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომლებიც გავლენას ვერ მოახდენენ პ. ჭ-შვილის ბრალეულობაზე, რადგან მათ კავშირი არ აქვთ უშუალოდ მომხდარ შემთხვევისას შექმნილ იმ ვითარებასთან, რომელშიც მოქმედებდა პ. ჭ-შვილი, ხოლო აღნიშნული ვითარების ანალიზი და ამ სიტუაციაში პ. ჭ-შვილის მიერ განხორციელებული მოქმედების ხასიათი, რასაც მ. კ-იანის სიცოცხლის მოსპობა მოჰყვა, აშკარად მიუთითებს მის მიერ «პოლიციის შესახებ» საქართველოს კანონით დადგენილ მოთხოვნათა დარღვევაზე - სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების სახით. ამ ნაწილში სააპელაციო სასამართლოს განაჩენში მოცემული დისკვენები სავსებით დასაბუთებული და საფუძვლიანია, რის გამოც კასატორის მოთხოვნა გასაჩივრებული განაჩენის გაუქმების თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს ასევე კასატორის იმ მოსაზრებას, რომლითაც იგი ეჭვქვეშ აყენებს იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომ აწ გარდაცვლილ მ. კ-იანს ნამდვილად პ. ჭ-შვილის ავტომატიდან გასროლილი ტყვია მოხვდა, რადგან სარწმუნოდ არის დადგენილი, რომ დევნის პროცესში საპატრულო პოლიციის მანქანიდან ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან დევნილი მ. კ-იანის მიმართულებით მხოლოდ პ. ჭ-შვილი ისროდა და არავითარი მონაცემები არ არსებობს, რომლებიც მიუთითებდნენ იმაზე, რომ პ. ჭ-შვილის გარდა სხვა პირიც ისროდა მომხდარი შემთხვევის დროს - მ. კ-იანის დაჭრის მომენტში. გარდა ამისა, ვერ იქნება აგრეთვე გაზიარებული დაცვის მხარის მიერ საკასაციო საჩივარში გამოთქმული მოსაზრებები, რომელთა მიხედვით, საქმის წინასწარი გამოძიების დროს არასრულყოფილად ჩატარდა შემთხვევის ადგილის დათვალიერება და შემთხვევის ადგილის სქემაზე არ აისახა ყველა დეტალი, რამაც გავლენა მოახდინა საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენაზე. საკასაციო პალატის აზრით, დაცვის მხარის ამ შენიშვნების საფუძვლიანობას არ ადასტურებს საქმის სხვა მასალები, ვინაიდან სადავო არ არის, რომ პ. ჭ-შვილი ავტომატიდან ისროდა ძალზე რთულ პირობებში, კერძოდ, საპატრულო პოლიციის ავტომანქანა, შექმნილი ვითარების გამო, მოძრაობდა დიდი სიჩქარით და არათანაბრად, ამასთან, გზაზე იყო მოსახვევები, რაც უეჭველად უნდა გაეთვალისწინებინა პ. ჭ-შვილს, დაეცვა წინდახედულობის ნორმა და თავი შეეკავებინა ავტომატის გასროლისგან, რათა ამას არ მოჰყოლოდა სავსებით შესაძლებელი მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომა - მ. კ-იანის ჯანმრთელობის დაზიანება ან სიცოცხლის მოსპობა, რაც მოხდა კიდეც.

კასატორის შენიშვნა, რომ შესაძლებელია, მ. კ-იანს მოხვდა გზის ასფალტის საფარიდან ასხლეტილი ტყვია, რაც არ გამოიკვლია და არ შეამოწმა სასამართლომ, ვერ ჩაითვლება ისეთ გარემოებად, რამაც შეიძლება, ეჭვქვეშ დააყენოს პ. ჭ-შვილის ბრალეულობა, რადგან მითითებულ შემთხვევაშიც იარსებებდა საფრთხის გათვალისწინების შესაძლებლობაც და ვალდებულებაც. აღსანიშნავია, რომ თვით პ. ჭ-შვილიც ადასტურებს თავის ჩვენებაში, რომ გასროლა მოხდა რთულ ვითარებაში, კერძოდ, იგი სხეულით გადაწეული იყო ფანჯარაში და ავტომატი ეჭირა ჰაერში. ამ დროს ავტომანქანა, რომელშიც ის იჯდა, ძალიან სწრაფად შევიდა მოსახვევში და მოცურდა, რის გამოც თვითონაც ინერციით გადაიწია, ამ მომენტში მოხდა უნებლიე გასროლა. შემდეგ თავის ჩვენებაში პ. ჭ-შვილი ასევე აღნიშნავს, რომ მ. კ-იანის დევნის პროცესში ავტომატი გაყოფილი ჰქონდა ფანჯრიდან და ვერტიკალურად ეჭირა, ხოლო გამაფრთხილებელ გასროლებს აკეთებდა «ფანჯრიდან გადასული ტანით». ბოლოს პ. ჭ-შვილი თავის ქმედებას აფასებს გაუფრთხილებლობად.

ამრიგად, როგორც თვით პ. ჭ-შვილის ჩვენება, ასევე მისი თანამეწყვილის, შემთხვევის ადგილზე მყოფი მოწმის - გ. ჯ-ძის ჩვენებების შინაარსი იმას ადასტურებს, რომ პ. ჭ-შვილის მიერ ჩადენილია არა განზრახ მკვლელობა, არამედ - მ. კ-იანის სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით, ხოლო საქმეში არ მოიპოვება სხვა მტკიცებულება, რომლითაც სარწმუნოდ დადასტურდებოდა, რომ პ. ჭ-შვილს სურდა მ. კ-იანის მოკვლა, ანდა იგი შეგნებულად უშვებდა მის სიკვდილს ან გულგრილად ეკიდებოდა ასეთ შედეგს. ამ მხრივ საყურადღებოა სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეში არსებული მტკიცებულებების ერთობლივი ანალიზის შედეგად ფაქტობრივი გარემოებების თაობაზე გაკეთებული დასკვნა, რომლის მიხედვით, პ. ჭ-შვილის მიზანი იყო არა მ. კ-იანის მოკვლა, არამედ -

მოტოციკლის შეჩერება, თუმცა, მას უნდა გაეთვალისწინებინა, რომ მანქანაც და მოტოციკლიც დიდი სისწრაფით მოძრაობდნენ, რაც არ გამორიცხავდა იმ შედეგის დადგომას, რაც რეალურად დადგა.

სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული დასკვნა, რასაც ეთანხმება საკასაციო პალატა, წარმოადგენს პ. ჭ-შვილის ქმედებაში გაუფრთხილებლობის ნიშნების არსებობის დადასტურებას - დაუდევრობის ფორმით, ვინაიდან პ. ჭ-შვილმა არ გაითვალისწინა მის მიერ სროლების განხორციელების შემთხვევაში მ. კ-იანისათვის ტყვიის მოხვედრის რეალური შესაძლებლობა, რისი გათვალისწინების მოვალეობა მას ეკისრებოდა სამართლებრივად და შეეძლო კიდევ, გაეთვალისწინებინა მისი საქმიანობის ხასიათიდან და გამოცდილებიდან, ასევე ცეცხლსასროლი იარაღის თუნდაც გამაფრთხილებელი გასროლებისათვის გამო-საყენებლად არსებული, უადრესად არახელსაყრელი პირობებიდან გამომდინარე. ამიტომ საკასაციო პალატა ვერ დაეთანხმება აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე სააპელაციო სასამართლოს მიერ გაკეთებულ სამართლებრივ შეფასებასა და კვალიფიკაციას იმის თაობაზე, რომ მსჯავრდებულმა პ. ჭ-შვილმა ჩაიდინა მკვლელობა ევენტუალური განზრახვით, რის გამოც მიაჩნია, რომ მსჯავრდების ამ ნაწილში სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, და არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ მსჯავრდებულ პ. ჭ-შვილის ქმედება საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლიდან უნდა გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 116-ე მუხლის პირველ ნაწილზე და, შესაბამისად, სასჯელიც ამ ნორმის სანქციის საფუძველზე განესაზღვროს, ხოლო მის მიმართ სასჯელის ზომის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული შემდეგი გარემოებები: პ. ჭ-შვილი პირველად არის სამართალში; მისი წარსული არ არის შებღალული; იგი ნებაყოფლობით გამოცხადდა საგამომიებო ორგანოში; მან რეალურად აღიარა თავის მიერ ჩადენილი ქმედების ფაქტობრივი გარემოებები და ინანიებს მისი ქმედებით გამოწვეულ შედეგს; ამასთან, მან დანაშაული ჩაიდინა შემთხვევითი გარემოებების გამო, ხოლო პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება არ არსებობს. ამავე დროს, საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ბრალდების ნაწილში სააპელაციო სასამართლომ პ. ჭ-შვილის ქმედება სწორად დააკვალიფიცირა საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით, თუმცა, საკასაციო პალატა არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას ორივე დანაშაულისათვის ერთი სასჯელის დანიშვნის თაობაზე, რადგან მოცემულ შემთხვევაში ადგილი არა აქვს პირის ორჯერ დასჯას ერთი დანაშაულისათვის, სახეზეა ორი დანაშაული, ხოლო მათი ცალ-ცალკე დასჯა შეესაბამება სისხლის სამართლის პრინციპებს. ამიტომ პ. ჭ-შვილის მიმართ სასჯელი უნდა დაინიშნოს მის მიერ ჩადენილი თითოეული დანაშაულისათვის, ხოლო შემდეგ მოხდეს მათი შეკრება კანონით დადგენილი წესის შესაბამისად.

ამასთან, საკასაციო პალატას მიაჩნია: ის გარემოება, რომ მიმე შედეგის - მ. კ-იანის სიკვდილის - მიმართ პ. ჭ-შვილის სუბიექტური დამოკიდებულება იყო არა განზრახი, არამედ გამოიხატებოდა გაუფრთხილებლობით, უნდა აისახოს მის მიმართ განსაზღვრული საბოლოო სასჯელის ზომაზე.

რაც შეეხება ადვოკატ შ. ბ-მის მიერ შეტანილ კერძო საკასაციო საჩივარს, სადაც ის ითხოვს სააპელაციო სასამართლოს იმ საოქმო დადგენილების გაუქმებას, რომლითაც დაცვის მხარეს უარი ეთქვა მისი შუამდგომლობების დაკმაყოფილებაზე, უნდა აღინიშნოს, რომ სააპელაციო სასამართლოს ხსენებული დადგენილება არის დასაბუთებული, გამოტანილია საპროცესო ნორმების დაცვით და არ არსებობს საფუძველი მისი გაუქმებისათვის, რის გამოც აღნიშნული კერძო საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 6 მარტის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილებები მსჯავრდებულ პ. ჭ-შვილის სასიკეთოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ პ. ჭ-შვილის დამცველის, ადვოკატ შ. ბ-მის საკასაციო და კერძო საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 6 მარტის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება: მსჯავრდებულ პ. ჭ-შვილის ქმედება საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლიდან გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 116-ე მუხლის პირველ ნაწილზე და ამ დანაშაულისათვის მას სასჯელის ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით. მსჯავრდებულ პ. ჭ-შვილს საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტის საფუძველზე სასჯელის ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, აღნიშნული სასჯელები შეიკრიბოს და მსჯავრდებულ პ. ჭ-შვილს საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 10 წლის ვადით.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ

ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება

განჩინება

#1321-აბ

25 იანვარი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- ზ. მეიშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ზ. კ-ავასა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ თ. ტ-ძის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 21 ივნისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 25 ოქტომბრის განაჩენით ზ. კ-ავა ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი სსკ-ის 117-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“, „თ“ ქვეპუნქტებითა და 353-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რაც გამოიხატა შემდეგში:

2005 წლის 19 აგვისტოს, დაახლოებით 20.³⁵ საათზე, ქ. თბილისში, თრიალეთის ქუჩის საავტომობილო გზაზე, ზ. კ-ავას საგზაო წესების დარღვევით გაჩერებული ჰყავდა თავისი კუთვნილი ავტომანქანა „BM3“, მანქანაში მჯდარი ზ. კ-ავა და მასთან ერთად მყოფი პირები ხმამაღლა მიმართავდნენ მამული ს-იას. შემთხვევის ადგილზე მყოფმა ქ. თბილისის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს ვაკე-საბურთალოს მიმართულების მე-2 ოცეულის პატრულ-ინსპექტორმა დ. კ-ძემ ზ. კ-ავასა და მანქანაში მასთან ერთად მყოფ, დაუდგენელ პირებს მოუწოდა საზოგადოებრივი წესრიგისაკენ. ისინი არ დაემორჩილნენ პოლიციელს, მას მიაყენეს სიტყვიერი შეურაცხყოფა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის ხელის შეშლის მიზნით და ძალადობით გაუწიეს წინააღმდეგობა, რაც გამოიხატა იმაში, რომ ზ. კ-ავამ შეგნებულად დაძრა ავტომანქანა იმ დროს, როდესაც პატრულ-ინსპექტორ დ. კ-ძეს მარცხენა ხელი ჩაჭიდებული ჰქონდა ავტომანქანის წინა, გადებულ კარზე, ხოლო მარჯვენა - უკანა კარის ჩარჩოზე და ამ მდგომარეობაში ათრია დაახლოებით 56 მეტრის მანძილზე. მიუხედავად დ. კ-ძის მოთხოვნისა, გაეჩერებინა ავტომანქანა, ზ. კ-ავა არ დაემორჩილა და პირიქით, მოუმატა სიჩქარეს, რა დროსაც მან და მასთან ერთად მყოფმა პირმა ძალით გააშვებინეს დ. კ-ძეს ხელები და ჩააგდეს მანქანიდან, რის შემდეგაც შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. ზ. კ-ავასა და მასთან ერთად მყოფი, დაუდგენელი პირის ასეთმა ქმედებამ გამოიწვია დაზარალებულ დ. კ-ძის თავის ტვინის დაჟეჟილობა, კეფის ძვლის მოტეხილობა, სუბარაქნოიდალური სისხლჩაქცევა, სისხლნაჟღენთი კეფის არეში და ექსკორაციები სხეულზე, რაც მიეკუთვნება სიცოცხლისათვის სახიფათო დაზიანებათა მძიმე ხარისხს.

2005 წლის 19 სექტემბერს ქ. თბილისის შს სამმართველოს თანამშრომლებმა გატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად ზ. კ-ავა დააკავეს.

აღნიშნული ქმედებისათვის ზ. კ-ავას საქართველოს 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი სსკ-ის 117-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ და „თ“ ქვეპუნქტებით განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო 353-ე მუხლის მე-2 ნაწილით - 2 წლით თავისუფლების აღკვეთა; სასჯელთა ნაწილობრივი შეკრებით ზ. კ-ავას საბოლოოდ მიესაჯა 5 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყო 2005 წლის 19 სექტემბრიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა და მისმა ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა თ. ტ-ძემ. მათ ითხოვეს განაჩენის გაუქმება და ზ. კ-ავას გამართლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 21 ივნისის განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და პირველი ინსტანციის განაჩენი ზ. კ-ავას მიმართ დარჩა უცვლელად.

კასატორები - მსჯავრდებული ზ. კ-ავა და მისი ინტერესების დამცველი, ადვოკატი თ. ტ-ძე საკასაციო საჩივარში აღნიშნავენ, რომ სააპელაციო სასამართლოს განაჩენი არის უკანონო, დაუსაბუთებელი და უსამართლო, რადგან მას საფუძვლად უდევს მხოლოდ ვარაუდი; სასამართლომ ფაქტობრივი გარემოებები დაადგინა არასწორად და ზ. კ-ავას ქმედებას მისცა არასწორი სამართლებრივი

კვალიფიკაცია; პალატა მთლიანად მოექცა ბრალდების მხარის გავლენის ქვეშ, ხოლო დაცვის მხარის არც ერთი შუამდგომლობა და არგუმენტი არ გაიზიარა.

კასატორთა მოსაზრებით, წინასწარ გამოძიებაში გამოძიებლის პროცესუალური ქმედების ტენდენციური მიმართულება გამოწვეული იყო დაზარალებულის სტატუსით; შემთხვევის დროს დ. კ-მეს ეცვა შავი შარვალი და თეთრი პერანგი, ანუ ზ. კ-ავას მის ტანსაცმელზე რაიმე განმასხვავებელი ნიშანი არ შეუმჩნევია და აღიქვა მ. ს-იას მანქანიდან გადმოსულ ერთ-ერთ პირად და ამჯობინა გაცლა, ამიტომ დაძრა მანქანა ადგილიდან; ამის შემდეგ ზ. კ-ავა წავიდა ზღვაზე დასასვენებლად, იქიდან დაბრუნების შემდეგ კი თავისუფლად მოძრაობდა ქალაქში თავისი ავტომანქანით; ზ. კ-ავას პოლიციელისათვის არ გაუწევია წინააღმდეგობა, შესაბამისად, მას არ ამოძრავებდა ვინმესთვის რაიმე სახის დაზიანების მიყენების განზრახვა; ზ. კ-ავას მოქმედება მიზნად ისახავდა თავდასხმის საშიშროების თავიდან აცილებასა და ნაკარნახევი იყო თავდაცვის ინსტინქტით, რაც წამებში განხორციელდა, ამიტომ დრო და ვითარება გააზრებულად მოქმედების საშუალებას არ იძლეოდა და შეუძლებელი იყო რაიმე განზრახვის ფორმირება; თავად ის ფაქტი, რომ ზ. კ-ავას მანქანის ძრავა თავიდანვე ამუშავებული ჰქონდა, მიანიშნებს იმაზე, რომ უნდოდა, დ. კ-მის გამოჩენამდე გასცლოდა შემთხვევის ადგილს, ხოლო დაზარალებულის უხეში და გაუფრთხილებელი მოქმედება ამ მიზნის დაჩქარების მაპროვოცირებელი გახდა; სამართლის თეორია დ. კ-მის ქცევის ხასიათსა და მსგავს ქცევას ვიქტიმურ ქცევას უწოდებს; ე.ი. დაზარალებული თავისივე გაუაზრებელი მოქმედების მსხვერპლი შეიქმნა და არა - ზ. კ-ავას განზრახი დანაშაულებრივი ქმედებისა; დაცვის ასეთ პოზიციას ადასტურებს მოწმეების: ჯ. ბ-შვილის, გ. ო-შვილისა და დ. ჩ-ელის ჩვენებები, ამასვე ადასტურებს პროკურორი თავისი საბრალდებო სიტყვით.

კასატორთა აზრით, ზ. კ-ავას მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტი კიდევაც რომ დავუშვათ, ჯგუფურობა მაინც არ იქნება, რადგან დ. კ-მის სხეულის დაზიანება გამოიწვია მხოლოდ ზ. კ-ავას მიერ მანქანის ადგილიდან დაძვრამ და ავტომანქანაში მყოფ სრულიად უცხო პირს მასში არავითარი მონაწილეობა არ მიუღია; მხოლოდ დაზარალებულის განცხადება კი არ არის საკმარისი მტკიცებულება და ეჭვი უნდა გადაწყდეს ეჭვმიტანილის სასარგებლოდ; სხვა მტკიცებულება ბრალდებას არ გააჩნია, ანუ ადგილი აქვს დანაშაულებრივი ქმედების ფაბრიკაციას; საინტერესოა ქმედების კვალიფიკაცია სსკ-ის 117-ე მუხლით, რადგან, ექსპერტიზის დასკვნით, სხეულის დაზიანებას საერთო შრომისუნარიანობის არათუ მყარი, არამედ ზოგადი დაკარგვაც კი არ გამოუწვევია, დ. კ-მე დღესაც ჯანმრთელია და მსახურობს საპატრულო პოლიციაში; ზემოაღნიშნულის გამო გამორიცხულია ჯგუფურ დანაშაულზე მსჯელობა.

კასატორები ასევე ყურადღებას ამახვილებენ შემთხვევის ადგილზე მყოფი, უშუალო თვითმხილველი მოწმეების სასამართლო სხდომაზე მიცემულ ჩვენებებზე, კერძოდ: მ. ს-იას ჩვენებით, მან შეაგინა ზ. კ-ავას, დ. კ-მესა და მის თანმხლებ პირებში პოლიციელები არ ამოუცვინა და არც მათ უთქვამთ, რომ იყვნენ პოლიციის თანამშრომლები; დ. კ-მის მისვლის შემდეგ ზ. კ-ავას მანქანის სალონიდანაც არ გაუგია, რომ ვინმეს ეთქვას „მაღლები არიან და მოხიო“; აღნიშნულს ადასტურებს მ. ს-იას ძმაც - ვ. ს-იაც; დ. კ-მის მკურნალი ექიმი ვ. პ-ია თავის ჩვენებაში განმარტავს, რომ დაზარალებულის ტანსაცმელზე განმასხვავებელი ნიშნები არ შეუმჩნევია, დ. კ-მეს ეცვა მუქი ფერის პერანგი, ხოლო ქეტონი არ ეკეთა; თბილისის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს 2005 წლის 18 ნოემბრის #3-5596 და 2005 წლის 15 დეკემბრის #3მ 225 წერილებით გაქარწყლებულია საპატრულო პოლიციის თანამშრომლების - დ. ჩ-ელის, გ. ო-შვილისა და ჯ. ბ-შვილის ჩვენებები, რომ შემთხვევის დღეს ისინი ასრულებდნენ სამსახურებრივ მოვალეობებს.

კასატორთა აზრით, საყურადღებოა ექსპერტიზების დასკვნები, კერძოდ: ფიზიკო-ტექნიკური დასკვნის მიხედვით, დ. კ-მის ტანსაცმელზე დაზიანების კვალი კი არის, მაგრამ სისხლის ლაქები არ აღინიშნება; დ. კ-მის ტანსაცმელი ამოიღეს შემთხვევიდან ერთი თვეზე მეტი ხნის გასვლის შემდეგ, რაც იმას ადასტურებს, რომ მომხდარზე საქმე არ აღძრულა და ძველი თარიღით აღიძრა მას შემდეგ, რაც დაზარალებულმა ქუჩაში ამოიგნო შემთხვევით შეხვედრილი ზ. კ-ავა; ასევე ძველი თარიღებით მოხდა ყველა საბუთის ფაბრიკაცია; სასამართლომ არ დააკმაყოფილა დაცვის შუამდგომლობა ექსპერიმენტის ჩატარებასთან დაკავშირებით, რომლითაც ადვილად დამტკიცდებოდა, რომ მოცემულ პირობებში დ. კ-მე ვერც ერთ შემთხვევაში ვერ მოახერხებდა ავტომანქანაში ჩაჯდომას; არ დათვალა იერებულა დანაშაულის ჩადენის იარაღი - ზ. კ-ავას ავტომანქანა; ასეთ შემთხვევაში ბრალდების მხარე და სასამართლო დარწმუნდებოდნენ, რომ მანქანის უკანა, მარცხენა კარის მინა დაბლა არ იწეოდა ტექნიკური გაუმართაობის გამო, ამიტომ დ. კ-მე ავტომანქანის მარცხენა, შუა საყრდენზე უკანა სავარძლის მხრიდან ხელით ვერ ჩამოეკიდებოდა, რადგან მინა აწეული იყო.

დადგენილია, რომ ზ. კ-ავასა და მ. ს-იას შელაპარაკებისას ადმინისტრაციული ან სისხლის სამართლის წესით დასჯადი რაიმე ქმედება არ ჩაუდენიათ და არც საზოგადოებრივი წესრიგი არ დაურღვევიათ; აღნიშნული დასტურდება თბილისის საპატრულო პოლიციის სამმართველოდან მიღებული ცნობითაც; ამდენად, თუ არ არსებობს სამართალდარღვევა, არც მისი აღკვეთის საჭიროება არ წარმოიშვება, ამიტომ გაუგებარია, რატომ მიექრა დ. კ-მე ზ. კ-ავას; მოცემულ შემთხვევაში კანონით გათვალისწინებული არც ერთი საფუძველი არ არსებობდა, ამიტომ დ. კ-მის მცდელობა, დაეკავებინა და ფიზიკურად შეხებოდა ზ. კ-ავას, წარმოადგენდა უკანონო მოქმედებას, მისი ქცევა იყო არაადეკვატური, უაზროდ აგრესიული, უკანონო და ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციას,

საპროცესო კანონმდებლობასა და „პოლიციის შესახებ» საქართველოს კანონს; ასეთ ვითარებაში უცხო ადამიანის ქცევა ზ. კ-ავამ აღიქვა ბოროტმოქმედის თავდასხმად და თავის დასაცავად ინსტინქტურად დაძრა ავტომანქანა პირდაპირი მიმართულებით, რაც საფრთხეს არ უქმნიდა მარცხენა კართან მდგარ დ. კ-ძეს; სასამართლომ უყურადღებოდ დატოვა ის ფაქტი, რომ დაზარალებული თვითონ შეეცადა მანქანაში შეხტომას; თავად დ. კ-ძეც ვერ ხსნის, თუ რითი იყო განპირობებული მისი ამგვარი ქცევა.

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ზ. კ-ავა სამართალში მიცემულია საქართველოს სსკ-ის 353-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, ხოლო დამნაშავედ ცნეს უფრო მძიმე - სსკ-ის 353-ე მუხლის მე-2 ნაწილით; ამ დანაშაულისათვის ბრალდების წარსადგენად აუცილებელია, რომ პოლიციელი ასრულებდეს სამსახურებრივ მოვალეობას და იცავდეს საზოგადოებრივ წესრიგს, რასაც ამ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია; დ. კ-ძის არაადეკვატური საქციელი ბადებს ეჭვს, რომ ის იყო არაფხიზელ მდგომარეობაში, მით უფრო, რომ 19 აგვისტო ფერისცვალების დღეა; ის ფაქტი, რომ დ. კ-ძე საპატრულო პოლიციაში მუშაობს, არ ნიშნავს, რომ მას ნებისმიერ დროსა და ადგილზე შეუძლია ადამიანის დაკავება ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე; თავად საპატრულო პოლიციის სამმართველოს უფროსის - გ. გ-შვილის ზემოაღნიშნული წერილებით დასტურდება, რომ შემთხვევის დღეს დ. კ-ძე არ ასრულებდა სამსახურებრივ მოვალეობას და არც რაიმე შეტყობინება ავტოსაგზაო შემთხვევის შესახებ საპატრულო პოლიციაში არ შესულა; ამ წერილების მიღების შემდეგ პოლიციელებმა შეცვალეს თავიანთი ჩვენებები და განმარტეს, რომ 2005 წლის 19 აგვისტოს ისინი თითქოსდა იყვნენ „დამატებით ცვლაში», რასაც ასევე სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება ეწოდება; სასამართლოს არ უნდა ჩაეთვალოს უტყუარ მტკიცებულებად დაზარალებულის არათანმიმდევრული, მერყევი და ფაქტების სხვადასხვანაირად გადმომცემი ჩვენება უტყუარ მტკიცებულებად.

კასატორები საკასაციო საჩივარში ასევე აღნიშნავენ, რომ თუ ზ. კ-ავამ ჩაიდინა დანაშაული, მაშინ რატომ არ იყო გამოცხადებული მასზე და მის მანქანაზე ძებნა; დაცვამ პირველი ინსტანციის სასამართლოში წარადგინა საპატრულო პოლიციის თბილისის მთავარი სამმართველოს 2005 წლის 28 დეკემბრით დათარიღებული წერილი, რომ ზ. კ-ავას კუთვნილ ავტომანქანა „BMჰ»-ზე ძებნა არ გამოცხადებულა, მაგრამ იგი საქმის მასალებში აღარ დევს, ამიტომ საკასაციო საჩივარს ერთვის ამ წერილის ასლი; სააპელაციო სასამართლომ განაჩენი დააფუძნა ქ. თბილისის ცენტრალური ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის აკრძალვის 2005 წლის 19 აგვისტოს გეგმაზე, რომელიც არ იყო ხელმოწერილი უფლებამოსილი პირის მიერ, რის გამოც მას დოკუმენტის იურიდიული მნიშვნელობა ვერ მიენიჭებოდა; სასამართლომ ასევე უყურადღებოდ დატოვა ის გარემოებაც, რომ, თუ საპატრულო პოლიციის თანაშრომლები ამ გეგმის საფუძველზე ნამდვილად ასრულებდნენ სამსახურებრივ მოვალეობებს, მაშინ რატომ არ აღმოჩნდნენ ისინი, დ. კ-ძის გარდა, ამ გეგმის მიხედვით მორიგეობის სიაში; დ. კ-ძის განმარტებით, ის ასრულებდა რაღაც დებულებით მისთვის მინიჭებულ მოვალეობას, მაგრამ დებულების სრული სახელწოდება, მისი მიმღები ორგანო და მიღების თარიღი ვერ დაასახელა; ის ცრუობდა, რადგან საპატრულო პოლიციის პოლიციელის ქცევის წესების შესახებ დებულება შემთხვევის დროს ბუნებაში არ არსებობდა; დ. კ-ძემ ასევე ვერ ახსნა ზ. კ-ავას დაკავების აუცილებლობა; ზ. კ-ავა შემთხვევის დროს იჯდა თავის ავტომანქანაში და მისგან არანაირი საფრთხე არ მომდინარეობდა, მაშინ, როდესაც დ. კ-ძის საქციელი არაფრით გამოირჩეოდა სამოქალაქო პირის ხულიგნური საქციელისაგან.

კასატორებს მიაჩნიათ, რომ პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებმა ზ. კ-ავას საქმეზე დაარღვიეს „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციის» მე-6 მუხლი სამართლიანი სასამართლოს უფლების შესახებ; ამ საქმეში იგნორირებულია უტყუარი მტკიცებულებები და გარემოებები, ხოლო განაჩენი დაფუძნებულია იურიდიული ძალის არმქონე, ხელმოუწერელ ფარატინა ქალაღზე, რომლის საფუძველზეც პირი დამნაშავედ ცნეს მძიმე დანაშაულის ჩადენაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებული ზ. კ-ავა და მისი ინტერესების დამცველი, ადვოკატი თ. ტ-ძე ითხოვენ გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებას და ზ. კ-ავას მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის წინასწარი გამოძიებისას მოპოვებული და სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული მტკიცებულებები სათანადოდაა გაანალიზებული და შეფასებული, უდავოდ დადგენილია, რომ შემთხვევის დროს დაზარალებულ დ. კ-ძეს ემოსა პოლიციის ფორმა და ზ. კ-ავას და მის თანმხლებ პირებს მოუწოდებდა წესრიგისაკენ, ცდილობდა დამაბული ვითარების განმუხტვას.

დაზარალებულმა დ. კ-ძემ მიუთითა, რომ სცადა, გარკვეულიყო სიტუაციაში, მიუახლოვდა «BMჰ-ს» მარკის ავტომანქანის მძღოლს და ჰკითხა, რაში იყო საქმე. მანქანაში მყოფმა პირმა დაიძახა: «ძაღვები არიან, მოხიო». დ. კ-ძემ მძღოლს ხელი მოჰკიდა, რა დროსაც ავტომანქანა დაიძრა. ამის გამო სცადა, ავტომანქანაში შეღწევა, მაგრამ ვერ შეძლო. დ. კ-ძე მძღოლს მოუწოდებდა, გაეჩერებინა

მანქანა, მაგრამ, ამის საპირისპიროდ, მოუმატა სიჩქარეს, აყენებდნენ სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას, ცდილობდნენ მის ჩაგდებას მოძრავი ავტომანქანიდან, რაც მოახერხეს კიდევ.

მოწმეებმა: ჯ. ბ-შვილმა, გ. ო-შვილმა და დ. ჩ-ელმა განმარტეს, რომ ავტომანქანა, რომლითაც მგზავრობდნენ, გააჩერეს, რადგან გავლა შეუძლებელი იყო და, გარდა ამისა, შესაძლებელი იყო კამათის ჩხუბში გადაზრდა. ეცვათ პოლიციის ფორმა, რაც ადვილი შესამჩნევი იყო გარე განათების პირობებში.

სასამართლო-სამედიცინო და ტრასოლოგიური ექსპერტიზის დასკვნებით დგინდება, რომ დ. კ-მეს აღენიშნებოდა დაზიანებები, მათ შორის - თავის ტვინის დაჟეჟილობა და კვდის ძვლის მოტეხილობა, რაც მძიმე ხარისხისაა და სახიფათოა სიცოცხლისათვის. დაზიანებული იყო დ. კ-მის სამსახურებრივი ფორმა.

პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განაჩენი დასაბუთებულია და მისი გაუქმების საფუძველი არ არსებობს.

ამასთან, მსჯავრდებულის ქმედება საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის მე-2 ნაწილის «გ» და «თ» ქვეპუნქტებიდან (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციით) უნდა გადაკვალიფიცირდეს ამჟამად მოქმედი რედაქციის სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტზე და მე-5 ნაწილის «ე» ქვეპუნქტზე, ვინაიდან ახალი რედაქციის სისხლის სამართლის კანონით ამ ქმედებისათვის შემსუბუქდა სასჯელი, კერძოდ, მისი ზედა ზღვარი და სსკ-ის მე-3 მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, მას აქვს უკუძალა.

გარდა ამისა, ზ. კ-ავა სამართალში მისცეს სსკ-ის 353-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, მაგრამ, სსკ-ის 450-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევით, იგი მსჯავრდებულია 353-ე მუხლის მე-2 ნაწილით. შესაბამისად, მსჯავრდებულის ქმედება 353-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან უნდა გადაკვალიფიცირდეს ამავე მუხლის 1-ელ ნაწილზე და მას უნდა შეუმსუბუქდეს სასჯელი.

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ ზ. კ-ავასა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ თ. ტ-მის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 21 ივნისის განაჩენი შეიცვალოს: ზ. კ-ავას ქმედება 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 353-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გადაკვალიფიცირდეს ამავე მუხლის 1-ელ ნაწილზე და განესაზღვროს 1 წლით თავისუფლების აღკვეთა;

ზ. კ-ავას ქმედება 117-ე მუხლის მე-2 ნაწილის «გ» და «თ» ქვეპუნქტებიდან (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციით) გადაკვალიფიცირდეს ამჟამად მოქმედი რედაქციის სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტზე, მე-5 ნაწილის «ე» ქვეპუნქტზე და განესაზღვროს 5 წლით თავისუფლების აღკვეთა;

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად და საბოლოოდ ზ. კ-ავას მიესაჯოს 5 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება

განჩინება

#1916-აპ

8 მაისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),
- მ. ოშხარელი,
- დ. სულაქველიძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა გორის რაიონული პროკურატურის პროკურორ მ. ლ-მის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 5 ოქტომბრის განაჩენზე ლ. რ-შვილის მიმართ.

აღწერილობითი ნაწილი:

გორის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 4 ივნისის განაჩენით ლ. რ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილით იმაში, რომ ჩაიდინა სხეულის

დაზიანება, ე.ი. ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, რომელმაც გამოიწვია მხედველობის ფუნქციის დაკარგვა მარჯვენა თვალიდან, რაც გამოიხატა შემდეგში:

2006 წლის 25 აგვისტოს, დაახლოებით 21 საათზე, გორის რაიონის სოფ. ... მცხოვრები, მთვრალი ლ. რ-შვილი მივიდა სოფელში არსებულ ე.წ. „ხალხის თავშეყრის ადგილზე“, სადაც ამავე სოფელში მცხოვრები ლ. ზ-შვილი და დ. ო-ძე, რომლებიც ასევე მთვრალები იყვნენ, ერთმანეთს ხმამაღლა ეკამათებოდნენ. ლ. რ-შვილი ჩაერია მათ საუბარში და უმისამართოდ, ხმამაღლა შეიგინა უცენზურო სიტყვებით. ამ დროს იქვე მდებარე მაღაზიდან გამოვიდა ნ. ე-ძე, რომელსაც მსჯავრდებულთან წინათ კონფლიქტური ურთიერთობა ჰქონდა. მან თავისად მიიღო ლ. რ-შვილის მიერ წარმოთქმული უცენზურო სიტყვები და მისცა შენიშვნა, რის გამოც ლ. რ-შვილმა მას მიმართა ლანძღვა-გინებით. აღნიშნულის შემდეგ მათ შორის სიტყვიერი შელაპარაკება გადაიხარდა ფიზიკურ შეურაცხყოფაში. ჩხუბის დროს ლ. რ-შვილმა მუშტის დარტყმით ნ. ე-ძეს მარჯვენა თვალის არეში მიაყენა ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, რამაც გამოიწვია მხედველობის ფუნქციის დაკარგვა. იქ შეკრებილმა სოფლის მოსახლეობამ ისინი გააშველა, ხოლო დაზარალებული მაშინვე გადაიყვანეს საავადმყოფოში, სადაც გაუწიეს პირველადი სამედიცინო დახმარება.

აღნიშნული ქმედებისათვის ლ. რ-შვილს საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც ამავე კოდექსის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალი პირობით, 4 წლის გამოსაცდელი ვადით. მსჯავრდებული დაუყოვნებლივ გათავისუფლდა სასამართლო სხდომის დარბაზიდან და მას სასჯელის მოხდაში ჩაეთვალი წინასწარ პატიმრობაში ყოფნის დრო - 2006 წლის 14 დეკემბრიდან 2007 წლის 4 ივნისამდე. დაკმაყოფილდა დაზარალებულის სამოქალაქო სარჩელი და მსჯავრდებულს ნ. ე-ძის სასარგებლოდ დაეკისრა 6 ათასი ლარის გადახდა.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა გორის რაიონული პროკურატურის პროკურორმა გ. ხ-ძემ. მან ითხოვა სასჯელის ნაწილში განაჩენის გაუქმება და ლ. რ-შვილისათვის სასჯელის გამკაცრება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 5 ოქტომბრის განაჩენით სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: ლ. რ-შვილს საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც ამავე კოდექსის 63-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალი პირობით, 4 წლის გამოსაცდელი ვადით; მასვე დამატებით სასჯელად დაენიშნა ჯარიმა 5 ათასი ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

კასატორი - გორის რაიონული პროკურატურის პროკურორი მ. ლ-ძე საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული განაჩენი სასჯელის ნაწილში ღმობიერია და უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სასამართლომ ჯეროვნად არ გაითვალისწინა მსჯავრდებულის პიროვნება, მის მიერ ჩადენილი დანაშაულის მოტივი, მიზანი, ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნება, ქმედების განხორციელების სახე, ხერხი და დამდგარი მძიმე შედეგი, მიყენებული ზიანის ოდენობა, ის, რომ დაკისრებული სამოქალაქო სარჩელის ნახევარი ასანაზღაურებელია; მართალია, სსკ-ის 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული ნაკლებად მძიმეა, მაგრამ მორალურადაა მძიმე, ჩადენილია ქალბატონის წინააღმდეგ, ნასვამ მდგომარეობაში, რაც დამნაშავეს უარყოფითად და საზოგადოებისათვის საშიშ პირად წარმოადგენს; ლ. რ-შვილისათვის დანიშნული პირობითი სასჯელი აშკარად არ შეესაბამება მისი ქმედების ხასიათსა და პიროვნებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პროკურორი მ. ლ-ძე ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 5 ოქტომბრის განაჩენის გაუქმებას და საქმის დაბრუნებას იმავე სასამართლოში ხელახლა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გაანალიზა საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა აღნიშნავს, რომ საქმის წინასწარი და სასამართლო გამოძიებისას მოპოვებული მასალებით, მათ შორის, დაზარალებულ ნ. ე-ძის, მოწმეების - თ. ე-ძის, ლ. ზ-შვილის, ი. გ-შვილის, თავად მსჯავრდებულის და სხვათა ჩვენებებით, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით უტყუარადაა დადასტურებული, რომ ლ. რ-შვილმა ჩაიდინა ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება.

სასჯელის დანიშვნისას პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოებმა მხედველობაში მიიღეს ის გარემოებები, რომ ლ. რ-ძეს პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება არ გააჩნია, ნასამართლობის არმქონეა, ხასიათდება დადებითად, აღიარა და მოინანია ჩადენილი დანაშაული, შეურიგდა დაზარალებულს, რომელსაც ასევე ნაწილობრივ აუნაზღაურა ზიანი. მსჯავრდებულისათვის დანიშნული სასჯელი არ არის მეტისმეტად მკაცრი ან მსუბუქი და, შესაბამისად, აშკარად უსამართლო. ამდენად, გასაჩივრებული განაჩენი დასაბუთებული და სამართლიანია.

ამასთან, მსჯავრდებულს საპროცესო კანონის მოთხოვნათა დარღვევით დაეკისრა დაზარალებულის სასარგებლოდ თანხის გადახდა, რადგან ლ. რ-ძე სამოქალაქო მოპასუხედ ცნობილი არ ყოფილა. იგი არ გაცნობია დადგენილებას სამოქალაქო მოსარჩელედ ცნობის შესახებ. სსსკ-ის 472-ე მუხლის 1-ლი

ნაწილის მოთხოვნათა დარღვევით, განსასჯელს არ განემარტა წარდგენილი სამოქალაქო სარჩელის საფუძველი და ოდენობა.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 35-ე მუხლის მოთხოვნის შესაბამისად, თუ გამომძიებელი ან პროკურორი მიიჩნევს, რომ წარდგენილ სარჩელს აქვს საკმარისი საფუძველი, გამოაქვს გადაწყვეტილება პირის სამოქალაქო მოსარჩელედ ცნობის შესახებ, რის შემდეგაც, ამავე კოდექსის 36-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, სამოქალაქო მოპასუხედ ცნობს ბრალდებულს, რომელსაც განემარტება სამოქალაქო მოპასუხის უფლება-მოვალეობები. ამდენად, პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოებმა მსჯავრდებულს ისე დააკისრეს დაზარალებულის სასარგებლოდ თანხის გადახდა, რომ საქმეზე არ დაწყებულა სამოქალაქო სამართალწარმოება.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ გასაჩივრებული განაჩენი ლ. რ-ძისათვის დაზარალებულ ნ. ე-ძის სასარგებლოდ თანხის დაკისრების ნაწილში უნდა გაუქმდეს.

იმის გამო, რომ საქმეზე სამოქალაქო სამართალწარმოება არ დაწყებულა, პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, სსსკ-ის 561-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, საქმე სამოქალაქო სარჩელის ნაწილში ხელახლა განსახილველად გადასცეს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. ამავე კოდექსის 33-ე მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად, აღნიშნული გარემოება არ უკარგავს უფლებას დაზარალებულს, წარადგინოს სარჩელი სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 552-ე მუხლის მე-5 ნაწილით, 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

პროკურორ მ. ლ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 5 ოქტომბრის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ: გასაჩივრებული განაჩენი გაუქმდეს ლ. რ-შვილისათვის დაზარალებულ ნ. ე-ძის სასარგებლოდ თანხის დაკისრების ნაწილში.

განაჩენი სხვა ნაწილში, მათ შორის მსჯავრდებულის მიმართ დანიშნული სასჯელი, დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება

განჩინება

#347-აპ

17 ნოემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),**
- ზ. მენიშვილი,**
- პ. სილაგაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ტ. ღ-ძის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 20 დეკემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თერჯოლის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 18 სექტემბრის განაჩენით ტ. ღ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსსკ-ის 117-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით იმაში, რომ ჩაიდინა ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, ე.ი. სხეულის დაზიანება, რომელიც სახიფათოა სიცოცხლისათვის, ჩადენილი ხულიგნური ქვენაგრძნობით, რაც გამოიხატა შემდეგში:

2007 წლის 18 აპრილს მთვრალმა ტ. ღ-ძემ ხულიგნური ქვენაგრძნობით, ხის ჯოხით თავის არეში სცემა თავის მეზობელ რ. ჯ-ძეს მისსავე საცხოვრებელ სახლში, რითიც მიაყენა სიცოცხლისათვის სახიფათო მძიმე ხარისხის დაზიანება.

აღნიშნული ქმედებისათვის ტ. ღ-ძეს, საქართველოს სსსკ-ის 58-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, განესაზღვრა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყო 2007 წლის 25 აპრილიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ტ. ღ-ძემ და ითხოვა სასჯელის შემსუბუქება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 20 დეკემბრის განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

კასატორი - მსჯავრდებული ტ. ღ-მე საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ, რ. ჯ-მეს ხის ჯოხი ორჯერ დარტყა ბეჭზე, რადგან მან მის მეუღლეს შეურაცხყოფა მიაყენა; რ. ჯ-მემ თავის არემი დაქვეილობა მიიღო 2007 წლის 17 აპრილს, როდესაც თანასოფელელის დედის ორმოცზე დათვრა და რასაც ადასტურებს მრავალი მოწმე, ასევე - ქუთაისის კლინიკური საავადმყოფოს ექსპერტი; თვითონ დაავადებულია ტუბერკულოზით, გადატანილი აქვს გულის ინფარქტი, მარჯვენა ფილტვზე აქვს სიმსივნე, ნაღვლის ბუშტში - კენჭი, ხოლო მარჯვენა თირკმელში - ჩირქი; ამჟამად ძალიან ცუდად გრძნობს თავს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ტ. ღ-მე მიუთითებს, რომ ბრალად შერაცხული ქმედება არ ჩაუდენია.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოებმა ტ. ღ-მის ქმედების მოტივთან დაკავშირებით მიუთითეს, რომ დაზარალებულ რ. ჯ-მეს ზ. დ-შვილი არ უცემია და, შესაბამისად, არც ჯანმრთელობის მიმღე დაზიანების საბაზი არსებობს. ამასთან, სასამართლომ არ უარყო, რომ პ. ს-შვილმა და რ. ჯ-მის გაზავების დროს ამ უკანასკნელის ხელი მოხვდა ზ. დ-შვილს, თუმცა რაიმე დაზიანება არ მიუღია და ეს ფაქტი უმნიშვნელო საბაზია, მით უფრო, რომ ზ. დ-შვილმა მომხდარის თაობაზე მეუღლეს არაფერი უთხრა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მსჯავრდებულის ქმედების მოტივთან დაკავშირებით საგულისხმობა მოცემულ საქმეზე დაკითხული არაერთი პირის, მათ შორის - დაზარალებულის ჩვენებები, კერძოდ:

დაზარალებული რ. ჯ-მე აღნიშნავს, რომ ტ. ღ-მესთან აკავშირებს კარგი ურთიერთობა, ერთად იზრდებოდნენ. 2007 წლის 18 აპრილს იმყოფებოდა სახლში, სადაც მივიდა ტ.-ი და ჰკითხა - მეუღლე რატომ გამილახეო, იმავდროულად, დარტყა ხელი, შემდეგ აიღო ხის მსხვილი ჯოხი და სამჯერ ჩაარტყა თავში, რის გამოც გონება დაკარგა. რ. ჯ-მემ მიუთითა, რომ ტ. ღ-მის მეუღლისათვის შეურაცხყოფა არასდროს მიუყენებია.

მოწმე ნათელა ჯ-მის ჩვენებით, მის შვილს სცემდა ტ. ღ-მე, რის მიზეზად მსჯავრდებულმა დაუსახელა მეუღლის ფიზიკური შეურაცხყოფა.

მოწმე ნათელა გოცირიძემ განმარტა, რომ რ. ჯ-მის სახლიდან მოესმა ჩხუბის ხმა, ტ. ღ-მე ყვიროდა - მოგვავ, მეუღლე რატომ გამილახეო. ეს უკანასკნელი სახლიდან გამოვიდა, რა დროსაც ეკავა ხის ჯოხი.

მოწმე პ. ს-შვილმა მიუთითა, რომ რ. ჯ-მესთან მოუხდა კამათი, თუმცა არ უჩხუბიათ. კამათისას იქ იმყოფებოდა ტ. ღ-მის მეუღლეც.

ტ. ღ-მის მეუღლის - ზ. დ-შვილის სასამართლოში დაკითხვა ვერ მოხერხდა. მან საქმის წინასწარი გამოძიებისას აჩვენა, რომ მოხვდა რ. ჯ-მის მიერ პ. ს-შვილისათვის მოქმედი ხელი, მაგრამ დარტყმა უმნიშვნელო იყო და დაზიანება არ მიუღია. მომხდარის შესახებ არც თავის მეუღლეს უამბო. სახლში დაბრუნებისას ტ. ღ-მემ უთხრა, რომ ჯოხით სცემა რ.-ს, თუმცა მიზეზი არ დაუსახელებია.

თავად ტ. ღ-მე დაკავების დღიდანვე განმარტავს, რომ თავისი მეუღლისაგან შეიტყო რ. ჯ-მესა და პ. ს-შვილს შორის მომხდარი ჩხუბის შესახებ, რა დროსაც რ.-ს ხელი დაურტყამს ზ. დ-შვილისთვისაც. სწორედ ამის გამო, ტ. ღ-მე წავიდა რ. ჯ-მესთან «საქმის გასარკვევად».

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მსჯავრდებულისა და სხვა პირთა ჩვენებებით არ დასტურდება დანაშაულის ხულიგნური ქვენაგრძნობით ჩადენის ფაქტი. მოცემულ შემთხვევაში სათანადო ყურადღება არ გამახვილდა დანაშაულის სუბიექტურ მხარეზე და ორივე ინსტანციის სასამართლოს განაჩენით, ფაქტობრივად, მოხდა ქმედების ობიექტური შერაცხვა, თუმცა არც ობიექტურად დადგენილი გარემოებები მეტყველებს დანაშაულის ხულიგნური ქვენაგრძნობით ჩადენაზე. ცხადია, რომ ტ. ღ-მემ შეიტყო თავის მეუღლესთან დაკავშირებული ინციდენტის შესახებ, რაც მისი შემდგომი ქმედების მოტივად იქცა. აღნიშნულს არც სააპელაციო პალატა უარყოფს, მაგრამ მიუთითებს ამ საბაზის უმნიშვნელო ხასიათზე. იმ შემთხვევაშიც, როდესაც რ. ჯ-მეს ზ. დ-შვილისათვის ხელი განზრახ არ დაურტყამს, ტ. ღ-მის ქმედების სსკ-ის 117-ე მუხლის მე-5 ნაწილის «გ» ქვეპუნქტით დაკვალიფიცირება არასწორია, ვინაიდან მსჯავრდებულმა ამის შესახებ არ იცოდა, ყოველ შემთხვევაში, ამის დამადასტურებელი უტყუარი მტკიცებულება საქმეში არ მოიპოვება. საპირისპიროდ ამისა, საქმეშია ტ. ღ-მის არაერთი ჩვენება, სადაც იგი თავისი ქმედების მოტივს მეუღლის გალახვას უკავშირებს და რასაც ადასტურებენ სხვა პირებიც, მათ შორის - დაზარალებული.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ცალკეულ შემთხვევაში პირი შესაძლოა მოქმედებდეს შურისძიების მოტივით, თუმცა ობიექტურად ამის საბაზი არ არსებობდეს. ასეთ შემთხვევაში მატერიალური კანონის სწორად გამოყენებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა სწორედ ქმედების სუბიექტური მხარის ნიშნებს აქვს, რომელთა უტყუარად დადგენას ემსახურება ქმედების ობიექტური შემადგენლობის ნიშნები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ტ. ლ-მის ქმედება სსკ-ის 117-ე მუხლის მე-5 ნაწილის «გ» ქვეპუნქტიდან უნდა გადაკვალიფიცირდეს ამავე მუხლის 1-ელ ნაწილზე, რაც უდავოდ დადასტურებულია მოპოვებული და გამოკვლეული მტკიცებულებებით.

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ ტ. ლ-მის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 20 დეკემბრის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ: ტ. ლ-მის ქმედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მე-5 ნაწილის «გ» ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდეს ამავე კოდექსის 117-ე მუხლის 1-ელ ნაწილზე და სასჯელის ზომად საბოლოოდ განესაზღვროს 4 წლით თავისუფლების აღკვეთა.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება

განჩინება

#613-აპ

4 ივლისი, 2007 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- მ. ოშხარელი**

განიხილა მსჯავრდებულ გ. ლ-მის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006 წლის 11 მაისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 13 თებერვლის განაჩენით გ. ლ-მე გამართლდა საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის 1-ლი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში; იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 120-ე მუხლით იმაში, რომ ჩაიდინა ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება, რამაც მისი ხანმოკლე მოშლა გამოიწვია და რაც გამოიხატა შემდეგში:

2004 წლის 16 აგვისტოს, დღის საათებში, ვანის რაიონის სოფ. ... , პირადი განწყევლების ნიადაგზე, უხამსი ლანძღვა-გინებით, გ. ლ-მემ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა თავის მეზობელ ს. ჩ-შვილსა და მის ოჯახს, ხოლო მეორე დღეს, 17 აგვისტოს, წინა დღის ინციდენტის მიზეზების გასარკვევად მასთან მისულ თანაკლასელს, ს. ჩ-შვილის შვილს - კ. ჩ-შვილს საფანტის პისტოლეტიდან ერთხელ დამიზნებული გასროლით მუცლის არეში ჭრილობის სახით მიაყენა ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება, რამაც მისი ხანმოკლე მოშლა გამოიწვია.

აღნიშნული ქმედებისათვის გ. ლ-მეს განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 6 თვის ვადით, საერთო რეჟიმის სასჯელადსრულების დაწესებულებაში მოხდით, რაც სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე ჩათვალა პირობით, 1 წლის გამოსაცდელი ვადით. მსჯავრდებულის ყოფაქცევაზე კონტროლი დაევალა არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის იმერეთის ბიუროს.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა გ. ლ-მემ. მან ითხოვა მის მიმართ დადგენილი გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება, გამამართლებელი განაჩენის დადგენა და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა საქართველოს სსკ-ის 28-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006 წლის 11 მაისის განაჩენით სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 13 თებერვლის განაჩენი შეიცვალა: გ. ლ-მეს განაჩენით აღნიშნული სასჯელის ვადაში მოხდილად ჩათვალა დაკავებისა და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობაში გატარებული დრო - 2004 წლის 17 აგვისტოდან 2004 წლის 7 დეკემბრამდე, 3 თვე და 20 დღე; განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

კასატორი - მსჯავრდებული გ. ლ-მე საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ თავს არ ცნობს დამნაშავედ, არ ეთანხმება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს უსაფუძვლო განაჩენს, მიაჩნია, რომ მის მიმართ წარდგენილი ბრალდება არაკანონიერია, არ გამომდინარეობს საქმის მასალებიდან; განაჩენი მიკერძოებულია და გამოტანილია პროცესუალური ნორმების უხეში დარღვევით; სააპელაციო სასა-

მართლმ დაარღვია სსსკ-ის 564-ე მუხლის მოთხოვნები, რადგან მის მიმართ არ გამოიყენა სსსკ-ის 28-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა« ქვეპუნქტი, ასევე - 504-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა« და „ბ« ქვეპუნქტები; სააპელაციო სასამართლო არ დაინტერესდა ე.წ. დაზარალებულისა და მოწმეების დაკითხვით, დაეყრდნო მათ მიერ ადრე მიცემულ ჩვენებებს; სასამართლომ მისი დამცირებით დაარღვია საქართველოს კონსტიტუცია და ეთიკის კოდექსი; სააპელაციო პალატას არ შეუსწავლია მისი სისხლის სამართლის საქმე სრულად, წინააღმდეგ შემთხვევაში ის განაჩენში მტკიცებულებად არ გამოიყენებდა მოწმეთა არარსებულ ჩვენებებს; 2004 წლის 17 აგვისტოს მომხდარ ფაქტს არ შესწრებია დაზარალებული მხარის არც ერთი მოწმე; სასამართლომ არ გაიზიარა შემთხვევის ადგილზე მყოფი არასრულწლოვნების - მ. და ლ. ნ-შვილების, ასევე, ე. და გ. ლ-ძეების ჩვენებები და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტოზის დასკვნები; სასამართლოს არ გაურკვევია, თუ ვინ მიაყენა თავად მსჯავრდებულსა და 5 წლის მ. ნ-შვილს მრავლობითი დაზიანებები; სასამართლო არასწორად უთითებს, თითქოს იგი წააქეზა დედამ - ე. ლ-ძემ, მაშინ, როცა კ. ჩ-შვილი თავის ჩვენებაში ამბობს, რომ შინ დაბრუნებულმა შეიტყო წინა დღით მომხდარი ინციდენტის შესახებ, ე.ი. გამოდის, რომ სწორედ დაზარალებული წაუქეზებიათ თავისივე ოჯახის წევრებს; სასამართლოს აერია წაქეზების ფაქტი.

კასატორის აზრით, მნიშვნელობა არა აქვს, დაზარალებულმა კ. ჩ-შვილმა მხოლოდ ხელი გაართყა თუ ხელში დაჭერილი ქვის დარტყმით მიაყენა მცირეწლოვან მ. ნ-შვილს სხეულის დაზიანება; სასამართლოს არ სჯერა მისი ჩვენების, რომ კ. და ს. ჩ-შვილები ისროდნენ ქვებს; ექსპერტოზის დასკვნის მიხედვით, კ. ჩ-შვილს პისტოლეტიდან გასროლით ისეთი დაზიანება არ მიუღია, რომ ქვები ვერ ესროლა, მაგრამ სასამართლო დამახინჯებულად და უზუსტობით გადმოსცემს დაზარალებულისა და მოწმეების ჩვენებებს იმის გაანგარიშებით, რომ მსჯავრდებულს ბრალდება დაუმძიმოს; ეს ყველაფერი კი იმიტომ ხდება, რომ რაიონის ადმინისტრაციულ ორგანოებს არ ჩაეთვალოთ გ. ლ-ძის უკანონო პატიმრობა.

კასატორი ასევე მიუთითებს, რომ მის მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა 2004 წლის 17 აგვისტოს საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-3 ნაწილით და 20 აგვისტოს შეუფარდეს წინასწარი პატიმრობა 3 თვით; 2004 წლის 8 ნოემბერს დანაშაულის დაუდასტურებლობის გამო საქმე შეწყდა და წაუყენეს ახალი ბრალდება სსკ-ის 120-ე მუხლითა და 187-ე მუხლის 1-ლი ნაწილით; ვანის რაიონულმა სასამართლომ 2005 წლის 7 დეკემბერს შეუფარდა გაუსვლელობის ხელწერილი და გაათავისუფლა პატიმრობიდან, ხოლო 2005 წლის 9 თებერვლის განაჩენით - მოუხსნა სსკ-ის 187-ე მუხლის 1-ლი ნაწილით წარდგენილი ბრალდება; საქმის მასალებით დადგენილია, რომ მას არ ჩაუდენია დანაშაული წინასწარი განზრახვით და კ. ჩ-შვილისათვის არ მიუყენებია ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება; იგი მოქმედებდა მხოლოდ თავდაცვისა და აუცილებელი მოგერიების ფარგლებში, საქართველოს სსკ-ის 28-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად კი, „მართლსაწინააღმდეგოდ არ მოქმედებს ის, ვინც ამ კოდექსით გათვალისწინებულ ქმედებას ჩაიდენს აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში, ე.ი. ვინც მართლსაწინააღმდეგოდ ხელყოფისას დააზიანებს ხელყოფს თავისი ან სხვისი სამართლებრივი სიკეთის დასაცავად»; ყალბია კ. ჩ-შვილის სხეულის დაზიანების სასამართლო-სამედიცინო ექსპერტოზის დასკვნა, რადგან პირველი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისთანავე, რამდენიმე წუთში ის გაუშვეს საავადმყოფოდან და მას შემდეგ მას სამკურნალო დაწესებულებაში აღარ უმკურნალა; ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლა ნიშნავს იმას, რომ ადამიანის ორგანიზმის რომელიმე ორგანოს ავადმყოფური მდგომარეობისათვის საჭირო მკურნალობა გრძელდება 6 დღიდან 21 დღემდე, ხოლო 6 დღეზე ნაკლები დროით აუცილებელი მკურნალობის საჭიროება არ ითვლება ჯანმრთელობის დაზიანებად; ასეთ შემთხვევაში დამნაშავეს ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ-ის 125-ე მუხლით; აღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებულს მიაჩნია, რომ მის ქმედებაში სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები არ მოიპოვება, ამიტომ მის მიმართ უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა და დადგინდეს გამამართლებელი განაჩენი.

კასატორის აზრით, კ. ჩ-შვილის ჩვენებების გაანალიზების შემდეგ იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ ჩხუბის წამომწყები და დამნაშავეა თავად კ. ჩ-შვილი, რომელმაც იცოდა 2004 წლის 16 აგვისტოს მომხდარი ინციდენტი, იცოდა ისიც, რომ მის მშობლებს ვანის რაიონის შს განყოფილებაში შეტანილი ჰქონდათ განცხადება-საჩივარი, მაგრამ არ დაელოდა მის კანონიერ გადაწყვეტილებას, მით უფრო, რომ წინა დღეს პოლიციის თანამშრომლები ერთხელ უკვე იყვნენ მათ სახლში მისულები და დაწყებული ჰქონდათ შემოწმება; გ. ლ-ძეს კ. ჩ-შვილის სხეულის დაზიანების განზრახვა რომ ჰქონოდა, ესროდა რამდენჯერმე და არა - ერთხელ, ვინაიდან პისტოლეტში კიდევ იყო დარჩენილი 6 ვაზნა; სასამართლომ არ დააკმაყოფილა მისი შუამდგომლობა კომისიური ექსპერტოზის ჩატარების შესახებ, ალბათ, იმის შიშით, რომ სიმართლე არ დადგენილიყო და არ გარკვეულიყო, რომ დაზარალებულს ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლა არ მიუღია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებული გ. ლ-ძე აცხადებს, რომ მას დანაშაული არ ჩაუდენია, რის გამოც ითხოვს, საქართველოს სსსკ-ის 504-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა« და „ბ« ქვეპუნქტების თანახმად, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006 წლის 11 მაისის გამამტყუნებელი განაჩენი, მის მიმართ დადგინდეს გამამართლებელი განაჩენი და შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სსსკ-ის 28-ე

მუხლის 1-ლი ნაწილის „ა» ქვეპუნქტით, მის ქმედებაში სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული დანაშაულის არარსებობის გამო.

საკასაციო პალატის სხდომაზე არ გამოცხადდა კასატორი - მსჯავრდებული გ. ლ-ძე, რომელმაც წერილობით იშუამდგომლა საჩივრის მის დაუსწრებლად განხილვის შესახებ.

პროკურორმა გ. ქ-შვილმა საკასაციო საჩივარს მხარი არ დაუჭირა და მოითხოვა გასაჩივრებული განაჩენის უცვლელად დატოვება იმ მოტივით, რომ იგი კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანია.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ მოისმინა სახელმწიფო ბრალმდებლის მოსაზრება, შეისწავლა საქმის მასალები, გაანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

წინასწარი და სასამართლო გამოძიებით სრულყოფილად დადგენილი საქმის ფაქტობრივი გარემოებები, სისხლის სამართლის საპროცესო კანონი არსებითად არ დარღვეულა, მატერიალური კანონი სწორადაა გამოყენებული, შეკრებილი მტკიცებულებები სასამართლომ სამართლებრივად სწორად შეაფასა და დაადგინა კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი განაჩენი, რომლის გაუქმების ან შეცვლის საფუძველი არ არსებობს.

სააპელაციო სასამართლომ სწორად მიუთითა, რომ დაზარალებულ კ. ჩ-შვილის, ასევე - მისი მეზობლების თანმიმდევრული და დამაჯერებელი ჩვენებების ფონზე ურთიერთსაწინააღმდეგო მსჯავრდებულისა და მისი ოჯახის წევრების ჩვენებები.

კ. ჩ-შვილის ჩვენებით ირკვევა, რომ 2004 წლის 17 აგვისტოს შეიტყო თავისი ოჯახის წევრებსა და გ. ლ-ძეს შორის მომხდარი ინციდენტის შესახებ, რომლის მიზეზი მეორე დღეს ჰკითხა მსჯავრდებულს. გ. ლ-ძემ ხელი წაიღო პისტოლეტისკენ და კ. ჩ-შვილმა სცადა მისი წართმევა. ამ დროს გ. ლ-ძემ ხელის კვრით მოიშორა თანმხლები ბავშვი, რომელიც წაიქცა და ორი მეტრის მანძილიდან ესროლა კ. ჩ-შვილს მუცლის არეში. ამ უკანასკნელმა აიღო ჯოხი და თავში ჩაართვა გ. ლ-ძეს, ხოლო გ.-მ ხელი დაართვა მხარში და გაიქცა. იგი მალევე დაბრუნდა დედასთან და ძმასთან ერთად და ქვები ესროლეს დაზარალებულის სახლის ფანჯრებს.

ანალოგიური ჩვენებები მისცეს კ. ჩ-შვილის ოჯახის წევრებმა, რომლებმაც განმარტეს, რომ ყოველგვარი კამათის გარეშე გ. ლ-ძემ კ.-ს მიმართულებით მოახდინა გასროლა. ამასთან, მსჯავრდებულმა ხელის კვრით მოიშორა ბავშვი, რომელიც წაიქცა და ცხვირიდან სისხლი წამოუვიდა.

მოწმეებმა - ე. ბ-ძემ, ი. და ლ. ლ-ძეებმა განმარტეს, რომ გ. ლ-ძის დედა - ე. ლ-ძე ეჭვიანი და კონფლიქტური პიროვნებაა და რომ მას პრობლემები აქვს მეზობლებთან.

პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ სრულყოფილად გამოიკვლია საქმეში არსებული მასალები და გასაჩივრებული განაჩენი ემყარება ამ მასალების ობიექტურ ანალიზს. დადგენილია, რომ გ. ლ-ძესა და მისი ოჯახის წევრებს არანაირი საფრთხე არ ემუქრებოდათ და რომ გ. ლ-ძემ პირველმა ესროლა კ. ჩ-შვილს, რასაც საპასუხო რეაქცია მოჰყვა.

ჩადენილ მართლსაწინააღმდეგო და ბრალეულ ქმედებათა საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხისა და თვით მსჯავრდებულის მახასიათებელი მონაცემების გათვალისწინებით, სასამართლომ გ. ლ-ძეს განუსაზღვრა სასჯელის კანონიერი და სამართლიანი ღონისძიება.

ზემოაღნიშნულ გარემოებათა გამო პალატა თვლის, რომ მსჯავრდებულ გ. ლ-ძის საკასაციო საჩივარი უსაფუძვლოა და განაჩენი უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ გ. ლ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006 წლის 11 მაისის განაჩენი გ. ლ-ძის მიმართ დარჩეს უცვლელად.
განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ცემა

განჩინება

#1825-აპ

4 იანვარი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

**მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),
ლ. მურუსიძე,
ი. ტყეშელაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ნ. ბ-შვილის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 7 აგვისტოს განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 4 ივნისის განაჩენით ნ. ბ-შვილი ცნობილ იქნა ბრალეულად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში დაზარალებულების - ც. გ-შვილის, ს. ს-ძის, ნ. ბ-შვილის, გ. თ-ძის, ტ. ლ-ძის ეპიზოდებში, რის გამოც მას ს. ს-ძის ცემის ფაქტზე სასჯელის ზომად განესაზღვრა ჯარიმა - 500 ლარის ოდენობით, ნ. ბ-შვილის ცემის ფაქტზე ჯარიმა - 500 ლარის ოდენობით, გ. თ-ძის ცემის ფაქტზე ჯარიმა - 500 ლარის ოდენობით, ტ. ლ-ძის ცემის ფაქტზე ჯარიმა - 500 ლარის ოდენობით, ხოლო ც. გ-შვილის ცემის ფაქტზე შეფარდებული სასჯელის - 500 ლარის ჯარიმის მოხდისაგან ნ. ბ-შვილი გათავისუფლდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 28-ე მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე, სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლით (2000 წლის 5 მაისის რედაქცია) გათვალისწინებული სასჯელთა მთლიანი შეკრების წესით ნ. ბ-შვილს განესაზღვრა ჯარიმა - 2000 ლარის ოდენობით, მასვე დაეკისრა დაზარალებულების - ც. გ-შვილის, რ. ს-ძის, ნ. ბ-შვილის, გ. თ-ძის, ტ. ლ-ძის მიერ ადვოკატის მომსახურებისათვის გაწეული ხარჯების - 700 ლარის გადახდა. იმავე სასამართლოს 2007 წლის 19 ივლისის დადგენილებით ნ. ბ-შვილს ჯარიმის - 2000 ლარის გადახდა გადაუვადდა 6 თვით, ხოლო დაზარალებულთათვის 700 ლარის გადახდის გადავადებაზე ეთქვა უარი.

განაჩენის მიხედვით, ნ. ბ-შვილს მსჯავრი დაედო ცემისა და ძალადობისათვის, რაც გამოიხატა შემდეგში: ნ. ბ-შვილი, იყო რა სამტრედიის შპს «არგოს» (ყოფილი საკოლმეურნეო ბაზარი) დირექტორი 2004-2006 წლებში, სცემდა და ფიზიკურ ტკივილს აყენებდა თანამშრომლებს, კერძოდ: მან ც. გ-შვილს, შპს «არგოს» მოლარეს, 2004 წლის აპრილში, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით, კამათის დროს აგინა და მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, ხელი გაართყა გვერდში, ფეხსაცმლის წვერით სცემა წვივებში, რითაც მას მიაყენა ფიზიკური ტკივილი. მანვე რ. ს-ძეს, სამტრედიის შპს «არგოს» მწონავს, 2005 წლის ივლისში, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით, კამათის დროს აგინა და მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, გასაღების აცმა ესროლა სახეში, რამაც ცხვირიდან სისხლდენა გამოიწვია და მას განაცდევინა ფიზიკური ტკივილი. გარდა ამისა, ნ. ბ-შვილმა 2005 წლის ნოემბერში ნ. ბ-შვილს, შპს «არგოს» ბუღალტერს, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით, კამათის დროს აგინა და მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, ხელი გაართყა თავში, დაითრია თმით და თავი მიართყმევინა კედელზე. მანვე 2006 წლის მაისის ბოლო რიცხვებში, თავის სამუშაო ოთახში დაზარალებულ ნ. ბ-შვილს უჩქმიტა ლოყაში და ხელი გაართყა სახეში, რითაც მსჯავრდებულმა დაზარალებულს განაცდევინა ფიზიკური ტკივილი. ნ. ბ-შვილმა 2006 წლის ივნისში ტ. ლ-ძეს, შპს «არგოს» კონტროლიორს, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით, კამათის დროს აგინა და მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, ხელი გაართყა მარცხენა მხრის არეში, ფეხსაცმლის წვერით სცემა წვივებში, რითაც მიაყენა ფიზიკური ტკივილი. მანვე გ. თ-ძეს, შპს «არგოს» კონტროლიორს, 2006 წლის თებერვალსა და აპრილში, აგრეთვე 2006 წლის 29 მაისს, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით, კამათის დროს აგინა და მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, ესროლა და შუბლის არეში მორატყა გასაღების აცმა, ფეხსაცმლის წვერით სცემა წვივებში, გულ-მკერდში ესროლა საანგარიშო მანქანა, დაითრია ჯერ ცხვირით, შემდეგ თმით, შემოახია სპეცხალათი, საჯდომზე წიხლის ამორტყმით გამოაგდო სამუშაო ოთახიდან და ა.შ., რითაც მას განაცდევინა ფიზიკური ტკივილი.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ნ. ბ-შვილმა. იგი თავისი საჩივრით ითხოვდა პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის გაუქმებას და მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენას იმ მოტივით, რომ მას არ ჩაუდენია განაჩენით მისთვის შერაცხული ქმედებები.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 7 აგვისტოს განაჩენით მსჯავრდებულ ნ. ბ-შვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის მოტივით, ხოლო სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 4 ივნისის განაჩენი ნ. ბ-შვილის მიმართ დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა ნ. ბ-შვილმა საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. იგი თავისი საჩივრით ითხოვს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 7 აგვისტოს განაჩენის გაუქმებასა და ხელახლა განსახილველად საქმის იმავე სასამართლოში დაბრუნებას იმ მოტივით, რომ მას არ ჩაუდენია განაჩენით მისთვის შერაცხული ქმედება, ხოლო განაჩენი ეფუძნება არასარწმუნო და საპროცესო ნორმების დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებს, შესაბამისად, მის ქმედებას მიეცა არასწორი სამართლებრივი შეფასება და კვალიფიკაცია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ ნ. ბ-შვილის მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორ ნ. ბ-შვილის საკასაციო საჩივარში მითითებულ მოტივებს მისი უსაფუძვლოდ მსჯავრდების თაობაზე. მისი ბრალეულობა დადასტურებულია დაზარალებულებისა და მოწმეების ჩვენებებით, რომლებიც მოპოვებულია წინასწარი და სასამართლო გამოძიების სტადიაზე საპროცესო ნორმების დაცვით. საქმეში არ არსებობს სხვა ისეთი მტკიცებულებები, რომლებითაც გაბათილდებოდა, ანდა ეჭვქვეშ დადგებოდა ნ. ბ-შვილის მიმართ განაჩენით შერაცხული ბრალდება. სააპელაციო სასამართლომ სწორად დააკვალიფიცირა მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი ქმედება და არ არსებობს საფუძველი მისი შეცვლისათვის. რაც შეეხება სასამართლოს მიერ დანიშნულ სასჯელს, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ იგი განსაზღვრულია მსჯავრდებულის პიროვნებისა და მის მიერ ჩადენილი ქმედების სიმძიმის გათვალისწინებით და უნდა ჩაითვალოს სამართლიანად.

მითითებული გარემოებების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა თვლის, რომ საჩივრის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს.

ამავე დროს, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ ნ. ბ-შვილის მიმართ უნდა გავრცელდეს «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის მოქმედება, კერძოდ, აღნიშნული კანონის მე-2 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, მას სასამართლოს განაჩენით დაზარალებულ ს. ს-ძის ეპიზოდში დანიშნული სასჯელი უნდა გაუნახვერდეს და სასჯელის ზომად განესაზღვროს ჯარიმა - 250 ლარის ოდენობით; დაზარალებულ ნ. ბ-შვილის ეპიზოდში დანიშნული სასჯელი მას უნდა გაუნახვერდეს და სასჯელის ზომად განესაზღვროს ჯარიმა - 250 ლარის ოდენობით; დაზარალებულ გ. თ-ძის ეპიზოდში დანიშნული სასჯელი მას უნდა გაუნახვერდეს და სასჯელის ზომად განესაზღვროს ჯარიმა - 250 ლარის ოდენობით; დაზარალებულ ტ. ლ-ძის ეპიზოდში დანიშნული სასჯელი მას უნდა გაუნახვერდეს და სასჯელის ზომად განესაზღვროს ჯარიმა - 250 ლარის ოდენობით, ხოლო საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, სასჯელთა შეკრების წესით, მას საბოლოო სასჯელის ზომად უნდა განესაზღვროს ჯარიმა - 1000 ლარის ოდენობით, იმის გათვალისწინებით, რომ «ამნისტიის შესახებ» იმავე კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ამნისტია არ ვრცელდება უკვე გადახდილ ჯარიმაზე, რომელიც შეფარდებული იყო ძირითადი სასჯელის სახით.

ზემოაღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 7 აგვისტოს განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულ ნ. ბ-შვილის სასიკეთოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ნ. ბ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 7 აგვისტოს განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება: «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების საფუძველზე მსჯავრდებულ ნ. ბ-შვილს სასამართლოს განაჩენით დაზარალებულ ს. ს-ძის ეპიზოდში დანიშნული სასჯელი გაუნახვერდეს და სასჯელის ზომად განესაზღვროს ჯარიმა - 250 ლარის ოდენობით; დაზარალებულ ნ. ბ-შვილის ეპიზოდში დანიშნული სასჯელი გაუნახვერდეს და სასჯელის ზომად განესაზღვროს ჯარიმა - 250 ლარის ოდენობით; დაზარალებულ გ. თ-ძის ეპიზოდში დანიშნული სასჯელი გაუნახვერდეს და სასჯელის ზომად განესაზღვროს ჯარიმა - 250 ლარის ოდენობით; დაზარალებულ ტ. ლ-ძის ეპიზოდში დანიშნული სასჯელი გაუნახვერდეს და სასჯელის ზომად განესაზღვროს ჯარიმა - 250 ლარის ოდენობით, ხოლო საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, სასჯელთა შეკრების წესით, მას საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვროს ჯარიმა - 1000 ლარის ოდენობით, იმის გათვალისწინებით, რომ «ამნისტიის შესახებ» იმავე კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ამნისტია არ ვრცელდება უკვე გადახდილ ჯარიმაზე, რომელიც შეფარდებული იყო ძირითადი სასჯელის სახით.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ცემა

განჩინება

#1417-აპ

16 აპრილი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

**დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),
ზ. მეიშვილი,
მ. ოშხარელი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ შ. ა-იანის დამცველის, ადვოკატ ქ. ი-შვილის საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 13 ივლისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

შ. ა-იანი თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 19 აპრილის განაჩენით მსჯავრდებულ იქნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის «დ» ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით.

განაჩენის მიხედვით, შ. ა-იანს მსჯავრი დაედო ძარცვისათვის, ჩადენილი ისეთი ძალადობით, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის, რაც გამოიხატა შემდეგში: 2006 წლის 1 ნოემბერს, დაახლოებით 6 საათზე, შ. ა-იანი იმყოფებოდა თბილისში, ცენტრალური რკინიგზის სადგურის პირველ სართულზე განთავსებულ საპირფარეოში, სადაც შენიშნა თ. მ-ძე, რომელსაც ყელზე ჰქონდა ოქროს ყელსაბამი. შ. ა-იანმა განიზრახა მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ძალადობის გამოყენებით აშკარად გაეტაცა ხსენებული ყელსაბამი. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად იგი მიუახლოვდა თ. მ-ძეს, ხელი გაართყა სახეში, ჩამოგლიჯა ოქროს ყელსაბამი, რის შემდეგაც ფეხი ჩაართყა მას და შემთხვევის ადგილიდან მიიძალა. მოგვიანებით შ. ა-იანი, დაზარალებულ თ. მ-ძის მითითებით, დააკავეს დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის შინაგან საქმეთა სამმართველოს თანამშრომლებმა.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ შ. ა-იანის დამცველმა, ადვოკატმა ქ. ი-შვილმა, რომელიც საჩივრით ითხოვდა გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებასა და მის ნაცვლად შ. ა-იანის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენას შემდეგი მოტივებიდან გამომდინარე: განაჩენი დაფუძნებულია დაზარალებულის წინააღმდეგობრივ და არაგულწრფელ ჩვენებებზე; დაზარალებულის მიმართვისთანავე პოლიციის თანამშრომლებმა შ. ა-იანი სასწრაფოდ დააკავეს შემთხვევის ადგილზე, მიიყვანეს პოლიციაში და ჩაუტარეს ჩხრეკა, მაგრამ მას არაფერი არ აღმოაჩნდა; დაზარალებულის მხრიდან ადგილი ჰქონდა დანაშაულის პროვოკაციას შ. ა-იანის წინააღმდეგ; განაჩენი არ ემყარება უტყუარ მტკიცებულებებს, არის დაუსაბუთებელი და უკანონო, რის გამოც იგი უნდა გაუქმდეს, ხოლო შ. ა-იანი გამართლდეს წარდგენილ ბრალდებებში.

სააპელაციო საჩივარი განიხილა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ, რომელმაც, არ დააკმაყოფილა რა აღნიშნული საჩივარი, 2007 წლის 13 ივლისის განაჩენით მსჯავრდებულ შ. ა-იანის მიმართ უცვლელად დატოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მიერ გამოტანილი განაჩენი.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულის დამცველმა, ადვოკატმა ქ. ი-შვილმა საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას, რომლითაც იმავე მოტივებით, რაც მას წინათ მითითებული ჰქონდა სააპელაციო საჩივარში, ითხოვს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებასა და მსჯავრდებულ შ. ა-იანის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას, ვინაიდან მიაჩნია, რომ მას არ ჩაუდენია განაჩენით შერაცხული დანაშაული.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ შ. ა-იანის მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრის მოთხოვნის საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის დადგენისას არ დაუცავს საქართველოს კონსტიტუციითა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი მნიშვნელოვანი პრინციპი, რომლის მიხედვით, გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს ერთმანეთთან შეთანხმებულ, უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობას, ხოლო ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს იმ პირის სასარგებლოდ, რომელსაც ბრალი ედებოდა დანაშაულის

ჩადენაში. საქმის მასალების შესწავლით ირკვევა, რომ მასში არ მოიპოვება სარწმუნო მტკიცებულებები იმის დასადასტურებლად, რომ შ. ა-იანმა მომხდარი შემთხვევის დროს ნამდვილად ჩაიდინა მარცვა. ამ ნაწილში სააპელაციო სასამართლოს განაჩენი დაფუძნებულია დაზარალებულ თ. მ-ძის მიერ წინასწარი გამოძიების სტადიაზე და პირველი ინსტანციის სასამართლოში მიცემულ წინააღმდეგობრივ ჩვენებებზე. პირველ ჩვენებაში იგი აღნიშნავს, რომ საპირფარეოში მას შეუვარდა მისთვის უცნობი მამაკაცი, რომელმაც მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, ემუქრებოდა და აიძულებდა სექსუალური კავშირის დამყარებას, რის გამოც შეშინდა და დაჰყვა მის მოთხოვნას. ამის შემდეგ მოძალადემ მას სახეში ხელი გაართყა, ხოლო კისრიდან ჩამოგლიჯა ოქროს ძეწკვი, რის შემდეგაც კიდევ ერთხელ ჩართყა ფეხი. მან მოახერხა მოძალადისაგან თავის დაღწევა და გაიქცა ტუალეტიდან, რათა მომხდარის შესახებ პოლიციისათვის შეეტყობინებინა. სასამართლოში დაზარალებული თ. მ-მე უჩვენებს, რომ როდესაც შევიდა საპირფარეოში, შეჰყვა ნასვამი შ. ა-იანი, რომელმაც ჯერ ფული მოსთხოვა, მერე მისი გაუპატიურება უნდოდა, მან ჯერ სახეში დაართყა, შემდეგ - მუცელში და ბოლოს - ცხვირ-პირში, თვითონ გარეთ გამოვარდა. ამ დროს ტუალეტში მოლარის მეტი არავინ იყო. ბოლოს შ. ა-იანმა ძეწკვი ჩამოგლიჯა. შემდეგ ავიდა ვაგზლის პოლიციის განყოფილებაში. შ. ა-იანს ფულის წართმევა უნდოდა, მაგრამ მას ფული არ ჰქონდა. გამომძიებელმა, როგორც უთხრა, ჩვენება ისე დაწერა. ფული ვაგზლის მეორე სართულზე მოლარესთან ჰქონდა დატოვებული. ინციდენტის შემდეგ შ. ა-იანს ხელში ეჭირა ძეწკვის ნაგლეჯი. მან დაინახა, რომ შ. ა-იანს ხელში ჰქონდა ძეწკვი. არ იცის, რა უნდოდა მისგან შ. ა-იანს. ტუალეტიდან გამოსვლის შემდეგ იგი ეძებდა შ. ა-იანს და დაინახა რა, რომ იგი ქალებს ელაპარაკებოდა, ავიდა პოლიციაში.

ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ მომხდარი შემთხვევიდან ნახევარი საათის შემდეგ მიცემულ ჩვენებაში დაზარალებული თ. მ-მე საერთოდ არ ახსენებს შ. ა-იანის მიერ მისგან ფულის მოთხოვნის ფაქტს, ხოლო, სასამართლოში მიცემული ჩვენების მიხედვით, საერთოდ გაუგებარი ხდება - რა დროს ჩამოგლიჯა მას ოქროს ძეწკვი შ. ა-იანმა, თუკი ასეთს ნამდვილად ჰქონდა ადგილი. ამავე დროს, სასამართლოში მოცემულ საქმეზე მოწმის სახით დაკითხულმა პოლიციის თანამშრომელმა დ. ჩ-იანმა განაცხადა შემდეგი: განყოფილების მორიგესთან მივიდა დაზარალებული, რომელმაც მათ უთხრა, რომ «მოვიდა ა-იანი, ძეწკვი ჩამომგლიჯა და გაიქცა». მოწმე ამის შემდეგ აღნიშნავს, რომ დაზარალებულის მითითებით მივიდნენ შემთხვევის ადგილზე, სადაც საპირფარეოსთან იდგა მთვრალი ა-იანი. პოლიციის თანამშრომლის ეს ჩვენება კიდევ უფრო საეჭვოს ხდის დაზარალებულის ჩვენებების სარწმუნოებას.

როგორც ირკვევა, დაზარალებულის ჩვენების საწინააღმდეგოდ, მომხდარი შემთხვევის შემდეგ შ. ა-იანი არსად გაქცეულა და არ მიმალულა, არამედ ისევ იქ, ფაქტობრივად შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდა, სადაც მომხდარი შემთხვევიდან დაახლოებით 15-20 წუთის შემდეგ იგი დააკავეს, შეიყვანეს პოლიციის განყოფილებაში და გაჩხრიკეს, მაგრამ არაფერი არ აღმოაჩნდა.

აღსანიშნავია შემდეგი ფაქტიც: საბრალდებო დასკვნასა და სააპელაციო სასამართლოს განაჩენში წარმოდგენილი მომხდარი შემთხვევის ფაქტობრივი გარემოებების აღწერა, რაც დადგენილად არის მიჩნეული, აშკარად და არსებითად ეწინააღმდეგება არა მხოლოდ მსჯავრდებულის ჩვენებებს, არამედ თვით დაზარალებულის მიერ წინასწარი გამოძიების სტადიაზე და სასამართლოში მიცემულ ჩვენებებს, აგრეთვე, მოწმის ჩვენებებსაც. ასეთ ვითარებაში გაუგებარია, განაჩენით რატომ იქნა მიჩნეული უდავოდ დადასტურებულად, რომ შ. ა-იანმა ჩაიდინა მარცვა.

სააპელაციო სასამართლო თავის განაჩენში საერთოდ ყურადღების გარეშე ტოვებს დაზარალებულის ჩვენებებში არსებულ წინააღმდეგობებს, აგრეთვე ანალიზისა და ყოველგვარი შეფასების გარეშე ტოვებს სასამართლოში მსჯავრდებულ შ. ა-იანის მიერ მიცემულ ჩვენებას, არ უთითებს, რატომ გაიზიარა დაზარალებულის ჩვენებები და რატომ არ იზიარებს მსჯავრდებულის ჩვენებას. სააპელაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენში მოცემულ დასაბუთებას, მაგრამ არც პირველი ინსტანციის სასამართლო მიუთითებს თავის განაჩენში, თუ რატომ იზიარებს დაზარალებულის ჩვენებას მის მიმართ მარცვის ჩადენის თაობაზე, მაშინ, როდესაც განაჩენში გადმოცემულია განსასჯელის ჩვენების შინაარსი, რომელიც სრულიად სხვაგვარად წარმოაჩენს მომხდარ შემთხვევას.

ერთადერთი, რაც უდავოდ დგინდება დაზარალებულისა და მსჯავრდებულის ჩვენებებით, არის ის, რომ პირადი ხასიათის ნიადაგზე, რაც უკავშირდება თ. მ-ძის არატრადიციულ სექსუალურ ორიენტაციას, განაჩენში მითითებულ დროს თბილისის ვაგზლის ტუალეტში ნამდვილად მოხდა კონფლიქტი მთვრალ შ. ა-იანსა და დაზარალებულ თ. მ-ძეს შორის, რა დროსაც შ. ა-იანმა ხელი გაართყა დაზარალებულ თ. მ-ძეს, რითაც მსჯავრდებულმა ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული - ძალადობა, რამაც დაზარალებულს ფიზიკური ტკივილი მიაყენა, რასაც არ მოჰყოლია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი (ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება).

მაშასადამე, სააპელაციო სასამართლომ შ. ა-იანის ბრალდების საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისას, გარდა იმისა, რომ დაარღვია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლის მესამე - მეოთხე ნაწილებითა და 496-ე მუხლით განსაზღვრული მოთხოვნები, დაუშვა ასევე საქართველოს სსსკ-ის 562-ე მუხლის «ბ» ქვეპუნქტითა და 564-ე მუხლის «ა», «ბ» ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დარღვევა - სისხლის სამართლის კანონის არასწორი გამოყენება, კერძოდ, არ

გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, რაც, მოცემულ შემთხვევაში, განაჩენის შეცვლის საფუძველია.

აღნიშნულის გათვალისწინებით, მსჯავრდებულ შ. ა-იანს უნდა მოეხსნას განაჩენით შერაცხული ბრალდება მის მიერ ძარცვის ჩადენის თაობაზე, ხოლო მისი ქმედება საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის «დ» ქვეპუნქტიდან უნდა გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 125-ე მუხლის პირველ ნაწილზე.

რაც შეეხება სასჯელის ზომას, რომელიც შ. ა-იანს უნდა განესაზღვროს მის მიერ ჩადენილი ქმედებისათვის, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის გარემოება, რომ იგი პირველად არის სამართალში, ხოლო წარსულში ხასიათდება დადებითად, რის გამოც, საკასაციო პალატის აზრით, მას სასჯელად უნდა განესაზღვროს ჯარიმა 10000 ლარის ოდენობით, ხოლო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 62-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, პატიმრობაში მისი ყოფნის ვადის გათვალისწინებით, შ. ა-იანი უნდა გათავისუფლდეს ჯარიმის მოხდისგან, ჩაითვალოს სასჯელმოხდილად და გათავისუფლდეს პატიმრობიდან.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

დ ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ შ. ა-იანის დამცველის, ადვოკატ ქ. ი-შვილის საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 13 ივლისის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება: მსჯავრდებულ შ. ა-იანს მოეხსნას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის «დ» ქვეპუნქტის საფუძველზე შერაცხული ბრალდება, მის მიერ ჩადენილი ქმედება გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 125-ე მუხლის პირველ ნაწილზე და ამ დანაშაულისათვის სასჯელის ზომად განესაზღვროს ჯარიმა 10000 ლარის ოდენობით, ხოლო საქართველოს სსკ-ის 62-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, იგი გათავისუფლდეს აღნიშნული სასჯელის მოხდისგან.

მსჯავრდებულ შ. ა-იანი დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს პატიმრობიდან.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

3. დანაშაული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ

გაუპატიურება

განჩინება

#375-აპ-08

12 ნოემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),

მ. ოშხარელი,

პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ზ. ჯ-ძისა და მისი დამცველი ადვოკატების - მ. ა-ძისა და ვ. კ-იანის საკასაციო საჩივრები ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 9 იანვრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ზ. ჯ-ძე სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 12 ოქტომბრის განაჩენით მსჯავრდებულ იქნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტის, აღნიშნული კოდექსის 151-ე მუხლისა და 178-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა: საქართველოს სსკ-ის 137-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტის საფუძველზე - თავისუფლების აღკვეთა 9 წლის ვადით; საქართველოს სსკ-ის 151-ე მუხლის საფუძველზე - თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით; საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე - თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, აღნიშნული სასჯელები შეიკრიბა და მას საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 13 წლის ვადით.

განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულ ზ. ჯ-ძის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

ზ. ჯ-მე 2007 წლის იანვარში, ზუსტი რიცხვი დაუდგენელია, იმყოფებოდა მეზობლად მცხოვრები თ. ბ-შვილის სახლში, რა დროსაც მისაღებ ოთახში, სადაც ამ უკანასკნელის მეუღლე ზ. ც-აია იმყოფებოდა, ნახა მაგიდაზე დადებული, მისი კუთვნილი, «პანასონიკის» ფირმის მობილური ტელეფონი. მან განიზრახა, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, დაუფლებოდა ზ. ც-აიას კუთვნილ მობილურ ტელეფონს. იგი მივიდა მაგიდასთან და აიღო ტელეფონი, რასაც, ზ. ც-აიას სიტყვიერი წინააღმდეგობის მიუხედავად, აშკარად დაეუფლა. ამის შემდეგ ტელეფონიდან ამოიღო სიმზარათი, ხოლო იგი გაიტაცა, რითაც დაზარალებულს 60 ლარის მატერიალური ზიანი მიაყენა. იმავე დღეს მან გატაცებული ტელეფონი 30 ლარად მიჰყიდა თავის ნაცნობ თ. ბ-იას, რომლისგანაც გამოძიებამ ამოიღო დაზარალებულ ზ. ც-აიას კუთვნილი მობილური ტელეფონი.

2007 წლის მარტში, ზუსტი რიცხვი დაუდგენელია, დაახლოებით 22 საათზე, ზ. ჯ-მე მივიდა თ. ბ-შვილის სახლში, მიიტანა ნახევარლიტრიანი ქილით არაყი და მასპინძელთან ერთად დაიწყო დაღვება. ამის შემდეგ, იმყოფებოდა რა მთვრალი, ზ. ჯ-მემ განიზრახა თ. ბ-შვილის მეუღლის - ზ. ც-აიას გაუპატიურება. ამ მიზნით მან თ. ბ-შვილი მოატყუა და უთხრა, რომ სიმთვრალის გამო არ შეეძლო გადაადგილება და მასთან სახლში დარჩებოდა, რაზედაც თ. ბ-შვილისაგან თანხმობა მიიღო. სუფრის დამთავრების შემდეგ ცოლ-ქმარი ზ. ც-აია და თ. ბ-შვილი თავიანთ საძინებელ ოთახში, ხოლო ზ. ჯ-მე ცალკე ოთახში დაწვა. იმავე ღამეს, 2 საათზე, თავისი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, იგი შევიდა ზ. ც-აიასა და თ. ბ-შვილის საძინებელ ოთახში. ზ. ჯ-მემ ზ. ც-აია ძალის გამოყენებით აიძულა, გვერდით ოთახში გასულიყო და მასთან ძალადობით დაამყარა სქესობრივი კავშირი, რა დროსაც ზ. ც-აია ცდილობდა მისგან განთავისუფლებას, მაგრამ ამავე დროს ცდილობდა, არ გამოეწვია ხმაური, რომ მის მეუღლეს არ გაღვიძებოდა და რაიმე უბედურება არ მომხდარიყო. ამ დანაშაულის ჩადენის შემდეგ ზ. ჯ-მემ იმავე ღამეს დატოვა თ. ბ-შვილის საცხოვრებელი სახლი.

2007 წლის 8 მაისს, საღამოს საათებში, ზ. ჯ-მემ, იმყოფებოდა რა მთვრალი, კვლავ განიზრახა ზ. ც-აიას გაუპატიურება. ამ მიზნით იგი მივიდა თ. ბ-შვილის საცხოვრებელ სახლში, შევიდა ეზოში და ნახა, რომ სახლის კარი საკეტით არ იყო დაკეტილი, გააღო ცოლ-ქმრის საძინებელი ოთახის კარი, გააღვიძა ისინი და დაუწყო მათ ცემა. კერძოდ, თ. ბ-შვილის მიმართ განახორციელა ფიზიკური იძულება - მისი ჯანმრთელობის დაზიანების მუქარით, რითაც საკუთარ თავზე განაცდევინა თავისი ნება-სურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება, აიძულა იგი, საძინებელი ოთახიდან არ გამოსულიყო. ამის შემდეგ მან ზ. ც-აია საწოლიდან ააყენა, გაიყვანა სასადილო ოთახში და კვლავ ძალადობით დაამყარა მასთან სქესობრივი კავშირი.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ზ. ჯ-მემ, რომელიც თავისი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა მის მიმართ სამტრედიის რაიონული სასამართლოს მიერ 2007 წლის 12 ოქტომბერს გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებასა და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის გამოტანას, რასაც ასაბუთებდა იმ მოტივით, რომ მას არც ზ. ც-აიას გაუპატიურება ჩაუდენია და არც მისი მობილური ტელეფონი გაუტაცია, ხოლო ყოველივე ზემოაღნიშნული დაზარალებულმა მოიგონა.

საჩივარი განიხილა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ, რომელმაც 2008 წლის 9 იანვრის განაჩენით არ დააკმაყოფილა აპელანტის მოთხოვნა, ხოლო სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 12 ოქტომბრის განაჩენი მსჯავრდებულ ზ. ჯ-მის მიმართ დატოვა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა ზ. ჯ-მემ და მისმა დამცველებმა, ადვოკატებმა - მ. ა-მემ და ვ. კ-იანმა საკასაციო საჩივრებით მიმართეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

კასატორები თავიანთი საჩივრებით ითხოვენ გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებასა და მსჯავრდებულ ზ. ჯ-მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას იმ საფუძველით, რომ მას არ ჩაუდენია განაჩენით ბრალად შერაცხული ქმედება. ისინი თავიანთ მოთხოვნას აფუძნებენ შემდეგ მოტივებზე: სააპელაციო სასამართლომ ბრალდების მოწმეები ხელახლა დაკითხა საპროცესო ნორმების დარღვევით; არ დაკითხა დაცვის მხარის მიერ დასახელებული მოწმეები; სასამართლო დაეყრდნო მხოლოდ დაზარალებულების - ზ. ც-აიასა და თ. ბ-შვილის წინააღმდეგობრივ ჩვენებებს; განაჩენით დადგენილი არ არის საქმის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ ზ. ჯ-მის მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრების საფუძველიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორების პოზიციას მსჯავრდებულ ზ. ჯ-მის უდანაშაულობის თაობაზე, რადგან საქმეში მოიპოვება საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებების ერთობლიობა, რომლითაც დადასტურებულია, რომ 2007 წლის 8 მაისს, საღამოს საათებში, მან ნამდვილად ჩაიდინა დაზარალებულ ზ. ც-აიას გაუპატიურება, ასევე, დაზარალებულ თ. ბ-შვილის იძულება, რომელსაც მისი ჯანმრთელობის დაზიანების მუქარით, საკუთარ თავზე განაცდევინა თავისი ნება-სურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება. აღნიშნული ბრალდებები დადასტურებულია არამარტო დაზარალებულთა ჩვენებებით, არამედ - ასევე სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნებით, მოწმე ნ. ი-მის

ჩვენებითა და საქმის სხვა მასალებით. განხილულ ფაქტთან დაკავშირებით, დაზარალებულთა ჩვენებები ძირითად და მნიშვნელოვან დეტალებში არ ეწინააღმდეგება ერთმანეთს და შეესაბამება სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნების მონაცემებს.

რაც შეეხება ზ. ჯ-ძის მიმართ წარდგენილ ბრალდებას მის მიერ ძარცვის ჩადენის თაობაზე, უნდა აღინიშნოს, რომ ამ ნაწილში, საკასაციო პალატის აზრით, სასამართლომ არასწორი კვალიფიკაცია მისცა მსჯავრდებულის მიერ ჩადენილ ქმედებას, რადგან სააპელაციო სასამართლოში მიცემულ ჩვენებაში დაზარალებული ზ. ც-აია აღნიშნავს, რომ მას მობილური ტელეფონი არაერთხელ უთხოვებია ზ. ჯ-ძისათვის, რომელიც ყოველთვის უბრუნებდა. როდესაც ზ. ჯ-ძემ 2007 წლის იანვრის ბოლოს წაიღო აღნიშნული ტელეფონი, მას წინააღმდეგობა არ გაუწევია, რადგან იფიქრა, რომ ისევ დააბრუნებდა, რადგან ზ. ჯ-ძემ, ტელეფონის წაღებისას მას უთხრა - მჭირდება და მერე მოგიტანო, მაგრამ, ამჯერად, მან ტელეფონი აღარ დაუბრუნა. აღსანიშნავია, რომ დაზარალებულის კუთვნილი მობილური ტელეფონის წაღებასა და შემდეგ მისი გაყიდვის ფაქტს თვით ზ. ჯ-ძემ აღიარებს, რაც ასევე დადასტურებულია მოწმე თ. ბ-იას ჩვენებით. მამასადამე, მტკიცებულებები იმაზე მიუთითებს, რომ ზ. ჯ-ძემ ისარგებლა დაზარალებულ ზ. ც-აიას ნდობით, და იგი მოატყუა, რომ ტელეფონს დაუბრუნებდა, სინამდვილეში კი იგი მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრა და მიჰყიდა მესამე პირს. აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატის მიაჩნია, რომ დაზარალებულ ზ. ც-აიას კუთვნილი მოძრავი ნივთის დასაუფლებლად ზ. ჯ-ძემ ჩაიდინა თაღლითობა, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის პირველი ნაწილით, შესაბამისად, უნდა შეიცვალოს ზ. ჯ-ძის მიერ ჩადენილი ქმედების კვალიფიკაცია.

ამასთან ერთად, საკასაციო პალატა არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს განაჩენში მოცემულ დასკვნას მსჯავრდებულ ზ. ჯ-ძის მიერ დაზარალებულ ზ. ც-აიას გაუპატიურების არაერთგზის ჩადენის თაობაზე, რადგან, მართალია, თვით დაზარალებული თავის ჩვენებებში მიუთითებს, რომ ზ. ჯ-ძემ იგი 2007 წლის მარტშიც გააუპატიურა, მაგრამ ამ ეპიზოდთან დაკავშირებით საქმეში, გარდა დაზარალებულის ხსენებული განცხადებისა, სხვა სარწმუნო და რეალური მტკიცებულება არ მოიპოვება, რის გამოც ბრალდება ამ ნაწილში ვერ იქნება მიჩნეული დადასტურებულად, ამიტომ მსჯავრდებულ ზ. ჯ-ძის ქმედება გაუპატიურების ნაწილში უნდა გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 137-ე მუხლის პირველ ნაწილზე.

მსჯავრდებულ ზ. ჯ-ძეს საბოლოო სასჯელი უნდა განესაზღვროს პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენით დადგენილ იმ გარემოებათა გათვალისწინებით, რომლებითაც ხასათდება მის მიერ ჩადენილი ქმედების სიმძიმე და თვით მსჯავრდებულის პიროვნება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 9 იანვრის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილებები მსჯავრდებულ ზ. ჯ-ძის სასიკეთოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ზ. ჯ-ძისა და მისი დამცველი ადვოკატების - მ. ა-ძისა და ვ. კ-იანის საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 9 იანვრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილებები: მსჯავრდებულ ზ. ჯ-ძის ქმედება საქართველოს სსკ-ის 137-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 137-ე მუხლის პირველ ნაწილზე და ამ ნაწილში მას სასჯელის ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით; მისივე ქმედება საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის პირველ ნაწილზე და ამ ნაწილში მას სასჯელის ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით. აღნიშნული სასჯელები, საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, შეიკრიბოს ზ. ჯ-ძის მიმართ განაჩენით საქართველოს სსკ-ის 150-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე დანიშნულ სასჯელთან ერთად და მსჯავრდებულ ზ. ჯ-ძეს საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 8 წლის ვადით.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თავისუფლების უკანონო აღკვეთა

გაუპატიურების მცდელობა

განჩინება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- მ. ოშარელი (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- ი. ტყემელაშვილი**

ზევირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ი. ც-მის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 6 მაისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 25 დეკემბრის განაჩენით:

ი. ც-მე ადრე ნასამართლევი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით - 9 წლით თავისუფლების აღკვეთა, 143-ე მუხლის მესამე ნაწილის «დ» და «ე» ქვეპუნქტებით - 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, მე-19,137-ე მუხლის მეხუთე ნაწილით - 16 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილისა და ამავე კოდექსის 50-ე მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, დანაშაულთა ერთობლიობით საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 30 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მეხუთე ნაწილის შესაბამისად, ახლად დანიშნულ სასჯელს მთლიანად დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 2 წელი და ი. ც-მეს საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვრა 32 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2007 წლის 22 ივლისიდან.

განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულ ი. ც-მის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

2007 წლის 21 ივლისს, დაახლოებით 18:00 საათზე, ი. ც-მემ ქ. თბილისში, ... #34-ე კორპუსის სადარბაზოს კიბეებზე, დანის გამოყენებით, სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის მუქარით, მცირეწლოვან თ. შ-იას მოსთხოვა მობილური ტელეფონი და ფული, რაზედაც მან განუცხადა, რომ ჰქონდა მობილური ტელეფონი და არც ფული, ამის შემდეგ ი. ც-მემ განიზრახა მცირეწლოვან თ. შ-იას გაუპატიურება და ამ მიზნით მან, დაზარალებულის ნების საწინააღმდეგოდ, უკანონოდ აღუკვეთა თავისუფლება, ფსიქიკური ზემოქმედებისა და დანის გამოყენების მუქარით გაიყვანა მცირეწლოვანი თ. შ-ია სადარბაზოდან და მიიყვანა ... II მ/რაიონის ტერიტორიაზე მდებარე საცხოვრებელი კორპუსის სხვენზე. ი. ც-მემ ძალის გამოყენებით გახადა თ. შ-იას ტანისამოსი, რის შემდეგაც ხელი წაავლებინა თავის სასქესო ორგანოზე, ხოლო შემდეგ შეეცადა მის გაუპატიურებას, მაგრამ თ. შ-იას მხრიდან გაწეული აქტიური წინააღმდეგობისა და ხმაურის გამო ვერ შეძლო განზრახვის სისრულეში მოყვანა.

აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 6 მაისის განაჩენით დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებული ი. ც-მე საკასაციო საჩივრით ითხოვს მის მიმართ გამოტანილ გამამტყუნებელ განაჩენში ცვლილების შეტანას, კერძოდ: საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით, 143-ე მუხლის მესამე ნაწილის «დ» და «ე» ქვეპუნქტებით, მე-19,137-ე მუხლის მეხუთე ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში გამართლებას; მის მიერ ჩადენილი ქმედების დაკვალიფიცირებას საქართველოს სსკ-ის 141-ე მუხლით. კასატორის მოსაზრებით, განაჩენი არის უკანონო და დაუსაბუთებელი; მას არ ჩაუდენია მასზე ბრალად შერაცხული ქმედებები, მან ჩაიდინა გარყვნილი ქმედება, რომელიც არ გულისხმობს სქესობრივი აქტის განხორციელებას; კასატორი თავს არ ცნობს დამნაშავედ არც ყაჩაღობის ჩადენაში; არის უდანაშაულო, ჰყავს მართლხელა დედა და არის ოჯახის ერთადერთი მარჩენალი.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში არსებული მტკიცებულებებით: მსჯავრდებულ ი. ც-მის ჩვენებებით, მცირეწლოვანი დაზარალებულის - თ. შ-იას ჩვენებებით, მოწმეების - ნ. თ-იას, მ. ღ-ურის, ნ. მ-შვილის, ნ. მ-შვილის ჩვენებებით, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის, სასამართლო-ქიმიური და ტრასოლოგიური ექსპერტიზების დასკვნებით, დაკავებისა და პირადი ჩხრეკის, ამოღების, პირის ამოსაცნობად წარდგენის ოქმებით, რა დროსაც მცირეწლოვანმა დაზარალებულმა თ. შ-იამ ამოიცნო და დანაშაულებრივ ქმედებაში ამხილა მსჯავრდებული ი. ც-მე, ამოცნობის ამსახველი ვიდეოჩანაწერის ნივთმტკიცებად ცნობილი და საქმეზე დართული დისკით, ბინის ჩხრეკისა და ამოღების ოქმით, ჩატარებული საგამომიებო მოქმედებების კანონიერად ცნობის შესახებ მოსამართლის დადგენილებით უტყუარად არის

დადასტურებული მსჯავრდებულ ი. ც-ძის მიერ არასრულწლოვანი დაზარალებულის - თ. შ-იას გაუპატიურების მცდელობისა და მისთვის თავისუფლების უკანონოდ აღკვეთის ფაქტი.

საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძვლად დაედება განაჩენის გაუქმებას.

ამასთან, საკასაციო პალატა თვლის, რომ მსჯავრდებულ ი. ც-ძის ქმედებაში არ დასტურდება ყაჩაღობის ჩადენის ფაქტი, კერძოდ: განაჩენი ამ ნაწილში ეყრდნობა მხოლოდ მცირეწლოვანი დაზარალებულის - თ. შ-იას ჩვენებას, რომლის თანახმად, მსჯავრდებულ ი. ც-ძე მას დანით დაემუქრა, მოსთხოვა მობილური ტელეფონი და ფული, რაზედაც განუცხადა, რომ არ ჰქონდა. ამის შემდეგ მსჯავრდებულ ი. ც-ძეს მისთვის არაფერი უთქვამს, მერე კი უთხრა, რომ წაპყლოდა. სხვა რაიმე უტყუარი მტკიცებულება, რაც მიანიშნებს მსჯავრდებულ ი. ც-ძის მხრიდან ყაჩაღობის ფაქტზე, ბრალდების მხარეს არ წარმოუდგენია და არც პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოებს გამოუკვლევიათ.

საქართველოს სსსკ-ის 496-ე მუხლის მესამე ნაწილისა და 508-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, განაჩენში ჩამოყალიბებული ყველა დასკვნა დასაბუთებული უნდა იყოს. გამამტყუნებელ განაჩენში აღნიშნული უნდა იყოს უტყუარი და საკმარისი მტკიცებულებები, რომლებსაც ემყარება სასამართლოს დასკვნა. საქართველოს სსსკ-ის 132-ე მუხლის V ნაწილის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისათვის საჭიროა ეჭვის გამომრიცხავ, შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა. საქართველოს სსსკ-ის მე-10 მუხლის თანახმად კი, ყოველგვარი ეჭვი, რომელიც არ დასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ეჭმიტანილისა და ბრალდებულის სასარგებლოდ.

ამდენად, კანონის აღნიშნულ მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, სააპელაციო სასამართლომ განაჩენში არ დაასაბუთა, მცირეწლოვანი დაზარალებულის - თ. შ-იას ჩვენების გარდა, რა მტკიცებულებებზე დაყრდნობით მიიჩნია დადასტურებულად მსჯავრდებულის ქმედებაში ყაჩაღობის ჩადენის ფაქტი.

საკასაციო პალატა თვლის, რომ მხოლოდ მცირეწლოვან დაზარალებულ თ. შ-იას ჩვენება, როდესაც საქმეში არ არსებობს ბრალდების ამ ეპიზოდში სხვა უტყუარი და საკმარისი მტკიცებულებები, რაც დაზარალებულის ჩვენების უტყუარობის შემოწმების საშუალებას მოგვცემს, არ არის საკმარისი მტკიცებულება იმისათვის, რომ პირი დამნაშავედ იქნეს ცნობილი მსჯავრდების ამ ეპიზოდში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ ი. ც-ძეს უნდა მოეხსნას საქართველოს სსსკ-ის 179-ე მუხლის III ნაწილის «ა» ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდება და ამ ეპიზოდში შეწყდეს სისხლის სამართლებრივი დევნა, კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 6 მაისის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

მსჯავრდებულ ი. ც-ძეს მოეხსნას საქართველოს სსსკ-ის 179-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდება და ამ ნაწილში მის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა, სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო.

მსჯავრდებულ ი. ც-ძეს საქართველოს სსსკ-ის 143-ე მუხლის მესამე ნაწილის «დ», «ე» ქვეპუნქტებით, მე-19, 137-ე მუხლის მეხუთე ნაწილით მიესაჯოს 24 წლით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაემატოს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 2 წელი და მსჯავრდებულ ი. ც-ძეს საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვროს 26 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედება

განჩინება

#606-აპ

20 ოქტომბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),

**ლ. მურუსიძე,
დ. სულაქველიძე**

განიხილა მსჯავრდებულ მ. მ-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 13 თებერვლის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 4 დეკემბრის განაჩენით მ. მ-შვილი ადრე ნასამართლევი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 138-ე მუხლის მესამე ნაწილის «გ» ქვეპუნქტით და მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა, რასაც სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი და საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 15 წლით, 5 თვითა და 5 დღით თავისუფლების აღკვეთა. მ. მ-შვილს სასჯელის მოხდა დაეწყო 2007 წლის 4 დეკემბრიდან.

აღნიშნული გამოიხატა შემდეგში:

2006 წლის 26 ივლისს მ. მ-შვილმა და გამოძიებით დაუდგენელმა პირმა თბილისში, მეტროს სადგურ „რუსთაველთან» გაიციეს მ. ტ-ძე და დაპატიჟეს ბარში, რაზეც იგი დასთანხმდა. მ. მ-შვილმა და მისმა თანმხლებმა გააჩერეს ტაქსი და მ. ტ-ძესთან ერთად გაემართნენ ილია ჭავჭავაძის გამზირის მიმართულებით. საუბრისას მ. მ-შვილმა და დაუდგენელმა პირმა სთხოვეს მ. ტ-ძეს, რომ წაჰყოლოდა ოფისში, სადაც მათ უნდა აეღოთ ფული. სამივე მათგანი მივიდა თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზირზე არსებულ „ფალავანთა კლუბთან», შევიდნენ დარბაზში, რა დროსაც მ. ტ-ძე აღმოჩნდა რა იზოლირებული და იგრძნო საშიშროება, დაიწყო ტირილი და კუთვნილი მობილური ტელეფონის საშუალებით შეეცადა დასახმარებლად მოხმობას, მაგრამ დარბაზში მყოფმა მოვარჯიშე პირმა მას ძალის გამოყენებით ხელიდან გამოსტაცა მობილური ტელეფონი, ხოლო მ. მ-შვილმა მ. ტ-ძეს ააფარა პირზე ხელი, იძულებით აიყვანა მეორე სართულზე და შესთავაზა სქესობრივი კავშირის დამყარება, რაზედაც უარი მიიღო. მ. ტ-ძემ უთხრა მ. მ-შვილსა და დაუდგენელ პირს, რომ იგი იყო ქალიშვილი და მოსთხოვა გაენებებინათ მისთვის თავი. აღნიშნულის მიუხედავად, გამოძიებით დაუდგენელმა პირმა ძალის გამოყენებით გახადა მასური, შარვალი, ქვედა საცვალი და გაუკულმართებული ფორმით, უკანა ტანიდან დაამყარა მასთან სქესობრივი კავშირი, რაც გრძელდებოდა დაახლოებით 3 წუთის განმავლობაში, რის შემდეგაც მ. ტ-ძემ ტირილით ჩაიგვა ტანსაცმელი. ამ დროს ოთახში შევიდა მ. მ-შვილი და მანაც განიზრახა მ. ტ-ძესთან ძალის გამოყენებით სქესობრივი კავშირის დამყარება. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, ფიზიკური ძალის გამოყენებით, მ-შვილმა გახადა მასური, შარვალი, ქვედა საცვალი, რის შემდეგაც მასთან, ამ უკანასკნელის ნების საწინააღმდეგოდ, დაამყარა სქესობრივი კავშირი გაუკულმართებული ფორმით, უკანა ტანიდან. ამ დროის განმავლობაში მ. ტ-ძე ითხოვდა თავის დანებებას და ძალადობის შეწყვეტას, მაგრამ მ. მ-შვილმა ფიზიკური ძალადობის გამოყენებით, მ. ტ-ძის ნების საწინააღმდეგოდ, უკანა ტანიდან რამდენჯერმე დაამყარა სქესობრივი კონტაქტი მ. ტ-ძესთან გაუკულმართებული ფორმით. ყოველივე აღნიშნულის შემდეგ მ. ტ-ძე, მ. მ-შვილი და გამოძიებით დაუდგენელი ორი პირი გავიდნენ „ფალავანთა კლუბიდან». მ. ტ-ძე ტაქსით, მისივე მოთხოვნით, მიიყვანეს ილია ჭავჭავაძის გამზირზე არსებულ თსუ-ს V კორპუსთან, სადაც მან გადაწყვიტა მიემართა პოლიციისათვის.

აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა მ. მ-შვილმა. იგი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა გამამართლებელი განაჩენის დადგენას იმ მოტივით, რომ მას აღნიშნული დანაშაული არ ჩაუდენია, ვინაიდან დანაშაულის ჩადენის დღეს იმყოფებოდა თელავში. საქმის განხილვისას მსჯავრდებულის ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა ასევე ალტერნატივის სახით მოითხოვეს მ. მ-შვილის ქმედების დაკვალიფიცირება სსკ-ის 138-ე მუხლის პირველი ნაწილით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 13 თებერვლის განაჩენით არ დაკმაყოფილდა სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებული მ. მ-შვილი საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და საქმის დაბრუნებას ახალი სასამართლო განხილვისათვის იმ მოტივით, რომ განაჩენი არის უკანონო და დაუსაბუთებელი; სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა ცალმხრივად და არ მიეცა საშუალება, დაემტკიცებინა თავისი უდანაშაულობა. საქმეზე არსებობს ვიდეოფირი, სადაც დაფიქსირებულია, რომ იგი დაზარალებულის მიერ მითითებული დანაშაულის ჩადენის დროს იმყოფებოდა ნათლობაზე.

საკასაციო პალატის სხდომაზე პროკურორმა ლ. ყ-ანმა ვრცლად მიმოიხილა საქმის მასალები და იშუამდგომლა განაჩენის უცვლელად დატოვება.

საკასაციო პალატის სხდომაზე მსჯავრდებულ მ. მ-შვილის ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა - მ. პ-შვილმა და ლ. ჩ-შვილმა ვრცლად მიმოიხილეს საქმის მასალები, მათ მხარი დაუჭირეს წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის მოთხოვნას და იშუამდგომლეს განაჩენის გაუქმება და საქმის დაბრუნება ახალი სასამართლო განხილვისათვის ან ალტერნატივის სახით - მ. მ-შვილის ქმედების დაკვალიფიცირება სსკ-ის 138-ე მუხლის პირველი ნაწილით, რასაც დაეთანხმა თავად მსჯავრდებული.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, მოისმინა მხარეთა პოზიცია, გაანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივრის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში არსებული მასალებით, დაზარალებულ მ. ტ-მის ჩვენებით, პირის ამოსაცნობად წარდგენისა და შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმებით, ბიოლოგიური, ქიმიური ექსპერტიზების დასკვნებითა და სხვა მტკიცებულებებით უდავოდ დადგენილია განაჩენში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები.

ამასთან, საკასაციო პალატა არ ეთანხმება მსჯავრდებულ მ. მ-შვილის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების კვალიფიკაციას საქართველოს სსკ-ის 138-ე მუხლის მესამე ნაწილის «გ» ქვეპუნქტით – სექსუალური კონტაქტი გაუკუღმართებული ფორმით, ჩადენილი ჯგუფურად.

საკასაციო პალატა თვლის, რომ საქართველოს სსკ-ის 138-ე მუხლის მესამე ნაწილის «გ» ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქმედების ჩადენის დროს აუცილებელია, რომ უშუალოდ სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედების განხორციელებაში მონაწილეობდეს ორი ამსრულებელი მაინც. ამ ქმედების ამსრულებლად ჩათვლება ის პირი, ვინც საქართველოს სსკ-ის 138-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შემადგენლობის ნაწილს მაინც ასრულებს. სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედების ჯგუფურ თანაამსრულებლად ჩათვლება პირი, ვინც დაზარალებულის მიმართ ახორციელებს ძალადობას ან მუქარას და ამით უადვილებს მეორე პირს, სქესობრივი კავშირი დაიჭიროს მასთან.

საბრალდებო დასკვნითა და განაჩენის მიხედვით, მ. მ-შვილმა ჯგუფურად სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედება ჩაიდინა შემდეგ გარემოებებში: ჯერ გამოძიებით დაუდგენელმა პირმა ძალის გამოყენებით, გაუკუღმართებული ფორმით დაამყარა მ. ტ-მესთან სქესობრივი კავშირი, რაც გრძელდებოდა დაახლოებით 3 წუთის განმავლობაში, რის შემდეგაც მ. ტ-მემ ტირილით ჩაიკვამიტანა. ამ დროს ოთახში შევიდა მ. მ-შვილი და მანაც განიზრახა მ. ტ-მესთან ძალის გამოყენებით სქესობრივი კავშირის დამყარება. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, ფიზიკური ძალის გამოყენებით, მ. მ-შვილმა, მ. ტ-მის ნების საწინააღმდეგოდ, დაამყარა სქესობრივი კავშირი გაუკუღმართებული ფორმით.

ამდენად, მ. მ-შვილმა და მასთან მყოფმა გამოძიებით დაუდგენელმა პირმა ერთმანეთის დახმარების გარეშე, დამოუკიდებლად განახორციელეს მ. ტ-მის მიმართ ძალმომრეობითი მოქმედება, რაც გვაძლევს მხოლოდ საქართველოს სსკ-ის 138-ე მუხლის პირველი ნაწილის შემადგენლობას, რითაც უნდა დაკვალიფიცირდეს მ. მ-შვილის მიერ ჩადენილი ქმედება.

რაც შეეხება სასჯელს, საკასაციო პალატა ითვალისწინებს რა მ. მ-შვილის მიერ ჩადენილი დანაშაულის მოტივსა და მიზანს, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს, კერძოდ, იგი ნასამართლევა, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოება არ გააჩნია, მიიჩნევს, რომ მას უნდა მიესაჯოს 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რასაც უნდა დაემატოს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 5 წელი, 5 თვე, 5 დღე და საბოლოოდ მას მოსახდელად უნდა განესაზღვროს 10 წლით, 5 თვითა და 5 დღით თავისუფლების აღკვეთა.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა», «დ» ქვეპუნქტებით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ მ. მ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 13 თებერვლის განაჩენში შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

მსჯავრდებულ მ. მ-შვილის მიერ ჩადენილი ქმედება საქართველოს სსკ-ის 138-ე მუხლის მესამე ნაწილის «გ» ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 138-ე მუხლის პირველ ნაწილზე და მიესაჯოს 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაემატოს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 5 წელი, 5 თვე, 5 დღე და საბოლოოდ მას მოსახდელად განესაზღვროს 10 წლით, 5 თვითა და 5 დღით თავისუფლების აღკვეთა. მ. მ-შვილს სასჯელის მოხდა დაეწყოს 2007 წლის 4 დეკემბრიდან.

საკასაციო პალატაში დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი ვიდეოფირი დაუბრუნდეს თავის კანონიერ მფლობელს.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება თექვსმეტი წლის ასაკს მიულწევლთან

განჩინება

#1114-აპ

25 იანვარი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

**ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),
დ. სულაქველიძე,
მ. ოშხარელი**

განიხილა მსჯავრდებულ ლ. ა-შვილის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ვ. ბ-შვილის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 18 აპრილის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

საბრალდებო დასკვნით ლ. ა-შვილს ნასამართლევს ბრალი დაედო საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით, 171-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და 138-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით იმაში, რომ ჩაიდინა თავისუფლების უკანონო აღკვეთა სხვა დანაშაულის ჩადენის გაადვილების მიზნით, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით, წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ; ასევე - არასრულწლოვნის დაყოლიება ანტისაზოგადოებრივ ქმედებაზე; ასევე - სექსუალური კონტაქტი გაუკუღმართებული ფორმით, ჩადენილი ძალადობითა და ძალადობის მუქარით დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ, რაც გამოიხატა შემდეგში:

2006 წლის 30 აგვისტოს, დაახლოებით 22 საათზე, მთვრალი ლ. ა-შვილი თბილისში, ვაგზლის მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე შეხვდა თავის არასრულწლოვან თანასოფელს, 1992 წელის გ. ო-შვილს. ლ. ა-შვილმა განიზრახა, თავისი სექსუალური ჟინი დაეკმაყოფილებინა არასრულწლოვან გ. ო-შვილთან გაუკუღმართებული ფორმით (ორალური გზით) სექსუალური კონტაქტის დამყარებით, მაგრამ, დარწმუნებულმა იმაში, რომ ასეთზე თავად არასრულწლოვანი არ დასთანხმდებოდა, ხოლო ისეთ ხალხმრავალ ადგილზე, როგორც ვაგზლის მოედანია, ძალადობას ვერ გამოიყენებდა, განიზრახა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ასეთის მუქარით გ. ო-შვილისათვის თავისუფლება უკანონოდ აღკვეთა, მატარებლით ბათუმში წაეყვანა, გზაში დაეთრო და ხელსაყრელ შემთხვევაში ძალადობითა და ასეთის მუქარით, გაუკუღმართებული ფორმით მასთან სექსუალური კონტაქტი დაემყარებინა.

განზრახვის სისრულეში მოსაყვანად ლ. ა-შვილმა გ. ო-შვილს მკლავში მოჰკიდა ხელი, არ მისცა საშუალება, სურვილისამებრ გადაადგილებულიყო, სცემა სახის არემი, დაემუქრა მოკვლით და, წინააღმდეგობადათრგუნვილი და შეშინებული, ძალით ჩასვა თბილისი-ბათუმის სამგზავრო მატარებელში.

მატარებლით ქ. ბათუმის მიმართულებით მგზავრობისას ლ. ა-შვილმა მოსთხოვა არასრულწლოვან, თავისუფლებადაკვეთილ გ. ო-შვილს წინასწარ შეძენილი არყის დალევა, დაიყოლია ალკოჰოლური სასმელის მიღებაზე, ანუ ანტისაზოგადოებრივ ქმედებაზე და დაათრო იგი.

ზესტაფონის რაიონის ტერიტორიაზე მოძრაობისას, როდესაც კუპეში მათთან ერთად მყოფ თ. კ-მეს ეძინა, ხოლო გ. ფ-მე პირადი საჭიროებისათვის გარეთ იყო, ლ. ა-შვილმა განზრახვის სისრულეში მოსაყვანად არასრულწლოვან გ. ო-შვილს მოსთხოვა გაუკუღმართებული ფორმით - ორალური გზით სექსობრივი კავშირის დამყარება, მაგრამ მიიღო უარი, ამიტომ რამდენჯერმე გაარტყა ხელი დაზარალებულს და მოკვლის მუქარით აიძულა გ. ო-შვილი, მისი სასქესო ორგანო პირში ჩაედო და სექსუალური ხასიათის მოძრაობები შეესრულებინა. აღნიშნული შენიშნა მოულოდნელად გაღვიძებულმა თ. კ-მემ, რის შემდეგაც ლ. ა-შვილი პოლიციის მუშაკებმა დააკავეს.

ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 15 თებერვლის განაჩენით ლ. ა-შვილი გამართლდა საქართველოს სსკ-ის 171-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 138-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ და მე-3 ნაწილის „დ“, „ე“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში; იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 140-ე მუხლით იმაში, რომ ჩაიდინა სექსობრივი კავშირი გაუკუღმართებული ფორმით დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვანთან - თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწეველთან და მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყო 2006 წლის 31 აგვისტოდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ზესტაფონის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ზ. ბ-მემ და მსჯავრდებულის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ა. ვ-მემ.

პროკურორმა სააპელაციო საჩივრით ითხოვა რაიონული სასამართლოს განაჩენის გაუქმება, ლ. ა-შვილისათვის საბრალდებო დასკვნით წარდგენილი მუხლებით საბოლოოდ 20 წლით თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრა, ხოლო ადვოკატმა ა. ვ-მემ - განაჩენის გაუქმება და ლ. ა-შვილის გამართლება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 18 აპრილის განაჩენით ადვოკატ ა. ვ-ძის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო პროკურორ ზ. ბ-ძის საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: ლ. ა-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ« ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილის „დ« და „ე« ქვეპუნქტებით, 138-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ« ქვეპუნქტით და საბოლოოდ მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 18 წლის ვადით.

კასატორი - მსჯავრდებულის ინტერესების დამცველი, ადვოკატი ვ. ბ-შვილი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ დაზარალებული იძლევა არაობიექტურ, ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებებს; არ არის სარწმუნო, რომ, თითქოს, მას უკანონოდ ჰქონდა თავისუფლება აღკვეთილი, რადგან მოწმეებმა - თ. კ-ძემ, გ. ფ-ძემ, მ. ქ-იამ, რ. გ-უამ და ი. თ-შვილმა აჩვენეს, რომ ასეთი ფაქტი რომ მომხდარიყო, გ. თ-შვილს შეეძლო, მიემართა პოლიციისათვის ან გაქცეულიყო; ერთმანეთს არ ემთხვევა დაზარალებულისა და მოწმე თ. კ-ძის ჩვენებები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ მოხდა სექსუალური კონტაქტი ლ. ა-შვილსა და გ. თ-შვილს შორის, მაშინ, როდესაც მოწმისა და მსჯავრდებულის ჩვენებები დაახლოებით ერთნაირია.

ადვოკატის აზრით, არ არის დადგენილი საქმის ფაქტობრივი გარემოებები, არ დასტურდება მსჯავრდებულის მიერ არასრულწლოვნის მიმართ სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი ქმედების ჩადენის ეპიზოდი, რადგან ლ. ა-შვილსა და გ. თ-შვილს შორის სექსუალური აქტი იყო ნებაყოფლობითი, ყოველგვარი ძალადობის გარეშე, რის გამოც ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და მსჯავრდებულის გამართლებას ან საქმის დაბრუნებას იმავე სასამართლოში ხელახლა განსახილველად.

საკასაციო პალატის სხდომაზე ადვოკატმა ლ. ბ-შვილმა მოითხოვა ლ. ა-შვილის მიმართ საქმის შეწყვეტა იმ მოტივით, რომ მას გ. თ-შვილისათვის თავისუფლება არ აღუკვეთავს და სექსუალურ კონტაქტს არც ნებაყოფლობით და არც იძულებით არ მომხდარა.

თავისი ადვოკატის მოთხოვნას დაეთანხმა მსჯავრდებულის ლ. ა-შვილი.

დაზარალებულ გ. თ-შვილის ადვოკატმა თ. გ-ძემ მოითხოვა გასაჩივრებული განაჩენის უცვლელად დატოვება იმ მოტივით, რომ წინასწარი და სასამართლო გამოძიებისას მოპოვებული მტკიცებულებებით მთლიანად დადასტურებულია ლ. ა-შვილის მიერ მისთვის ბრალად შერაცხული ქმედებების ჩადენა.

სახელმწიფო ბრალმძებელმა ლ. ყ-იანმა საჩივარს მხარი არ დაუჭირა და იშუამდგომლა გასაჩივრებული განაჩენის უცვლელად დატოვების შესახებ იმ მოტივით, რომ დაზარალებულის ჩვენებებში საქმის არსებითი ფაქტობრივი გარემოებები თანმიმდევრულადაა ჩამოყალიბებული და ყველა დაკითხვისას იგი სწორედ ამ არსებით გარემოებებს მიუთითებს. მატარებლის გამცილებლებისა და პოლიციის თანამშრომლების განმარტებით, მათ თ. კ-ძემ უთხრა, რომ ლ. ა-შვილი გ. თ-შვილს აუპატიურებდა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის წინასწარი და სასამართლო გამოძიებისას მოწმე გ. ფ-ძემ განაცხადა, რომ ლ. ა-შვილთან ერთად რკინიგზის სადგურზე დალია არაყი და დათვრნენ. გადაწყვიტეს 3-4 დღით ბათუმში დასვენება და ლ-მ იყიდა მატარებლის ბილეთები. იქვე მივიდა მათი თანასოფლელი გ. თ-შვილი, რომელმაც ლ. ა-შვილი გადაკოცნა და «ძალიან შინაურულად მოიკითხა». როდესაც გ. თ-შვილმა გაიგო, რომ ბათუმში მიდიოდნენ, თქვა - მეც გამოგყვებით, ბილეთი უკვე ნაყიდი მაქვსო. გ. ფ-ძემ მიუთითა, რომ გ. თ-შვილის სიტამამე არ მოეწონა და უთხრა, სახლში წასულიყო. გ. თ-შვილმა გადაჭრით უპასუხა, რომ მათ გაყვებოდა. ამ უკანასკნელს ჰქონდა სათამაშო პისტოლეტი, რომელიც ძალიან ჰგავდა ნამდვილს. მოწმის განცხადებით, არ იცის, როგორ მოხვდა მათ კუპეში გ. თ-შვილი, შესაძლოა ბილეთი გაცვალა. მან და ლ. ა-შვილმა დაიწყეს არყის და ლუდის სმა, გ. თ-შვილიც მათთან სვამდა, რაზეც გ. ფ-ძემ უსაყვედურა, მაგრამ გ. თ-შვილმა უპასუხა - რა მოხდა, პატარა ხომ არ ვარო. ამასობაში კუპეში შევიდა მეოთხე მგზავრი - თ. კ-ძე და მას შესთავაზეს არყის დაღვება, რაზეც უარი თქვა და ზედა საწოლზე მოთავსდა. ლ. ა-შვილს დაემინა. მას გ. თ-შვილი აღვიძებდა - ადექი არაყი დავლიოთო, მაგრამ ვერ გააღვიძა, რადგან ლ. ა-შვილი ძლიერ მთვრალი იყო. გ. ფ-ძე საპირფარეოში გავიდა, დაბრუნდა 10-15 წუთში და დაინახა, რომ ლ. ა-შვილსა და გ. თ-შვილს ოთხი პირი სცემდა, მათ შორის - თ. კ-ძე. იკითხა, რა ხდებოდა, რაზეც ლ.-მ და გ.-მ უპასუხეს, რომ არ იცოდნენ. იქ მყოფებმა გ. ფ-ძეზე თქვეს - ესეც ამათთან არისო და მასაც დაუწყეს ცემა. შემდეგ თ. კ-ძემ თქვა - ეს არაფერ შუაშიაო და თავი დაანებეს. გ. ფ-ძემ აღნიშნა, რომ გ. თ-შვილი 7 წლის ასაკიდან იზრდებოდა რკინიგზის სადგურზე, მოხეტიალე და მატყუარაა და «მისგან ყველაფერი მოსალოდნელი».

მოწმე თ. კ-ძემ სასამართლოს განუმარტა, რომ მგზავრობდა მატარებლით და მასთან ერთად კუპეში იმყოფებოდნენ ლ. ა-შვილი, გ. ფ-ძე და გ. თ-შვილი. მათ ერთმანეთთან ჰქონდათ თბილი ურთიერთობა, არაყს სვამდნენ და მასაც შესთავაზეს, მაგრამ უარი უთხრა. ეს პირები სადღეგრძელოებს ამბობდნენ და პერიოდულად გადიოდნენ დერეფანში. თ. კ-ძეს კუპეს ზედა საწოლზე ჩაემინა და გამოაღვიძა მატარებლის ბიძგმა. მან დაინახა, რომ ახალგაზრდა ბიჭი - გ. თ-შვილი მუხლებზე იდგა,

ლ. ა-შვილის სასქესო ორგანო პირში ედო და ორალურ სქესობრივ კავშირს ამყარებდა. ძალადობა არ მომხდარა და არც გ. ო-შვილი ითხოვდა შევლას. თ. კ-მემ მიუთითა, რომ ნანახს ვერ იხერხებდა და რომ დარწმუნებულიყო, დაახლოებით 15 წამი უყურებდა. შემდეგ პირდაპირ დერეფანში გადახტა და როცა მობრუნდა, დაინახა, რომ გ. ო-შვილი და ლ. ა-შვილი თავიანთ ადგილზე იწვნენ, კედლისკენ შებრუნებით. მან ორივეს ჰკითხა, რას აკეთებდნენ, რაზეც უპასუხეს - არაფერსო. თ. კ-მემ მათ ხელი დაარტყა და მატარებლიდან ჩასვლა მოსთხოვა. გ. ო-შვილმა თავი კედელს მიარტყა და ცხვირიდან სისხლი წამოუვიდა. მანამდე მას სახეზე არანაირი დაზიანება არ ჰქონია. ლ. ა-შვილი და გ. ო-შვილი გავიდნენ დერეფანში და მათ ხმაურზე გამოღვიძებულმა სხვა მგზავრებმაც სცემეს. იქვე მივიდა გ. ფ-მეც და მასაც სცემეს, როცა გაიგეს, რომ ლ. ა-შვილის და გ. ო-შვილის თანმხლები იყო. თ. კ-მემ ისიც განაცხადა, რომ გ. ო-შვილი ვაგონში თავისუფლად გადაადგილდებოდა.

მოწმე მ. ქ-იამ განმარტა, რომ გ. ო-შვილი, ლ. ა-შვილი და მესამე პირი კუპეში არაყს სვამდნენ და ამის გამო მათ შენიშვნა მისცა. გ. ო-შვილს დახმარება არ უთხოვია, თუმცა ამის შესაძლებლობა ჰქონდა. თ. კ-მემ უთხრა, რომ როდესაც საწოლიდან ჩამოხტა, გ. ო-შვილმა და ლ. ა-შვილმა შეწყვიტეს სქესობრივი კავშირი.

დაზარალებულმა გ. ო-შვილმა მიუთითა, რომ ლ. ა-შვილმა იძულებით აიყვანა მატარებელში, სადაც მოსთხოვა მგზავრის დაყაჩაღება. როცა უარი უთხრა, ლ.-მ მას ხელი გაართვა სახეში, რაც თ. კ-მემ დაინახა და ჰკითხა - რატომ სცემო. შემდეგ ლ. ა-შვილმა იგი გაიყვანა საპირფარეოში და აიძულებდა, მასთან დაემყარებინა ორალური სქესობრივი კავშირი. დაზარალებულის განმარტებით, მას ჰქონდა გაქცევის სურვილი, მაგრამ ეს ვერ შეძლო, რადგან ლ. ა-შვილი ყველგან თან დაყვებოდა. დაზიანებები მიაყენა ლ. ა-შვილმა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დაზარალებულის აღნიშნული ჩვენება არსებითად ეწინააღმდეგება საქმეზე დაკითხულ სხვა პირთა ჩვენებებს, რომლებითაც დგინდება, რომ გ. ო-შვილს მატარებელში არანაირი დაზიანება არ ჰქონდა და ისინი მიაყენა თ. კ-მემ. ამ უკანასკნელმა განაცხადა, რომ როდესაც გ. ო-შვილს ხელი გაართვა, მან თავი მიარტყა კედელს და ცხვირიდან სისხლი წამოუვიდა. დაზარალებულის სხეულზე არსებული დაზიანებები ნათლად მეტყველებს, რომ ისინი განვითარებულია სწორედ თ. კ-მის მიერ აღწერილ ვითარებაში, კერძოდ, გ. ო-შვილს დაზიანებები აღენიშნებოდა შუბლის, ტუჩის, ცხვირის და მარჯვენა წინ ამხრის არეში. თ. კ-მეს არ განუცხადებია, რომ ლ. ა-შვილი სცემდა გ. ო-შვილს, პირიქით, მან მიუთითა, რომ კუპეში მყოფ პირებს ერთმანეთთან ჰქონდათ კარგი ურთიერთობა.

საპეალაციო პალატამ აღნიშნა, რომ ლ. ა-შვილმა გ. ო-შვილს თავისუფლება აღუკვეთა და ეს დანაშაული დაასრულა მატარებელში ჩასხდომამდე, სადგურზე, რასაც არ გამორიცხავს მგზავრობისას დაზარალებულის მეტნაკლებად თავისუფლებაში ყოფნა. თ. კ-მეს არ დაუნახავს სექსუალური კონტაქტის დაწყება და მისი წინაპირობები, რაც აუცილებლად გასათვალისწინებელია და მნიშვნელობა არ აქვს, ძალადობით დაწყებული სექსუალური კონტაქტის შემდეგ დაზარალებული მოძალადეს უწევდა თუ არა აქტიურ წინააღმდეგობას. თ. კ-მის გამოღვიძების დროს გ. ო-შვილის ნება უკვე დათრგუნული იყო და არ შეეძლო წინააღმდეგობის გაწევა შიშის გამო.

საპეალაციო სასამართლოს აღნიშნული დასკვნაც ადასტურებს, რომ გ. ო-შვილი არ იყო შეზღუდული, სურვლის შემთხვევაში დახმარება ეთხოვა. გ. ო-შვილის თავისუფლების აღკვეთასა და მასთან ძალადობით, გაუკუღმართებული ფორმით სექსუალურ კონტაქტს ამტკიცებს მხოლოდ დაზარალებული, რომლის ჩვენებები საფუძვლიან ეჭვს იწვევს სხვა პირთა თანმიმდევრული ჩვენებებიდან გამომდინარე.

საგულისხმოა, რომ გ. ო-შვილს დახმარება არ უთხოვია მას შემდეგაც, რაც ორალური სქესობრივი კავშირის დროს იგი დაინახა თ. კ-მემ, პირიქით, ლ. ა-შვილმა და გ. ო-შვილმა სცადეს, დაეძალათ მომხდარი ფაქტი. გ. ო-შვილს რაიმე იძულების შესახებ მაშინაც არ უთქვამს, როდესაც მას თ. კ-მე და სხვა მგზავრები სცემდნენ.

საქართველოს სსსკ-ის მე-10 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ყოველგვარი ეჭვი, რომელიც არ დასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს მსჯავრდებულის სასარგებლოდ. ამავე კოდექსის 503-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, გამამტყუნებელ განაჩენს არ შეიძლება საფუძვლად დაედოს ვარაუდი და იგი დგინდება მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებათა საფუძველზე. მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს ლ. ა-შვილის მიერ გ. ო-შვილის თავისუფლების აღკვეთისა და მასთან ძალადობით, გაუკუღმართებული ფორმით სექსუალური კონტაქტის დამადასტურებელი მტკიცებულებები. ამასთან, უდავოდ დადგენილია და ეჭვს არ იწვევს, რომ ლ. ა-შვილმა ჩაიდინა სექსუალური კონტაქტი გაუკუღმართებული ფორმით, წინასწარი შეცნობით 16 წლის ასაკს მიულწევლთან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს ლ. ა-შვილის სსკ-ის 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის «გ» ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილის «დ», «ე» ქვეპუნქტებით მსჯავრდების ნაწილში და ამ ნაწილში შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არ არსებობის გამო. ამასთან, ლ. ა-შვილის ქმედება სსკ-ის 138-ე მუხლის მე-3 ნაწილის «დ» ქვეპუნქტიდან უნდა გადაკვალიფიცირდეს ამავე კოდექსის 140-ე მუხლზე.

სასჯელის განსაზღვრისას, სხვა გარემოებებთან ერთად, საკასაციო პალატა ითვალისწინებს ლ. ა-შვილის პიროვნებასა და მისი ქმედების სიმძიმეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 28-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «ა» ქვეპუნქტით, 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილით, 568-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ლ. ა-შვილის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ვ. ბ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 18 აპრილის განაჩენი გაუქმდეს ლ. ა-შვილის სსკ-ის 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის «გ» ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილის «დ», «ე» ქვეპუნქტებით მსჯავრდების ნაწილში და ამ ნაწილში შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა;

ლ. ა-შვილის ქმედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 138-ე მუხლის მე-3 ნაწილის «დ» ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდეს ამავე კოდექსის 140-ე მუხლზე;

ლ. ა-შვილს სსკ-ის 140-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების ჩადენისათვის მიესაჯოს 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყოს 2006 წლის 31 აგვისტოდან.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.